დემოკრატიის სახელით

ნატო მაკიაჟის გარეშე

დემოკრატიის სახელით

ნატო მაკიაჟის გარეშე

გამომცემელი:
სსიპ „ისტორიული მემკვიდრეობა“ ©
თბილისი, 2013 წელი

© „ღვინისგამსაღები“

წინათქმა

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე ინფორმაცია, შეფასებები, რომლებიც ჩრდილოატლანტიკური სამხედრო ბლოკის (NATO) შესახებ საზოგადოებას ჰქონდა, გამოცხადდა კომუნისტური პროპაგანდის ნაწილად. პარალელურად ამუშავდა მძლავრი საინფორმაციო მანქანა, რომელმაც მეთოდურად, თანმიმდევრულად შექმნა მითი, რომ ნატო არის მშვიდობისმოყვარე, კეთილშობილი მიზნებისთვის შექმნილი ორგანიზაცია და ამ ბლოკში შესვლა არის ლამის გზა სამოთხისკენ.

დახვეწილი პროპაგანდისტული ხრიკების შედეგად, საზოგადოებამ, რომელმაც, შეიძლება ითქვას, არაფერი იცოდა ამ სამხედრო ბლოკის თაობაზე, ბევრი რამ დაიჯერა ნატოს ახალი, კარგად დავარცხნილი და გრიმდადებული იმიჯიდან. მეტიც, შევარდნაძისა და სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ნატო იქცა იმ ცრუ მიზნად, რომლის მისაღწევადაც ხელისუფლება ყველაფრის მოთმენისა და დათმობისკენ მოგვინოდებდა. ხელისუფლება ასევე დაჟინებით ახვევდა თავს მოსახლეობას მითს, რომ ნატოში შესვლა არის გადარჩენისა და კეთილდღეობის ერთადერთი გზა და ამას აკეთებდა ყოველგვარი დასაბუთების, ახსნა-განმარტების, მტკიცებულებათა ბაზის გარეშე.

ეს პროპაგანდისტული მანტრა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ქართველი საზოგადოების ნაწილი დღემდე ავტომატურად იმეორებს იმას, რაც ჩააგონეს — თითქოს ერთადერთი სწორი გზა ნატოში შესვლაა.

ვცადეთ, გაგვერკვია, სინამდვილეში რას წარმოადგენს ნატო, უარი ვთქვით როგორც ცივი ომის პერიოდის შეხედულებებზე ამ ორგანიზაციის მიმართ, ასევე იმ პროპაგანდისტულ ნაკადზე, რომლითაც ნატო ცდილობს საკუთარი თავის პოზიციონირებას. წინამდებარე კრებულში, კომპეტენტურ უცხოურ გამოცემებზე დაყრდნობით (The Guardian, Washington Post, Time, International Herald Tribune, The New York Times, Newsweek, Asia Times და სხვ.), თავი მოვუყარეთ მასალებს იმის შესახებ, თუ როგორ აფასებენ და რას ფიქრობენ ნატოზე უცხოეთში. ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესოა, რას წერენ ამ ორგანიზაციაზე უცხოელი ჟურნალისტები, პოლიტოლოგები, ფილოსოფოსები, ავტორიტეტული და კვალიფიციური ექსპერტები. კრებულის შედგენით გვსურს, ნათელი და ხელმისაწვდომი გახდეს ობიექტური ინფორმაცია ნატოს საქმიანობის, რეალური მიზნებისა თუ შედეგების შესახებ.

ამ ბლოკის გარშემო უამრავი საინფორმაციო კლიშე არსებობს, რომელთაც საზოგადოება ობიექტური ინფორმაციის დეფიციტის გამო ადვილად იჯერებს, მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ მოქა-

ლაქეთა დიდი ნაწილი დარწმუნებულია, თითქოს ნატო საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბლოკისგან თავდაცვის მიზნით შეიქმნა. ნატოს გარშემო აგიტატორების მიერ დაყენებული სიყალბის მასშტაბების გასააზრებლად ისიც კმარა, რომ სინამდვილეში მითს, თითქოს ნატო სოცბანაკისგან თავდაცვის მიზნით შეიქმნა, არაფერი აქვს საერთო ისტორიულ სინამდვილესთან, რადგან ნატო „ვარშავის ხელშეკრულებაზე“ ბევრად ადრე შექმნეს და უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ნატოს შექმნაზე იძულებითი პასუხი, კონტრზომა იყო სამხედრო ბლოკის სახით ვარშავის ხელშეკრულება.

სწორედ ამიტომ უარი ვთქვით და მკითხველსაც ვურჩევთ, უარყოს საინფორმაციო კლიშეები, რათა ობიექტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიტანოს მართებული დასკვნები.

მიუხედავად დეკლარირებული კეთილშობილი მიზნებისა, ჩვენ ვერ მოვიძიეთ სახელმწიფო, რომელშიც ნატომ თავი გამოიჩინა როგორც დემოკრატიის დამცველმა, ქვეყნის მთლიანობის ხელშემწყობმა, მშვიდობისა და კეთილდღეობის მომტანმა. დამანგრეველ სამხედრო-პოლიტიკურ შედეგებს რომ თავი დავანებოთ, ნატოს ჯარისკაცებმა მოახერხეს, უკიდურესად ნეგატიური კუთხით დაემახსოვრებინათ თავი ადგილობრივი ხალხისთვის. ისინი ნამდვილ კოშმარად იქცნენ არაერთი ქვეყნის მშვიდობიანი მოსახლეობისთვის. ამდენად, სავსებით ლოგიკურია, რომ ქვეყნებში, რომლებთანაც ნატოს დამცველის, მოკავშირის ან მშვიდობისმყოფელის სახით ჰქონდა შეხება, ადგილობრივების განწყობა ამ ბლოკის მიმართ ცალსახად უარყოფითია.

წინამდებარე კრებულის მიზანია, საზოგადოებას მისცეს შესაძლებლობა, თავად შეაფასოს, თუ სად, რა ტიპის, რა მიზნების მქონე ორგანიზაციაში გვექაჩება პოლიტიკური ელიტა. დღეს საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის ცხადი გახდა ის ჭეშმარიტება, რომ საქართველოს ნატოში შესვლა და ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეუთავსებადი და შეუძლებელია. ჩვენ ვიცით, რომ ხელისუფლება 20 წლის განმავლობაში ცრუ მიზანს გვისახავდა მხოლოდ იმიტომ, რომ გარე ძალების ინტერესებს ემსახურებოდა, ხოლო მის ანტიეროვნულ საქმიანობას გამართლება უნდა ჰქონოდა. მიუხედავად იმისა, რომ ნატოში შესვლა მიუღწევადია, ვფიქრობთ, რომ სწორი წარმოდგენა ამ ბლოკზე მაინც საჭიროა იმისათვის, რომ ეს ცრუ მიზანი საზოგადოების ნაწილის გონებაში სასურველ და აუხდენელ ოცნებად არ დარჩეს.

ამიტომ გულდასმით უნდა დავფიქრდეთ და გავაცნობიეროთ, რა მოუტანა ნატომ აღმოსავლეთ ევროპის მართლმადიდებელ საზოგადოებებს და სხვა ქვეყნებს მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე.

ნატო მაკიაჟის გარეშე

მთელი მსოფლიოსთვის საყოველთაოდ გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, 1998 წელს კოსოვოში „სერბეთის შეიარაღებულმა ძალებმა ჩაატარეს ეთნიკური წმენდის სერია, რის გამოც კოსოვოს ალბანელთა ნახევარი დევნილობაში აღმოჩნდა... ხანგრძლივმა სისხლისღვრამ აშშ-ის ხელისუფლება და მისი მოკავშირეები აიძულა, დაეწყოთ მასირებული დაბომბვა... რის შედეგადაც ალბანელმა ლტოლვილებმა შინ დაბრუნება შეძლეს“. ერთი სიტყვით, 24 მარტს ნატოს ეს ქმედება წარმოჩენილი იქნა, როგორც „მოწყალების აქტი“.

რა მოხდა სინამდვილეში?

ამერიკელი ექსპერტების მონაცემებით, ერთი წლით ადრე დაბომბვებამდე ორივე მხრიდან დაღუპული იყო დაახლოებით 2000 ადამიანი. **სერბებმა 500 ალბანელი მოკლეს, ხოლო ალბანელებმა — 1500 სერბი.** 27 მარტს, დაბომბვის დაწყებიდან მესამე დღეს, ნატოს გაერთიანებული დაჯგუფების სარდალმა უესლი კლარკმა, ჟურნალის-

ტებს აცნობა, რომ სერბეთის ხელისუფლების სამარცხვინო რეაქცია მოსალოდნელი იყო და დასავლეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის წუხილის საფუძველს არ წარმოადგენდა. როგორც კლარკი მოგონებების წიგნში წერს, მან ჯერ კიდევ 6 მარტს აცნობა სახელმწიფო მდივან მადლენ ოლბრაიტს, რომ, თუ ნატო გააგრძელებს დარტყმებს სერბეთის მისამართით, *„სერბეთის ხელისუფლება დიდი ალბათობით სამოქალაქო მოსახლეობის ტერორს მიმართავს“*, ხოლო ნატო მშვიდობიან მოსახლეობას ვერ დაიცავს. ამ წიგნის რეცენზიაში მაიკლ იგნატიეფი აღნიშნავდა, რომ ნატოს შენაერთების მიერ დაბომბვის მთავარი მიზეზი მილოშევიჩის მიერ კოსოვოში დაშვებული ადამიანის უფლებების დარღვევა კი არ იყო, არამედ **„ნატოს სწრაფვა, თავს მოეხვია ქვეყნის ხელმძღვანელისთვის საკუთარი ნება, რომლის ღია დაუმორჩილებლობა ბოსნიასა და კოსოვოში ამერიკული და ევროპული დიპლომატიის ავტორიტეტს ამცირებდა და ნატოს გავლენასაც ასუსტებდა“.**

ბოსტონის უნივერსიტეტის პროფესორის, ენდრიუ ბაჩევიჩის, აზრით, ეს დაბომბვები **„უნდა ქცეულიყო გაკვეთილად ყველა ევროპული სახელმწიფოსთვის, რომელთაც ილუზიები აქვთ, რომ მათზე არ ვრცელდება ცივი ომის შემდგომი საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სისტემის ნორმები და წესები“,** რომლებიც ვაშინგტონმა დაამკვიდრა. უმნიშვნელოვანესი იყო აშშ-ის ჰეგემონიის დამყარება გაერთიანებულ, ინტეგრირებულ და თავისუფალ ევროპაში.

ამ მცირე მიმოხილვის შემდეგ ნათელი ხდება, თუ რატომ იყო მილოშევიჩი ასე დარწუნებული საკუთარ თავში საერთაშორისო ტრიბუნალზე. ციხეში მისი დაღუპვა მეტად დროული აღმოჩნდა. სასამართლოს აღარ დასჭირდა იმ მტკიცებულებათა განხილვა, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილ ვერსიას არანაირად არ ადასტურებდა.

9 წლის წინ დაწყებული საქმე შეერთებულმა შტატებმა 2008 წლის თებერვალში დააგვირგვინა სერბეთის ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და საერთაშო-

© „ეროვნული გზა ათასწლეულის“

რისო სამართლის არნახული დარღვევით, — ყოველმხრივ შეუწყო ხელი „გაალბანელებული“ კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივ აღიარებას. ეს, ერთი შეხედვით, ლოგიკას მოკლებული მხარდაჭერა რამდენიმე კურდღლის დაჭერას ისახავდა მიზნად: ახალი მსოფლიო წესრიგისთვის პრეცედენტის შექმნას, ეროვნული სახელმწიფოების სუვერენიტეტის ბოლომდე „გამორეცხვას“, ევროპისთვის „ადგილის მიჩენას“, მსოფლიოს იმაში დარწმუნებას, რომ მუსლიმების მიმართ მოწყალენი არიან, როცა ისინი მსხვერპლს წარმოადგენენ, რუსეთისა და ისლამური სამყაროს დაპირისპირებას, მეორე მსოფლიო ომის შედეგების სრულ გადახედვას და ა.შ.

17 თებერვლის გაეროს უშიშროების სამარცხვინო სხდომის შემდეგ სერბეთში სახალხო მღელვარების ტალღამ აშკარად ანტიამერიკული ხასიათი მიიღო. საოცარია, მაგრამ ამგვარი განწყობილებები ყველაზე მკვეთრ სახეს სწორედ იქ იღებს და მათ „დახმარებას“ და დემოკრატიზაციასაც აცხადებენ ამერიკელები პრიორიტეტულ ამოცანად. აშშ-მა ისიც კი მოახერხა, რომ ანტიამერიკული განწყობილებები დათესა ყოფილ იუგოსლავიაში, რომელიც ორ ბანაკად გაყოფის პირობებში ვარშავის ბლოკის ყველაზე დასავლური ქვეყანა იყო როგორც ეკონომიკით,

ისე მენტალიტეტით. ამ უკანონობისა და უსამართლობის ხილული მიზეზები თითქოს არ ჩანს, თუმცა კარგად იკითხება სამი მოტივი: მუსლიმებისთვის თავის მოქონვა შუაგულ ევროპაში ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბების სახით, რუსეთისთვის კიდევ ერთი სერიოზული დარტყმის მიყენება მართლმადიდებელი ხალხისთვის ტერიტორიის თავხედური ჩამოჭრით და ევროპისთვის იმის დემონსტრირება, თუ ვინ არის მსოფლიოს მმართველი.

თითქოს საკმარისია, ხომ? ნურას უკაცრავად! არავინ ლაპარაკობს ამერიკელების ჭეშმარიტ მიზანზე კოსოვოში; ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გარდა, არსებობდა კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების კიდევ ერთი მარშრუტი — ნავთობსადენი კოსოვოს გავლით ადრიატიკის სანაპირომდე, საიდანაც ნავთობი ტანკერებით გადაიზიდებოდა დასავლეთ ევროპის ბაზარზე. ავტორიტეტული ექსპერტის, ნიკოლას ჰაგერის გამოკვლევით, 2001 წელს დაიწყო 920-კილომეტრიანი ტრანსბალკანური ნავთობსადენის მშენებლობა, რომელიც 2005 წელს უნდა ამოქმედებულიყო. პროექტის ღირებულება 1,2 მილიარდ დოლარს შეადგენდა. ბაქოდან სუფსაში ტრანსპორტირებული ნავთობი ტანკერებით უნდა გადაზიდულიყო ბურგასამდე და შემდეგ ბალკანეთისა და მაკედონიის გავლით ადრიატიკის პორტ ვლორამდე ალბანეთში. ნავთობსადენის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა საერთაშორისო სამშვიდობო ძალები გენერალ მაიკლ ჯექსონის ხელმძღვანელობით. დღეში ნავთობსადენის დაგეგმილი სიმძლავრე 750.000 ბარელს შეადგენდა. ამ ნავთობსადენის მშენებლობაზე ალბანელებთან, მაკედონიელებთან და ბულგარელებთან (**AMBO** – ამერიკული კომპანიაა) ერთად მუშაობენ ისეთი გიგანტები, როგორიცაა **Texaco, Chevron, Exxon, Mobil, BP, AMOCO, Agip** და **Total Fina elf.** კომპანია **Halliburton**-მა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის სახელს, 1999 წელს უდიდესი ამერიკული სამხედრო ბაზა **Camp Bondsteel** ააშენა, რომელიც ბალკანეთში განთავსებულ სამხედროებს ემსახურება. იგი **360.000 კვ.მ ტერიტორიას იკავებს და მისი პერიმეტრი 11,2 კმ-ს შეადგენს. ბა-**

ენდრიუ გაჩევიჩი

ზას 2,5 მ სიმაღლის მიწაყრილი აქვს შემოვლებული. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, კოსოვოს აღიარების მთავარი მიზეზი ეს სამხედრო ბაზაა, თუმცა საქმე უფრო იმასთან უნდა გვქონდეს, რომ ეს სამხედრო ბაზაც და კოსოვოს დამოუკიდებლობაც მხოლოდ ნავთობსადენის დასაცავად გახდა საჭირო. ნავთობსადენის გასწვრივ ამერიკული პროტექტორატები უნდა შეიქმნას. ზოგიერთი ექსპერტის ინფორმაციით, აშშ-მა ალბანეთს აღუთქვა „დიდი ალბანეთის“ შექმნა, რომელსაც კოსოვოს გარდა, საბერძნეთის ტერიტორიის ნაწილსაც შეჰპირდა. ალბანელების მეშვეობით ამერიკას სურს, მაკედონია, ბულგარეთი და ალბანეთი, ევროკავშირის წევრობის მიუხედავად, წმინდა ამერიკულ პროტექტორატებად აქციოს.

ანტიამერიკანიზმის ახალი ტალღა ამერიკისთვის გაცილებით უფრო სერიოზული პრობლემაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. **The International Herald Tribune**-ის პუბლიკაციის თანახმად, 2007 წლის მარტში კომპანია **Globe Scan**-მა მერილენდის უნივერსიტეტთან ერთობლივად ჩაატარა 27 ქვეყანაში 28.000 ადამიანის გამოკითხვა **BBC**-ის მსოფლიო სამსახურისთვის. 2002-2006 წლებში ევროპელთა რაოდენობა, ვინც აშშ-ს მიიჩნევდა ლიდერად საერთაშორისო საკითხებში, დაეცა 64-დან 37%-მდე, მაშინ, როცა საწინააღმდეგო პოზიციის მქონეთა რაოდენობა გაიზარდა 31-დან 57%-მდე. ბჟეზინსკი „ორიანს“ უწერს ბუშს მისი „კატასტროფული ლიდერობის“ გამო თავის წიგნში „მეორე შანსი“.

ანტიამერიკულ განწყობათა გაძლიერებაში ძირითადი როლი ერაყმა შეასრულა. 14 ქვეყნის გამოკითხვისას 10-

ის უმრავლესობამ განაცხადა, რომ ერაყში ომის დაწყების შემდეგ მსოფლიოში საფრთხე გაიზარდა. დიდ ბრიტანეთში 60% ეთანხმება ამ აზრს. ზბიგნევ ბჟეზინსკი აღნიშნავს, რომ დღეს აშშ-ის ყველაზე მძლავრი სიმბოლო გუანტანამოა და არა თავისუფლების ქანდაკება. ასევე სწრაფად ეცემა ნატოს მიმართ პოზიტიური განწყობაც.

ერაყზე თავდასხმა ისეთივე მითებით არის შემოსილი, როგორც 1999 წელს ყოფილი იუგოსლავიის დაბომბვა. მართალია, პრეზიდენტი ბუში და მისი გუნდი ამას 11 სექტემბრის ტერაქტს უკავშირებდნენ, მაგრამ, როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ 1992 წელს (11 სექტემბრის ტერაქტამდე 9 წლით ადრე!), როცა პოლ ვულფოვიცი თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო, მისი უწყებიდან ინფორმაციამ გამოჟონა; ვულფოვიცმა და მისმა თანაშემწემ ლუის ლიბიმ მინისტრის — დიკ ჩეინის სახელზე მოამზადეს დოკუმენტი სახელწოდებით „ეროვნული სამხედრო სტრატეგიის საფუძვლები“. მასში დასაბუთებული იყო აშშ-ის შეიარაღებული ძალების ყოფნის აუცილებლობა ექვსივე კონტინენტზე, რათა არ დაეშვათ რომელიმე ქვეყნის მცდელობაც კი, უფრო მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინათ რომელიმე რეგიონში ან მსოფლიოში. შეკავების სტრატეგია მოძველებულად იქნა მიჩნეული და იგი იცვლებოდა ახალი სტრატეგიით: „ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება და განმტკიცება“. **ვულფოვიცის მიხედვით, აშშ არ მისცემს უფლებას არავის — რუსეთს, გერმანიას, იაპონიას, ჩინეთს ან ინდოეთს, რომ რეგიონული ზესახელმწიფო გახდეს.** პენტაგონი ომებისთვის მზადებას გეგმავდა, რომელთა მიზნები სცილდებოდა აშშ-ის ინტერესების დაცვის სფეროს.

„შეერთებული შტატები ვერ გახდება მსოფლიოს პოლიციელი და ვერ აიღებს საკუთარ თავზე მსოფლიოში ყველა ბოროტების ამოძირკვას, მაგრამ ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, მივაყენოთ პრევენტიული წერტილოვანი დარტყმები მათ, ვინც არა მხოლოდ ჩვენს ინტერესებს, არამედ ჩვენი მეგობრებისა და მოკავშირეების ინტერესებს დაემუქრებიან და, ვისაც მსოფლიოში ვითარების

ნაომი კლაინი

დესტაბილიზაციის ძალა შესწევს“. როგორც ხედავთ, ამ დოკუმენტში უკვე ფიგურირებს „პრევენტიული დარტყმები“ და „ბოროტების ამოძირკვა“.

დოკუმენტმა მძაფრი რეაქცია გამოიწვია. მამაბუში იძულებული გახდა, უარი ეთქვა მასზე და დოკუმენტი დაივიწყეს 2002 წლამდე, როცა უმცროს ბუშთან ერთად ხელისუფლებაში ჩეინი, ვულფოვიცი და ლიბიც დაბრუნდნენ, ხოლო დოკუმენტში ნახსენები „მსოფლიოს პოლიციელის“ როლი ნატომ შეითავსა.

11 სექტემბრის ტრაგედიამდე 4 წლით ადრე (!) პრეზიდენტ კლინტონს წერილით მიმართეს ელიოტ აბრამსმა, ბილ ბენეტმა, ჯონ ბოლტონმა, პოლ ვულფოვიცმა, რობერტ კაგანმა, უილიამ კრისტოლმა, რიჩარდ პერლმა და დონალდ რამსფელდმა. მათ მოითხოვეს აშშ-ის შეჭრა ერაყში. **„11 სექტემბრის ტერაქტები მხოლოდ ხელსაყრელი საბაბი იყო ომისთვის, რომელსაც ისინი ათწლეულის განმავლობაში გეგმავდნენ,“** — წერს პატრიკ ბიუკენენი.

პრეზიდენტის თანაშემწე ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში, რიჩარდ კლარკი, იხსენებს, რომ 12 სექტემბერს, როცა თეთრ სახლში მივიდა, იმის ნაცვლად, რომ ტერაქტების შესაძლო გამეორების საფრთხეზე ეთათბირათ, ერაყზე საუბრით დახვდნენ. **„როგორც იქნა, მივხვდი, რომ რამსფელდსა და ვულფოვიცს უნდოდათ, ეროვნული ტრაგედიით ესარგებლათ და სისრულეში მოეყვანათ საკუთარი ჩანაფიქრი ერაყის მიმართ“.** ადმინისტრაციაში მოსვლის დღიდან და უფრო ადრეც ორივენი ერაყთან ომისკენ მოუწოდებდნენ. როცა კოლინ პაუელმა აღნიშნა, რომ სჯობდა უფ-

რო არსებით პრობლემებზე, მაგალითად, „ალ ქაიდაზე“ ემსჯელათ, რამსფელდმა წაუყრუა. კლარკი იხსენებს: **„რამსფელდი ჩიოდა, რომ ავღანეთში არ მოიძებნა დაბომბვის ღირსი ობიექტები; მისი სიტყვებით, ერაყი უნდა დაგვებომბა, სადაც ამგვარი სამიზნეები უხვად იყო“.**

ბიუკენენის შეფასებით, ნეოკონსერვატორებმა იპოვეს „ღირსეული“ მტერი — **„რადიკალური ისლამი. გაჩნდა ახალი იდეოლოგია — იმპერიის იდეოლოგია, და ახალი დოქტრინა — დემოკრატიზმი, „მეოთხე მსოფლიო ომის“ მომზადება „მსოფლიო მასშტაბით დემოკრატიული რევოლუციის“ უზრუნველსაყოფად“.**

გაეროს უშიშროების საბჭოზე კოლინ პაუელის მგზნებარე საბრალდებო სიტყვა, რომლითაც იგი ერაყში შეჭრას ასაბუთებდა, მთლიანად სატელეფონო საუბრებს ეყრდნობოდა. მათში არავითარი „მამხილებელი“ ინფორმაცია არ ყოფილა და არც დაზვერვას „შეშლია“ რამე, როცა ამტკიცებდა, რომ სადამ ჰუსეინი მასობრივი განადგურების იარაღს ფლობს. ერაყი უკვე განწირული იყო, ეს ყველაფერი კი მისი განადგურების სათანადო გამართლებას ემსახურებოდა.

ნაომი კლაინი თავის წიგნში „ერაყის განადგურება“ წერს იმის შესახებ, რის ფასადაც შეიტანა აშშ-მა დემოკრატია ამ ქვეყანაში: **„ეროვნული მუზეუმი გაიძარცვა. 170.000 ფასდაუდებელი ექსპონატიდან 80% გაიტაცეს. ისტორია სატვირთო მანქანებით „გაზიდეს“. ეროვნული ბიბლიოთეკა გაანადგურეს. რელიგიის საქმეთა სამინისტროდან ათასწლოვანი ყურანები გაქრა. ჩიკაგოს უნივერსიტეტის არქეოლოგი მაკ-გაირ გიბსონი ამბობს: „ეს ძალიან ჰგავს ლობოტომიას: განადგურებულია მთელი კულტურის სიღრმისეული მეხსიერება, რომელიც ათასობით წელი არსებობდა“. ბევრი ერაყელი დარწმუნებულია, რომ ეს ლობოტომია განზრახ ჩაუტარეს — ამერიკული სტრატეგიის ჩარჩოებში, რომელიც კულტურის ფესვების განადგურე-**

ბასა და მის სანაცვლოდ საკუთარის დანერგვის მიზანს ისახავს. ერაყის ავიაკომპანიამ 100 მილიონი დოლარის ზარალი განიცადა ამერიკელი სამხედროების ძარცვა-ვანდალიზმის გამო. იგი სასწრაფოდ ჩასვეს საპრივატიზაციო ნუსხაში. უმაღლესი განათლების რეკონსტრუქციის პროგრამის დირექტორი ჯონ აგრესტო თავის მიზნად ნულიდან ახალი განათლების სისტემის შექმნას მიიჩნევს. მისი სიტყვებით, „უნივერსიტეტის ძარცვა მშვენიერი შესაძლებლობაა ყველაფრის თავიდან დასაწყებად“. იგი გამოტყდა, რომ ერაყის შესახებ არაფერი იცის. ორიოდე წიგნი რომ წაეკითხა, გაიგებდა, რომ საერთაშორისო სანქციების შემოღებამდე ერაყს რეგიონში საუკეთესო განათლების სისტემა ჰქონდა, არაბულ სამყაროში ყველაზე მაღალი მაჩვენებელით (89%). შედარებისთვის: აგრესტოს მშობლიურ შტატ ნიუ-მექსიკოში ფუნქციურად წერა-კითხვის არმცოდნეა 46%, 20%-ს არ შეუძლია გონებაში აწარმოოს ელემენტარული არითმეტიკული გამოთვლები,

რათა მაღაზიაში ქვითარი დააჯამოს. მაგრამ აგრესტო 100%-ით არის დარწმუნებული ამერიკის უპირატესობაში და არც უფიქრია, რომ ერაყელები თავიანთი კულტურის გადარჩენას მოინდომებდნენ.

პოლ ბრემერმა, ერაყის საოკუპაციო ხელისუფლების ხელმძღვანელმა, შექმნილი კრიზისის გადასაჭრელად გახსნა საზღვრები შეუზღუდავი იმპორტისთვის ტარიფების, გადასახადების, მოსაკრებლების გარეშე. 2 კვირაში მან გამოაცხადა, რომ ერაყი „ბიზნესისთვის მზად არის“. ერთ ღამეში ყველაზე ჩაკეტილი ბაზარი ყველაზე ღია ბაზრად იქცა.

2006 წლისათვის ბავშვების ორი მესამედი სკოლაში არ დადიოდა. ქალები იმალებოდნენ, დაიწყეს ჩადრის ტარება. დაიხვრიტა 300 მეცნიერი, რამდენიმე ფაკულტეტის დეკანი. 2007 წლის თებერვლისთვის დაღუპული იყო 2.000 ექიმი, 12.000 — ქვეყნიდან გაიქცა. გაეროს ლტოლვილთა კომისარიატის მონაცემებით, ერაყიდან ყოველდღიურად 3.000 ადამიანი გარბოდა. 2007 წლის აპრილში 4 მილიონმა ადამიანმა საკუთარი სახლი დატოვა“.

ასე გამოიყურება ამერიკული დემოკრატიის საექსპორტო მოდელი ერაყის მაგალითზე. ტრადიციული კულტურის ხალხებისთვის (და არა მხოლოდ მუსლიმებისთვის, როგორც ამის წარმოჩენა უნდათ) ეს ყოველივე გლობალური მასშტაბის კულტურული კატასტროფაა, რადგან დღევანდელი ერაყი მსოფლიო ცივილიზაციის აკვანია. ერაყში ხელოვნურად შექმნილი ვითარება ნათელყოფს იმ რეფორმების ჭეშმარიტ სახეს, რომლებიც უომრად დაპყრობილ ქვეყნებში, შესაძლოა, ნაკლები სისასტიკით, მაგრამ შინაარსობრივად იმავე ექვივალენტის შედეგებზეა ორიენტირებული.

იქნებ ვცდებით და ნატოს ძალების გამოყენებით აშშ-ის მოქმედება ერაყში მართლაც საერთაშორისო ტერორიზმის განადგურებას ემსახურებოდა? მაშინ რა ვუყოთ

© „ღიასაზღვრული საზოგადოება“

ამერიკული საგარეო ჩარევების იმ სტატისტიკას, რომელიც „ტერორიზმამდელ“ ეპოქას უკავშირდება?

ამერიკელი მკვლევარი მაიკლ პარენტი გვამცნობს: **„აშშ-მა დაამხო რეფორმისტული მთავრობები ირანში (1951), გვატემალაში (1954), კონგოში (1961), დომინიკის რესპუბლიკაში (1962), ბრაზილიაში (1964), ჩილესა და ურუგვაიში (1973). საბერძნეთში, ფილიპინებზე, ინდონეზიაში, აღმოსავლეთ ტიმორში და კიდევ 10 ლათინურ-ამერიკულ ქვეყანაში, სამხედრო ოლიგარქებმა, რომლებსაც პენტაგონმა და ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ასწავლეს და დააფინანსეს, დაამხეს ხალხის მიერ არჩეული მთავრობები.**

აშშ მხარს უჭერდა გვატემალაში უწესრიგობებს (1962-96), რომლებშიც 200.000 ადამიანი დაიღუპა, სალვადორში (1980-94), სადაც 75.000 ადამიანი დაიღუპა, ჰაიტიზე (1987-94), ტაილანდში (1965-73), ვიეტნამში (1945-73), კამბოჯაში (1955-73), ლაოსში (1957-1973)“.

აშშ-ის საზღვაო ქვეითები შეიჭრნენ ნიკარაგუაში და დაიკავეს იგი 1912 წელს, განმეორებით — 1926-33 წ.წ., ჰაიტი — 1915 და 1934 წ., კუბაზე — 1898-1902 წ.წ., მექ-

სიკაში 1914 და 1916 წ.წ.. 1911-25 წ.წ. ჰონდურასი ექვსჯერ დალაშქრეს, პანამის ოკუპაცია გრძელდებოდა 1903-1914 წ.წ. აქ მხოლოდ სამხედრო ოპერაციებია ჩამოთვლილი, მაგრამ ამ თარიღებს შორის შინაურ საქმეებში ჩარევას სისხლიანი ქრონოლოგია აქვს.

გაეროს ტელე-რადიო სამსახურის ყოფილი დირექტორი ნიუ იორკში, აიტმან ელ-ამირი, გაზეთ **Al Ahram**-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „იმპერიის დაისი“ წერს: **„ამერიკულმა პოლიტიკურმა ელიტამ ან არ იცის მსოფლიო ისტორია (თავად აშშ-ის ისტორია საკმარისად მიაჩნია), ან საკუთარი დაუმარცხებლობის ქედმაღლური რწმენის ტყვეობაშია (დაავადებისა, რომელიც გევრ იმპერიას ახასიათებდა). ერაყის ომი — ამერიკული იმპერიის სტრატეგიის ცენტრალური ელემენტი — შეიძლება მისი მესაფლავე აღმოჩნდეს... შეჭრის ერთ-ერთი მიზეზი იყო ამერიკული ჰეგემონიის დამყარება სპარსეთის ყურის ნავთობით მდიდარ რეგიონში, „ძნელადაღსაზრდელი“ არაბული რეჟიმების ორიენტაციის შეცვლა, აგრეთვე, ირანის დესტაბილიზება და დასუსტება ისრაელის ინტერესების გამო... ომის დაწყებიდან 4 წლის შემდეგ თვალსაჩინოა: აშშ-ის კამპანია ერაყსა და რეგიონში მთლიანად ჩავარდა... ერაყი აღმოჩნდა „სრული ქაოსისა და სახელმწიფოებრიობის რღვევის“ წინაშე „იმპერიის მშენებელთა“ უვიცობისა და გაუმართლებელი ავანტიურის გამო. როგორი პროპაგანდისტული „შეფუთვაც“ უნდა მოუძებნოს ვაშინგტონმა თავისი ჯარების გაყვანას ერაყიდან, მთელი მსოფლიო გარდაუვალად მივა იმ დასკვნამდე, რომ შეჭრა კატასტროფული ჩავარდნით დაგვირგვინდა. დღეს აშშ-ის მარცხი ერაყში გახდება მისი მცირეხნოვანი იმპერიული ბატონობის დასასრულის დასაწყისი“.**

ნავთობის მარაგით მსოფლიოში დიდი უპირატესობით ლიდერობს ერაყი, შემდეგ ქუვეითი და არაბეთის გაერთიანებული საემიროები მოდიან, მეორე სამეულს საუდის არაბეთი, ირანი და ვენესუელა შეადგენენ. რუსეთი მეცხ-

რე ადგილზეა ნიგერიისა და მექსიკის შემდეგ, ხოლო მას ნორვეგია, ჩინეთი, აშშ, კანადა და დიდი ბრიტანეთი მოსდევს. ყველა ეს რესურსი მოხმარების დღევანდელი ტემპით 50-100 წლის მარაგს შეადგენს.

წარმოების თვალსაზრისით, პირველ ადგილზე საუდის არაბეთია, მეორეზე – ერაყი, შემდეგ — ემირატები, ირანი, ქუვეითი, ვენესუელა, ნიგერია, კანადა, ჩინეთი, ნორვეგია, მექსიკა, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი და შეერთებული შტატები. ამასთანავე, აშშ-სა და ბრიტანეთში ნავთობის მხოლოდ 5 წლის მარაგია დარჩენილი (EIA და Oil and Gaz Journal-ის „მონაცემებით“). ამ მონაცემების ფონზე დასავლური „დემოკრატიის ექსპორტს“ სინამდვილეში ნავთობისა და გაზის სუნი ასდის.

ის, რომ ნავთობი და პოლიტიკა ურთიერთგანმაპირობებელ კავშირშია ერთმანეთთან, კარგად ჩანს აშშ-ის უმაღლესი ეშელონების დოსიეებიდან; დიკ ჩეინი კომპანია „**Halliburton**“-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და პრეზიდენტი იყო, ჩეინი და აშშ ვაჭრობის მინისტრი დონალდ ევანსი ერთად მართავდნენ ენერგოკომპანი-

ებს. კონდოლიზა რაისი 1991-2001 წლებში „**Chevron**“-ის დირექტორი იყო. კომპანიას მისი სახელობის ტანკერიც კი ჰყავს. ბრენტ სკოუკროფტი, კონდოლიზა რაისისა და პრეზიდენტ ბუშის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, „**Pennzoil-Quaker State Co**.“ და „Enron Global Power & Pipelines“-ის დირექტორი იყო, რომელიც „**Enron Corp**.“-ის ქვედანაყოფს წარმოადგენდა. გარემოს დაცვის სააგენტოს ადმინისტრატორი კრისტინა ტოდ უიტმენი ტეხასისა და კოლორადოს ნავთობმომპოვებელი კომპანიების აქციებს ფლობს. ჯეიმს ბეიკერი, ბუშების ოჯახის მრჩეველი და ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ფლობს იურიდიულ ფირმას, რომელიც აზერბაიჯანში მომუშავე ნავთობის კომპანიების ინტერესებს წარმოადგენს, მათ შორის — „**Exxon-Mobil**“ კორპორაციისას. მისი მოადგილე, რიჩარდ არმიტიჯი, ამერიკულ-აზერბაიჯანული სავაჭრო პალატის თანათავმჯდომარე იყო (ნიკოლას ჰაგერის მიხედვით). უცხოელი ექსპერტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ თანამედროვე მსოფლიოში საომარი კონფლიქტების უმრავლესობა სწორედ ნავთობის მარაგებისა და მათი ტრანსპორტირების ხელში ჩაგდების მისწრაფებით აიხსნება.

ამას ადასტურებს აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი მაკკეინიც: „მე მკვეთრად ვუპირისპირდები სენატორების — კლინტონისა და ობამას იდეას ერაყიდან ჩვენი ჯარისკაცების სასწრაფოდ გამოყვანის შესახებ, იმიტომ, რომ ეს ჩვენი ეკონომიკის კატასტროფის რეცეპტია, ვინაიდან ნავთობის ფასი დაუყოვნებლივ ავარდება“ (ინტერვიუ პოლონურ გაზეთთან „ვიბორჩა“, 11/03/2008).

ჯორჯ სოროსი გლობალური კაპიტალიზმის ნაკლოვანებებზე (რომელთა გამოსწორებისთვისაც იღვწის) მსჯელობისას საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს იმოწმებს: „მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების 1% იმდენივე შემოსავალს იღებს, რამდენსაც უღატაკესთა 57%. მილიარდ ადამიანზე მეტი დღეში ერთ დოლარზე ნაკლებ თანხაზე ცხოვრობს, მილიარდ ადამიანს ხელი არ მიუწვდება სასმელ წყალზე, 826 მილიონი ადამიანი შიმშილობს, 10 მილიონი ადამიანი ყოველწლიურად

იღუპება ელემენტარული სამედიცინო მომსახურების არქონის გამო“.

მხოლოდ ერაყის მაგალითი ცხადყოფს, რომ მთელი ქვეყანა იავარქმნილი იქნა გამოგონილი მიზეზებით და უმწვავესი სიღატაკე ჩამოყალიბდა იქ, სადაც აშშ-ის შესვლამდე სულაც არ იყო მძიმე მდგომარეობა.

სულ ახლახან გახსნილი რუსული საიდუმლო არქივები ნათელყოფს, რომ 1952 წლის მარტში სტალინმა (გარდაცვალებამდე ზუსტად ერთი წლით ადრე) შესთავაზა აშშ-ს ორად გაყოფილი გერმანიის გაერთიანება იმ პირობით, რომ ახალი გერმანული სახელმწიფო არ შეუერთდებოდა სამხედრო ალიანსს (ნატოს) საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ვაშინგტონმა უყოყმანოდ უარყო ეს წინადადება, თუმცა ითვლებოდა, რომ აშშ-მა მთელი ძალისხმევა სწორედ გერმანიის გაერთიანებას მიუძღვნა 1989 წლის ჩათვლით. ამასწინათ გამოქვეყნებულმა საარქივო დოკუმენტებმა ამ სფეროს მრავალი სპეციალისტი გააოცა. დოკუმენტები შეიცავდა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ ლავრენტი ბერია მიმართავდა დასავლეთის ქვეყნებს წინადადებით, რომ გერმანია გაეერთიანებინათ და ექციათ იგი სამხედრო თვალსაზრისით

ნეიტრალურ ქვეყნად. მან ღიად გამოხატა სურვილი, **„დაეთმოთ ევროპაში კომუნისტური საყრდენი, რათა შეესუსტებინათ დასავლეთისა და კომუნისტების წინააღმდეგობანი და მტრობა“ და გაეუმჯობესებინათ პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები საბჭოთა კავშირის შიგნით. ჯეიმს უორბურგის აზრით, იმ პერიოდის საერთაშორისო პოლიტიკაში ამგვარი შესაძლებლობა არსებობდა, მაგრამ არჩევანი გაკეთდა დასავლეთ გერმანიის ნატოში წევრობის სასარგებლოდ“.** ამის შესახებ ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ნოამ ჩომსკი წერდა წიგნში „ჰეგემონია თუ ბრძოლა გადარჩენისთვის“.

ნატოს შექმნის მცირე წინაისტორია ასე გამოიყურება: ჰოვარდ ზინი, ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, თავის წიგნში „ამერიკის სახალხო ისტორია“ განიხილავს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აშშ-ის მიერ დასავლეთ ევროპისთვის აღმოჩენილი დახმარების საკითხებს და მიუთითებს, რომ 1948 წელს მიღებული ე. წ. მარშალის გეგმა, რომლის მიხედვითაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა 4 წელიწადში 16 მილიარდი დოლარის ღირებულების დახმარება მიიღეს, წმინდა ეკონომიკურ მიზნებს ისახავდა. ამით იქმნებოდა ბაზრები ამერიკული ექსპორტისთვის. 1948 წლის დასაწყისში თავად გენერალი ჯორჯ მარშალი (შემდგომში — აშშ სახელმწიფო მდივანი) ამბობდა: **„ფუჭი აზრია, თითქოს საკუთარ თავს მინდობილი ევროპა... ღია დარჩება ამერიკული ბიზნესისთვის, როგორც მანამდე“.**

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო „მარშალის გეგმის“ პოლიტიკური მოტივაცია. იტალიისა და საფრანგეთის კომპარტიები საკმაოდ ძლიერნი იყვნენ და აშშ-მა გადაწყვიტა, არ დაეშვა მათი მონაწილეობა ამ ქვეყნების მართვაში. გეგმის განხორციელების დაწყებისთანავე ტრუმენის ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივანმა დინ აჩესონმა თქვა: **„ჩვენი დახმარება აღდგენაში მხოლოდ ნაწილობრივაა ფილანტროპიით ნაკარნახევი. კონგრესი და მთავრობა... დახმარების პოლიტიკას ახორციელებენ, უმთავრესად საკუთარი ნაციონალური ინტერესების კარნახით“.**

© „ღვასკამბაზეგნი ათასწლეული“

1951 წლის ბოლოს „მარშალის გეგმამ“ ოფიციალურად დაასრულა არსებობა. სულ ამ გეგმით 17 მილიარდი დოლარი დაიხარჯა. ძირითადი მიმღები ქვეყნები იყვნენ ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და დასავლეთ გერმანია. 1952 წლიდან სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ აშშ-ის დახმარება არაკომუნისტური ქვეყნების სამხედრო გაძლიერებას ისახავდა მიზნად. 10 წლის განმავლობაში აშშ-ის მიერ 90 ქვეყნისთვის გამოყოფილი 50 მილიარდი დოლარიდან მხოლოდ 5 მილიარდი (ანუ ერთი მეათედი) მოხმარდა წმინდა ეკონომიკურ განვითარებას.

დახმარება დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე გაეწეოდა. 1948 წელს 16 ქვეყანა — ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, შვედეთი, ნორვეგია, დანია, ირლანდია, ისლანდია, პორტუგალია, ავსტრია, შვეიცარია, საბერძნეთი და თურქეთი გახდნენ „მარშალის გეგმის“ მონაწილენი. ორმხრივი ხელშეკრულება ავალდებულებდა ამ ქვეყნებს „თავისუფალი მეწარმეობისთვის“ ხელის შეწყობას, ამერიკული ინვესტიციებისთვის უპირატესი პირობების შექმნას, საბაჟო ტარიფების დაწევაში თანამშრომლობას, აშშ-ში ზოგიერთი დეფიციტური პროდუქციის გატანას, ამერიკული დახმარების შედეგად გა-

მოთავისუფლდებული ნაციონალური ვალუტის სპეცფონდების შექმნას, რომელსაც თავად აშშ აკონტროლებდა. ამ ხელშეკრულების ხელმოწერაზე ნეიტრალურმა შვეიცარიამ უარი განაცხადა, თუმცა „მარშალის გეგმის“ მონაწილედ რჩებოდა.

1955 წელს სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით, დააფუძნეს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია. წინადადებებს, დაედოთ ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტი ან ორივე ალიანსს ერთდროულად შეეწყვიტა არსებობა, ნატო ყოველთვის უარყოფდა.

სხვათა შორის, „მარშალის გეგმაზე“ საუბრისას არავინ იხსენებს, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა აშშ-ის დახმარებისა ევროპისა და, კერძოდ, გერმანიისთვის. იგი უშუალო გაგრძელებაა მისი ორი წინამორბედისა: „დაუესის“ და „იუნგის“ გეგმებისა. ამ ორმა გეგმამ დიდწილად განაპირობა ნაცისტების მოსვლა გერმანიის ხელისუფლებაში. თითქოს პარადოქსია, თუმცა ამერიკული პოლიტიკის ამგვარი პარადოქსები უახლეს ისტორიაში მრავლად გვხვდება.

დღეს ხშირად ახსენებენ ალენ დალესს, როგორც საბჭოთა კავშირის ნგრევის პროგრამის ერთ-ერთ პირველ ავტორს, მაგრამ სრულიად დაუმსახურებლად არის მივიწყებული მისი ძმა — ჯონ ფოსტერ დალესი. იგი 1927 წლიდან ხელმძღვანელობდა იურიდიულ ფირმას „სალივან ენდ კრომუელს“, რომელიც აფორმებდა გარიგებებს ამერიკულ და გერმანულ მონოპოლიებს შორის 20-30-იან წლებში. სხვადასხვა დროს იგი დირექტორობდა „ინტერნ. ნიკლ კომპანის“, იყო „ნიუ იორკ სიტი ბანკის“ გამგეობის წევრი, „როკფელერის ფონდის“ მეურვეთა საბჭოს თავმჯდომარე, 1907 წელს ჰააგის კონფერენციაზე აშშ-ის დელეგაციის მდივანი იყო, 1919-20 წ.წ. — აშშ დელეგაციის მრჩეველი, 1924 წლიდან მონაწილეობს „დაუესის გეგმის“ შემუშავებაში, ხოლო 1939-45 წ.წ. — „მარშალის გეგმის“ და 1949 წელს ნატოს მომზადებაში. ბოლოს და ბოლოს, 1953-59 წლებში იგი აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ხდება, ხოლო მისი ძმა — ალენი ცენტრალური სადაზვერვო სამ-

მართველოს დირექტორად ინიშნება (თუმცა ძნელია თავად ამ უკანასკნელის „დამსახურებების“ უარყოფა).

ახლა — „დაუესის გეგმის“ შესახებ: იგი წარმოადგენდა სარეპარაციო გეგმას გერმანიისთვის, რომელიც 1924 წელს მიიღეს ლონდონის კონფერენციაზე I მსოფლიო ომში გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა და რომელსაც გერმანიაც დაეთანხმა. მას უნდა უზრუნველეყო გამარჯვებული სახელმწიფოებისთვის გერმანიის მიერ რეპარაციის გადახდა და გაემარტივებინა ამერიკული კაპიტალის შესვლა გერმანიაში ეკონომიკის წამყვანი დარგების ხელში ჩასაგდებად, რათა ამერიკულ მონოპოლიებს მაღალი მოგება მიეღოთ სესხებზე პროცენტებისა და პირდაპირი ინვესტიციების დივიდენდების სახით. გეგმის ავტორების ვარაუდით, აღდგენილი გერმანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კოალიციის შექმნას შეუწყობდა ხელს. ვალის გადახდისთვის მოკავშირეებს უნდა გაეკონტროლებინათ გერმანიის ბიუჯეტი, ფულის ბრუნვა და რკინიგზა. 1930 წლისთვის გერმანიაში ჩადებული იყო ამერიკული კაპიტალი 26-27 მილიარდი მარკის ოდენობით, რეპარაციული გადახდა კი 10 მილიარდ

მარკას აღწევდა. 1927 წელს გერმანული მრეწველობა ომამდელს გაუთანაბრდა. გერმანულმა მონოპოლიებმა გაძლიერების შემდეგ „დაუესის გეგმის“ წინააღმდეგ გაილაშქრეს, რადგან იგი მსოფლიო ბაზარზე მათ კონკურენტუნარიანობას აზარალებდა. 1929 წელს იმის შიშით, რომ გერმანია ცალმხრივად შეწყვეტდა „დაუესის გეგმის“ მოქმედებას, სასწრაფოდ დაიწყო „იუნგის გეგმის“ მზადება. ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა რეპარაციული გადასახადის გაუქმებას, წლიური განაკვეთებისა და ტრანსპორტის დაბეგვრის შემცირებას, უცხოური მაკონტროლებელი ორგანოების ლიკვიდაციას. გეგმა ოფიციალურად 1932 წელს გაუქმდა. თავად ამერიკელი ექსპერტების აზრით, ამ „დახმარების გეგმებით“ გერმანელების უკმაყოფილებამ დიდწილად შეუწყო ხელი გერმანელ ხალხში შოვინისტური განწყობილებების ზრდას. ეროვნული სუვერენიტეტის დამცრობამ, „დასჯილის სინდრომმა“ და გერმანული ეკონომიკისადმი მძარცველურმა დამოკიდებულებამ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ნაციონალ-სოციალიზმს. თუმცა ერთია განწყობილებები და სულ სხვაა რეალური მხარდაჭერა. ამერიკელ ფინანსისტებსა და მეწარმეებს არც ამაზე უთქვამთ უარი ჰიტლერისთვის. როკფელერები (როგენფელდერები), რომლებსაც გერმანული ფესვები ჰქონდათ, აფინანსებდნენ ჰიტლერს შრედერის ბანკის გავლით, რომლის მთავარი იურისტი ჯონ ფოსტერ დალესი იყო. სწორედ მისი დახმარებით შეიქმნა გერმანიამ ნიკელის მარაგი მომავალი ომისთვის (იმ „ინტერნ. ნიკლ. კომპანიის“ მეშვეობით, რომლის დირექტორიც იყო ჯ.ფ.დალესი. ამ დრისთვის მისი ადგილი ძმამ — ალენ დალესმა დაიკავა. ძმები დალესები როკფელერების ბიძაშვილები იყვნენ). როკფელერებმა დაფინანსების 45% გაიღეს საარჩევნო კამპანიისთვის, რომლის შედეგად გერმანიაში ნაცისტებმა გაიმარჯვეს. 1933 წლის 4 იანვარს კელნში ჰიტლერი შეხვდა ძმებ დალესებს. დალესებმა მას ფინანსური დახმარება აღუთქვეს და იმავე თვეში ჰიტლერი კანცლერი გახდა. იმავე „ამერიკული დახმარების“ გეგმით, 1929 წელს როკფელერების კუთვნილმა კომპანიამ

„სტანდარტ ოილ ნიუ ჯერსიმ“ (ახლა „ექსონი“) თავისივე ფირმა „ი.გ. ფარბენინდუსტრისთან“ დადო შეთანხმება (ეს უკანასკნელი გერმანული ქიმიური და ფარმაცევტული კომპანიების ბაზაზე ჩამოყალიბდა 1926 წელს). სწორედ ეს ფირმები ამარაგებდნენ ჰიტლერს ნავთობითა და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებით. 1934 წელს „სტანდარტ ოილ ნიუ ჯერსიმ“ გერმანიაში 730.000 აკრი მიწა შეისყიდა და მსხვილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები ააშენა. ეს ქარხნები ომის დროსაც მუშაობდა. 1933-1944 წლებში „სტანდარტ ოილ ნიუ ჯერსი“ და „იტტ-ს“ შვილობილი კომპანია რეგულარულად უხდიდნენ ფულს ჰიმლერს. გერმანული ტანკების ყველაზე მსხვილი მწარმოებლები: „ოპელი“ — „ჯენერალ მოტორსის“ შვილობილი კომპანია და „ფორდი“ — „აგ ფორდის“ შვილობილი კომპანია იყვნენ. კომპანია „იტტ-მ“ ინვესტიცია ჩადო მსხვილ გერმანულ ავიამშენებელ ფირმა „ფოკე-ვოლფეში“. რა გამოვიდა ამ ყველაფრიდან, დღეს უკვე ცნობილია.

აშშ-ს ამ ისტორიული გამოცდილების გაკვეთილი არ უსწავლია; დღესაც, თავისი გაუაზრებელი პოლიტიკით, იგი მუდმივად ქმნის ახალ პრობლემებს იქ, სადაც ძველი პრობლემების „გადასაწყვეტად“ შედის. ასე იყო ინდოჩინეთში, ავღანეთში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში, აფ-

რიკაში, იუგოსლავიაში, ერაყში და სხვა მრავალ ადგილას. საკუთარი მარცხის გამარჯვებად წარმოჩენის ტაქტიკაც არახალია, თუმცა კვლავ ნატოს დავუბრუნდეთ.

უმრავლესობას მიაჩნია, რომ ნატო სამხედრო ორგანიზაციაა, არავინ საუბრობს იმაზე, რომ, მაგალითად, საფრანგეთმა 1966 წელს დატოვა ნატოს სამხედრო ორგანიზაცია, მაგრამ დარჩა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრად. ასევე მოიქცა საბერძნეთი 1974 წელს. განსაკუთრებით საყურადღებოა საფრანგეთის მიერ გასვლის დასახელებული მოტივი: *„აღედგინა საფრანგეთის ტერიტორიაზე საკუთარი სუვერენიტეტი სრული სახით“*.

ნატოს აქვს თავისი კვოტა, განსაზღვრული აქვს, რომელი ქვეყნის სამხედროები რისთვის სჭირდება მას და როგორ გამოიყენოს. ნატოს ახალი წევრები — ბულგარეთი, რუმინეთი, ჩეხეთი, პრაქტიკულად, განიარაღებული დარჩნენ ალიანსში გაწევრიანების შემდეგ. როგორც კი მათ განესაზღვრათ, თუ რას გააკეთებდნენ ნატოში, მოუწიათ, კატასტროფულად შეემცირებინათ თავიანთი შეიარაღებული ძალები. ხვალ რომ სიტუაცია შეიცვალოს, ამ ქვეყნების შიდა პოტენციალი აბსოლუტურად დაუცველი რჩება...

ნატო მართლაც მხოლოდ საბჭოთა საფრთხის წინააღმდეგ რომ ყოფილიყო შექმნილი, იგი ვარშავის ბლოკის ლიკვიდაციის შემდეგ უნდა დაშლილიყო. ამის საპირისპიროდ ნატო ფართოვდება ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისა და ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ხარჯზე. ჰანტინგტონი წერს: **„ცივი ომის დასრულებით ნატოს ერთი მთავარი და მკაფიო ამოცანა გაუჩნდა: უზრუნველყოს თავისი არსებობა და არ დაუშვას ცენტრალურ ევროპაში რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო კონტროლი“.**

როდესაც აშშ პრო-ს სისტემას რუსეთის პერიმეტრზე განალაგებს, სულ ცოტა, გაუგებარია დასავლეთის მხრიდან მიამიტური სახის მიღება იმის მტკიცებისას, რომ პრო-ს სისტემა რუსეთს არაფერს უქადის. ამ აზრის მოწინააღმდეგე ამერიკელი ექსპერტების პროგნოზი გამარ-

თლდა; ნ. ჩომსკის აზრით, **„აშშ პრო-ს ახალი სისტემის შექმნის საპასუხოდ რუსეთს სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა საკუთარი ბირთვული შეიარაღების წარმოების ზრდა“.** ჰანტინგტონი კი 10 წლის წინ მიიჩნევდა, რომ რუსეთი გამოვა ოესვე-ს ხელშეკრულებიდან. ამ ეტაპზე რუსეთმა ჯერჯერობით წევრობა შეაჩერა ამ ხელშეკრულებაში.

შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ რუსეთი გადაჭარბებულად აფასებს ამერიკულ საფრთხეს, მაგრამ 1918-21 წლებშიც კი, როცა ამერიკელები ასე არ იყვნენ მოდებული მთელ მსოფლიოს, მისი სამხედრო ნაწილები შეიჭრნენ რუსეთის ტერიტორიაზე. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს ოკუპაცია „საბჭოთა სენისგან“ რუსეთის განთავისუფლებას ემსახურებოდა, მოიკითხეთ ე. სატონის წიგნი „უოლ-სტრიტი და ბოლშევიკური რევოლუცია“. გერმანიის მთავრობის მიერ რუსი ბოლშევიკების დაფინანსების საკითხი, როგორც იქნა, სააშკარაოზე გამოვიდა, ხოლო ამერიკელი ბანკირების მიერ ბოლშევიკური რევოლუციისთვის განეული დახმარების შესახებ დღესაც ჯიუტად დუმან.

საბჭოთა იდეოლოგიას არ შეუშლია ხელი დასავლეთის კორპორაციებისთვის, ეთანამშრომლათ სტალინთან (როგორც ფაშისტურს არ შეუშლია ხელი გერმანიაში ინვეს-

ტიციებისთვის); მათ კონცესიები აიღეს კასპიის ნავთობზე, ჭიათურის მანგანუმზე (სხვათა შორის, ამ კონცესიას ავერელ გარიმანი ფლობდა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა კავშირში აშშ-ის ელჩი იყო) და სხვა წიაღისეულზე.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ მონაცემებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ის მიერ სხვა სახელმწიფოებისთვის გაწეული დახმარება 230 მილიონ დოლარს შეადგენს. ამ სახელმწიფოებისთვის მათ მოამზადეს და აღჭურვეს 2 მილიონზე მეტი სამხედრო და პოლიციელი. მიზანი ამ სახელმწიფოების დაცვა როდია გარეშე თავდასხმისგან, არამედ ამერიკული ინვესტიციებისა და მმართველი ოლიგარქების დაცვა ადგილობრივი მოსახლეობის მღელვარებისგან. ამერიკული „დახმარების“ ფული მიემართება უცხო სახელმწიფოებში კერძო კორპორატიული ინვესტორებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის: პორტების, გზების, კომუნიკაციების და სხვ. შესაქმნელად...

ოფიციალური ვერსიით, მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი სახელმწიფოთა ეკონომიკურ განვითარებას უნდა უწყობდეს ხელს. მაიკლ პარენტი ასე ხსნის ამ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მოქმედების მექანიზმს: **„წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ღარიბი ქვეყანა სესხულობს მსოფლიო ბანკისგან ფინანსურ სახსრებს თავისი ეკონომიკის რომელიღაც დარგის განვითარებისთვის. თუ იგი საექსპორტო ფასების დაწევის ან სხვა მიზეზების გამო მსხვილ პროცენტებს ვერ გადაიხდის, მას კვლავ მოუწევს ფულის სესხება, ოღონდ ამჯერად საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან. მაგრამ ეს უკანასკნელი თავს ახვევს ამ ქვეყანას „რესტრუქტურიზაციის პროგრამას“, რომელიც მოვალე ქვეყნისგან მოითხოვს საგადასახადო შეღავათებს ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის, მშრომელთა ხელფასების დაწევას, და უარის თქმას უცხოური იმპორტისაგან და უცხოური კომპანიების მიერ მათი შთანთქმისგან ადგილობრივი წარმოების დაცვაზე. მოვალე ქვეყა-**

© „ღონისძიების ობიექტი“

ნაზე ხორციელდება ზეწოლა მისი ეკონომიკის პრივატიზების, ანუ კერძო კორპორაციებისთვის სკანდალურად დაბალ ფასებში სახელმწიფო მაღაროების, რკინიგზის, კომუნალური საწარმოების მიყიდვის მიმართულებით. ქვეყანას აიძულებენ, ნება დართოს მისი ტყეების გაჩეხვაზე და წიაღისეულის ღია წესით მოპოვებაზე, მიუხედავად იმ ეკოლოგიური ზარალისა, რომელიც მათ ადგება. მოვალე ქვეყანას, აგრეთვე, აიძულებენ, დასწიოს სუბსიდიები ჯანდაცვაზე, განათლებაზე, სატრანსპორტო სისტემაზე...“

ამგვარი „დახმარების“ წყალობით, სულ უფრო მზარდი ინვესტიციებისა და კრედიტების მიუხედავად, „მესამე სამყაროში“ 50 წლის განმავლობაში კატასტროფულად გაიზარდა სიღატაკე. როდესაც ამგვარი ქვეყნების ხელისუფლება გაყვანილ გზებზე, ინვესტიციებზე, კარგად აღჭურვილ პოლიციასა და მოდერნიზებულ ჯარზე საუბრობს, ეს ყველაფერი ღატაკი მოსახლეობისთვის როდი კეთდება. „განვითარებული ქვეყნიდან“ იქ ჩასული უცხოელი ისევე ბედნიერად უნდა გრძნობდეს თავს, როგორც მსოფლიოს სხვა ნებისმიერ კუთხეში, სადაც ინვესტიცია ჩადო და საიდანაც მხოლოდ მოგების მიღება აინტერესებს.

თურქეთი ნატოს წევრი 1952 წელს გახდა, მის ტერიტორიაზე ნატოს ბაზები განლაგდა. დასავლეთი (უპირველესად, აშშ) მას განიხილავდა, როგორც ფორპოსტს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (სხვათა შორის, 1955 წელს მიუმხრობელი ქვეყნების კონფერენციაზე ისლამურმა სახელმწიფოებმა დაგმეს, „ღვთის გმობად“ შეაფასეს თურქეთის ეს გადაწყვეტილება).

1980-იანი წლებიდან თურქეთი რიგში დგას ევროკავშირში შესასვლელად. ოფიციალური განაცხადი 1987 წელს შეიტანეს. 21 წელი გავიდა და თურქეთს არამარტო იმ ქვეყნებმა გადაუსწრეს, რომლებმაც ნატოს წევრობაზე თავი შეიკავეს, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა და ყოფილმა ბალტიისპირა საბჭოთა რესპუბლიკებმაც. ოფიციალურ დონეებზე საამისო მიზეზი არ გამოილია (ძირითადად, „დემოკრატიის“ წრეში რომ შედის, ის საკითხები, ანუ ადამიანის უფლებები, რომლებიც მაშინ ახსენდებათ, როცა პოლიტიკური მიზეზების შენიღბვა ესაჭიროებათ), ხოლო არაოფიციალურად კარგად არის ცნობილი, რომ ამას ორი მიზეზი აქვს: საბერძნეთის წინააღმდეგობა და თურქეთის ისლამურობა (თუმცა იგი ჯერჯერობით საერო სახელმწიფოა). ერთი სიტყვით, **ევროპელებს მიაჩნიათ, რომ „მუსლიმებს ევროპაში არაფერი ესაქმებათ“.**

ავტორიტეტული ამერიკელი მკვლევარი, სოციოლოგიის პროფესორი — ჯეიმს პეტრასი 1960-1973 წლებში ლათინურ ამერიკაში, უპირატესად, ჩილეში მოღვაწეობდა, ხოლო პინოჩეტის მიერ ორგანიზებული გადატრიალების შემდეგ ხულიო კორტასართან და გაბრიელ გარსია მარკესთან ერთად იმ სასამართლოს წევრი იყო, რომელიც ლათინურ ამერიკაში რეპრესიათა საქმეებს სწავლობდა. ლიბიაზე ნატოს თავდასხმის შესახებ იგი წერს (http://axisoflogic.com/artman/publish/Article_63736.shtml): „ლიბია არაფრით ემუქრებოდა ნატოს წევრ რომელიმე ქვეყანას, არაფრით უპირისპირდებოდა მათ ეკონომიკურ ან სამხედრო ინტერესებს. ლიბია დამოუკიდებელი ქვეყანა იყო, რომელიც პროაფრიკულ დღის წესრიგს ამკვიდრებდა და რეგიონული დამოუკიდებელი ბანკისა და კო-

მუნიკაციების სისტემის ჩამოყალიბებას სპონსორობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის გვერდის ავლით. მჭიდრო კავშირებმა უმსხვილეს ნავთობკომპანიებთან და უოლ-სტრიტის საინვესტიციო კანტორებთან ლიბია ნატოს აგრესიისგან ვერ იხსნა.

ნატომ ლიბია ჰაერიდან და ზღვიდან ექვსთვიანი დაბომბვებით წინასწარ განზრახ გაანადგურა. სუვერენული ქვეყნის განადგურების ეს კამპანია თვალსაჩინო გაკვეთილი იყო არაბული სახალხო მასობრივი მოძრაობებისთვის; ნატო ყოველთვის მზადაა, ასეთივე გამანადგურებელი დარტყმების მისაყენებლად სხვაგანაც. იმპერიულ სახელმწიფოებს ძალა არ დაუკარგავთ და ნებისმიერ ანტიკოლონიურ დამოუკიდებელ რეჟიმს ლიბიის ბედი ელის. აფრიკულ კავშირს უნდა დაენახა: არ იარსებებს არავითარი დამოუკიდებელი რეგიონული ბანკი. იმპერიულ ბანკებს — საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს, არ შეიძლება ალტერნატივა ჰქონდეთ“!

2011 წლის აპრილში აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინფორმაცია ლიბიაში ურანის შემცველი ჭურვების გამოყენების თაობაზე სიმართლეს არ შეესაბამება. ივლისში დამოუკიდებელ მეცნიერთა ჯგუფმა გამოაქვეყნა საკუთარი კვლევის შედეგები, რომლის თანახმად, ლიბიის დაბომბვებისას ნატოს ავიაცია ე. წ. ჭუჭყიან ჭურვებს იყე-

ნებდა. ინტერნეტსაიტის — Voltairenet.org-ის ინფომაციით, მეცნიერებმა სინჯები აიღეს დაბომბილი ობიექტებიდან და ლიბიის ატომური ენერგიის ინსტიტუტის ლაბორატორიაში გამოიკვლიეს. ურანის შემადგენლობამ სინჯებში მოსალოდნელს გადააჭარბა. მეცნიერები აცხადებენ, რომ ნატო თავად იყენებს „ჭუჭყიან“ ბომბებს, როცა ამაში სირიასა და ირანს ადანაშაულებს.

ნატოს ექვსთვიანი ბლიცი ლიბიაზე წარმოადგენდა 30 ათას საჰაერო და სარაკეტო თავდასხმას, რომლითაც ნატომ ბენღაზის რადიკალური ისლამისტებისა და მონარქისტების „ამბოხს“ დაუჭირა მხარი. როგორც იუგოსლავიასა და ერაყში, ლიბიაშიც ნატომ აკრძალული იარაღი და ნივთიერებები გამოიყენა — კლასტერული ბომბები, იფრიტი და თეთრი ფოსფორი. ამ ფაქტებს ნატოს სარდლობა არ აღიარებს.

2013 წლის 6 თებერვალს გაერომ გამოაქვეყნა მოხსენება, რომლის თანახმად ამერიკელი სამხედროები ავღანეთში ასობით ბავშვის დაღუპვაში არიან დამნაშავე. მეორე დღესვე ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა განცხადება გაავრცელა და გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის თანამშრომლების ბრალდებას უსაფუძვლო უწოდა. Associated Press-ის ინფორმაციით, ნატო ამტკიცებს, რომ 2012 წელს ავღანეთში, წინა წელთან შედარებით, 40 პროცენტით შემცირდა დაღუპულ ბავშვთა რაოდენობა, თუმცა კონკრეტული ციფრი ალიანსს არ დაუსახელებია.

სწორედ იმ დღეებში ნატოს ავიაციის დარტყმას კიდევ 10 მშვიდობიანი ავღანელი, მათ შორის 5 ბავშვი და 4 ქალი, ემსხვერპლა. 17 თებერვალს ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ქარზაიმ სამხედრო ოპერაციებში ნატოს ავიაციის გამოყენება აკრძალა. ქარზაიმ განაცხადა: „სამარცხვინოა, რომ ეროვნული უშიშროების მთავარი სამმართველო ნატოს საჰაერო ძალებს უხმობს საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ. უცხოელები გვართმევენ უფლებას, გვყავდეს ძლიერი მთავრობა, სიცოცხლისუნარიანი ხელისუფლების სისტემა, გაწვრთნილი ჯარი და განათლებული ახალგაზრდობა. ჩვენი ქვეყნისთვის 2014 წელი, ნოვრუზი (ახალი წელი), განახლების გაზაფხული იქნება“.

ამავე დროს, დაპირების მიუხედავად, 2014 წელს ნატო არ აპირებს ავღანეთიდან გასვლას. 2015 წლის 1 იანვრიდან იქ რამდენიმე ათასი ნატოს სამხედრო დარჩება, რომელთა დეკლარირებულ მიზანს ავღანეთის შეიარაღებული ძალებისა და უშიშროების წვრთნა და დახმარება წარმოადგენს.

ნატოს „სამშვიდობო“ ოპერაციების სტატისტიკა ასე გამოიყურება: იუგოსლავია — დაღუპულია 5700 ადამიანი, მათ შორის 400 ბავშვი, დაჭრილია 7 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე, მათგან ყოველი მესამე ბავშვია. უგზო-უკვლოდ დაკარგულია 821 ადამიანი; ავღანეთი — დაღუპულია 35 ათასზე მეტი (არასრული მონაცემებით), ლტოლვილია ნახევარი მილიონი ადამიანი; ერაყი — ომის მსვლელობაში დაიღუპა მილიონზე მეტი ერაყელი, მათი მეოთხედი ბავშვი და ქალია; ლიბია — დაღუპულია 20 ათასი, ლტოლვილია 350 ათასი ადამიანი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნატოს მოუწია საკუთარი არსებობის აუცილებლობის დასაბუთება და საამისოდ სწორედ ზემოთ ნახსენები „სამშვიდობო მისია“ დასახელდა, თუმცა იუგოსლავიაში შეჭრით ნატომ არამარტო საერთაშორისო სამართლის ნორმები, არამედ საკუთარი წესდება დაარღვია, რომლის პირველი პარაგრა-

ფი: „ალიანსის წევრი სახელმწიფოები საერთაშორისო დავებს, რომლებშიც არიან ჩართულნი, უნდა წყვეტდნენ მშვიდობიანი ხერხებით, ისე, რომ საერთაშორისო მშვიდობა, უსაფრთხოება და სამართლიანობა საფრთხის ქვეშ არ დააყენონ. თავი შეიკავონ საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის მუქარის ან გამოყენებისგან, რაც შეუთავსებელი იქნება გაერთიანებული ერების მიზნებისთვის. ნატომ ასევე უხეშად დაარღვია საკუთარი წესდების მე-6 მუხლი, რომელშიც ნათლად არის ნათქვამი, რომ ნატოს კომპეტენციის სფერო ალიანსის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიით შემოიფარგლება. დარღვეულია მე-7 მუხლიც, რომლითაც ალიანსი აღიარებს გაეროს უშიშროების საბჭოს პასუხისმგებლობას საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. ნატომ ასევე დაარღვია გაეროს 1974 წლის რეზოლუციის პირველი პუნქტი: „აგრესიას წარმოადგენს სახელმწიფოს (სახელმწიფოთა ჯგუფის) მიერ შეიარაღებული ძალების გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ“...

დიდმა რუსმა მწერალმა და დისიდენტმა ალექსანდრე სოლჟენიცინმა ასე შეაფასა ნატოს აგრესია იუგოსლავიაში: „ყველაზე საშინელი, რაც დღეს ხდება, სერბეთის დაბომბვა კი არ არის, რაც უნდა მძიმე იყოს ამის თქმა; ყველაზე საშინელი ის არის, რომ ნატომ ახალ ეპოქაში გადაგვიყვანა. იმის მსგავსად, როგორც ჰიტლერმა, თავისი მორიგი ავანტიურით, გერმანია ერთა ლიგიდან გაიყვანა. აშშ-მა და ნატომ მოისროლეს გაერო, კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა, სახელმწიფოთა სუვერენიტეტის აღიარება. მათ ახალი ეპოქა დაიწყეს: ვინც ძლიერია, ის მიაწვება. აი, ეს არის საშინელება. (www.aif.ru).

მას შემდეგ ნატომ არაერთხელ დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმებიც და საკუთარი წესდებაც, თუმცა ახლა მისი ცალკეული წევრებიც აღარ თაკილობენ საკუთარი ინტერესების ძალის გამოყენებით განხორციელებას. საფრანგეთმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ლიბიის ოპერაციაში. პრეზიდენტმა სარკოზიმ საფრანგე-

© „ღონისძიების ანგარიში“

თი ნატოს ავანგარდში დააბრუნა. საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა როლან დიუმამ ლიბიაში ვიზიტის შემდეგ პირდაპირ დასდო ბრალი სარკოზის ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულში. ახლა საფრანგეთი ამ პოლიტიკურ ხაზს აგრძელებს და მალიში მიმდინარე კონფლიქტში ერთვება.

2012 წლის 6 დეკემბერს „ევრონიუსმა“ ნატოს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენს ასეთი კითხვა დაუსვა: **„არსებობს ვარაუდი, რომ ნატო ახალ ფრონტს ხსნის რეგიონში — სომალიში, მალისა და ახლა უკვე ალჟირში. შესაძლოა, მათ ნიგერი და მავრიტანია მოჰყვეს. იზიარებთ ამ პოზიციას“?**

რასმუსენი: „ნატოს როლს ასე არ განვიხილავ. სიტუაცია რეგიონში, უკვე მრავალი წელია, შეშფოთებას იწვევს. ეს არის ტერორისტული დაჯგუფებების, ექსტრემისტებისა და ბანდიტების აქტივობა. სწორედ ამიტომ მივესალმები საფრანგეთის მიერ გადადგმულ სწრაფ ნაბიჯებს მალიში იქაური პრეზიდენტის თხოვნის საპასუხოდ. ჩემი აზრით, ასეთი მოქმედება აუცილებელი იყო მალიში სტაბილიზაციის აფრიკული ძალებისთვის გზის გასაკვალად“.

„ევრონიუსი“: „საფრანგეთი ხომ ნატოს წევრია. დაეხმარებით საფრანგეთს თვითმფრინავებით, უპილოტო საფრენი აპარატებითა და დაზვერვით? ნატოს წევრი სახელმწიფოები ხომ ეხმარებიან ერთმანეთს რესურსებით“?

რასმუსენი: „ნატო, როგორც ორგანიზაცია, არ მონაწილეობს, მაგრამ საფრანგეთს მისი მოკავშირეები ეხმარებიან მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფით, ტრანსპორტით, სათვალთვალო სისტემებითა და დაზვერვით“.

„ევრონიუსი“: „მაგრამ ასეთ შემთხვევაში მათი კოორდინირება ბრიუსელში უნდა ხდებოდეს, ანუ ნატო მონაწილეობს კონფლიქტში, როგორც საკოორდინაციო ცენტრი“...

რასმუსენი: „ნატო, როგორც ორგანიზაცია, არ მონაწილეობს“.

ნატოს გენერალური მდივნის ამავე ინტერვიუში სირიის კონფლიქტის პროცესში თურქეთის საზღვარზე განლაგებული საჰაერო თავდაცვის სისტემის შესახებაც არის ლაპარაკი. კერძოდ, რასმუსენი უარყოფს ნატოს შესაძლო ჩარევას სირიაში. ჟურნალისტის რეპლიკაზე, რომ საჰაერო თავდაცვის სისტემის არსებობა არღვევს სტრატეგიულ ძალთა ბალანსს რეგიონში და დამასკოზე ზეწოლის გაძლიერებას უწყობს ხელს, ნატოს გენერალური მდივანი ასე პასუხობს: „პეტრიოტების დანიშნულებაა, უზრუნველყოს თურქეთის ტერიტორიისა და მოსახლეობის უსაფრთხოება. ამავე დროს, ეს შეკავების ფაქტორიც არის — დამასკო ვერც იფიქრებს, რომ თურქეთზე თავდასხმა განახორციელოს. მოვუწოდებ ასადის რეჟიმს, შეასრულოს სირიის ხალხის სურვილი და შეწყვიტოს მშვიდობიანი მოსახლეობის რეპრესიები“.

მოცემული ინტერვიუ ახალ ტენდენციებს ასახავს ნატოს ტაქტიკაში; ახლა უკვე ცალკეული ოპერაციები არა მთლიანად ნატოს სახელით, არამედ მისი ძირითადი წევრების მიერ განხორციელდება. რასმუსენი აცხადებს: „ნატოს არ შეუძლია „მსოფლიო ჟანდარმის“ ფუნქცია შეასრულოს, ქვეყნიდან ქვეყანაში გადაინაცვლოს და მათი პრობლემები მოაგვაროს. ამიტომ კარგ იდეად მეჩვენება შრომის ამგვარი განაწილება. მინდა შეგახსენოთ, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ მალიში სტაბილიზაციის მიზნით აფრიკული კავშირის ჯარების შესვლის სანქცია გასცა“.

როდესაც „საჭიროება მოითხოვს“, ნატო იოლად გადის ფონს გაეროს დაუკითხავადაც, მაგრამ, თუ ამის საშუალება არსებობს, დამატებითი ლეგიტიმაცია ყოველთვის სასარგებლოა. მიუხედავად „მშვიდობისმყოფელი“ რიტორიკისა, სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონებში სისხლი იღვრება და მოსახლეობისთვის დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ვისი სანქციით იღუპებიან და დაიღუპებიან ადამიანები.

© „ღიასკალმაცლილი ამერიკა“

ვლოთობთ, ვდებოშობთ, ვაუპატიურებთ

აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს სკანდალების გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. მთვრალთა დებოშები, ჩხუბები, სექსუალური დანაშაულები, სკანდალური სასიყვარულო სამკუთხედები და სხვა ამგვარი რამეები სამხედრო მოსამსახურეების ყოველდღიურ ცხოვრებას შეადგენენ, თანაც ყველა სამხედრო მოსამსახურის — რიგითიდან მეთაურამდე, ქაბულიდან ვაშინგტონამდე. როგორც იხრწნება ამერიკის ეკონომიკა ფედერალური სარეზერვო სისტემის ფულის საბეჭდი მანქანების გაანუწყვეტელი მუშაობისა და თექვსმეტ ტრილიონზე მეტი სახელმწიფო ვალის ფონზე, ზუსტად ასევე ლპება ამერიკის არმიაც.

უკანასკნელი პერიოდის უდიდეს სკანდალად ცსს-ს ექსდირექტორის, დევიდ პეტრეუსის, საქმე იქცა.

2012 წლის 9 ნოემბერს მან გადადგომის შესახებ დაწერა განცხადება. იმ გამოძიების პროცესში, რომელიც გამოძიების ფედერალურმა ბიურომ 37 წლის ჯილ კელის ელექტრონულ ფოსტაზე დაგროვილი მუქარების საფუძველზე დაიწყო, პეტრეუსის მრუშობის ფაქტიც ამოტივტივდა.

ხუთ წელზე მეტია, კელი გენერალთან და მის მეუღლე ჰოლისთან მეგობრობს.

კელიმ, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტში პასუხისმგებელი იყო ტამპში განლაგებულ სპეციალური ოპერაციების გაერთიანებულ სარდლობასთან კავშირზე ინტერნეტით არასასიამოვნო შინაარსის ანონიმური წერილები მიიღო. წერილებში პეტრეუსისგან ჩამოშორებას სთხოვდნენ. ამ შინაარსის გზავნილებს იგი სხვადასხვა საფოსტო მისამართიდან იღებდა.

გათხოვილ თანამდებობის პირს და ელიტის წარმომადგენელს ჩუმად ქვითინი არ დაუწყია, პირდაპირ მიმართა გამოძიების ფედერალურ ბიუროს, რადგან ელექტრონულ ქსელებში დევნა აშშ-ში ფედერალურ დანაშაულად ითვლება. **გამოძიება პოლა ბროდუელზე — პეტრეუსის პირად ბიოგრაფზე გავიდა.** 40 წლის პოლა აშშ-ის შეიარაღებული ძალების გადამდგარი პოდპოლკოვნიკია. მან არმიაში 15 წელი იმსახურა და სამხედრო ანალიტიკოსად მუშაობდა. აგენტებმა მარტივად დაიჭირეს სასიყვარულო კავშირი და ამ ამბის გახმაურების შემდეგ 60 წლის პეტრეუსმა ამჯობინა, ნებით გადამდგარიყო თანამდებობიდან.

მან წერილი გაუგზავნა ცსს-ში თავის კოლეგებს და აღიარა, რომ 37-წლიანი ოჯახური ცხოვრების შემდეგ უღირსად მოიქცა: **„ამგვარი ქცევა მიუღებელია როგორც ქმრის, ასევე ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელისთვის“.**

ობამამ დააკმაყოფილა პეტრეუსის განცხადება გადადგომის თაობაზე და დროებით მის ადგილას მისივე ყოფილი მოადგილე მაიკლ მორელი დანიშნა.

ამერიკულ არმიასა და სპეცსამსახურებში ცოლქმრული ღალატი სერიოზული დანაშაულია, რომელსაც მუდამ მკაცრი სასჯელი მოსდევს.

ასევე ამერიკაში თვლიან, რომ ადიულტეროგაში გარეული ადამიანი შეიძლება სხვა ქვეყანამ გადაიბიროს და ამით ზიანი მიადგეს ნაციონალური უსაფრთხოების ინტერესებს.

პეტრეუსს თავის მართლება და გამომძიებლებისთვის იმის მტკიცება მოუხდა, რომ მან უღალატა ცოლს, მაგრამ არა სამშობლოს. საქმე ისაა, რომ გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლები, რომლებიც განაგრძობენ გამოძიებას, იტყობინებიან, თითქოს ბროდუელის კომპიუტერში საიდუმლო ინფორმაცია აღმოაჩინეს. ერთი დღე-ღამის შემდეგ გაჩნდა მონაცემები იმის შესახებ, რომ ეს დოკუმენტები მას ცსს-დან არ მიუღია. გარდა ამისა, ბროდუელის მასალები ძალზედ მოძველებული აღმოჩნდა. ისინი ეხება იმ პერიოდს, როდესაც პეტრეუსს ჯერ არ ეკავა თანამდებობა ცსს-ში. ცსს-ს ექს-დირექტორი ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა, რომ საყვარლისათვის საიდუმლო ინფორმაციები არ გაუზიარებია.

ახლა პეტრეუსის ქმედებებს არა მხოლოდ გამოძიების ფედერალური ბიურო, არამედ მისი მშობლიური ცსს-ც იძიებს.

საინტერესოა, რომ პეტრეუსი და ბროდუელი ფარულ მიმოწერას აწარმოებდნენ მეთოდით, რომელიც ცნობილია „ტერორისტებისა და მოზარდებისთვის“. მეორე საფოსტო სერვერზე გზავნილის პირდაპირ გადაცემის ნაცვლად ისინი მრავალ შეტყობინებას ტოვებდნენ სპეციალურ სერვერ „Dropbox“-ზე. სხვა ადამიანი, ექნებოდა რა წვდომა, შევიდოდა და იქ წაიკითხავდა წერილებს. ეს ხელს უშლიდა ელექტრონული კვალის შექმნას, რომლის აღმოჩენა და გაყოლა ბევრად უფრო ადვილია.

სხვათა შორის, ლაველას პეტრეუსთან ერთად სასიყვარულო ხაზით ამერიკაში მეორე კარიერულმა ბატონმა **კრისტოფერ კუბასიკმაც** „იფეთქა“. ეს უკანასკნელი სამხედრო სამრეწველო კომპლექსის მსოფლიოში უდიდესი საწარმოს — კომპანია „Lockheed Martin“-ის მფლობელია.

ეს კომპანია პრეზიდენტის გარეშე დარჩა, რადგან ამ უკანასკნელს მაღალი თანამდებობა ჩამოართვეს ხელქ-

ვეითებთან შეუსაბამო ურთიერთობების გამო, იგულისხმებოდა ხელქვეითთან სასიყვარულო კავშირი.

მისტერ კუბასიკი კომპანიის პრეზიდენტი და მთავარი ოპერაციული დირექტორი იყო. მოსალოდნელი იყო, რომ 2013 წლის იანვარში იგი იმავე კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას დაიკავებდა. ახლა კი ველარ დაიკავებს.

პეტრეუსთან ერთად გამოძიების ფედერალური ბიუროს ანკესს წამოეგო გენერალი ჯონ ალენიც, რომელიც, როგორც გაირკვა, ჯილ კელისთან პოლა ბროდუელზე ბევრად უფრო ინტენსიურ მიმოწერას ახორციელებდა. აგენტებმა მათი მიმოწერის რამდენიმე ათეულ ათასი ფაილი იპოვეს. მიმოწერა 2010-დან 2012-წლამდე გრძელდებოდა. როგორც პეტრეუსის შემთხვევაში, გამოძიების ფედერალური ბიურო აქაც აპირებს გაარკვიოს, ხომ არ გადასცა გენერალმა თავის პასიას კონფიდენციალური სამსახურებრივი ინფორმაცია.

კელიმ, რომელმაც იმაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, ვიდრე საკუთარი თავისთვის „მსხვერპლი“ ეწოდებინა, ფული არ დაზოგა და დაიქირავა ძალზე ძვირადღირებული ადვოკატი აბე ლოუელი, ადამიანი, რომელიც ემსახურებოდა კლიენტს სახელად ბილ კლინტონი.

ალენის სავარძელიც შეირყა. 2011 წელს გენერალმა ჩაანაცვლა პეტრეუსი ავღანეთში აშშ-ის შეიარაღებულ ძალთა დაჯგუფების მეთაურის თანამდებობაზე. ნოემბერში იგი უნდა დაემტკიცებინათ ევროპაში ამერიკული ჯარების მთავარსარდლად, ასევე, ნატოს ევროპული ძალების მეთაურადაც.

მაგრამ ამერიკის თავდაცვის მინისტრმა ლეონ პანეტამ გადაწყვიტა, ესოდენ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით ცოტა მოეცადა და საკუთარი მოსაზრება პრეზიდენტ ობამას გაუზიარა. ალენი თავის ამჟამინდელ თანამდებობაზე მანამდე დარჩება, ვიდრე გამოძიება არ დასრულდება. ამ გამოძიებას კი ახლა არა გამოძიების ფედერალური ბიურო, არამედ პენტაგონი აწარმოებს.

რაც შეეხება ამ მრავალწახნაგოვან ისტორიას, რომელიც კელისა და პეტრეუსს ეხება, ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ პირველთან მხოლოდ „პლატონური“ ურთიერთობები აკავშირებდა.

გამოჩენილ გენერლებთან — პეტრეუსსა და ალენთან დაკავშირებული პარალელური ისტორიები ამერიკული არმიისათვის საბოლოოდ დემორალიზების საბაბი გახდა, ამ დემორალიზებას კი ცოტა ხნის წინ ხელი შეაშველა ბრიგადის გენერალმა სინკლერმა.

ეს ბატონი თავის სექსუალურ მიდრეკილებებს, ასე ვთქვათ, მასობრივად იკმაყოფილებდა.

მაისში ეს ბრიგადის გენერალი ნაჩქარევად დააბრუნეს ავღანეთიდან სამშობლოში. მას ბრალი წაუყენეს მრავალჯერად ძალადობაში, სოდომიაში, მართლსაწინააღმდეგო სექსუალურ ქმედებებში და სხვა დანაშაულებებში, რომლებიც ასევე დაკავშირებული იყო სექსუალურ სკანდალებთან. მათში ჯეფრი ა. სინკლერის დაქვემდებარებაში მყოფი ქალები მონაწილეობდნენ. ამასთან, გენერალი, რომელიც აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში 27 წელია მსახურობს, სამჯერ იყო ავღანეთში და ორჯერ ერაყში, დაადანაშაულეს ალკოჰოლისა და პორნოგრაფიის უკანონოდ

შენახვაში, ასევე ხელმძღვანელობის ბრძანებების შეუსრულებლობაში. ყველაზე წვრილმანი ბრალდება მის მიმართ ხელქვეითებთან სასტიკი მოპყრობა იყო.

გამოძიება უზომოდ გაიწელა. სულ ახლახან, 5 ნოემბერს, ამერიკის სამხედრო ბაზაზე, ფორტ-ბრეგში საქმის მოსმენა დაიწყო.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ბრალდებები ხუთი ქალის გაუპატიურებაში, რომელთაგან ოთხი გენერლის ხელქვეითი გახლდათ. ამასთან, სინკლერი მსხვერპლთაგან ერთ-ერთს მოკვლით ემუქრებოდა, რომ აეძულებინა, მომხდარზე ხმა არ ამოეღო.

პირველი გამოძახებული მოწმე იყო გენერალ-მაიორი ჯეიმს ჰაგისი, 82-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის ყოფილი მეთაური და სინკლერის უშუალო უფროსი ავღანეთის ოპერაციაში მისი ბოლო მონაწილეობისას.

გენერალმა განაცხადა, რომ კაპიტნის წოდების ქალი მის კაბინეტში ატირებული შევიდა. მან განაცხადა, რომ სამი წლის მანძილზე სქესობრივი კავშირი ჰქონდა სინკლერთან — მის უშუალო უფროსსა და ცოლიან მამაკაცთან.

ჰაგინსის განცხადებით, ქალმა თქვა, რომ, როდესაც ცდილობდა სინკლერის ჩამოშორებას, ეს უკანასკნელი დაემუქრა. ქალმა ჩივილი მაშინ გადაწყვიტა, როდესაც სხვა ქალებთან გენერლის მიმოწერა ნახა.

გენერალ სინკლერის ცოლი წერს, რომ მისი ქმარი პირველი გენერალი ან ჯარისკაცი არაა, რომელმაც მეუღლეს უღალატა. 2001 წლიდან მოყოლებული მრავალი სამხედრო მოსამსახურე ომის სტრესების გავლენით თვითმკვლელივით იქცევა. ოფიცერთა კორპუსი იტანჯება იმის გამო, რომ იძულებულია, დიდი ხნით დაშორდეს ოჯახს და ახალი ურთიერთობები გააბას სხვა ქალებთან და კაცებთან და მრავალმა ცოლმა იცის მეუღლის ღალატის შესახებ, მაგრამ დუმს.

„საბრძოლო ცოლებთან“ დაკავშირებით ორი ვარიანტია: დარჩით მოღალატე ქმრებთან და შეი-

ნარჩუნეთ ოჯახი ან დაკარგავთ ქმარს, ოჯახს, ფინანსურ უზრუნველყოფას, რომელიც სამხედრო მოსამსახურის ანაზღაურების, პენსიის, სამედიცინო დაზღვევის და სახლის სახით გაქვთ. საკმარისია, ერთხელ შევირხეთ და ჩვენი ქმრები კარიერული ზრდის წლებს დაკარგავენ“, — წერს ქალბატონი სინკლერი.

რებეკა სინკლერი აცხადებს, რომ უკანასკნელი ათი წლიდან ექვსი წელი მისმა ქმარმა ოჯახიდან შორს გაატარა, ეს კი ღალატის გამართლებაა. მისი აზრით, სინკლერს ბრალდებებს მოუხსნიან, არადა, მასმედიამ და მოსამართლეებმა მისგან იმ პორნოდამოკიდებული აგრესორის სახე შექმნეს, რომელიც ყოველ დღე ლოთობს.

ამერიკაში არ დავიწყებიათ არც სხვა სკანდალი, რომელიც ასევე სექსუალურ დანაშაულებსა და ძალადობებს უკავშირდება. მისი გმირები აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების ინსტრუქტორები 2012 წელს გაასამართლეს სან-ანტონიოში მდებარე სამხედრო მომზადების ცენტრ „Lackland Air Base“-ში სექსუალური ძალადობისთვის. მათი მსხვერპლი გახდა, სულ მცირე, 38 ქალი. სულ საქმეში განიხილებოდა ძალადობისკენ მიდრეკილი 15 ინსტრუქტორის ქმედებები. სულ ბაზაზე ათას ხუთასამდე მასწავლებელი მუშაობს.

საქმეში მთავარი იყო **სერჟანტი ლუის უოკერი.** სამხედრო-საველე სასამართლომ იგი მრავალრიცხოვან გაუპატიურებასა და სექსუალურ ძალადობაში დამნაშავედ ცნო. ეს ბატონი ახალწვეულ ქალებს აუპატიურებდა.

გამოძიების მსვლელობისას სულ თანამდებობიდან გაათავისუფლეს 35 ინსტრუქტორი, მათგან ექვსი მაშინვე გამოძიების ობიექტი გახდა. მათგან ერთ-ერთმა უმალ აღიარა დანაშაული და პროკურორს უამბო თავისი „არასწორი“ სექსუალური ურთიერთობის თაობაზე ათ ქალთან. და რამდენი გააუპატიურა მთავარმა გმირმა უოკერმა? ეს ყველაფერი ერთ ბაზაზე ხდებოდა.

თუმცა, ეს მასობრივი შემთხვევა პირველი არაა ამერიკის ჯარის ისტორიაში. 1996 წელს მერილენდის შტატის სამხედრო ბაზაზე „Aberdeen Proving Ground“ სკანდალი

გაჩაღდა. შედეგად 12 ოფიცერი იქნა ბრალდებული სექსუალური ძალადობის გამო.

ბაზა „Lackland“-ზე გაჩაღებულმა სკანდალმა კი საფუძვლიანად შელახა ამერიკის სამხედრო საჰაერო ძალების რეპუტაცია. თანაც სწორედ სამხედრო საჰაერო ძალებში ძალიან ბევრი ქალია, ისინი პირადი შემადგენლობის თითქმის 20 პროცენტს შეადგენენ.

უოკერის მსხვერპლნი აცხადებენ, რომ იგი მათ იტყუებდა კიბის უჯრედში ან საკუთარ კაბინეტში და სქესობრივ კავშირს აიძულებდა. მის საქმეში სულ 28 ეპიზოდი შეგროვდა.

ვიდრე ინსტრუქტორებთან დაკავშირებული სკანდალი აგორდებოდა, აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა მორიგი ანგარიში, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში სამხედრო მოსამსახურე ქალების 4,4% არასასურველი სექსუალური ურთიერთობის მსხვერპლი გახდა. მრავალი დაზარალებული მიიჩნევს, რომ ეს უკიდურესად შემცირებული მაჩვენებელია.

საინფორმაციო არხ „ალ-ჯაზირას“ თანახმად, მხოლოდ გასულ წელს აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში ოფიციალურად დარეგისტრირებულია დაახლოებით 3200 გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის ფაქტი. ამასთან, პენტაგონი იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ეს რიცხვი რეალურად მომხდარი ინციდენტების მხოლოდ 15%-ს ასახავს.

ერთ-ერთი უკანასკნელი კვლევის თანახმად, **აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში ყოველი მეხუთე ქალი გაუპატიურების მსხვერპლია, მაგრამ მათი უმრავლესობა ამის შესახებ დუმს.**

სხვათა შორის, სულაც არაა აუცილებელი, რომ დაზარალებული ქალი იყოს. **2010 წელს 50 000-მა ვეტერანმა მამაკაცმა დაადასტურა, რომ „სამხედრო სექსუალური ტრავმა“ მიიღო ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტში.**

პენტაგონი კი არ ჩქარობს თავისი იმ მეომრების დასჯას, რომლებმაც თავი ისახელეს, ოღონდ არა ბრძოლის ველზე.

სან-ფრანცისკოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი **აარონ ბელკინი** აცხადებს: **„ეს არმიაში გაუპატიურების კულტურაა. ძალზე მნიშვნელოვანია, მივიღოთ პასუხი კითხვაზე, თუ რა განაპირობებს გაუპატიურებათა მთელ ნაკადს. ჩვენ გაუპატიურების კულტურა გვაქვს და ჩვენ გვაქვს ძალზე ვაჟკაცური ორგანიზაციები, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ძალაუფლებასა და მორჩილებას. ჩვენ ასევე გვაქვს სისტემა, სადაც ადამიანებს ასწავლიან ძალადობის გზაზე მდგომი აკრძალვების დაძლევას. სწორედ ასე ვასწავლით სამხედროებს — ადამიანებს, რომლებიც ძლიერები უნდა გახდნენ. მათი მომზადებისას ჩვენ ვხელმძღვანელობთ დინამიური სცენარით, რომლის მიხედვით მეთაურებს თითქმის შეუზღუდავი ძალაუფლება აქვთ ხელქვეითებზე. საბოლოოდ კი, როდესაც ყველა ამ ფაქტორს ერთმანეთზე ავკინძავთ, გაუპატიურების რეცეპტს ვიღებთ“.**

ამერიკელი ჯარისკაცები დიდი წარმატებით მოქმედებენ ამ რეცეპტითაც და უამისოდაც.

2012 წელს ორმა ამერიკელმა საზღვაო ქვეითმა ოკინავაზე გოგო გააუპატიურა, ორიოდე თვეში იმავე ოკინავაზე ადგილობრივ ქალს თავს დაესხა აშშ-ის საზღვაო ქვეითთა სერჟანტი, 2006 წელს ორმაგი გაუპატიურების ბრალდებით 9-წლიანი პატიმრობა მიესაჯა აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების ბაზის თანამშრომელს, 1995 წელს სამმა ამერიკელმა სამხედრომ გაიტაცა და გააუპატიურა 12 წლის იაპონელი გოგო...

ამერიკაში 38 წლის სერჟანტის, რობერტ ბეილსის სასამართლო პროცესი გაიმართა. ამ ადამიანმა ავღანურ სოფელში ნამდვილი სასაკლაო მოაწყო: დაცხრილა 16 მშვიდობიანი მოსახლე, მათ შორის 9 ბავშვი.

ბრალდების მხარე დამნაშავის სიკვდილით დასჯას ითხოვს და, თუ სასამართლო მის მოთხოვნას დათანხმდება, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც ამერიკელი სამხედროს წინააღმდეგ სასჯელის უმაღლეს ზომას გამოიყენებენ.

ამბობენ, რომ ბეილსი ამერიკელი სამხედრო ექიმების მსხვერპლია, რადგან მათ ბიუჯეტის სახსრების დაზოგვის მიზნით უკვე მერამდენედ აარიდეს თავი სამხედროსათვის პოსტტრავმული აშლილობების დიაგნოზირებას, მაგრამ, სავარაუდოდ, მათ არავინ დასჯის.

საზღვარგარეთ მხოლოდ ბეილსს არ „უსახელებია“ თავი. 2012 წლის აგვისტოში პენტაგონმა დაასრულა შესაბამისი გამოძიება და გადაწყვიტა, დასაჯოს ის ექვსი დამნაშავე, რომლებმაც ავღანეთში ყურანის მრავალი ეგზემპლარი დაწვეს. პენტაგონში განაცხადეს, რომ სამხედროებმა რელიგიური წიგნები არა წინასწარი განზრახვით, არამედ შემთხვევით დაწვეს, ამიტომაც სამხედრო მოსამსახურეებს დისციპლინარული სასჯელი აკმარეს.

ამავე დროს პენტაგონმა პირობა დადო, რომ დასჯის კიდევ სამ სამხედროს, ასევე საზღვაო ქვეითებს, რომლებიც ვიდეოზე აღბეჭდილნი არიან მოკლული თალიბის ცხედარზე მოსაქმების პროცესში. ვიდეოს მთავარი გმირები გვამებს „წარმატებულ დღეს“ უსურვებდნენ, საკუთარ ქმედებას კი — „ოქროს შხაპს“!

ამ ბიჭებსაც დისციპლინარული სასჯელი მიუსაჯა პენტაგონმა და არც ამ შემთხვევაში შეუწუხებია თავი, დაეკონკრეტებინა, თუ რა იგულისხმება ამ სასჯელში.

აშშ-ის მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო მოხსენების თანახმად, ამერიკელი სამხედროების 20% ბოროტად იყენებს ალკოჰოლს. სამხედრო ძალებისა და სამხედრო საზღვაო ძალების პირადი შემადგენლობის თითქმის ნახევარი რეგულარულად მთვრალია. ერთ ჯერზე ქვეითები და მეზღვაურები ხუთ ბოთლ ლუდზე ან ხუთ ჭიქა მაგარ სასმელზე მეტს სვამენ.

ლოთების უმეტესი ნაწილი მსახურობს არმიის ნაწილებსა და საზღვაო ქვეითებში ერაყისა და ავღანეთის ნაწილებში. საზღვაო ქვეითებს შორის განსაკუთრებით ბევრი ლოთია — მათი რაოდენობა მთელი შემადგენლობის 60%-ს აღწევს.

სხვა მონაცემების თანახმად, **ამერიკელ ჯარისკაცთა 20-დან 35 პროცენტამდე არამხოლოდ ალკოჰოლს, ნარკოტიკებსაც ეტანება, სახმელეთო ჯარების, ნაციონალური გვარდიისა და რეზერვის მთელი შემადგენლობის 20%-ს მძიმე სიმთვრალე აქვს. უკანასკნელ წლებში ამერიკის ჯარში გადაბმული თრობის მაჩვენებელი 35%-დან 47%-მდე გაიზარდა.**

ამერიკელი ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ავღანეთისა და ერაყის ომებმა ამერიკელ ჯარისკაცებს შორის პოსტტრავმული სტრესის სინდრომი გააჩინა. სტატისტიკის თანახმად, აშშ-ის არმიის იმ მეკონტრაქტეთა რაოდენობა, რომლებმაც დასახმარებლად ფსიქოლოგებს მიმართეს, 2003-დან 2010 წლამდე 56%-ით გაიზარდა.

აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში ძალადობის, დებოშის, დანაშაულისა და ლოთობის შემზარავი სტატისტიკა, ასევე პენტაგონის სტრატეგია, მიაჩუმათოს არა მხოლოდ დანაშაულები, არამედ გამოაშკარავებულ დანაშაულთათვის დაწესებული სასჯელებიც იმაზე მიანიშნებს, რომ, რაც უფრო მეტს იომებს ამერიკა „დემოკრატიული ღირებულებებისთვის“, მით უფრო გარყვნილი და დემორალიზებული იქნება მისი არმია.

ავღანეთი — ნატოს ნარკოტიკების ფაბრიკა და 100 ათასი მსხვერპლი წელიწადში

2012 წლის 9-10 ივნისს მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო ფორუმი სახელწოდებით „ავღანური ნარკოწარმოება — მსოფლიო საზოგადოების გამოწვევა“. ღონისძიებაში მონაწილეობდა რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი, რომელმაც აღნიშნა, რომ „უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ოპიატების წარმოება მსოფლიოში ორჯერ გაიზარდა. და დღეს, სამწუხაროდ, ოპიატების მთავარი მომწოდებელი სწორედ ავღანეთია“.

მანამდე, 7 ივნისს, რუსეთის სახელმწიფო ნარკოკონტროლის ხელმძღვანელი ვიქტორ ივანოვი აცხადებდა, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მსოფლიოში ავღანური ჰეროინის მოხმარებისაგან გარდაცვლილთა რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა: **„ახალი ასწლეულის პირველ ათ წელიწადში ავღანური ნარკოტიკებისაგან მილიონზე მეტი ადამიანი მოკვდა, 16 მილიონზე მეტმა კი ფიზი-**

© „ღამისფრთიანი“

კური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულება გამოიმუშავა“. მხოლოდ რუსეთში ავღანურ ჰეროინს 2009 წელს 30 ათასი ადამიანი ემსხვერპლა.

რუსეთის ტელევიზიის პირველი არხით უჩვენეს დოკუმენტური ფილმი სახელწოდებით „ჰეროინი. სამხრეთის ქარი“, რომელიც სწორედ ავღანური ნარკოტიკების პრობლემას ეძღვნებოდა. მასში ციტირებული იყო გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულებათა სამმართველოს უფროსი ანტონიო მარიო კოსტა, რომელიც ამბობდა, რომ **ავღანური ნარკოტიკების გაყიდვების საერთო შემოსავალი წელიწადში 60 მილიარდ დოლარს აღწევს. ეს თანხა უკრაინის ორი წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ტოლია.**

ავღანეთი მსოფლიო ოპიუმის ბაზრის 90 პროცენტს ამარაგებს, ის მისი უმთავრესი კომპონენტების — ჰეროინისა და ჰაშიშის მსოფლიოში მთავარი მომწოდებელია. ამ დროისათვის ეს ქვეყანა წელიწადში უფრო მეტ ჰეროინს აწარმოებს, ვიდრე ათი წლის წინ მთელი მსოფლიო აწარმოებდა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ **აშშ-ის მიერ ავღანეთის ტერიტორიაზე 2001 წელს დაწყებულმა „მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლამ“ ეს ქვეყანა მსოფლიო მნიშვნელობის ნარკოტიკების მწარმოებელ ფაბრიკად აქცია.** და ჯერ კიდევ საკითხავია, რა უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიოსათვის — თალიბანის რელიგიური ფანატიკოსების რეჟიმი (რომელმაც თავის დროზე საფუძველი ჩაუყარა ავღანურ ნარკოწარმოებას) თუ ავღანეთის ამჟამინდელი, ნატოს ხიშტებზე დაფუძნებული ხელისუფლება, რომლის მმართველობისასაც ნარკობარონების საქმიანობას ხელს არაფერი უშლის. **თუ შეწირული სიცოცხლეების რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ტერორისტები ბევრად უფრო ნაკლებსაშიშნი არიან, ვიდრე ნარკომოვაჭრეები.**

იმის მიხედვით, თუ როგორ აისახა ავღანეთის ამჟამინდელი მდგომარეობა მსოფლიო ტერორიზმის პრობლემაზე, ძნელი მისახვედრი არაა, რომ **ავღანელი ნარკოკარტელების მიერ მიღებული სუპერშემოსავლებიდან და**

იმავე ზემოხსენებული 60 მილიარდი დოლარიდან „ნარკოტიკული“ ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი ავღანეთში, ახლო აღმოსავლეთში, ევროპასა და მთელს დანარჩენ მსოფლიოშიც იმავე ტერორიზმის დასაფინანსებლად იხარჯება.

ავღანეთი ნატოს პასუხისმგებლობის ზონაა. 2003 წლის 11 აგვისტოდან ალიანსმა საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა ავღანეთში უსაფრთხოების ხელშემწყობ საერთაშორისო ძალებზე (ISAF). უკვე ხუთი წელია, 2006 წლის ოქტომბრიდან ISAF-ი ვალდებულია, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოს უსაფრთხოება.

სწორედ ამ ყველაფრიდან გამომდინარე, აბსოლუტურად ლოგიკურია, რომ მოსკოვი (ჯერჯერობით ხმამაღლა მხოლოდ ის აყენებს ავღანური ნარკოტიკების პრობლემას) ნარკოტიკების საკითხთან დაკავშირებით პრეტენზიებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს უყენებს. მაგრამ, ერთი შეხედვით, რაც უნდა უცნაური იყოს, **ნატო ჩანასახოვან დონეზეც კი არ ებრძვის ავღანეთში ნარკოტიკების წარმოებას.**

რუსეთის ნარკოკონტროლის სააგენტოს ხელმძღვანელმა ვიქტორ ივანოვმა განაცხადა, რომ თავის ამერიკელ კოლეგას ჯილ კერლიკოვსკის ავღანეთსა და შუა აზიაში მოქმედი ცხრა უმსხვილესი ნარკომოვაჭრის შესახებ ინფორმაცია გადასცა. „მე მას ავღანეთსა და ცენტრალურ აზიაში მცხოვრები და ნარკოტიკების მთელი პარტიებით მოვაჭრე ცხრა ადამიანის სია გადავეცი“.

ივანოვმა აღნიშნა ისიც, რომ ეს წლეულს მათი მეოთხე შეხვედრა იყო და მან აშშ-ს უკვე გადასცა 25 სხვა ნარკომოვაჭრისა და ავღანეთის 175 ნარკოლაბორატორიის შესახებ დეტალური ინფორმაცია. „ამ ლაბორატორიების განადგურება გადაუდებელი ამოცანაა, იმიტომ, რომ ეს უკვე დაწყობილი კარტელებია მტკიცე იერარქიითა და სტრუქტურით, ფინანსირების წყაროებითა და ნარკოტიკების წარმოების ტექნიკური აღჭურვილობით“, — აღნიშნა მან. იმის გათვალისწინებით, რომ ავღანელები მსოფლიოს მთელი ჰეროინის 95%-ს აწარმოებენ, ივანოვი თვლის, რომ ამ ლაბორატორიების განადგურება გაცილე-

© „ოდესა ბოსნიერები“

ბით ეფექტური იქნება, ვიდრე უკვე ბაზარზე გატანილი საქონლის დევნა.

რუსეთი რეგულარულად გადასცემს დასავლეთის (კონკრეტულად კი ამერიკის) სპეცსამსახურებს აუცილებელ ინფორმაციას, მაგრამ რეაქცია ნულია. არადა, **ძნელი წარმოსადგენია, რომ მონაცემები, რომელთა მოპოვებაც რუსულმა სპეცსამსახურებმა შეძლეს, ათობით ნარკობარონისა და ასობით ნარკოლაბორატორიის შესახებ, მიუწვდომელი იყო ნატოს წევრი ქვეყნების, კონკრეტულად კი ამერიკის სპეცსამსახურებისათვის. ამ უკანასკნელთ ხომ თავად ავღანეთის ტერიტორიაზე მოქმედების გაცილებით მეტი შესაძლებლობები აქვთ.**

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ტელეეთერით განაცხადა: „ჯერჯერობით ოპიუმის ყაყაჩოს მინდვრების განადგურებასთან დაკავშირებით ზოგიერთ ევროპელ კოლეგასთან შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ“.

მართლაც, ნატო არა მხოლოდ ნარკომწარმოებლებს არ ებრძვის და ნარკოლაბორატორიებს არ ანადგურებს, არამედ აბსოლუტურად არაფერს აკეთებს ოპიუმის ყაყაჩოს ნათესების გასანადგურებლად. ჯერ კიდევ მარტის ბოლოს ივანოვისა და ნატოს წარმომადგენელთა შეხვედრისას ბრიუსელში ამ უკანასკნელებმა კატეგორიულად უარყვეს რუსეთის მხრიდან საამისო მოწოდებები. **ნატოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ განაცხადა, რომ ნარკოტიკების პრობლემა „უკიდურესი სიფრთხილით“ უნდა მოგვარდეს, რათა „ადგილობრივი მოსახლეობა მტრულად არ განეწყოს“. მისივე განცხადებით, ნატო ეთანხმება მოსაზრებას, რომ ავღანური ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლაა საჭირო, მაგრამ, როგორც მან ერთ-ერთ ბრიფინგზე განაცხადა, ნატო ვერ დაუშვებს, რომ „მსოფლიოში სიღარიბის მხრივ მეორე ქვეყნის მოსახლეობას შემოსავლის ერთადერთი წყარო მოესპოს და სანაცვლოდ რაიმე ალტერნატივა არ მიიღოს“.**

ნატოს წარმომადგენელმა ფაქტობრივად აღიარა, რომ ავღანეთში ნარკოტიკების წარმოება

ალიანსის ნებართვით (თუ არა მფარველობით) ხორციელდება. როგორც ჩანს, ნარკოწარმოებისთვის პირდაპირი ან ირიბი გზით ხელის წაშველება შესაძლოა კეთილშობილურ საქმედაც კი ჩაითვალოს: საბრალო ავღანელებს სამსახური ექნებათ. და ნატოს სულ არ ადარდებს, რომ ავღანეთის სიღარიბესთან ბრძოლის ესოდენ საეჭვო მეთოდი სხვა ქვეყნების მოსახლეობებს ასეულ ათასობით სიცოცხლედ და მილიონობით დასახიჩრებულ ადამიანად უჯდებათ.

ნატოს ლოგიკით, თავისუფლად შეიძლება გამართლებულ იქნეს ქურდობის, ყაჩაღობის ან მკვლელობის ნებისმიერი შემთხვევა, თუ ეს დანაშაულის ჩამდენთათვის შემოსავლის ერთადერთი წყაროა.

ავღანეთის ნარკოლიდერობა ნებისმიერ შემთხვევაში ომის დამწყები აშშ-ისა და ქვეყანაში სიტუაციაზე პასუხისმგებელი ნატოს პრობლემაა. თუ ავღანეთმა მაინცადამაინც ოპიუმი უნდა მოიყვანოს და სხვა გამოსავალი არაა, მდიდარ დასავლეთს შეუძლია შეისყიდოს მისგან ეს ნედლეული და შემდეგ გაანადგუროს.

ნარკობიზნესი, რაც სწორედ ნატოს პოზიციიდან გამომდინარე ყვავის, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ აშშ-ის ხელმძღვანელობით წარმოებული ავღანური ომის ერთ-ერთ მთავარ დამფინანსებლად იქცა. ჰეროინით ნაშოვნი ფული ოკუპაციური რეჟიმის შენარჩუნებას ხმარდება.

თავისი ავღანური ათწლედის მანძილზე დასავლეთმა არ გააკეთა არაფერი, რომ ამ ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა გაეუმჯობესებინა, სამაგიეროდ, უხვად მიაყარა რჩევები დემოკრატიის მშენებლობასთან დაკავშირებით. აშშ-მა ოპიუმის ყაყაჩოს სანაცვლოდ ავღანეთს არაფერი შესთავაზა.

იქნებ, ამგვარი სიტუაცია ნატოს აწყობს? „ავღანურ სიღატაკესთან ბრძოლის“ კეთილშობილურ ნიღაბქვეშ დასავლეთი ფაქტიურად XXI საუკუნის ოპიუმის ომს აწარმოებს.

© „ეროსული ბანისფერი“

ჯვარცმული კოსოვო

სერბული მართლმადიდებლური ტაძრების განადგურება და შეურაცხყოფა კოსოვოსა და მეტოხიაში (1999 წლის ივლისი-აგვისტო)

რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ტერორიზმის ძალები, აშშ-ის, ნატოსა და ალბანელი ბანდიტების სახით, კოსოვოსა და მეტოხიის წმიდა მართლმადიდებლურ მიწაზე შევიდნენ. სერბი ხალხის „მშვიდობისმყოფელური“ განადგურება დაბომბვებით დასრულდა. დაიწყო მართლმადიდებლური რწმენის, კულტურისა და თავად ქრისტიანების „მშვიდობისმყოფელური“ განადგურება.

აქ არ განვიხილავთ „ცივილიზებული“ ბარბაროსების ლეგიონების ვანდალიზმს. მათ მიმართ ვერ იარსებებს სხვა დამოკიდებულება, გარდა უფლის მტრებისადმი დამოკიდებულებისა. შემოვიფარგლებით მხოლოდ კოსოვოსა და მეტოხიის რასშკო-პრეზრენსკის ეპარქიიდან მიღებული და სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ოფიციალურ გამოცემებში გამოქვეყნებული ინფორმაციით.

საერთაშორისო „სამშვიდობო“ ძალებმა (KFOR) იუგოსლავიაში ინტერვენცია ქრისტეშობიდან 1999 წლის 13 ივნისს დაიწყეს. ეს ძალები შედგებოდნენ ნატოს ელიტური ჯარებისგან, გაეროს სამოქალაქო სამმართველოსგან და სხვადასხვა ჰუმანიტარული, უფლებადამცველი „არასამთავრობო“ ორგანიზაციებისგან.

აქტიური „ჰუმანიტარული“ და „უფლებადამცველი“ მოღვაწეობის შედეგად, ოკუპაციის მხოლოდ პირველი ორი თვის განმავლობაში (ქრისტეშობიდან 1999 წლის ივლის-აგვისტო) კოსოვოსა და მეტოხიიდან გაძევებულ იქნა 180 000-ზე მეტი სერბი, რომლებმაც სამუდამოდ დაკარგეს საკუთარი სახლები. ათასობით სერბული სახლი გაიძარცვა და გადაიწვა. ალბანელმა ტერორისტებმა ამ პერიოდში ასობით მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს.

ცნობილია, რომ კოსოვოსა და მეტოხიაში ძალადობა, მკვლელობა და ხანძრები ამ დრომდეც გრძელდება. აქ მხოლოდ ოკუპაციის ორი თვის კონკრეტულ მონაცემებს ჩამოვთვლით.

ოკუპაციის პირველი ორი თვის განმავლობაში დამოუკიდებელი ევროპული სახელმწიფოს — იუგოსლავიის ტერიტორიები ასობით უცხოელი ჟურნალისტის თვალწინ, ნატოს ორმოციათასიანი ელიტური ჯარის და განვითარებული დემოკრატიის წარმომადგენელი „სამოქალაქო“ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებისა და თვალის დახუჭვის წყალობით, ალბანელმა ტერორისტებმა მიწასთან გაასწორეს, შეურაცხყვეს და დაარბიეს 80-მდე მართლმადიდებლური სიწმინდე — მონასტერი და ეკლესია.

ამ საოცარი დანაშაულებების ნაკადში ახალი და საოცარი არაფერია — საკმარისია, გავიხსენოთ ბელგრადის დაბომბვები წმიდა აღდგომის დღესასწაულზე ქრისტეშობიდან 1999 წელს.

აშშ და ნატო არა მხოლოდ განასახიერებენ და მხარს უჭერენ საერთაშორისო ტერორიზმის ძალებს — იუგოსლავიაში ოკუპანტების მოქმედება თვალნათლივ ადასტურებს კოსოვოსა და მეტოხიაში, სადაც 1400-ზე მეტი მართლმადიდებლური ტაძარი და მონასტერია, სერბული

ქრისტიანული კულტურის განადგურების წინასწარ მოფიქრებული გეგმის სისტემატურ რეალიზაციას.

მონასტრებისა და ტაძრების განადგურება ყველაზე ხშირად ხორციელდება მაღალი კლასის პროფესიონალი ამფეთქებლების მიერ, რომელთაც კარგი სამხედრო სწავლება აქვთ გავლილი. მსოფლიო კულტურის შედევრების — შუასაუკუნოვანი მონასტრების მიწასთან გასწორება ყველაზე მგზნებარე ექსტრემისტებსაც კი არ ხელეწიფებათ. ესენი კი მონასტრებს რამდენიმეჯერ აფეთქებენ, რათა მათგან კვალიც კი არ დარჩეს. ნატოს ძალებს ამ დრომდე არაფერი გაუკეთებიათ ტოტალური ნგრევის შესაჩერებლად, მიუხედავად იმისა, რომ მონასტრების დანაღმვა და განადგურდება ზოგჯერ ჯარების განლაგების ადგილიდან 50 მეტრში ან პირდაპირ მათ თვალწინ ხორციელდება დღისით და მზისით.

აი, რამდენიმე მაგალითი: წმიდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესია სოფელ სლოვინიეში აშენდა XVI საუკუნეში, XIX საუკუნეში კი განახლდა. ის სრულიად განადგურდა აფეთქების შედეგად ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების განლაგების ადგილიდან 50 მეტრში 1999 წლის 17 ივლისს. საკათედრო ტაძარი ქალაქ ჯაკოვიცაში აშენდა 1999 წელს იმ ძველი ტაძრის ადგილას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კომუნისტებმა დაანგრიეს. ეს

ერთ-ერთი ულამაზესი ტაძარი იყო კოსოვოსა და მეტოხიაში და განასახიერებდა XIII-XIV საუკუნეების სლავურ არქიტექტორულ კულტურას. მას შემდეგ, რაც იტალიური საოკუპაციო ჯარების მხარდაჭერით ალბანელი ტერორისტები სრულად დაეპატრონენ ქალაქს, ნატოელი „სამშვიდობოების“ თვალწინ დიდი ქალაქის ცენტრში ტაძარი ჯერ გაძარცვეს, შემდეგ წაბილწეს და გადაწვეს, მეორე დღეს კი ააფეთქეს და საძირკვლამდე დაშალეს. ეს მოხდა 1999 წლის 23 და 24 ივნისს.

სოფელ სერბიცას მახლობლად მდებარე ქალთა მონასტერი სერბმა მეფე ჯურაჯე ბრანკოვიჩმა 1434 წელს თავისი ქალიშვილის გამოჯანმრთელების აღსანიშნავად ააგო. მონასტერი რამდენიმეჯერ აღადგინეს. ის ეკლესიების კომპლექსია და ეძღვნება ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანას, წმიდა გიორგისა და წმიდა იონიკიუს, რომელთა წმიდა ნაწილებიც, საუკუნეებია, ინახება ამ მონასტერში. 1999 წლის ივნისში მონასტერი გაძარცვეს და წაბილწეს ალბანელებმა. მონაზვნებს სასტიკად სცემეს. არ დაინდეს წმიდა იონიკიას ნაწილებიც. განადგურების მომენტში მონასტერი საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების ზონაში იმყოფებოდა. არსებული ცნობებით, მადლობა ღმერთს, რომ ახლა მონასტერს რუსული არმია იცავს. რუსი ჯარისკაცები არა მხოლოდ საიმედოდ იცავენ მას, არამედ აქტიურად მონაწილეობენ მონასტრის აღდგენაშიც.

XIV საუკუნეში აშენდა ზოჩიშტეს მონასტერი და უანგარო მკურნალების — კოსმასა და დომიანის ტაძარი. თავად ეკლესია კიდევ უფრო ძველია. საკურთხეველში შე-

მონახულია XII საუკუნის ფრესკები. ტაძრის მთავარი სიწმინდეები მრავალი საუკუნის მანძილზე იყო იქ განსვენებული წმინდანების — კოსმას და დომიანის ნაწილები. ამ სიწმინდეების დახმარებით ათასობით ადამიანი განიკურნა. იკურნებოდნენ არა მხოლოდ მართლმადიდებლები, არამედ უამრავი ალბანელიც. 1999 წელს მონასტერი გაძარცვეს, გადაწვეს და გაანადგურეს ალბანელმა ტერორისტებმა. მონასტრის ტერიტორია გერმანული ოკუპაციის ზონაში იყო.

სერბეთის პატრიარქის – უწმინდესი პავლეს სიტყვა

ეს მოკრძალებული პუბლიკაცია არის ჩვენი ხმა, ქრისტიანული და ცივილიზებული მსოფლიოსადმი მიმართული. მტკივნეულია იმის გაცნობიერება, რომ უდიდესი ქრისტიანული იუბილის ზღურბლთან, ქრისტიანობის მეორე ათასწლეულის მიწურულს, ევროპაში ანადგურებენ ქრისტიანულ ეკლესიებს და ეს ხდება არა ომის, არამედ მშვიდობის პერიოდში, რომელიც გარანტირებულია საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. ვიმედოვნებ, რომ განადგურებული და შებილწული ტაძრების ფოტოები იმ ადამიანებს გაუღვიძებს სინდისს, რომელთაც შეუძლიათ შეაჩერონ ეს ბარბაროსობა, მათაც, ვინც დაიღალა დაუსრულებელი უბედურებისგან და არ უნდა დარჩეს მის თვალწინ ჩადენილი ბოროტმოქმედებების პასიურ მოწმედ.

მივმართავ ყველა კოსოვოელ ალბანელს, რომლებიც საკუთარ მომავალს სერბებთან ცხოვრებაში ხედავენ, წინ აღუდგნენ ამ უგუნურებას.

ვიდრე კოსოვოსა და მეტოხიაში უკანონობა მეფობს, ვერც ჰუმანურობა გაიღვიძებს და ვერც სიმართლე. არავის აქვს მორალური უფლება, მშვიდად იზეიმოს გამარჯვება, თუ ერთი ბოროტება მეორით იცვლება, ვიდრე ერთის თავისუფლება მეორის მონობაზეა დამყარებული.

აი, იმ ქრისტიანული სიწმინდეების არასრული სია, რომლებიც კოსოვოსა და მეტოხიაში განადგურდა და რომლებიც სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის სპეციალურმა გამოცემამ „ჯვარცმული კოსოვო“ გამოაქვეყნა.

განადგურებული და წაბილწული ეკლესიები კოსოვოსა და მეტოხიაში:

წმიდა სამების მონასტერი სოფელ მიშუტიშტაში (XIV საუკუნე — 1999 წელი);

ყოვლადწმიდა ხვთისმშობლის ტაძარი სოფელ მიშუტიშტაში (1315 წელი — 1999 წელი);

წმიდა მთავარანგელოზ გაბრიელის მონასტერი სოფელ ბინაჩში (XIV საუკუნე — 1999 წელი);

წმიდა მარკ კორიშსკის მონასტერი სოფელ კორიშაში (1467 წელი — 1999 წელი);

ქალთა მონასტერი სოფელ სერბიცასთან წმიდა იონიკიას სამარხით (1434 წელი — 1999 წელი);

წმიდა ურეშის მონასტერი ყოვლადწმიდა ხვთისმშობლის მიძინების ტაძრით სოფელ შარენიკში (XIV საუკუნე — 1999 წელი);

წმიდა მთავარანგელოზის მონასტერი სოფელ გორნე-ნეროდიმლაში (XIV საუკუნე — 1999 წელი);

წმიდა ნიკოლოზის ეკლესია სოფელ გორნე-ნეროდიმლაში (1983 წელი — 1999 წელი)

წმიდა სტეფანეს ტაძარი სოფელ გორნე-ნეროდიმლაში (XIV საუკუნე — 1999 წელი);

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანის ეკლესია სოფელ დოლიცში (1385 წელი — 1999 წელი);

წმიდა ვასილი დიდის ეკლესია სოფელ სერბიცაში (1863 წელი — 1999 წელი);

წმიდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესია სოფელ სლოვინიაში (XVI საუკუნე — 1999 წელი);

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საფარის ტაძარი ქალაქ პრიზრენთან (XVI საუკუნე — 1999 წელი);

წმიდა სამების ეკლესია სოფელ პეტრიჩში (1993 წელი — 1999 წელი);

წმიდა მოციქულების — პეტრესა და პავლეს ეკლესია სუვო რეციში (1938 წელი — 1999 წელი);

წმიდა ილია წინასწარმეტყველის ეკლესია სოფელ ნიკოდიმში (1975 წელი — 1999 წელი);

წმიდა მოციქულების — პეტრესა და პავლეს ტაძარი სოფელ ტალინოვიცში (1999 წელი);

წმიდა სამების ტაძარი სოფელ ბაბლეკში (ძველი ტაძარი აღდგენილ იქნა 1966 წელს — 1999 წელი);

ყოვლადწმიდა ხვთისმშობლის ტაძრად მიყვანის ეკლესია თეთრ ველზე (XV საუკუნე — 1999 წელი)

წმიდა ურეშის ტაძარი ქალაქ ურეშევიცაში (1929 წელი — 1999 წელი);

ეკლესია სოფელ ზასკოკში (1999 წელი);

წმიდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესია სოფელ გატნეში (1985 წელი — 1999 წელი);

წმიდა ილია წინასწარმეტყველის ეკლესია სოფელ ვუჩიტრინაში (1934 წელი — 1999 წელი);

წმიდა ილია წინასწარმეტყველის ეკლესია სოფელ სმაჩში (1994 წელი — 1999 წელი);

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესია დანია ნეროდიმლეში (1925 წელი — 1999 წელი);

ეკლესია დერსნიკებში (XVI საუკუნე — 1999 წელი);

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესია სოფელ ნაკლოში (1985 წელი — 1999 წელი);

წმიდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესია სოფელ ოსოიანში (1999 წელი);

წმიდა მოციქულის ტაძარი პეტროვცაში (1999 წელი);

ყოვლდაწმიდა ღვთისმშობლის შობის ეკლესია სოფელ სოფტოვიჩში (1999 წელი);

წმიდა იოანე პრედტეჩის ეკლესია სამოდრეჟში (XIV საუკუნე — 1999 წელი);

წმიდა სამების ეკლესია (1998 წელი — 1999 წელი);

წმიდა იოანე პრედტეჩის ჩასახვის ეკლესია (1998 წელი — 1999 წელი);

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესია ჯურაკოვცაში (1997 წელი — 1999 წელი);

წმიდა დიმიტრი სოლუნსკის ეკლესია სოფელ სიგიში (XIV საუკუნე — 1999 წელი);

წმიდა უანგარო მკურნალების — კოსმასა და დომიანის მონასტერი (XII საუკუნე — 1999 წელი);

წმიდა სამების ტაძარი ქალაქ ჯაკოვიცაში (1999 წელი — 1999 წელი);

წმიდა ილია წინასწარმეტყველის ეკლესია ბისტრაჟინში (1999 წელი);

წმიდა მკურნალების ეკლესია სოფელ ნოვაკში (1999 წელი);

ეკლესია სოფელ კრუშევოში (1999 წელი);

წმიდა მარკის ეკლესია სოფელ კლინში (1999 წელი);

წმიდა ილია წინასწარმეტყველის ეკლესია სოფელ ჟეგრაში (1931 წელი — 1999 წელი);

წმიდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესია კლინის კიევში (XIV საუკუნე — 1999 წელი);

ეკლესია სოფელ გრომოვოში (1999 წელი);

წმიდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესია ლიუბიჟდეში (XVI საუკუნე — 1999 წელი);

წმიდა ილია წინასწარმეტყველის ეკლესია ლიუბიჟდეში (XVI საუკუნე — 1999 წელი);

ეკლესია სოფელ დობროჩანში (1999 წელი);

იესო ქრისტეს საკათედრო ტაძარი ქალაქ პრიშტინაში (1999 წელი);

წმიდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ეკლესია (1930 წელი — 1999 წელი);

ეკლესია სოფელ ახალ კაჩანიკში (1999 წელი);

მართლმადიდებლური სასაფლაო ქალაქ მიტროვიცაში (1999 წელი);

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარი სოფელ პოდგორცეში (1996 წელი — 1999 წელი);

ყველა სერბი წმინდანის ეკლესია ჯურაკოვაცში;

წმიდა კოსმასა და დომიანის ეკლესია სოფელ ნოვაკეში;

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარი ქალაქ პეჩთან;

ერთგუმბათიანი ტაძარი სოფელ ზასკოკში;

წმიდა იერემიას ტაძარი გრებნიკში;

წმიდა ლაზარეს ტაძარი სოფელ კოსაში;

წმიდა სამების ტაძარი ჟიტინიეში;

ტაძარი სოფელ კლოკოტის გარეუბანში;

წმიდა ლაზარეს ტაძარი სოფელ ბელიცაში;

წინასწარმეტყველ ილიას ტაძარი მდინარე დრენიცას მარცხენა სანაპიროზე;

წმიდა გიორგის ტაძარი სერბიცას მახლობლად;

წმიდა სამების ტაძარი სოფელ დონჟი რატისში;

წმიდა მოციქულ ლუკას ტაძარი სოფელ ვიტოვირიცაში;

წმიდა წინასწარმეტყველ ილიას ტაძარი პოდუევოში;

წმიდა წინასწარმეტყველების — პეტრესა და პავლეს ტაძარი სოფელ გორნა პაკაშტიცაში;

კოსოვოს მიტროვიცას სერბული სასაფლაოს სამრეკლო;

წმიდა წინასწარმეტყველების — პეტრესა და პავლეს ტაძარი ქალაქ ისტოკში;



წმიდა ნიკოლოზის ტაძარი პრიზრენში;
იესო ქრისტეს ტაძარი დვორანში;
წმიდა ილია წინასწარმეტყველის ტაძარი სოფელ ლოკ-ვიცში;
წმიდა ლაზარეს ტაძარი პრისკოტში, ჯაკოვიცას ახ-ლოს;
ტაძარი ბინაჩში, ვიტინის სამხრეთით;
ტაძარი გოიბულიეში კოპაონიკის მთაზე;
წმიდა ნიკოლოზის ტაძარი შტიმლში;
იესო ქრისტეს ტაძარი მეჩიჩევა მახალაში;
ტაძარი მუშუტიშტას ახლოს;
წმიდა წინასწარმეტყველების ტაძარი მუშუტიშტაში;
1389 წლის 15 ივლისს წმიდა ვიტას დღეს გამართულ ბრძოლაში დაღუპული სერბების მემორიალი კოსოვოს ველზე;
ტაძარი სოფელ ზაკუტში.

რა მოხდა ბალკანეთში

მსოფლიოს ყველა საინფორმაციო საშუალება 1998-1999 წლებში წერდა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები, ნატოს სახით, იძულებულნი იყვნენ, ჩარეულიყვნენ იუგოსლავიაში მიმდინარე მოვლენებში, რადგან კოსოვოში ირღვეოდა ალბანელების უფლებები, სერბეთის

ხელისუფლება ახორციელებდა ეთნიკურ წმენდებს, ნადგურდებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა. კოსოვოს კონფლიქტში ჩარევის გასამართლებლად, ფაქტობრივად კი, ნატოს წინაშე მდგარი ამოცანების გადასაჭრელად დასავლურმა პროპაგანდამ სულ ორიოდე არგუმენტი გამოიყენა:

კოსოვოს ალბანელების ავტონომიის არარსებობა. ეს არგუმენტი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან ავტონომიური მხარე კოსოვო და მეტოხია ყოველთვის ფლობდა ავტონომიას 1946 წლიდან მოყოლებული და 1990 წელსაც, როდესაც სერბეთმა კონსტიტუცია შეცვალა, კოსოვომ შეინარჩუნა ფართო ავტონომია, თუმცა ოდნავ შემჭიდროებული, რის გამოც მხარეს უფლება არ ჰქონდა, საგარეო პოლიტიკაში დამოუკიდებლობაზე გამოეთქვა პრეტენზიები.

ალბანური მოსახლეობის ტანჯვა, ხელისუფლების მიერ სანქცირებული ეთნიკური წმენდების ჩატარება. ალბანური მოსახლეობის ეთნიკურ წმენდას ადგილი არ ჰქონია. მხარეში ალბანელი მოსახლეობა უკანასკნელი 30 წლის მანძილზე მუდმივად იზრდებოდა და 1998 წელს, იუგოსლავიის სტატისტიკის სამმართველოს ოფიციალური მონაცემების თანახმად, შეადგენდა 917 ათას ადამიანს, ანუ მხარის მთელი მოსახლეობის 66%-ს. თავად ალბანელები მიიჩნევენ, რომ მხარეში 2 მილიონი ადამიანით არიან წარმოდგენილნი. 1981 წლიდან პირიქით, მიმდინარეობდა სერბი მოსახლეობის გასახლება მხარიდან ალბანელების მიერ. ის შემცირდა 9%-მდე 90-იანი წლების დასაწყისისთვის. ამ მომცრო პროვინციაში ასევე ცხოვრობდა 72 ათასი მუსლიმანი (ბოსნიელი), 21 ათასი თურქი და 97 ათასი ბოშა.

იუგოსლავიის ტერიტორიაზე დასავლური ტიპის დემოკრატიის დამკვიდრებისა და სლობოდან მილოშევიჩის „სისხლიანი დიქტატურის“ დამხობის აუცილებლობა. იმ პერიოდში ამ სახის არგუმენტები უკვე დასავლური დემოკრატიის შტამპი იყო. მათ გამოიყენებდნენ, მაგალითად, ბელარუსში, ასევე სხვა ქვეყნებშიც. ამ არგუმენტების განადგურება კი იოლი საქმეა: იუგოსლავია (მოგვია-

ნებით სერბეთი და ჩერნოგორია) უკვე 1990 წლიდან ფუნ-ქციონირებს, როგორც მრავალპარტიული სისტემის სა-ხელმწიფო. დემოკრატია იუგოსლავიაში ვითარდებოდა დასავლეთიდან თავსმოხვეული სანქციების, ეკონომიკუ-რი და პოლიტიკური ბლოკადის ექსტრემალურ პირობებ-ში. მხოლოდ სანქციებისგან ქვეყნის გათავისუფლება და მისთვის სრული თავისუფლების მინიჭება მისცემდა სა-შუალებას ხალხს, თავად გადაეწყვიტა, რომელ ხელმძღ-ვანელს აირჩევდა.

სინამდვილეში კონფლიქტის არსი სხვა რამ იყო. მე-19 საუკუნის დასასრულიდან ალბანელები ახორციელებდ-ნენ ყველა იმ მიწების გათავისუფლების გეგმას, რომლებ-ზეც მოსახლეობის უმეტესობას ალბანელები შეადგენდ-ნენ. ამიტომაც კოსოვოს იუგოსლავიის შემადგენლობა-ში ყოფნის მთელი დროის მანძილზე მხარის ალბანელები ახორციელებდნენ იუგოსლავიისგან გამოყოფის გეგმას. ბრძოლა გეგმაზომიერად და ეტაპობრივად მიმდინარე-ობდა — 50-იან წლებში იატაკქვეშა ჯგუფების შექმნიდან დაწყებული, 1981 წლის შეიარაღებული ამბოხებითა და 1998 წლის ომით დამთავრებული. სერბეთის ხელმძღვა-ნელობა მუდამ წინააღმდეგი იყო მხარის სერბეთიდან გა-მოყოფისა. ის სხვადასხვა სახის მეთოდიკას იყენებდა მხა-რეში მდგომარეობის დასარეგულირებლად — უზარმაზა-რი სახსრების გავლენისა და კულტურული დონის ამაღ-ლებიდან საგანგებო მდგომარეობის შემოღებამდე.

1998 წელს ალბანელებმა იარაღი აიღეს ხელში, რათა შე-იარაღებული გზით მიეღწიათ იუგოსლავიიდან გამოყო-ფისთვის. ბოევიკები საბრძოლო მომზადებას ალბანეთის ბანაკებში გადიოდნენ და შექმნეს კოსოვოს განმათავი-სუფლებელი არმია. ისინი დიდი რაოდენობით იარაღს ყი-დულობდნენ და წინააღმდეგობაში მხარის მთელი ალბა-ნური მოსახლეობა ჩაითრიეს. სწორედ კოსოვოს განმათა-ვისუფლებელი არმიის ბოევიკებმა მოახდინეს 1998 წლის დასაწყისში კონფლიქტის განახლების პროვოცირება. ტე-რორისტების მიერ გამოყენებულ მეთოდებს შორის იყო სერბების მკვლელობა და გაძევება, სერბული სოფლების ბლოკადა, ლოიალური, ბრძოლაში ჩართვის სურვილის

© „ღონისძიების ობიექტი“

არმქონე ალბანელების მკვლელობა და დაშინება, მშვიდობიანი მოქალაქეების მძევლებად აყვანა, პოლიციისა და არმიის პატრულის პუნქტებზე თავდასხმა. მხარეში გზების უმეტესობა გადაადგილებისთვის სახიფათო გახდა — მათ ალბანელი გასამხედროებული პატრულები აკონტროლებდნენ. მხარის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მხარს არ უჭერდა ექსტრემისტებს, დაშინებისა და ძალადობის ობიექტად იქცა. კათოლიკე ალბანელები შეშინებული ტოვებდნენ მეტოხიის სოფლებს, რათა როგორმე აერიდებინათ თავი ტერორისტულ რაზმებში ძალადობრივად გაერთიანებისთვის.

სერბეთის მიზანი იყო სერბეთისა და მოკავშირე იუგოსლავიის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება. კოსოვოს ტერიტორიაზე მართლმადიდებლური კულტურის 1600 ისტორიული ძეგლი იყო, რომელთაგან მრავალს იუნესკო იცავდა. ამიტომაც იყო, რომ ქვეყნის ხელისუფლება ასე დაჟინებით ეწინააღმდეგებოდა მხარის დამოუკიდებლობას. 1998 წელს ალბანელების შეიარაღებულ მოქმედებებზე საპასუხოდ ხელისუფლებამ მხარეში შეიყვანა პოლიციელების გაძლიერებული ძალები და ჯარების შეზღუდული რაოდენობა. დაიწყო კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის შევიწროებისა და მხარიდან მისი საზღვრებისკენ გაძევების ოპერაცია. სახელისუფლო ძა-

ლებისათვის ამ საქმეში წარმატება გარანტირებული იყო, მაგრამ ამ დროს საქმეში საერთაშორისო ძალები და, უპირველეს ყოვლისა, აშშ ჩაერია.

საკონტაქტო ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა ექვსი წამყვანი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებისგან, 1998 წელს ბელგრადს წარუდგინა მთელი რიგი მოთხოვნები, რომელთაგან მთავარი იყო მხარეში საერთაშორისო დაკვირვების წარმოების შესაძლებლობის მინიჭება და უშიშროების ძალების ყველანაირი ქმედებების შეწყვეტა, კოსოვოდან იუგოსლავიური სპეცრაზმის გაყვანა. ჯგუფმა ასევე წამოაყენა ბელგრადისთვის ეკონომიკური სანქციების გამკაცრების წინადადება სერბეთისა და იუგოსლავიის ხელისუფლებებისთვის უცხოური ავუარების გაყინვისა და ახალი უცხოური ინვესტიციების აკრძალვის სახით. 1998 წლის 13 ოქტომბერს სლობოდან მილოშევიჩი დათანხმდა აშშ-ის სპეციალურ წარმომადგენელთან, რიჩარდ ჰოლბრუკთან, საერთაშორისო საზოგადოების ყველა მოთხოვნას — იუგოსლავიის მხრიდან პოლიტიკური რეგულირების ჩარჩოების საკითხებზე მოლაპარაკებების 1998 წლის 2 ნოემბერს დარულების, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემასთან მიმართებაში მთელი რი-

© „ეროვნული ბიბლიოთეკა“

გი შეზღუდვების დაწესების, კოსოვოს ტერიტორიაზე საჰაერო კონტროლის მისიის დაწესების შესახებ ხელშეკრულების დადებას.

იუგოსლავიის რესპუბლიკამ დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება, პრობლემების პოლიტიკური გზით მოგვარების თაობაზე, მაგრამ ნატო ითხოვდა ნებართვას, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ნატოს ძალების განლაგებისათვის და ომისათვის ემზადებოდა. ნატოს გენერალურმა მდივანმა ჰავიერ სოლანამ განაცხადა, რომ ალიანსის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება კოსოვოში ნატოს შესაძლო სამხედრო მოქმედებებისთვის მზადების მორიგ ფაზაზე გადასვლის შესახებ. ეს უკვე იუგოსლავიის წინააღმდეგ დაგეგმილი ქმედებების თაობაზე სიგნალი იყო. აგრესიის დასაწყებად საბაბი უმალ „გამოძერწეს“. კოსოვოსა და მეტოხიაში ეუთოს მისიის ხელმძღვანელმა, ამერიკელმა უ. უოკერმა პრესის წარმომადგენლები შეკრიბა და იუგოსლავიის არმია „კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულში“ — რაჩაკში 45 სამოქალაქო პირის მკვლელობაში დაადანაშაულა. ადგილზე ჩასული ბელარუსი ექსპერტები შემთხვევის ადგილის შესწავლის შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ მოკლული ადამიანების ცხედრები სხვა ტერიტორიიდან იყო აქ მოტანილი. ამის შემდეგ ექსპერტიზა ფინელმა სპეციალისტებმა ჩაატარეს. მათი აზრით, მოკლულთა უმეტესობა იყო სიკვდილის შემ-

დეგ სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული სამხედრო პირი. მრავალი მოკლულის თითებზე დენთის კვალი აღმოჩნდა, ნატყვიარები კი მათ მხოლოდ სხეულზე ემჩნეოდათ, ტანსაცმელზე — არა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ექსპერტების აღნიშნული მოხსენება არც კი გამოქვეყნებულა. მსოფლიო მზად იყო იუგოსლავიის ხელმძღვანელობის, იუგოსლავიის არმიის, მათთან ერთად კი მთელი სერბი ხალხის დასასჯელად.

1999 წლის 22 მარტს სლობოდან მილოშევიჩისთვის წაყენებული ულტიმატუმის შემდეგ ნატოს გენერალურმა მდივანმა მიიღო გაფართოებული უფლებამოსილება ნატოს საბჭოსგან იუგოსლავიის არმიის წინააღმდეგ საჰაერო ოპერაციის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. 24 მარტს, დაარღვია რა დამოუკიდებელი იუგოსლავიის სუვერენიტეტი და საერთაშორისო სამართლის ნორმები, ნატომ ქვეყანას ბომბები დაუშინა.

ალიანსის წინაშე იდგა ამოცანები, გაენადგურებინა იუგოსლავიის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, საჰაერო დარტყმებით გაენადგურებინა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა, დაემარცხებინა სახმელეთო ძალების წინააღმდეგობა, გაეტეხა მოსახლეობა მორალურად და გამოეწვია

© „ეროვნული ბიბლიოთეკა“

ქვეყნის ხელისუფლებისადმი ბუნტი, სერბეთისთვის ჩამოეშორებინა კოსოვო. ნატოს სამხედრო მიზნებს შორის იყო ასევე ახალი ზეზუსტი იარაღის გამოცდა, ახალი ავიამზიდური სისტემებისა და იარაღის ნიმუშების გამოცდა, მათი საბრძოლო გამოყენების ტაქტიკის დამუშავება, ოპერაციაში ჩართული სხვადასხვაგვარი ძალების ურთიერთქმედების ორგანიზება, ასევე მოძველებული იარაღის მარაგების დახარჯვა.

სამხედრო მოქმედებების თავისებურება ის იყო, რომ მთავარ როლს ასრულებდა ავიაცია, რომელიც შეიარაღებული ბრძოლის მძლავრი და ეფექტური საშუალება გახდა. ამრიგად, გამარჯვება მიღწეულ იქნა სახმელეთო ჯარების შეჭრის გარეშე. ნატოს დაჯგუფების საფუძველს შეადგენდნენ აშშ-ის, ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის სამხედრო ფორმირებები. მათ გარდა ოპერაციაში მონაწილეობდა ნატოს კიდევ ათი ქვეყანა: ბელგია, დანია, საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი, კანადა, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია და თურქეთი. იუგოსლავიის საზღვრებთან ახლოს ნატომ მნიშვნელოვანი საბრძოლო კონტინგენტი განალაგა. იტალიის ავიაბაზებზე დისლოცირებულ იქნა 430-მდე თვითმფრინავი. ორი თვის

შემდეგ ნატოს საავიაციო დაჯგუფება დაახლოებით 2,5-ჯერ გაიზარდა და 1260 თვითმფრინავი შეადგინა.

აგრესია 77 დღე გაგრძელდა. **ამ აქციაში მონაწილე მსოფლიოს ყველაზე განვითარებული 19 ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი იუგოსლავიისას 678-ჯერ აღემატებოდა.** დარტყმებს ექვემდებარებოდა იუგოსლავიის მთელი ტერიტორია. საბრძოლო თვითმფრინავებმა, ნატოს გათვლებით, 35 ათასი, რუსეთის მონაცემებით კი, დაახლოებით 25 ათასი გაფრენა შეასრულეს. საჰაერო დარტყმებს ახორციელებდა 1000-ზე მეტი საბრძოლო თვითმფრინავი (მათ შორის ფ-15, ფ-16, ფ-17) და 206 ვერტმფრენი. **ამერიკულ კონტინგენტზე მოდიოდა საბრძოლო მოქმედებების 11 კვირის მანძილზე ალიანსის ძალების მიერ შესრულებული ყველა ოპერაციის 75%, საფრანგეთისაზე — 11%, იტალიისაზე — 5,3%, ბრიტანეთისაზე — 4,8% და გერმანიისაზე — 2,1%.**

ავიაციის მოქმედებებს მხარს უჭერდა სამხედრო საზღვაო დაჯგუფება სამი ავიამზიდის, 6 დამრტყმელი წყალქვეშა ნავის, ორი კრეისერის, 7 ესმინეცის და 13 ფრეგატის შემადგენლობით. ხმელთაშუა ზღვაში იყო 4 მსხვილი სადესანტო გემი ბორტებზე 10 ათასი საზღვაო ქვეითით. ნატოს ავიაციამ 2300 საჰაერო დარტყმა მიაყენა 995 ობიექტს. იუგოსლავიის ტერიტორიაზე გაშვებულ იქნა 3000-ზე მეტი ფრთოსანი რაკეტა, ჩამოყრილ იქნა 25 ათასი (ზოგიერთი მონაცემით, 79 ათასი ტონა) ასაფეთქებლები.

იუგოსლავიის წინააღმდეგ განხორციელებული შეტევითი საჰაერო ოპერაციის განმასხვავებელ შტრიხად იქცა ის, რომ ეს იყო პირველი ოპერაცია, რომლის დროსაც სამხედროები, უპირატესად, ზეზუსტ იარაღს იყენებდნენ. ნატოს შეტევითი საჰაერო ოპერაციის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი გახდა იმ ფრთოსანი რაკეტების გამოყენება, რომელთაც დიდი დამანგრეველი ძალა ჰქონდათ. თვითმფრინავები და ფრთოსანი რაკეტები ცდილობდნენ სამხედრო და ბაზების განადგურებას, იუგოსლავიის არმიის მწყობრიდან გამოყვანას, გზები-

სა და ხიდების განადგურებას. სულ დაინგრა 22 და დაზიანდა 12 ხიდი, პირისაგან მიწისა აღიგავა 50-მდე ფაბრიკა და ქარხანა, დაზიანდა 8 ელექტროსადგური, 7 სარკინიგზო ვაგზალი, 6 აეროდრომი, უამრავი გზა, მწყობრიდან გამოვიდა ან განადგურდა 20 ტელეტრანსლატორი და რელე, ტელე და რადიო მაუწყებლობის ბევრი სადგური. მიწასთან იქნა გასწორებული რამდენიმე ათასი საცხოვრებელი ბინა და კერძო სახლი, 3 ტელეცენტრი, 17 საავადმყოფო, 35 ფაკულტეტი, 2 ათასი სკოლა. სამსახური დაკარგა 600 ათასზე მეტმა ადამიანმა, მხოლოდ ფაბრიკებისა და ქარხნების განადგურების გამო. ორ-ნახევარმა მილიონმა ადამიანმა დაკარგა არსებობის ძირითადი საშუალებები. ქალაქების უმეტესობაში განადგურდა ბოსნიიდან და ხორვატიიდან ლტოლვილების ცენტრები. თითქმის 250 000 ლტოლვილი ბავშვი იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკებიდან, რომლებმაც უსაფრთხო თავშესაფარი იპოვეს იუგოსლავიაში, კვლავ ომის საშინელებათა ქარცეცხლში გაეხვნენ. ასი ათასმა ბავშვმა ვერ შეძლო სკოლამდელ დაწესებულებებსა და დაწყებით სკოლებში შესვლა, რადგან ამ დაწესებულებების უმეტესობა ნატოს ბომბებს შეეწირა.

იუგოსლავიის წინააღმდეგ აგრესიაში ნატომ გამოიყენა აკრძალული სამხედრო საშუალებები და იარაღი, ისეთები, როგორიც კასეტური ბომბებია. საუბარია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებულად საშიში სახეობის იარაღზე, რომლის გამოყენების შედეგები ბევრად უფრო არაადამიანურია, ვიდრე იარაღის კლასიკური ტიპებისა. იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩამოყარეს კასეტური ბომბების 152 კონტეინერი 35 450 კასეტური, თერმო-ვიზუალური და გრაფიტის ბომბით. საჰაერო დარტყმების უმეტესობის სამიზნე იყო პრიშტინა (374), პრიზრენი (232), ბელგრადი (212), უროშევაცი (205), ჯაკოვიცუ (190) და უჟიცე (145). ამ თავდასხმებს მხოლოდ 25 მარტიდან 15 მაისამდე 200 ადამიანი შეეწირა, 450 კი — დაიჭრა.

შედეგად 11 მილიონზე მეტი ადამიანი ელექტროენერგიისა და წყლის გარეშე დარჩა. რაც შეეხება ელექტროსადგურებს, ნატომ ბომბები პირდაპირ ტრანსფორმატორებს დაუშინა. აფეთქების შედეგად ტრანსფორმატორებიდან იღვრებოდა ტრასფორმატორის ზეთი — პირალენი. იყო შემთხვევები, როდესაც ამ ნივთიერებით ქალაქების სასმელი წყალი მოიწამლა.

ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ **ნატომ არ დაინდო მოსახლეობის ყველაზე უსუსური ფენაც კი — ახალშობილები, მოხუცები და ავადმყოფები**. ქვეყანას უზარმაზარი მატერიალური ზარალი მიადგა. განად-

გურდა მთელი საცხოვრებელი კვარტლები, მათ შორის სკოლები და საავადმყოფოებიც. ნატოს სამიზნე აღმოჩნდა სამეურნეო და სამრეწველო ობიექტები, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. დაიღუპა 2000-მდე სამოქალაქო პირი, 7 ათასამდე მშვიდობიანი მოსახლე დაიჭრა, მათგან 30% ბავშვები იყვნენ. სერბი ბავშვების 10%-მა (დაახლოებით 300 000 ბავშვი) სერიოზული ფსიქოლოგიური ტრამვა მიიღო და ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებდა. ბავშვების უმეტესობა შენელებული მოქმედების კასეტურ ბომბებს შეეწირა. იუგოსლავიის მატერიალურმა ზარალმა 200 მილიარდს გადააჭარბა.

ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსი და დიპლომატი რიჩარდ ჰოლბრუკი ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში სერბების დასაბომბად ჩამოყრილ ბომბებს „მშვიდობის ბომბებს“ უწოდებდა. ნატოს პრეს-ატაშე ჯემი ში კი ირწმუნებოდა, რომ პილოტები თავიანთ მსხვერპლთ „ჰუმანიტარული მოსაზრებებით“ ბომბავდნენ. საგარეო საქმეთა მინისტრი კლაუს კინკელი მუდამ გაიძახოდა, რომ „სერბეთი უნდა დააჩოქონ“, ნატოს მთავარსარდალი უესლი კლარკი კი ლამის ყოველდღე იმეორებდა, რომ სერბეთს გადამწვარ მიწად აქცევდა, რაც გააკეთა კიდეც.

სამხედრო ობიექტების გარდა, დარტყმები გათვალისწინებული იყო კულტურის ძეგლებზე, შუასაუკუნოვან

მონასტრებსა და სიწმინდეებზე, ნაციონალურ პარკებსა და ნაკრძალებზე, რომლებიც იუნესკოს დაცვის ქვეშ იყო. ჯაკოვიცაში მძიმე დაზიანებები მიიღო ისტორიულმა ძეგლმა „ტაბაჩკი ხიდი“, რომელიც VI საუკუნეშია აგებული, პეტროვარადინსკის ციხესიმაგრემ, დურმიტორის ეროვნულმა პარკმა და სხვა მრავალმა ისტორიულ-კულტურულმა ძეგლმა.

უფრო მეტიც, ტურისტული ცენტრებისა და ნაციონალური პარკების მრავალჯერადმა დაბომბვებმა ზიანი მიაყენა ბუნებრივ რეზერვაციებს და ნაკრძალებს. ნატოს დაბომბვების შედეგად ფლორის უამრავი სახეობა გადაშენების პირასაა.

მიუხედავად თავდაცვის საშუალებებში მნიშვნელოვანი ჩამორჩენისა, იუგოსლავიის არმიამ, ნატოს მონაცემებით, ნატოს ორი საბრძოლო თვითმფრინავი, 21 უპილოტო საფრენი აპარატი და 2 ვერტმფრენი გაანადგურა. ბელგრადის მონაცემებით კი, იუგოსლავიელმა მებრძოლებმა ჩამოაგდეს ნატოს 61 თვითმფრინავი, 30 უპილოტო მზვერავი თვითმფრინავი, მოწინააღმდეგის 7 ვერტმფრენი და 238 ფრთოსანი რაკეტა.

ნატოს აგრესიის 77 დღის განმავლობაში იუგოსლავიაში მიმდინარეობდა თანამედროვე ისტორიისთვის უპრეცედენტო სამოქალაქო ნგრევა. ნატო სისტემატურად უტევდა და ანადგურებდა სამოქალაქო სამიზნეებს მთელი იუგოსლავიის ტერიტორიაზე, რითაც პირდაპირ ემუქრებოდა ქვეყნის მთელი მოსახლეობის სიცოცხლესა და უმთავრეს უფლებებს.

ქიმიურ და ნავთობ-ქიმიურ მრეწველობაზე ნატოს ბარბაროსული თავდასხმის შემდეგ მილიონობით მოქალაქე გაზით მოიწამლა. დაბინძურდა ნიადაგიც, წყალიცა და ტყეებიც. ამ ყველაფერს კი, შესაძლოა, გრძელვადიანი სავალალო შედეგები მოჰყვეს არა მხოლოდ იუგოსლავიის ტერიტორიაზე, არამედ მთელ რეგიონში.

ქალაქების, სოფლებისა და სამოქალაქო ობიექტების ხანგრძლივმა ინტენსიურმა დაბომბვამ სერბეთის სამხრეთსა და მეტოხიაში მასობრივი დესტრუქცია, მოსახლეობაში შიში და პანიკა განაპირობა. კოსოვოდან ათასობით

ქალი, ბავშვი, მოხუცი და ინვალიდი იძულებით წავიდა, რითაც ნატომ უზარმაზარი ჰუმანიტარული კატასტროფაც გამოიწვია.

იუგოსლავიაში აგრესორების მხრიდან სამოქალაქო სამიზნეების ხანგრძლივმა დაბომბვებმა აგრესიის მთავარი სახე აჩვენა. **ნატომ თვით დევნილები და ჰუმანიტარული ტვირთებიც კი დაბომბა.** ნატომ შეავსო კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულთა ისედაც გრძელი სია, რადგან ჰუმანიტარული ტვირთის სატვირთო ავტომობილების შესახებ ნატოს ინფორმაცია წინასწარ ჰქონდა და ამას „შეცდომას“ ვერავინ დაარქმევს — ეს იუგოსლავიის ტერიტორიაზე კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია.

ნატოს მიერ სერბეთში ჩამოყრილი ჭურვები სამი კატეგორიისა იყო:

ფუგასური — რაკეტები, ბომბები, კასეტური ბომბები;

ურანით დატენილი ბომბები;

ეგრეთ წოდებული „მსუბუქი“ ბომბები, ანუ მიკროტალღური იარაღის პრიმიტიული სახეობები.

კასეტური ბომბების გამოყენება აკრძალულია ჟენევ-

ის კონვენციით. მათ ასე იმიტომ ეწოდებათ, რომ ერთ კასეტაში დევს 20 პატარა ბომბი. როდესაც რაკეტა მიზანს უახლოვდება, კასეტა იშლება და რამდენიმე კილომეტრის რადიუსში ისვრის თავის მომაკვდინებელ შიგთავსს. ამასთან, ეს პატარა ბომბები ყოველთვის არ ფეთქდებიან დაცემისას და შენელებული მოქმედების მინებად იქცევიან, ამის შემდეგ კი ამინდის ცვალებადობაზე ან შეხებაზე დეტონირდებიან. ამგვარი ბომბებისგან ყველაზე ხშირად ბავშვები იღუპებიან თავიანთი ცნობისმოყვარეობის გამო.

ნატოს ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ სერბეთის ტერიტორიაზე ჩამოაგდო 30 000 ურანის ჭურვი, თუმცა, სერბული მხარის მონაცემებით, ამგვარი ბომბი 50 000 მაინც იყო. ამ ტიპის ბომბების გამოყენება სპეციფიკური რადიოლოგიური ომისთვისაა დამახასიათებელი და განაპირობებს გრძელვადიან დაბინძურებას ეკოსისტემაში. ნატოს მხრიდან ამგვარი ბომბების გამოყენება სერბეთში მთელ ევროპაში სიცოცხლის მოსპობის მცდელობა იყო.

© „ღონისძიების ანგარიში“

სიმპოზიუმი: ნატო – ევროკავშირი – ჰაშიმ ტაჩი

შვეიცარიელი იურისტის — დიკ მარტის მიერ კოსოვოს ალბანელების ორგანიზებულ დამნაშავეობრივ დაჯგუფებებთან დაკავშირებით ევროკავშირის საპარლამენტო ასამბლეის მოხსენებისთვის მოგროვილი ინფორმაცია დასავლეთის სპეცსამსახურებისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დასავლეთის მთელი რიგი ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოებისთვის, სულ მცირე, ათი წელია, ცნობილია.

ლონდონური „გარდიანის“ მონაცემებით, ჯერ კიდევ 2004 წელს ნატოს დოკუმენტებში „კოსოვოელი პრემიერი“ ტაჩი ორგანიზებული დანაშაულის „ერთ-ერთ დიდ თევზადაა“ მოხსენიებული. **სინამდვილეში „კოსოვოს მთავრობა“ სხვა არაფერია, თუ არა ერთ-ერთი დაქვემდებარებული რგოლი ალბანურ კრიმინალურ ჯაჭვში, რომელმაც თავის ქსელში გაახვია ბალკანეთი, შემდეგ კი ევროპასა და აშშ-საც გა-**

დასწვდა. ამ მაფიის ერთ-ერთი ავტორიტეტი — ჯავიდ ხალითი კოსოვოს პარლამენტის პრეზიდიუმის წევრი, ჰაშიმ ტაჩის პარტიის ფუნქციონერი, მისი პოლიტიკურ-ფინანსური მრჩეველი და ზურგის მმართველია „კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიაში“, რომელიც 90-იანი წლების ბოლოს კოსოვოს მთელ ფულად ნაკადებს აკონტროლებდა. „გარდიანი“ წერს, რომ ჯავიდი იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობაში მონაწილეობდა და, სულ მცირე, ორი ადამიანი ჰყავს მოკლული.

შვეიცარიული გაზეთი „ჰოიტე ციურჰერ ცაიტუნგი“ წერს, რომ ნატომაც და შვეიცარიის მთავრობამაც მშვენივრად იცოდა ჯავიდ ხალითის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ და რომ **სწორედ შვეიცარიის ტერიტორიაზე ჩაეყარა საფუძველი ორგანიზებულ ვაჭრობას ნარკოტიკებით, იარაღითა და ადამიანებით.** შვეიცარიის ოფიციალური წყაროების მტკიცებით, ჰაშიმ ტაჩის ორმა უახლოესმა მომხრემ — ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა, ახლანდელმა პარლამენტარმა აზემ სილიამ და დაზვერვის უფროსმა, „რუხმა კარდინალმა“ კადრი ვესელიმ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე და შვეიცარიის კანონმდებლობის დარღვევით ამ ქვეყანაში ცხოვრების უფლება მიიღეს. გერმანული დაზვერვა ჯერ კიდევ 2005 წელს ასახელებდა ამ ორ პირს, როგორც კოსოვოში ორგანიზებული დანაშაულის უმთავრეს ფიგურებს.

აშშ-ც და ევროკავშირიც, უკვე მრავალი წელია, სპეცსამსახურებისგან მიღებულ სარწმუნო და ამომწურავ ინფორმაციას ფლობენ კოსოვოში ალბანური დანაშაულებრივი ქსელის შესახებ. 2001-2004 წლების მასალებში აღნიშნულია, რომ ჰაშიმ ტაჩის კავშირი ჰქონდა არაერთ დანაშაულებრივ დაჯგუფებასთან, რომლებიც დიდი რაოდენობით ფულის გათეთრებით იყვნენ დაკავებული. ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალს არაერთი წლის მანძილზე ჰქონდა ფაქტები სერბების გატაცების, პატიმართა წამების, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის, ახლო აღმოსავლეთისა და თურქეთის ისლამისტურ ორგანიზაციებთან კონტაქტების

ჰაშიმ ტაჩი და ბერნარდ კუშნერი სამხედროებთან ერთად

შესახებ, მაგრამ დასავლელ პოლიტიკოსებს კოსოვოში გაჩაღებული მასშტაბური დანაშაულებრივი საქმიანობა არც ადრე აღელვებდათ და არც ახლა აღელვებთ. ამ ორ მხარეს შორის ერთობლივ ინტერესებზე დამყარებული თანამშრომლობა ყვავის. მაგალითად, ბერნარ კუშნერს კოსოვოში სატელეფონო მობილური კავშირგაბმულობისა და ინტერნეტ-პროვაიდერი კომპანიები აქვს. და ის ერთადერთი არაა, ვინც კოსოვოში სერიოზულ ბიზნესს აწარმოებს. გარდა ამისა, ამერიკულ კაპიტალს კოსოვოში ამერიკელი ჩინოვნიკები იცავენ და ადგილობრივ კომპანიებს ბაზარზე ყველა გზას უკეტავენ.

ბელგრადთან მოლაპარაკებებამდე, რომელზეც, როგორც ჩანს, კოსოვოს საქმეს სამუდამოდ დახურავენ, ალბანური პოლიტიკური ძალები კონსოლიდირებას ცდილო-

ბენ და „დიდი კოალიციის“ შექმნის თაობაზე ლაპარაკობენ. ამ კოალიციამ კოსოვოსთვის უმნიშვნელოვანესი 20 საკითხი უნდა გადაჭრას. პარალელურად სერბეთის ევროინტეგრაციის თაობაზე ახლახან მიღებული ევროპარლამენტის რეზოლუცია სერბეთს „მოვალეობების შესრულებას“ — ჰაგის ტრიბუნალთან სრულ თანამშრომლობას ავალდებულებს. ამ თანამშრომლობის ერთადერთ მტკიცებულებად კი ჯერაც დაუპატიმრებელი რატკო მლადიჩისა და გორან ხაჯიჩის გადაცემა იქნება.

შეგახსენებთ, სწორედ კოსოვოს საკითხთა საერთაშორისო ტრიბუნალმა გაანადგურა ადამიანების ორგანოებით ვაჭრობის მტკიცებულებები 2004 წლის გამოძიებისას, ახლა კი სერბეთისთვის ევროკავშირის წევრის კანდიდატობის საკითხი კვლავ ამ ტრიბუნალის მთავარი პროკურორის გადასაწყვეტია.

კოსოვოსთან დაკავშირებული ევროპარლამენტის რეზოლუცია სერბეთს ავალდებულებს, არ დაიჟინოს კოსოვოს გაყოფა ან მისი სტატუსის განსაზღვრა, ანუ ზემოქმედება მოახდინოს კოსოვოელ სერბებზე და მათი ხელისუფლება ევროკავშირის მისიას დაუმორჩილოს. **უფრო ზუსტად, სერბეთის ხელისუფლებას ეკისრება „საპატიო მისია“ ხელისუფლების იმ პარალელური სტრუქტურების დემონტაჟში, რომლებიც „დეცენტრალიზაციის პროცესს აფერხებს და სერბული საზოგადოების კოსოვოს ინსტიტუტებში სრულ ინტეგრაციას ეწინააღმდეგება“. გარდა ამისა, რეზოლუცია შეიცავს სერბეთის საშინაო საქმეებში ჩარევის ელემენტებსაც.**

ევროკავშირის მისია დაჟინებით ამტკიცებს, რომ კოსოვოს ჩრდილოეთი საშიში ზონაა. ბრიუსელის პოზიცია კი უცვლელი რჩება — კოსოვოს დამოუკიდებლობა გადახედვას არ ექვემდებარება, მაგრამ კოსოვოს ხელისუფლებას ესაჭიროება ახალი ფიგურა, რომელიც წინააღმდეგობებით არ იქნება დამძიმებული. **სხვაგვარად რომ ვთქვათ, „კოსოვოს სახე“ უნდა შეიცვალოს „კოსოვოს მხარისადმი საერთაშორისო ნდობის კრედიტის ნაკლებობის პროგლემის გადასაწყვეტ-**

ად“. ამრიგად, ტაჩის კლანს გაწირავენ, მაგრამ „პროექტ კოსოვოს“ შესანარჩუნებლად ძალებს არ დაიშურებენ.

კოსოვოსა და სერბეთთან მიმართებაში ევროკავშირსა და ნატოს სოლიდარული პოლიტიკა აქვთ. ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ კოსოვოს გაყოფის საკითხი არც კი განიხილება. ნატოს საერთაშორისო ძალები კი კოსოვოში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტად რჩება და მომავალშიც განაგრძობს მისი ტერიტორიის კონტროლირებას.

დიკ მარტის მოხსენებამ ვერ მოახდინა ზეგავლენა ოფიციალური ბელგრადის პოლიტიკაზე კოსოვოსთან მიმართებაში. სერბეთის მთავრობა უკანასკნელ წუთამდე დუმდა სენსაციური მოხსენების თაობაზე. სამხედრო დანაშაულებათა პროკურორის მოადგილემ კი განაცხადა, რომ პროკურატურა ადამიანის ორგანოებით ვაჭრობასთან დაკავშირებით კომენტარს არ გააკეთებს.

კოსოვოს ჩრდილოეთით სერბული თემები იძულებული არიან, სიცოცხლისა და გადარჩენისთვის ბელგრადის სრული უმოქმედობის ფონზე იბრძოლონ. სერიოზული ძალისხმევა ხმარდება იმას, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის საკითხი ეჭვქვეშ არ დადგეს, კოსოვოს კონფლიქტში მხარეთა ქმედებები არ გადაფასდეს და ყველაფერი ჰაშიმ ტაჩის მოშორებამდე დავიდეს. **ევროპა თავისი ხელით ეხმარება სერბეთიდან განდევნილ კოსოვოს იმ „სახელმწიფოდ“ ქცევაში, სადაც ძალაუფლება მშვენივრად შეიარაღებული, უდიდესი ფინანსური რესურსების მფლობელი და ბალკანეთის ნახევარკუნძულის საზღვრებს დიდად გაცდენილი გავლენის მქონე დამნაშავეობრივი დაჯგუფებების ხელში იქნება.**

«შავი ტრანსპანტოლოგების» საქმეს მცდარ გზაზე უშვებენ

გაეროს უშიშროების საბჭოს კოსოვოსადმი მიძღვნილი სხდომის მთავარი თემა მხარეში საერთო სიტუაციის განხილვა უნდა ყოფილიყო. უშიშროების საბჭოს წევრებს შორის გავრცელდა გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწის მოხსენება ედმონ მიულეს მშვიდობისმყოფელი ოპერაციების შესახებ. დოკუმენტი ახდენს იმის კონსტატირებას, რომ ბელგრადისა და კოსოვოს ხელისუფლებებს შორის მოლაპარაკებების განახლებამ დაძაბულობის შერბილება განაპირობა, მაგრამ პროცესის მონაწილეთა წინაშე დადგა სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გამოწვევები. ამგვარი გამოწვევების რიცხვს მიაკუთვნა მომხსენებელმა კოსოვოელი სერბების საცხოვრებელ რაიონებში სიტუაციის დაურეგულირებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ კოსოვოში ამ დრომდე არსებული დაძაბულობის მთავარი მიზეზი კოსოვოელი სერბების მოქმედებები არაა. ის კოსოვოს ხელისუფლების პოლიტიკაში იმალება. ამ ხელისუფლებას სათავეში უდგას „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის“ ყოფილი პოლიტიკური ხელმძღვანელი ჰაშიმ ტაჩი. სერბეთის ხელისუფლებაც, კოსოვოელი სერბებიც „კოსოვოს განმათავი-

სუფლებელ არმიას“ ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევენ, თავად ტაჩის კი — უამრავი დანაშაულის მონაწილედ. მისი სახელი დღევანდელი კოსოვოს სხვა პოლიტიკურ ლიდერებთან ერთად ფიგურირებს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მოხსენებაში, რომელიც „შავ ტრანსპლანტოლოგიას“, ანუ ასობით ადამიანის გატაცებას და მათგან ორგანოების ამოცლას ეხება. იგულისხმებოდა, რომ **ევროკავშირის მისიის ძალებით პრიშტინაში წამოწყებული გამოძიება კოსოვოელი სეპარატისტების დამნაშავეობრივი ქმედებების ყველა პერიპეტიას მოიცავდა.**

მაგრამ ჯერჯერობით ეს არ მომხდარა. საერთაშორისო წარმომადგენლებს პრემიერი ტაჩისგან საკუთარი უფლებამოსილების შეწყვეტაც კი არ მოუთხოვიათ თუნდაც გამოძიების დასრულებამდე. გამომძიებლები კი დაჟინებით ცდილობენ, მთელი პრობლემა 2008 წელს დახურულ პრიშტინას ელიტურ კლინიკა „მედიკუსს“ გადააბრალონ. სწორედ ამ კლინიკაში უნერგავდნენ თირკმელებს მდიდარ ევროპელებსა და ჩრდილოამერიკელებს.

„მედიკუსი“ ალანეთის ჩრდილოეთით მდებარე „ყვითელი სახლი“ არაა, სადაც მსგავსი ოპერაციების კვალს ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში მიაგნეს. შემთხვევითი არაა, რომ საქმის გამოძიებით დაკავებულმა ევროკავშირის პროკურორმა ჯონათან რატელმა განაცხადა: **„არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რომ „მედიკუსის“ საქმესა და კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის ლიდერების წინააღმდეგ გაჟღერებულ ბრალდებებს შორის რაიმე კავშირი არსებობს“.**

არადა, ევროსაბჭოს მომხსენებელმა დიკ მარტიმ ამ კავშირის არსებობის შესახებ ჯერ კიდევ 2010 წლის ბოლოს განაცხადა. გამომძიებლები კვლავაც დაკავებულნი არიან კოსოვოს ყოფილი ჯანდაცვის შეფის — ილირ რეცაეს, ისრაელელი შუამავლის — მოშე ხარელის, თურქი ქირურგის — იუსუფ სონმეზონის, კოსოვოელი ურولოგის — ლიუტფი დერვიშისა და კიდევ სხვათა საქმეების შესწავლით, მაგრამ არა იმ საკვანძო ფიგურებისა, რომელთა ხელშეწყობის გარეშეც „შავი ტრანსპანტოლოგია“ კოსო-

ვოში, უბრალოდ, ვერ იარსებებდა. მსხვერპლთა შორის სერბები პრაქტიკულად არ მოიხსენიებიან.

რუსეთი დაჟინებით მოითხოვს, რომ ადამიანების ორგანოებით უკანონო ვაჭრობის საქმეში კოსოვოს ხელმძღვანელეგის მონაწილეობის შესახებ გამოძიება გაეროს უშიშროების საბჭოს ეგიდით წარიმართოს. ამის შესახებ უშიშროების საბჭოს სხდომაზე გაეროში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა განაცხადა. რუსი დიპლომატის თქმით, **„ფაქტები პირდაპირ მიანიშნებენ ჩადენილ დანაშაულებებში კოსოვოს ზოგიერთი ამჟამინდელი ხელმძღვანელის მონაწილეობაზე“. მაგრამ გამოძიებით დაკავებულია ქვეყნების სწორედ ის ჯგუფი, რომელიც თავის დროზე ამ ადამიანების ხელისუფლებაში მოსვლას უწყობდა ხელს“.** ჩურკინმა გაიხსენა, რომ ამ საქმეში მთავარ როლს ამერიკელები ასრულებდნენ. „რა საოცარი დამთხვევაა! სწორედ ამერიკელები უდგანან სათავეში ახლანდელ გამოძიებას“. საუბარია ამერიკელ პროკურორ ჯონ კლინტ უილიამსონზე. სწორედ მის განკარგულებაში აღმოჩნდა მთელი შეგროვებული მასალა, მათ შორის კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის ხელმძღვანელობის 1998-1999 ომის პერიოდის სამუშაო ჟურნალებიც. ამ ჟურნალებში არის ისეთი ჩანაწერებიც, როგორიცაა: „შეპყრობილია ხანდაზმული სერბი ქალი, ინტერესს არ წარმოადგენს“.

საინტერესოა აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნების გამომძიებლების მიერ მოხმობილი მოწმეების ჩამონათვალიც. მთავარი მათ შორის კანადელი რაულ ფაინია, რომელსაც 2008 წელს პრიშტინას კლინიკა „მედიკუსში“ პირადად ჩაუტარდა ოპერაცია. ბრალდებამ მოახერხა მისი ჩვენების საქმესთან დაკავშირება, იმ უამრავი ადგილობრივი მცხოვრებისაგან განსხვავებით, რომელთაც უკვე განაცხადეს უარი საკუთარ ჩვენებებზე ან სულაც უკვალოდ გაქრნენ. რაულს რომ რაიმე ამდაგვარი არ დაემართოს, უფლება დართეს, კანადიდან ვიდეოკავშირის საშუალებით მიეცა ჩვენება.

© „ღონისძიებები ათასიფაფილი“

კანადელი, რომელსაც თირკმლის სასწრაფოდ გადანერგვა სჭირდებოდა, აცხადებს, რომ მან პირველადი მოლაპარაკებები აწარმოა ისრაელელ შუამავალთან, რომელმაც კლინიკა „მედიკუსის“ ხელმძღვანელობასთან დააკავშირა. თირკმლის გადანერგვის ღირებულება 87 ათასი ევროთი განისაზღვრა. ფაინმა ფული ისრაელელი შუამავლის — მოშე ხარელის ანგარიშზე გადაიხადა და ამის შემდეგ სტამბოლში გადაჯდომით პრიშტინაში ჩაფრინდა. იქ იგი ერთ-ერთმა მთავარმა ბრალდებულმა იუსუფ სონმეზემ გასინჯა. ამის შემდეგ კანადელი მეორე „რეციპიენტთან“, გერმანიის მოქალაქესთან ერთად მოათავსეს კლინიკაში, სადაც ჩაუტარდა კიდეც თირკმლის გადანერგვის ოპერაცია. ამასთან, ბრალდების მტკიცებით, კანადელისა და გერმანელის დონორები დსთ-ს ქვეყნების მკვიდრი ქალები იყვნენ. მასმედიაში გაჟონილი ინფორმაციის თანახმად, ამ ორიდან ერთ-ერთი რუსეთის შორეული აღმოსავლეთის მკვიდრი, ვინმე ანა რუსალენკო იყო. გამოძიების ინფორმაციით, სწორედ მისი თირკმელი გადაუნერგეს კანადელს, მაგრამ დაპირებული 20 ათასი ევრო თირკმლის სანაცვლოდ ანას არ მიუღია.

თანხვედრ ინფორმაციას შეიცავს მეორე საერთაშორისო მოწმის, ნიუ-იორკელი მენეჯერის ჟოზეფ კორალაშ-

ვილის მიერ მიცემული ჩვენება. იგი 2008 წლის ოქტომბერში თან ახლდა კოსოვოში მამას, რომელსაც თირკმლის გადანერგვა ესაჭიროებოდა. ამ მოწმის უსაფრთხოებას უშუალოდ გამოძიების ფედერალური ბიურო უზრუნველყოფს, მაგრამ მისი ჩვენებაც ცალსახად ადასტურებს ევროკავშირის ოფიციალურ ვერსიას. კორალაშვილის თქმით, პრიშტინაში მისი ექვსდღიანი ყოფნისას არც ერთ ადგილობრივ ექიმს საკუთარი სახელი არ გაუმხელია და მას წარმოდგენა არ ჰქონდა მამამისისთვის გადანერგილი თირკმლის წარმომავლობაზე.

ფაინისა და კორალაშვილის ჩვენებები ადასტურებს „შავი ტრანსპლანტოლოგების“ ქმედებათა მაღალი დონის საერთაშორისო კოორდინირებას, მაგრამ საქმეში სიტყვაც არაა ნათქვამი იმ მთავარზე, რომ დამნაშავეობრივ ბიზნესში ჩართული იყო კოსოვოს ხელმძღვანელობა, პრემიერ ხაშიმ ტაჩის მეთაურობით. წარმოუდგენელია, შეუმჩნეველი დარჩეს, რომ გამოძიების საერთაშორისო კურატორები ევროკავშირის წარმომადგენლების სახით ცდილობენ, როგორმე დარტყმა ააცილონ „შავი ტრანსპლანტოლოგიის“ საქმის მთავარ ფიგურანტებს.

ყოფილი იუგოსლავიისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის ყოფილმა მთავარმა პროკურორმა კარლა დელ პონტემ მოაგროვა მასალები, რომლებშიც ნათქვამია, რომ 1990-იანი წლების დასასრულს კოსოვოდან ალბანეთში ასობით სერბი გადაიყვანეს ორგანოების იძულებით ამოკვეთის მიზნით. დასახელებულია ამ ბიზნესთან დაკავშირებული კონკრეტული პირებიც — იმჟამად კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის ხელმძღვანელობა და პირადად ახლანდელი პრემიერი ჰაშიმ ტაჩი.

ევროკავშირის წარმომადგენლებმა ეს მონაცემები ამჟამინდელი გამოძიების ფარგლებს გარეთ დატოვეს და საქმე მტკიცებულებების არქონას კი არა, დასავლეთის სურვილის არქონას ეხება. მათ არ სურთ, საფრთხის ქვეშ დააყენონ კოსოვოს კრიზისის უკვე შექმნილი სურათი, რომელშიც ალბანელებისთვის მსხვერპლთა როლია

განკუთვნილი, სერბებისათვის კი — აგრესორებისა და დამნაშავეების. სწორედ ეს დამახინჯებული რეალობა გახდა ნატოს ავიაციის მიერ იუგოსლავიის დაბომბვის გამართლება 1999 წელს და შემდგომში აშშ-სა და ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისაც. შემთხვევითი არც ისაა, რომ თავად პონტემ თავისი მონაცემები 2000-იანი წლების დასაწყისში კი არა, მხოლოდ 2008 წლის აპრილში გამოაქვეყნა, მას შემდეგ, რაც დასავლეთმა უკვე აღიარა კოსოვოს დამოუკიდებლობა. საშინელი დანაშაულებების შესახებ სიმართლე უფრო ადრე რომ გამხდარიყო ცნობილი, დასავლეთის საზოგადოებას შესაძლოა არც დაეშვა მსგავსი აღიარება. დღესაც ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე გამოძიება ანალოგიურ წინააღმდეგობებს აწყდება, ამიტომაც, სავარაუდოდ, სასამართლო თურქი ექიმისათვის განაჩენის გამოტანით შემოიფარგლება, სერბ მსხვერპლთა შესახებ ყველა ინფორმაცია კი გაქრება.

თავად კარლა დელ პონტემ განაცხადა, რომ გამოძიებას პოლიტიკური ნება არ ჰყოფნის და რომ საერთაშორისო საზოგადოებას არ სურს ამ დანაშაულობათა შესახებ სიმართლის გაგება. ფრანგული ტელეარხის მიერ ახლახან გამოქვეყნებულ დოკუმენტებში ჩანს, რომ გაეროს მაღალჩინოსნებმა ჯერ კიდევ 2003 წელს იცოდნენ „შავი ტრანსპლანტოლოგიის“ შესახებ და მასთან კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის ხელმძღვანელობის კავშირის თაობაზეც.

სერბეთში ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უახლოეს მომავალში ქვეყნის პრეზიდენტი ბორის თადიჩი კოსოვოს პრემიერ ჰაშიმ ტაჩის პირისპირ შეხვდება. ამ უკანასკნელმა რამდენიმე დღის წინ ინტერვიუში განაცხადა, რომ ის და თადიჩი, როგორც ორი ლიდერი, ვალდებულნი არიან, ხელი გაუწოდონ ერთმანეთს. იმის გათვალისწინებით, რომ მარტში სერბეთმა ევროკავშირს პრიშტინასთან ურთიერთობების ნორმალიზაცია უნდა უპატაკოს, ამგვარი ხელის ჩამორთმევა სავსებით შესაძლე-

ბელია. **კოსოვოელი „შავი ტრანსპლანტოლოგების“ დანაშაულისათვის ვიღაც თურქისა და ისრაელელის დასჯა, კოსოვოს ალბანელი ლიდერების დანაშაულის მესამე რანგის ჩინოვნიკების დონემდე დაყვანა, ამავე დროს ტაჩისა და თადიჩის ერთ მაგიდასთან დასმა კოსოვოს საკითხის ის „საბოლოო გადაწყვეტაა“, რომელზეც „ახალი მსოფლიო წესრიგის“ არქიტექტორები ვერც კი იოცნებებდნენ.**

© „ღიასაზოგადოება“

ჰაშიმ მფატრავი

ოთხი წლის წინ კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ეს ფაქტი მაშინვე აღიარა დასავლეთის თითქმის ყველა ქვეყანამ. მას შემდეგ „სახელმწიფო მოღვაწეთა“ წრეში შევიდა მხარის პრემიერ-მინისტრი ჰაშიმ ტაჩი, მეტსახელად „გველი“. საეჭვოა, დედამიწაზე არსებობდეს პოლიტიკოსი, რომელსაც მასზე უფრო შავბნელი წარსული ჰქონდეს. სერბების მკვლელობებსა და ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაში ბრალდება მხოლოდ ნაწილია იმ დანაშაულებრივი ქმედებებისა, რომლებშიც ტაჩი შემჩნეულია, მაგრამ, დასავლეთის ნებით, თანამედროვე ისტორიას ამგვარი „ძაღლიშვილიც“ ქმნის. მხარის სერბული მოსახლეობა მოკლებულია თავის კანონიერ უფლებებს, მათ მიერ ჩატარებული რეფერენდუმები და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქციები „მსოფლიო საზოგადოების“ მხრიდან სრული იგნორირებისთვისაა განწირული.

ჰაშიმ ტაჩი დაიბადა სერბეთის ავტონომიური მხარის სოფელ ბროკნიში. მისი ახალგაზრდობის წლების შესახებ მონაცემები ურთიერთგამომრიცხავი და საპირისპიროა.

ადგილობრივი მცხოვრებნი ყვებიან, რომ ტაჩის სრული საშუალო განათლებაც კი არ მიუღია, სამაგიეროდ, თავი გამოიჩინა ალკოჰოლისადმი მიდრეკილებითა და სიმთვრალეში ჩხუბით. კოსოვოს მიტროვიცას ბაზარში იგი ცალკე გამყიდველებს ძარცვავდა და ცალკე — მყიდველებს. თუ ეს სიმართლეა, მაშინ ბანდფორმირებისა თუ მაფიოზური ჯგუფის ხელმძღვანელის „კარიერისათვის“ სავსებით შესაფერისი დასაწყისი ისახება.

მაგრამ, თუ ოფიციალურ ბიოგრაფიას დავუჯერებთ, ტაჩიმ არა მხოლოდ სკოლა, არამედ მხარის დედაქალაქ პრიშტინაში ისტორიისა და ფილოსოფიის სპეციალობებით უნივერსიტეტიც კი დაამთავრა. ჯერ 20 წლისაც არ იყო, როდესაც ადგილობრივი ალბანელი ნაციონალისტების რიგებში გაერთიანდა. სხვა სტუდენტებთან ერთად მან დააარსა ახალი, „სუფთა ალბანური“ უნივერსიტეტი, რომელმაც უარყო ბელგრადის მიერ დაწესებული ყველა პროგრამა. 1992 წლიდან ტაჩი უკვე ბრწყინავდა არაკანონიერი ფორმირებების საქმიანობაში. ერთი წლის შემდეგ ის იყო გლოგოვეცის დასახლებაში იმ აფეთქების ორგანიზატორთა შორის, რომელსაც სამი პოლიციელის სიცოცხლე ემსხვერპლა.

1993 წელს ტაჩი შვეიცარიაში გადავიდა, თითქოსდა ციურიხის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. ამ მომენტისათვის იქ ცხოვრობდა ალბანელთა მრავალრიცხოვანი დიასპორა, რომელიც კოსოვოს სერბეთისაგან გამოყოფაზე ოცნებობდა. ჩვენი გმირი გაწევრიანდა რადიკალურ მარქსისტულ წრეში „კოსოვოს სახალხო მოძრაობა“, რომლისგანაც მომავალში წარმოიშვა კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია. ტაჩიმ მალე გამოავინა ისეთი თვისებები, რომ მეგობრებმა მეტსახელად „გველი“ შეარქვეს.

ახალ ორგანიზაციაში, რომელიც „დიდი ალბანეთის“ (ალბანეთის, კოსოვოს, მაკედონიის ნაწილის, ჩერნოგორიისა და საბერძნეთის მომცველი) შექმნის იდეით გამოდიოდა, ტაჩი ფინანსებზე, მომზადებასა და შეიარაღებაზე აგებდა პასუხს. ეს ყველაფერი ხდებოდა ალბა-

© „ღვასკამსწრეგნი ათასფაფილ“

ნეთში განლაგებულ სავარჯიშო ბანაკებში. კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის ბოევიკები გადადიოდნენ კოსოვოს ტერიტორიაზე და იქ ახორციელებდნენ დივერსიებს. საიდან ფული? ჯერ კიდევ მაშინ წერდნენ, რომ კოსოვოელ სეპარატისტებს კოსოვო-ალბანური ნარკომაფია აფინანსებდა. როგორც ჩანს, მხოლოდ ის არა...

1990-იანი წლების შუა პერიოდში ტაჩი სერბეთში ერთ-ერთ ყველაზე ძებნილ ადამიანად იქცა. მომავალ პოლიტიკოსს „დრენიცის ჯგუფის“ ხელმძღვანელობა ბრალდებოდა. დივერსიის გარდა, იგი ეჭვმიტანილი იყო ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობაში, ნავთობისა და სიგარეტის კონტრაბანდაში, სუტენიორობაში, მანქანების გატაცებაში. არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ კონკურენტებთან, მათ შორის, ალბანელებთანაც ცერემონიები არ სჩვეოდა. სერბეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, კოსოვოში ჩადენილი ყველა დანაშაულის 15 პროცენტთან „დრენიცის ჯგუფი“ იყო დაკავშირებული. 1997 წელს სერბეთის სასამართლომ ტაჩის 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა და მასზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა, მაგრამ მისი მოძებნა არავის უფიქრია...

1997-98 წლებში კოსოვოში მსხვილმასშტაბიანი გეოპოლიტიკური თამაშები დაიწყო. გარემოებათა დამთხვევით, აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს იმ დროს ეთნიკური ალბანელი ჯორჯ ტენეტი ედგა სათავეში. კოსოვოს განმათავისუფლებელმა არმიამ შეიარაღებული ამბოხი წამოიწყო იუგოსლავიის არმიის წინააღმდეგ მხარის გამოყოფის მოთხოვნით. მათი მომზადების ბანაკებში მიდიოდა ამერიკული, გერმანული და სხვა წარმომავლობის ფული. აშშ-მა და ევროკავშირის წამყვანმა ქვეყნებმა ალბანელი ბოევიკების ღიად მხარდაჭერა დაიწყეს და ბელგრაზე ზეწოლის განხორციელებას შეუდგნენ. ტაჩი საველე მეთაურებს შორის დაწინაურდა. სწორედ ის ჩაუდგა სათავეში კოსოვოელი ალბანელების დელეგაციას იუგოსლავიის ხელისუფლებასთან საფრანგეთში გამართული მოლაპარაკებებისას, 1999 წლის დასაწყისში.

კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის საბრძოლო წარმატებები საეჭვო იყო — 1999 წლის მარტში იუგოსლავიის არმია საკმაოდ მტკიცედ აკონტროლებდა კოსოვოს. მსუბუქად რომ ვთქვათ, ტაჩისგან სარდალი ვერ გამოვიდა. მის დამსახურებად ერთადერთი ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ მან პრაქტიკულად მთლიანად გაანადგურა კოსოვო-ალბანელი ისლამისტები. მარქსისტ ტაჩის მუდამ უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა ისლამისტებთან.

ასე რომ, კოსოვოელი ალბანელების მოძრაობას რელიგიური ხასიათი არ ჰქონდა, მაგრამ დარბეული სერბული ტაძრებისათვის ეს ნუგეშად ვერ გამოდგება.

კოსოვოში მდგომარეობის მბრძანებლად ტაჩიმ თავი 1999 წელს იგრძნო. ნატოს მიერ იუგოსლავიის დაბომბვის შედეგად სერბი პოლიციელები და ჯარისკაცები მხარიდან წავიდნენ. კოსოვო ფორმალურად საერთაშორისო კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა, მაგრამ სინამდვილეში მას აშშ-ისა და ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების მხრიდან ზურგგამაგრებული ალბანელები ხელმძღვანელობდნენ. რაც ამის შემდეგ მოხდა, იმის შეხსენება არავის სჭირდება. ათასობით სერბი და სხვა არაალბანელი დახოცეს, ასობით ათასი გაიქცა. ის, რომ ამ საქმესთან საველე მეთაური ტაჩიც იყო დაკავშირებული, ყველასათვის კარგად ცნობილი საიდუმლოა.

ამავე დროს ტაჩი 1999 წლიდან ნელ-ნელა ითვისებდა პოლიტიკოსის როლს. მან დაშალა კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია, შექმნა კოსოვოს დემოკრატიული პროგრესის პარტია, რომელსაც შემდეგ კოსოვოს დემოკრატიული პარტია უწოდეს. ტაჩიმ თავად დაინიშნა თავი მხარის პრემიერად, შემდეგ კი რამდენიმე თვე იყო დაკავებული ხელისუფლების დანაწილებით ალბანური კოსოვოს პირველი პრეზიდენტის იბრაგიმ რუგოვას მომხრეებთან ერთად. ბოლოს და ბოლოს, დასავლეთის შუამავლობით კოსოვოელი ალბანელების ლიდერები შეთანხმდნენ და ტაჩიმ უფლებამოსილება მოიხსნა.

საპარლამენტო არჩევნებზე 2001 და 2004 წლებში ტაჩის პარტიამ ორჯერ დაიკავა მეორე ადგილი და პირველობა გაცილებით უფრო ზომიერ რუგოვას მომხრეებს დაუთმო. მიუხედავად ამისა, „გველი“ ხელისუფლებაზე პრეტენზიებს არ მალავდა. პირველი მარცხის შემდეგ ის კიდევ დიდხანს ითხოვდა პრემიერის პოსტს, შედეგად კი თავისი პროტეჟე ბაირამ რეჟეპის დანიშვნით დაკმაყოფილდა. შემდეგ კი შექმნა „ჩრდილოვანი ხელისუფლება“. საბოლოოდ 2007 წლის შემოდგომაზე კოსოვოს დემოკრატიულმა პარტიამ გამარჯვება მოიპოვა, ტაჩისაც ეღირსა მთავრობის სათავეში დგომა. მისი პროგრამის საფუძვლად იქცა მხარის დამოუკიდებლობის დაუყოვნებელი გამოცხადება, რაც მოხდა კიდეც 2008 წლის 17 თებერვალს.

მიუხედავად იმისა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, საეჭვო საკითხია, გაეროს წევრების უმრავლესობა არ აღიარებს სერბეთისაგან მის გამოყოფას, ფაქტობრივად, მხარეს (აშშ-ის, ევროკავშირისა და ნატოს მფარველობით) სწორედ ტაჩი ხელმძღვანელობს. ოთხი წლის მანძილზე მან მოასწრო, კიდევ ერთხელ მოეგო საპარლამენტო არჩევნები და შეენარჩუნებინა თანამდებობა. მას იღებენ ვაშინგტონის, ბრიუსელის, ბერლინისა და სხვა დასავლური დედაქალაქების სახელისუფლო კაბინეტებში. დასავლეთს სულაც არ აშფოთებს, რომ ამ ადამიანს კაცობრიობის წინაშე ჩადენილ უსასტიკეს დანაშაულებში სდებენ ბრალს.

ტაჩის კრიმინალურ წარსულსა და აწმყოზე, დიდი ხანია, იწერება. ჯერ კიდევ 1999 წელს ამერიკულმა გაზეთმა „The New York Times“-მა „გველი“ თავისი მოწინააღმდეგეების მკვლელობაში დაადანაშაულა. 2005 წელს შვეიცარულმა გამოცემამ „Weltwoche“-მ გამოაქვეყნა გერმანული სადაზვერვო სამსახურის მოხსენებიდან ამონარიდები. მასში ტაჩის ღიად უწოდებდნენ ერთ-ერთ მთავარ დამაკავშირებელს პოლიტიკასა და ორგანიზებულ დანაშაულს შორის. სამი წლის შემდეგ კი გამოვიდა ჰაგის ტრიბუნალის ყოფილი პროკურორის, კარლა დელ

პონტეს წიგნი სახელწოდებით „ნადირობა“, რომელშიც მოთხრობილი იყო ისტორია, რომლის თანახმადაც ტაჩი არაფრით განსხვავდება აფრიკელი კაციჭამიებისაგან.

მისი მონაცემებით, 1999 წელს კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის ბოევიკებმა დაახლოებით 300 სერბი და არაალბანელი გაიტაცეს და ალბანეთში გადაიყვანეს. სუსტები და ავადმყოფები მაშინვე დახოცეს, ჯანმრთელებსა და ძლიერებს კი ჯერ საქონელივით კვებავდნენ, შემდეგ კი იატაკქვეშა საოპერაციოებში აგზავნიდნენ. იქ ქირურგები (არამხოლოდ ალბანელები) მათ გულსა და თირკმელებს აცლიდნენ. ამის შემდეგ ორგანოებს ევროპაში, ისრაელსა და თურქეთში აგზავნიდნენ, **თავად ტაჩი ტყვეებს არ აწამებდა, მაგრამ ორგანოების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის 80%-ს იჯიბავდა.** მიუხედავად ამისა, ჰააგის ტრიბუნალმა გადაწყვიტა, არაფერი გამოეძია. როგორც დელ პონტე წერს, მოსამართლეებმა „გველის“ საწინააღმდეგო 400-მდე სამხილის განადგურება ბრძანეს.

2010 წლის დასასრულს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის შვეიცარიელმა დეპუტატმა დიკ მარტიმ თავისი მოხსენება გამოაქვეყნა. მასში ნათქვამი იყო, რომ ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დასავლეთის ქვეყნების ლიდერების მაგიდებზე ეწყო მოხსენებები, რომლებშიც საუბარი იყო ადამიანების გატაცებასთან ტაჩის კავშირზე, ორგანოებით ვაჭრობასა და შეკვეთილ მკვლელობებზე. ეს ინფორმაცია არავინ „შენიშნა“.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ინიციატივით, დაიწყო გამოძიება. გაირკვა, რომ კოსოვოში ორგანოებით ვაჭრობა 2008 წელს დაიწყო. ხელისუფლების მფარველობით მოღვაწე კლინიკა „მედიკუსი“ დონორებს იზიდავდა, ორგანოებს აჭრიდა და ფულს არ უხდიდა. ამ პერიოდში კი კოსოვოს მთავრობას ტაჩი ედგა სათავეში.

ყველაფერი შერჩა.

ჰაშიმ ტაჩი „ჩვენიანი ძაღლიშვილის“ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია. სერბეთისგან კოსოვოს მოწყვეტის სანაცვლოდ, აშშ-მა და ევროკავშირის წამყვანმა ქვეყნებ-

© „ღამისფრთიანი ანგელოზი“

მა მას კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული აპატიეს. თუ ლიბერიის კაციჭამია დიქტატორი ტეილორი ჰაგის ტრიბუნალმა გაასამართლა, ტაჩის ეს სასამართლო ვეღარ შესწვდა. ეს ადამიანი ახლა ლამის უმთავრესი პოლიტიკური ფიგურაა ბალკანეთის პოლიტიკაში. ცხადია, არ ითვლებიან ისინი, ვინც ამ პოლიტიკური მოღვაწის, ბოევიკის, ბანდიტისა და მფატრავის უკან დგანან.

კოსოვო – ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა ამერიკის მხარდაჭერით

ჰაშიმ ტაჩი და
მადლენ ოლბრაიტი

როდის გავიგებთ ამერიკელები, რომ კოსოვოს საკითხში აშშ-ის ჩარევა თავიდანვე ტყუილს ეფუძნებოდა? კოსოვოს შესახებ საყოველთაოდ მიღებული შეხედულება შემდეგნაირი იყო: ეს წარმატების დიადი ისტორიაა. ამ ისტორიას სათაურიც შესაბამისი ჰქონდა: აშშ და მისი ნატოელი მოკავშირეები დიდსულოვნად გამოესარჩლნენ კოსოვოს, გამძვინვარებული სერბების გენოციდი რომ შეეჩერებინათ. სინამდვილეში კი ყველაფერი სულ სხვაგვარად იყო. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ძალით აიძულა გაჯიუტებული ნატოელი მოკავშირეები, დახმარება გაეწიათ მუსლიმანური მაფიისთვის, რომელიც ქრისტიანი სერბების წინააღმდეგ გენოციდს ახორციელებდა.

© „ადამიანის უფლებები“

და აი, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა გამომძიებელი დიკ მარტი სცენაზე გამოდის და მომაკვდინებელ ბრალდებებს აყენებს. **თურმე ჰაშიმ ტაჩი (იგივე „გველი“), რომელიც ახლა თავს პრიშტინის უკანონო სეპარატისტული ადმინისტრაციის პრემიერ-მინისტრად ასაღებს, სათავეში უდგას მაფიოზურ დაჯგუფებას, რომლის წევრებიც კლავდნენ ტყვეებს, ძირითადად, სერბებს და მათ ორგანოებს შავ ბაზარზე ყიდდნენ.** მაგრამ საკმარისი იქნება ეს სულის გამყინავი გამოაშკარავება იმისთვის, რომ იმ „ჰუმანიტარული“ ინტერვენციის გამართლება გადაისინჯოს, რომლის არსებობაც ამერიკელთა უმეტესობას, უკვე დიდი ხანია, დაავიწყდა? შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, მაგრამ გადახედა კი ვინმემ საკუთარ შეხედულებებს მას შემდეგ, რაც მუსლიმანთა მხრიდან ფორტ დიკსის სამხედრო ბაზაზე თავდასხმის გეგმის თაობაზე გახდა ცნობილი? არავინ! ახლა კი ორგანოებით ვაჭრობის ისტორია გამოჩნდა. **უნდა გავიხსენოთ, რომ პირველად ადამიანთა ორგანოებით ვაჭრობის შესახებ ამბავი ჯერ კიდევ ორი წლის წინათ გახმაურდა. მაგრამ იმ თავხედური ობსტრუქციების შემდეგ, რომლებიც პრიშტინისა და ტირანის „ხელისუფლებებმა“, ცხადია, ვაშინგტონის სრული მხარდაჭერით მოაწყვეს, ნებისმიერი ხმაური ჩაიხშობოდა.**

მარტიმ თავისი მოხსენება სწორედ იმ მომენტში გამოაქვეყნა, როდესაც ტაჩი კოსოვოში რამდენიმე დღის წინათ ჩატარებულ არჩევნებში საკუთარი გამარჯვების შესახებ აცხადებდა. ეს დამთხვევა კი იმას ადასტურებს, რომ **ევროპაში ვიღაცას უფსკრულისკენ მიმავალი მატარებლიდან გადახტომა სურს.**

მაგრამ ამერიკელთათვის საკითხი სულ სხვაგვარად დგას: **რამდენად საზარელი უნდა იყოს ფაქტები, რომ ბოლოს და ბოლოს კულისებს მიღმა შეხედვა ვისწავლოთ და შევეცადოთ, გავიგოთ, რის დამალვას ცდილობს ესოდენი თავგანწირვით ჩვენი სახელმწიფო?**

იმ ავბედითი პარტიული ახლომხედველობის წყალო-

ბით, რომელიც შავი ჭირივითაა მოდებული ამერიკულ პოლიტიკაში, რომელიმე კონსერვატორმა, შესაძლოა, ცდუნებას ვერ გაუძლოს, ყველაფერი ბილ კლინტონს გადააბრალოს და ისევე დატოვოს, როგორც არის. ცხადია, მაშინ, 1999 წელს, როდესაც ნატომ კოსოვოში თავისი ჯარი შეიყვანა, ეს მართლაც „კლინტონის პრობლემა“ იყო. უნდა დავუფასოთ ღვაწლი იმ რესპუბლიკელ კონგრესმენებს, რომლებმაც ომის წინააღმდეგ მისცეს ხმა. **მაგრამ ჩვენმა შეუპოვარმა „ბალკანელმა სარდალმა“ ეს ომი მაინც დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენელთა პალატამ ძალის გამოუყენებლობას დაუჭირა მხარი. მართალია, რესპუბლიკელთა უმეტესობამ „არა“ თქვა, ნეოკონსერვატორულმა ისტებლიშმენტმა იმ ტალღის აგორება დაიწყო, რომელიც კლინტონისეული თეთრი სახლის მხარდაჭერას განაპირობებდა. სამწუხაროდ, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკაში სწორედ ნეოკონსერვატორები ჭარბობდნენ და 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ მათ მთელი ძალით დაიწყეს მუსლიმანთა შორის მეგობრების ძებნა. ამიტომ ბუშის პოლიტიკა კოსოვოში უფრო მეტად კლინტონური იყო, ვიდრე თავად კლინტონის დროს.**

ამან კი საერთაშორისო სამართლისა და ნაციონალური სუვერენიტეტის აბსოლუტურად ყველა ნორმის დარღვევით კოსოვოს დამოუკიდებლობის იდეის ძალით თავსმოხვევა განაპირობა.

რას უპირებს ვაშინგტონი „ჩვენს ბიჭს“ — ტაჩის? მოძებნეთ ინტერნეტში მისი სახელი, გვერდით მიუწერეთ ნებისმიერი ამერიკელი ხელმძღვანელი პირის სახელი ნებისმიერი პარტიიდან და დარწმუნდებით, რომ **მას ენერგიულად ართმევდნენ ხელს, ხშირად კი მეგობრულადაც იხუტებდნენ გულში ამერიკული ისტებლიშმენტის სიის „ვინ ვინაა“ უკლებლივ ყველა წევრი — ჯორჯ ბუშიც, კონდი რაისიც, ბილ გეიტსიც, ორივე კლინტონიც, ჯოზეფ ბაიდენიც, მადლენ ოლბრაიტიც, გენერალი უესლი კლარკიც.** კარგი იქნებოდა, მათგან ერთმა მაინც, თუნდაც კეთილისმ-

© „ღონისძიების ორგანიზაციები“

ჰაშიმ ტაჩი და ჯო ბაიდენი

ყოფელი ორპირობით, განაცხადოს, რომ არაფერი იცოდა, თორემ არასდროს დაუჭერდა მხარს ამ ადამიანებს.

თუმცა საქმე ისაა, რომ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის შავბნელი ისტორიის გარეშეც ამერიკის ხელისუფლებამ თავიდანვე მშვენივრად უწყოდა, რომ „ტაჩი და კომპანია“ (იგივე კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია) **კაციჭამიების ბანდა გახლდათ.**

ამის თაობაზე ჩვენი მოკავშირეების სადაზვერვო სამსახურებსაც აღარაფერი ახსოვთ. პრობლემა მხოლოდ ტაჩიც არაა; თუ მისი მოშორება გახდება საჭირო, მოიშორებენ. უნდა ვიცოდეთ, რომ უკვე არსებობს „გეგმა ბ“, რომლის თანახმადაც მის ადგილას ტაჩიზე არანაკლებ ამაზრზენ მისსავე რომელიმე კოლეგას დააყენებენ. **მათ (ჩვენმა ხელისუფლებამ) იცოდნენ, რომ კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია არის ბანდა, რომელიც მთელს ევროპაში ნარკოტიკებით, მონებითა და იარაღით ვაჭრობს. მათ იცოდნენ, რომ კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიას მხარს უჭერს უსამა ბენ ლადენი, რომელსაც ტაჩი 1998 წელს პი-**

რადად შეხვდა კოსოვოში ჯიჰადის დასაგეგმად. ამის თაობაზე ალბანეთის დაზვერვის ყოფილი მეთაური საუბრობდა. კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიას მხარს უჭერდნენ ირანელები, საუდელები, თურქები და სამართლისა და წესიერების უკლებლივ ყველა ნორმის დარღვევით — ჩვენც.

ახლა რა იქნება? მოვგროვდებით, შემოვირტყამთ თავდაცვის წრეს და ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი გაივლის, შემდეგ კი კვლავ განვაგრძობთ მთელი მსოფლიოსთვის ხელების გადაგრეხას, რომ მან მხარი დაუჭიროს უკანონო სეპარატისტულ ტერორისტულ წარმონაქმნს სახელად კოსოვო.

რაც შეეხება სერბეთს, ბელგრადში რომ წესიერი ხელისუფლება ყოფილიყო და არა მოღალატეების გროვა, ის, უბრალოდ, არ დაიწყებდა მზადებას ტაჩის „ხელისუფლების“ წარმომადგენლებთან შეხვედრისა და პირდაპირი მოლაპარაკებებისთვის. ბელგრადმა კი, გაურიგდა რა თავის ამერიკელ და ევროპელ მომხრეებს და სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის კოლაბორაციონისტებს, კოსოვოს ფიასკოში საკუთარი „წვლილი“ შეიტანა და დევნის ეპისკოპოს არტემიას, რომელიც ჯერ კიდევ პრეზიდენტ ბუშს მოუწოდებდა, არ შეხვედროდა ტაჩის და ადამიანთა ორგანოებით ვაჭრობის გამო მისი პასუხისგებაში მიცემისკენ მოუწოდებდა.

ტაჩის დაპატიმრება კარგი იქნებოდა, მაგრამ ეს არ კმარა. **დროა, გამოაშკარავდეს მთელი ის ტყუილი, რომელზეც ჩვენი ბალკანური პოლიტიკა დგას; დროა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვას ისლამური ჯიჰადის მხარდაჭერის თავს მოხვევაზე, რასაც ძირძველი ქრისტიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ახორციელებს, და შეწყვიტოს კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის რეჟიმის ინტერესთა დამანგრეველი და აბსურდული ლობირება.**

თუ მარტის მოხსენება ადამიანთა ორგანოებით ვაჭრობის თაობაზე კატალიზატორად იქცევა და ამერიკული პოლიტიკის პატიოსნად გადასინჯვას განაპირობებს, კოსოვოს მსხვერპლი ამაოდ არ ჩაივლის.

«საკაიფო» დემოკრატია, ანუ «ჰეროინის რესპუბლიკა» კოსოვო

2012 წლის 19 თებერვალს პრიშტინაში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე უილიამ ბერნსი კოსოვოს პრეზიდენტ ატიფეტა იახიაგას და პრემიერ-მინისტრ ჰაშიმ ტაჩის შეხვდა. ბერნსმა კატეგორიულად განაცხადა, რომ „აშშ მხარს არ დაუჭერს ნებისმიერ ქმედებას, რამაც, შესაძლოა, კოსოვოს დამოუკიდებლობას ავნოს“. ამის შემდეგ ამერიკელმა დიპლომატმა ხაზი გაუსვა, რომ ვაშინგტონი დაინტერესებულია პრიშტინისა და იუგოსლავიის ნამსხვრევებზე გაჩენილი სხვა ახლადგამომცხვარი დემოკრატიების შემდგომი „ევროპული ინტეგრაციით“. თავად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, რომლებმაც „დამოუკიდებელი კოსოვოს“ შექმნას შეუწყვეს ხელი, რეგულარულად მჟღავნდება ცალსახად არასასურველი ფაქტები „ახალი დემოკრატიის“ შესახებ. ორგანიზებული დანაშაულისა და

ნარკობიზნესის პრობლემებზე მომუშავე მრავალი ექსპერტი გახსნილად უწოდებს კოსოვოს „ჰეროინის რესპუბლიკას“.

კოსოვოს ნარკომაფიას აშშ-ის სამართალდამცავი ორგანოები აბსოლუტურად უშედეგოდ ებრძვიან, უკვე 20 წელზე მეტია. 2011 წლის 27 ნოემბერს გამოძიების ფედერალური ბიუროს ორგანიზებულ დანაშაულთან და ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოს დირექტორის თანაშემწე კრის სვეკერი CNN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში იძულებული გახდა, ეღიარებინა: „კოსოვოელი ალბანელების დამნაშავეობრივი დაჯგუფებები, რომლებიც უპირატესად ნიუ იორკსა და აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროს სხვა მეგაპოლისებში მოქმედებენ, წარმოადგენენ ყველაზე სერიოზულ გამოწვევას ფედერალური აგენტებისათვის ამ ბანდების მიერ ჩადენილ დანაშაულებათა განსაკუთრებული სისასტიკის გამო“.

კოსოვოს მაფიის ამ მახასიათებელს — განსაკუთრებულ საფრთხესა და განსაკუთრებულ სისასტიკეს — ამერიკელი წესრიგის მცველნი ჯერ კიდევ 1990-იან წლებში შეეჯახნენ.

1996 წელს აშშ-ის ნაციონალურმა ანტინარკოტიკულმა სადაზვერვო კომიტეტმა (NNICC) გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კოსოვოელმა ალბანელებმა საკუთარი კონტროლი დაამყარეს ეგრეთ წოდებულ ბალკანურ მარშრუტზე. **„ჰეროინი „ოქროს ნახევარმთვარიდან“ გადააქვთ ევროპაში, საიდანაც „ბალკანური მარშრუტის“ სახელით ცნობილი კონტინენტური და საზღვაო გზების კომბინაციით მისი უდიდესი ნაწილი აშშ-ში ხვდება**, — ეწერა დოკუმენტში. — „ბალკანური მარშრუტის“ ნარკოტრაფიკი მოიცავს საბერძნეთს, ბულგარეთს, ყოფილ იუგოსლავიას, რუმინეთს, ჩეხეთს, უნგრეთს, ავსტრიას, გერმანიასა და იტალიას. იტალიიდან ჰეროინი საზღვაო გზით მიეწოდება დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს“.

მოხსენების ავტორთა შეფასებებით, კოსოვო უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო, რომლის გავლითაც მოძრაობდა მთელი ნარკოტრაფიკის 76%. აღინიშნებოდა კიდევ

ერთი საგულისხმო ფაქტი: კოსოვოელი ნარკობარონების ურთიერთქმედება ტერორისტულ ორგანიზაცია „ქურთისტანის მუშათა პარტიასთან“, რომელიც ნარკოტიკებით ვაჭრობის ხარჯზე ღებულობდა იარაღის შესაძენ ფულსა და თურქეთის ტერიტორიაზე ტერაქტების მოწყობის დაფინანსებას. რამდენიმე წლის შემდეგ ქურთი სეპარატისტების მიერ დამუშავებული ეს ტექნოლოგია კოსოვოს მაფიამ საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად მოირგო.

90-იანი წლების დასასრულს ევროკავშირის ხელისუფლება, როგორც იქნა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უნდა მიეღო დაგვიანებული ზომები კოსოვოს მაფიოზური კლანების ნარკოექსპანსიის საწინააღმდეგოდ.

1998 წლის 16 ივნისს 58 კოსოვოელი ალბანელი მადრიდსა და ბარსელონაში ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობისათვის, ძარცვისა და გამომძალველობისათვის დააკავეს.

1998 წლის 15 ოქტომბერს ინტერპოლმა იტალიის, გერმანიის, ესპანეთისა და ნორვეგიის პოლიციებთან ურთიერთქმედებით ჩაატარა კოორდინირებული სპეცოპერაცია, რომლის შედეგადაც გისოსებს მიღმა აღმოჩნდა ნარკობარონი გაში აგიმი და 124 სხვა კოსოვოელი ბანდიტი.

1999 წლის 13 იანვარს მილანში კარაბინერებმა მასობრივი წმენდა განახორციელეს და 60-ზე მეტი კოსოვოელი დააკავეს. ამასთან, იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა დიეგო მასიმ განაცხადა, რომ „ალბანური მაფიის მოქმედება ქვეყანაში სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს“. ადამიანი იფიქრებდა, რომ კიდევ 5-6 ასეთი სპეცოპერაცია და კოსოვოს რვაფეხას კისერს მოუგრეხდნენ, მაგრამ...

1999 წელს დიდი პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე მოულოდნელად გამოჩნდა „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია“. მის ჭეშმარიტად ჰუმანურ მიზნებს — მილოშევიჩის ტოტალურ რეჟიმთან ბრძოლას, კოსოვოს ტერიტორიაზე დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას — უდიდესი მხარდაჭერით შეხვდნენ აშშ-ისა და

ევროკავშირის მთელი რიგი ქვეყნების უმაღლეს პოლიტიკურ დონეებზე, მაგრამ ეს მხარდაჭერა ძირითადად მორალური იყო, რამაც კოსოვოელი მებრძოლები თავიანთი სამხედრო ოპერაციების განსახორციელებლად შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის მოძებნის პრობლემის წინაშე დააყენა. მაგრამ როგორც კი ალბანელმა სეპარატისტებმა ფინანსური საკითხების მოგვარებაზე ზრუნვა დაიწყეს, უმალ აღმოჩნდნენ დასავლური პრესის მამხილებელი ცეცხლის პირისპირ.

1999 წლის 26 მაისს ამერიკულმა გავლენიანმა გამოცემამ „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა სტეისი სალივანის ჟურნალისტური გამოძიება, რომელშიც საუბარი იყო აშშ-ში ალბანური დიასპორის კავშირზე „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის“ შავი ფულის გათეთრებისა და კოსოვოში იარაღის კონტრაბანდის საქმეებთან. მთავარი ფიგურანტი იყო ვიღაც ადრიან კრასნიკი, „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის“ საველე მეთაური, რომელიც ნიუ იორკში დაფუძნდა. ათი წლის შემდეგ ეს სახელი კიდევ ერთხელ გამოჩნდა აშშ-ის წამყვანი გაზეთების ფურცლებზე „კრასნიკის მაფიოზურ კლანად“ წოდებულ გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით. ამ კლანის 30-ზე მეტი წევრი ნიუ იორკში ნარკოტიკებით ვაჭრობის, რეკეტისა და შეკვეთილი მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. ჟურნალისტებმა გაცილებით სერიოზული ფაქტებიც აღმოაჩინეს:

„ალბანელმა სეპარატისტებმა სერბულ პროვინცია კოსოვოში შექმნეს ჰეროინით ვაჭრობის მასშტაბური ქსელი, რომელიც მოიცავს პაკისტანის ოპიუმის პლანტაციებს და შვეიცარიაში იარაღის შავ ბაზარს. აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში ნარკოტრაფიკით ისინი წელიწადში დაახლოებით ორ მილიარდ დოლარს შოულობენ“.

წრე შეიკრა, პრიშტინადან „როიტერის“ ინფორმაციის შემდეგ: „სერბეთის განმათავისუფლებელი არმია კადრებს თავისი მხარდამჭერი დამნაშავეობრივი დაჯგუფებებიდან არჩევს“.

ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. თანდათან ამო-

© „ღამისფრთიანები“

ტივტივდა „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის“ საველე მეთაურების კონტაქტები დასავლეთის სპეცსამსახურებთან. მაგალითად, განს-იორგ გეიგერი, რომელიც გერმანიის უშიშროების სამსახურის დირექტორად დაინიშნა, 1996 წელს პირდაპირ კავშირში იყო ალბანელ სეპარატისტებთან. მისი ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ტირანში უშიშროების სამსახურის მძლავრი რეზიდენტურის შექმნა იყო. სამსახურის აგენტები მონაწილეობდნენ „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიისათვის“ ბოევიკების გადაბირებაში ალბანეთის ტერიტორიაზეც და კოსოვოელ დიასპორას შორისაც იტალიურ ქალაქებში — ტირესტსა და ბარიში. ბუნდესვერის სპეციალური ძალების სარდლობა დაკავებული იყო „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიისათვის“ ბოევიკების გაწვრთნით, მათთვის უნიფორმებისა და საბრძოლო აღჭურვილობის მიწოდებით. ამერიკულ პრესაში ცსს-ს გამოსააშკარავებელი მსგავსი სტატიების გაჩენის შემდეგ აშშ-ის კონგრესი იძულებული გახდა, ოფიციალური გამოძიება დაეწყო.

პარალელურად კოსოვოში მოვლენები თავისი გზით ვითარდებოდა და 2008 წლის თებერვალში მსოფლიოს რუკაზე ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოჩენამ დაადასტურა, რომ კოსოვოს მაფიასა და მასთან დაკავშირებულ საველე მეთაურებს ყველაფერი შერჩათ. ამის შემდეგ **კოსოვოელი ალბანელების ორგანიზებული დამნაშავეობრივი ჯგუფი, ფაქტობრივად,**

ლეგალური გახდა კოსოვოში, ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში კი დამნაშავეთა სამყაროს ლიდერობა მოიპოვა.

სხვადასხვა შეფასებით, **ალბანური მაფია აკონტროლებს დასავლეთ ევროპის ნარკობაზარზე გატანილი ჰეროინის 75%-ს და აშშ-ში გაყიდული მთელი ჰეროინის დაახლოებით ნახევარს. ალბანური ნარკოკარტელი „კამილა“ მსოფლიოს ხუთ უძლიერეს ნარკოკარტელს შორისაა.**

ევროპისათვის ჰეროინის მიწოდებაზე პასუხისმგებელია დაახლოებით 30 ნარკოკლანი, რომელთგან ყოველი ნარკოტრაფიკის „საკუთარ“ მონაკვეთს აკონტროლებს. ამ მაგისტრალის ერთ-ერთი საკვანძო რგოლი „დრენიცკის მონაკვეთია“, რომელიც პრიზრენს, კლინს, ისტოკს მოიცავს და კოსოვოს ჩერნოგორიესა და მაკედონიასთან აკავშირებს. „დრენიცკის დაჯგუფების“ შემოსავლების მთავარი წყაროებია არა მხოლოდ ჰეროინით, არამედ იარაღით, მოპარული ავტომანქანებით, სიგარეტითა და ალკოჰოლით უკანონო ვაჭრობა. ასევე ადამიანებით ვაჭრობაც.

იტალიისა და შვეიცარიის საზღვარზეც ნარკოტრაფიკს კოსოვოელი ალბანელები აკონტროლებენ. მათ მნიშვნელოვან დასაყრდენ პუნქტს ევროპაში შვეიცარია წარმოადგენს. იარაღით ვაჭრობის ცენტრები ბერნსა და ბაზელშია განლაგებული.

შვედეთსა და ნორვეგიაში კოსოვოელი ალბანელები ნარკოვაჭრობის 80%-ს აკონტროლებენ, ისინი არიან მთავარი დისტრიბუტორები საბერძნეთის კოკაინის, ჰეროინისა და მარიხუანის ბაზრებზე. ბერძნულ ტრანსფერს ალბანელები იყენებენ მიგრანტი ალბანელებისა და იმ არალეგალების გადასაყვანად თურქეთიდან, პაკისტანიდან, შრი-ლანკადან, ჩინეთიდან, რომლებიც ასევე კურიერები არიან ნარკოტიკების მიწოდების საქმეში. ანალოგიურ დერეფანს წარმოადგენს ადრიატიკის ზღვაც, რომელიც იტალიისა და ალბანეთის სანაპიროებს აერთიანებს.

სლოვაკეთის პოლიციის მონაცემებით, ავღანური ჰეროინის თითქმის 100% ქვეყანაში „ბალკანური ტრაფიკით“, კოსოვოს გავლით ჩადის. ბოლო დროს ალბანელებმა რუმინეთის პორტებს დაადგეს თვალი. ასე რომ, კოსოვო ნამდვილი „ჰეროინის რესპუბლიკაა“.

2009 წელს პოპულარულმა გამოცემამ „ლონდონ დეილი ნიუსმა“ ჩაატარა ჟურნალისტური გამოძიება, რომლის შედეგადაც გაირკვა, რომ ბრიტანეთის დედაქალაქის მთელი რაიონები უკვე აღარ შედის ქვეყნის კანონმდებლობის იურისდიქციაში. იქ კანონებს ორგანიზებული დამნაშავეობრივი დაჯგუფებები და რადიკალი ისლამისტები ამყარებენ, ამ „პარალელურ სამყაროში“ მთავარ ძალას კოსოვოელი ალბანელები წარმოადგენენ.

მაგრამ კოსოვოელ ბანდიტებს შორის ყველაზე ამაზრზენი და შემზარავი დანაშაულით თავად მხარის პრემიერ-მინისტრმა ჰაშიმ ტაჩიმ გაითქვა სახელი — 90-იან წლებში იგი სათავეში ედგა დამნაშავეობრივ დაჯგუფებას, რომელიც დაკავებული იყო ადამიანთა გატაცებებით, ადამიანთა ორგანოებით ვაჭრობითა და შეკვეთილი მკვლელობებით. ისტორია დასრულდა იმის დემონსტრირებით, თუ რა მძლავრი მფარველი ჰყავს „ჰეროინის დემოკრატიას“, მიუხედავად ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მხრიდან საერთაშორისო გამოძიებიის მოთხოვნისა, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობისათვის ტაჩი არავის დაუსჯია.

კოსოვოელ კაციჭამიებთან დაკავშირებით დასავლურმა სპეცსამსახურებმა და მათმა მფარველებმა მსოფლიო პოლიტიკის უმაღლესი ეშელონებიდან იგივე შეცდომა დაუშვეს, რაც თავის დროზე თალიბებთან გეოპოლიტიკური თამაშისას. პრიშტინელი მაფიოზები კონტროლს აღარ ექვემდებარებიან და იმ ხელს კბენენ, რომელიც აჭმევთ.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ კოსოვოელი მაფიოზების მფარველებმა სპეცსამსახურებში არაფერი იცოდნენ მათი კავშირების შესახებ ისლამურ ტერორისტულ ორგანიზაციებთან. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა „კოსოვოს განმათავი-

სუფლებელი არმია“ 2000 წელს ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიტანა და მიანიშნა, რომ ის დაფინანსებას იღებს ჰეროინით საერთაშორისო ვაჭრობის გზით, ასევე ისლამური ქვეყნებისა და კერძო პირების, მათ შორის უსამა ბენ ლადენისაგან. მაგრამ პოლიტიკაში ორმაგი სტანდარტები ხანდახან საღ აზრზე მაღლა დგას, რის წყალობითაც აფართოებენ კიდეც საკუთარ „ბიზნესს“ კრიმინალური ელემენტები. ასე ააწყო ურთიერთობები კოსოვოს ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფმა თალიბანთან, რომლის განკარგულებაშიცაა ოპიუმის ყაყაჩოს მსოფლიოში უდიდესი პლანტაციები. შედეგად **ექსპერტები აცხადებენ, რომ კოსოვოში შეიქმნა ნარკოტიკების წარმოების ინდუსტრია, ეთნიკური ალბანელები კი ავღანური ნარკოტიკებით მთელ ევროპულ და ჩრდილოამერიკულ ბაზრებს ამარაგებენ.**

თავისთავად ნარკოტიკები ყველაზე ეფექტური საშუალებაა „ურწმუნოთა“ ცივილიზაციების შიგნიდან დასანგრევად. კოსოვოს ნარკოდოლარების დაბანდება დაიწყეს მსოფლიო ჯიჰადის მზადების საქმეში.

თუმცა, მიუხედავად ამდენი თვალსაჩინო ფაქტისა, „ჰეროინის რესპუბლიკა“ კვლავაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პატრონაჟის ქვეშ რჩება. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა გრძელდება.

© „ღვინისგამზიდველი ათასწლეული“

ცსს და მხეცობათა პორნოგრაფია ომის პარტიისგან

„ეს სასაკლაოა“, — ისტერიულად ყვიროდა საკუთარ სახლში შიშისგან მოკუნტული ლიბიელი ქალი, რომელიც CNN-ის ჟურნალისტს, ანდერსონ კუპერს ტელეფონით ესაუბრებოდა. „იმედი მაქვს, იცით, რომ მთელ მსოფლიოში ადამიანები ლოცულობენ თქვენთვის და სურთ, რამით დაგეხმარონ“, — უთხრა მას ანდერსონმა, როგორც თეატრალურმა სუფლიორმა, რომელიც მსახიობის მომდევნო რეპლიკაზე მიანიშნებს. უცნობია, ჰქონდა თუ არა ქალს სცენარის ასლი, მაგრამ მან ჟურნალისტს უპასუხა: „პირველი ნაბიჯი ლიბიის არასაფრენ ზონად ქცევაა. თუ ლიბია არასაფრენი ზონა იქნება, აქ ველარ ჩამოიყვანენ მეტ დაქირავებულებს... მოქმედებაა საჭირო. რამდენი ვიცადოთ, როდემდე ვუყუროთ, კიდევ რამდენი ადამიანი დაიღუპება?“.

კუპერს ელაპარაკებოდა შეშინებული, მაგრამ ძლიერი

ქალი, რომელიც სიცოცხლეს იგდებდა საფრთხეში იმისთვის, რომ კადაფის პოლიციური სახელმწიფოს სიკვდილისწინა აგონიის ძალადობრივი მდგომარეობა გადმოეცა. ამდენად, შესაძლებელია, რომ საერთაშორისო ქმედებისა და არასაფრენი ზონის გამოცხადებისკენ მისი მოწოდება მსხვერპლის ვედრება იყო და არა ინფორმაციული დუდუნი, როდესაც ანონიმური პერსონაჟი იგივე „kriegsbund"-ის (ომის პარტია) ნეოკონსერვატორების მიერ შემოთავაზებული სამხედრო კამპანიის პირველ პუნქტს უჭერს მხარს, რომელთა მანიპულაციებმაც განაპირობა ერაყის მოვლენები.

რა თქმა უნდა, უბრალო დამთხვევაა, რომ **ლიბიიდან „ღამის ყვირილი" ამავე ტელეარხზე რამდენიმე დღის შემდეგ გაიმეორა ერაყის ომის არქიტექტორმა, მსოფლიო ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა და სამხედრო დანაშაულებებში ბრალდებულმა პოლ ვულფოვიცმა,** რომელიც კუპერის გადაცემამდე რამდენიმე დღით ადრე აცხადებდა, შემოეღოთ ლიბიის თავზე „ფრენისთვის დახურული ზონა", რასაც ძალით მოახვევდნენ თავს ნატოს ძალები.

ამ ინტერვიუდან რამდენიმე დღეში იმპროვიზირებულმა ჯგუფმა, რომელიც საკუთრ თავს „საგარეო პოლიტიკურ ინიციატივას" უწოდებდა და „ამერიკის ახალი საუკუნისათვის პროექტის" ნარჩენების გაერთიანებას წარმოადგენდა, გამოაქვეყნა ღია წერილი ობამასადმი, რომელშიც ლიბიაში სამხედრო ჩარევას მისი არასაფრენ ზონად გამოცხადებით დაწყებას მოითხოვდა. **ნეოკონების სქემის მიხედვით, ლიბიის კრიზისის სამართავად უნდა შეიქმნას რეგიონული პროტექტორატი, რომელსაც „საერთაშორისო თანამეგობრობის" სახელით ნატო გააკონტროლებს. ეს ნულამდე დაიყვანს ლიბიელების, ეგვიპტელების, ტუნისელებისა და სხვათა შესაძლებლობებს, მიაღწიონ ნამდვილ დამოუკიდებლობას.**

კუპერის „ღამის ყვირილში" სუსტად, მაგრამ მაინც ისმის აცრემლებული „ნაირას" ხმა. ეს ქუვეითელი გოგონა ფართოდ გახელილი თვალებითა და „ოჯახის დაცვის მიზ-

ნით“ გამოგონილი სახელით ყვებოდა, თუ რა ბედი ეწია მის ქვეყანას 1990 წელს ერაყის შეჭრის შემდეგ. აიყვანა რა საკუთარი თავი ხელში, წლებთან შეუსაბამოდ განვითარებული ცივსისხლიანი 15 წლის მოხალისე-სანიტარი კონგრესის ადამიანის უფლებათა კონფერენციაზე ყვებოდა, თუ როგორ შეიჭრნენ ერაყელი ჯარისკაცები ალადანის ჰოსპიტალში, როგორ ამოიყვანეს ახალშობილები ინკუბატორებიდან და დაანარცხეს იატაკზე. მალე ეს მონათხრობი სხვა ადამიანებმაც „დაადასტურეს“, ოღონდ გაეროს უშიშროების საბჭოში გამოსვლისას.

1991 წლის იანვარში ბაღდადზე თავდასხმამდე სამთვიანი მზადების პერიოდში ინკუბატორიდან გადმოყრილი ქუვეითელი ჩვილების თემა დაუსრულებლად გამოიყენებოდა მასმედიაში, პრეზიდენტის გამოსვლებში, კონგრესსა და გაეროში დებატებისას. ომის შემდეგ საზოგადოებრივი აზრის კვლევამ აჩვენა, რომ „ინკუბატორის ჩვილების“ თემა იყო ყველაზე ეფექტური იარაღი, რომლის გამოყენებითაც ბუშის ადმინისტრაციამ ერაყის კამპანიისთვის საზოგადოებრივი მხარდაჭერა მოიპოვა. არადა, „ნაირა“ სულაც არ იყო სიკვდილის ესკადრონების შესაბამისი მხეცური მოვლენების გულუბრყვილო მოწმე. სინამდვილეში იგი აშშ-ში

ქუვეითის ელჩის, საუდ ნასი ალ-საბახის, ქალიშვილი გახლდათ. მისთვის სცენარი დაწერა ვაშინგტონურმა პიარ-კომპანიამ „HILL & KNOWLTON“, რომელმაც ბუშის ადმინისტრაციის აპარატის ყოფილი ხელმძღვანელის — კრეგ ფულერის მეთვალყურეობით მომავალი ომისთვის საზოგადოებრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფის კამპანია შეიმუშავა.

ბევრიც არ უფიქრია. ქუვეითელი ახალშობილების სახე სამხედრო პროპაგანდის იმ კლასიკური თემის გამეორებაა, რომელიც თავის დროზე ბრიტანულმა დაზვერვამ და მისმა ამერიკელმა თანამოაზრეებმა იმისთვის გამოიყენეს, აშშ პირველ მსოფლიო ომში რომ ჩაბმულიყო.

ქუვეითის ინკუბატორის ჩვილების ანალოგს მაშინ წარმოადგენდნენ ბელგიელი ჩვილები, რომელთაც ბანჯგვლიანი ველურები მახვილებზე აგებდნენ. გერმანელი ჯარისკაცები თურმე ასე ერთობოდნენ მას შემდეგ, რაც ბელგიელი ქალების გაუპატიურებითა და მათთვის მკერდის მოჭრით გულს იჯერებდნენ. ამ ფანტასტიურ ისტორიებს მთელი სერიოზულობით უყვებოდნენ ამერიკელ საზოგადოებას ჩარლზ მასტერმანის ხელმძღვანელობით მომუშავე ბრიტანეთის პროპაგანდის საიდუმლო კომიტეტზე მომუშავე ადამიანები. 1915 წელს ცნობილი ბრიტანელი ისტორიკოსის — ვიკონტ ჯეიმს ბრაისის ხელმძღვანელობით შექმნილმა ოფიციალურმა კომისიამ ეს საშინელი ისტორიები ისე „დაადასტურა“, რომ კონკრეტული მოწმე ან მსხვერპლი არ დაუსახელებია. კლერენს დაროუმ დააწესა 1000-დოლარიანი ჯილდო იმისთვის, ვინც გერმანელების მიერ დასახიჩრებულ ბელგიელ ან ფრანგ მსხვერპლს იპოვიდა, მაგრამ ჯილდო არავის მიუღია.

ომი ზნედაცემული ადამიანის ყველა ამაზრზენ განზრახვას აძლევს გასაქანს და ზოგიერთი გერმანელი ჯარისკაცი, ისევე, როგორც მათი ფრანგი, ბელგიელი, ბრიტანელი და ამერიკელი მოწინააღმდეგეები, შესაძლოა, მართლაც ჩადიოდნენ სისასტიკეებს, მაგრამ ანგლო-ამერიკული ელიტის მიერ თავსმოხვეული სამხედრო პროპაგანდის მიზანი იყო გერმანელების, როგორც შემაძრწუ-

© „ღონისძიების ორგანიზაციული“

ნებელ სადიზმზე წამსვლელი ურჩხულების, სახის შექმნა და ამით სისხლისმსმელი კოლექტიური სიძულვილისკენ მოწოდების წმინდანობის ფენით შენიღბვა.

აგიტაცია-პროპაგანდის ამ სტილს „მხეცობის პორნოგრაფია“ ეწოდება. მისი მიზანია, აუდიტორია იმდენად შეაშფოთოს, რომ შურისძიების სურვილი ახრჩობდეს და ამავე დროს აღფრთოვანებული დარჩეს თავისი ჰუმანური მოტივებით. ამგვარად, „მორჯულებული“ ადამიანები იოლად ხდებიან ოფიციალურად გამართლებული ზიზღისა და სიძულვილის ნაწილი და მზად არიან, ჩაიდინონ ბევრად უფრო საშინელი დანაშაულებები, ვიდრე, მათი რწმენით, მტერმა ჩაიდინა.

მართალია, ამაში ოდნავაც არაა დამნაშავე, მაგრამ ანდერსონ კუპერი კორნელიუს ვანდერბილტის შთამომავალია. გაცილებით საინტერესო კი ის ფაქტია, რომ **იელის უნივერსიტეტის სტუდენტობისას მან ორი ზაფხული გაატარა ლენგლიში და გაიარა სტაჟირება მომავალი დაზვერვის ოპერატიული თანამშრომლების მოსამზადებელი ცსს-ს პროგრამით.**

როდესაც ცსს-სთან დაკავშირებული კუპერის ბიოგრაფიის შესახებ საკითხი დაისვა, CNN-მა განაცხადა, რომ იელის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან სამ-

მართველოსთან თანამშრომლობის გაგრძელება აღარ ისურვა. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას ცსს-ს ყველაზე ძვირფას აგენტებზე მასმედიაში.

როგორც წლების წინათ დოკუმენტალურად უჩვენა კარლ ბერნსტეინმა, 1950-იან წლებში ცსს ახორციელებდა თავისი აგენტებისთვის ჟურნალიზმის სწავლების ოფიციალურ პროგრამას. დაზვერვის თანამშრომლებს, რეპორტიორების მსგავსად, საუბარს ასწავლიდნენ, შემდეგ კი ძირითად საინფორმაციო საშუალებებში თანამდებობებზე ამუშავებდნენ.

მასმედიაში მომუშავე ცსს-ს 400 აგენტიდან უმეტესობა ჯერ ნამდვილი ჟურნალისტი გახდა და ამის შემდეგ დაიწყო სამმართველოს დავალებების შესრულება.

პროგრამის დახმარებით ცსს-მ მასმედიის ანაზღაურებადი კურტიზანების უზარმაზარი ჰარამხანა შექმნა. ეს ყველაფერი ხორციელდებოდა პოლიტიკის კოორდინირების სამმართველოს მიერ, რომელიც ალენ დალესმა და ფრენკ ვისნერმა შექმნეს. ამ უკანასკნელმა შემდგომში მოაწყო გადატრიალებები, სულ ახლახან კი ობამას ადმინისტრაციამ ვისნერს ჰოსნი მუბარაქსა და ომარ სულეიმანთან საიდუმლო დამაკავშირებლის როლის შესრულება დაავალა.

ოპერაციამ ახალი ამბების ყველა მნიშვნელოვან ორგანიზაციას გადაუარა. შედეგად, ცსს-ს ყოფილი ანალიტიკოსის — რეიუ მაკგოვერნის თქმით, პრესა ხელისუფლებამ და კორპორაციებმა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა და სადაზვერვო აპარატმა დაიპყრეს. ეს ხდება ყოველთვის, როდესაც რეჟიმი თვლის, რომ დროა, საზღვარგარეთ კიდევ ერთი ჰუმანიტარული სისხლისღვრის კამპანია განახორციელოს.

„ვერაფერი ისწავლეს რა იმ საშინელებებიდან, რომელთაც უკანასკნელი 15 წლის მანძილზე მიესალმებოდნენ, დაბომბვების ბოჰემური მოყვარულები, ყავის მწრუპავი უმცროსი თანაშემწეები, iPad-იმპერიალისტები დაბრუნდნენ და ამჯერად ლიბიაში შეჭრას მოითხოვენ“, —

© „ღამისფრთიანი“

დაღლილი ზიზღით ოხრავს ბრენდან ონილი ლონდონურ „ტელეგრაფში“.

ატლანტიკის გაღმა, სადაც ონილი იმყოფება, ინგლისური პრესის სამურაები ავრცელებენ ხმებს ლიბიაში მამაკაცების სისტემატიურად გაუპატიურების შესახებ. სხვები ირწმუნებიან, ლიბიის პოტენციური ომი არაფრით მოგვაგონებს ერაყის განუსჯელობას, ზუსტად ისევე, როგორც ამის პირობას დებდნენ თვითმარქვია ბრძენები, ირწმუნებოდნენ რა ერაყი და ავღანეთი ახალ ვიეტნამად არ იქცევაო. ამჯერად უნდა დავიჯეროთ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, თავი მოვაჩვენოთ, რომ გვჯერა, რომ ეს მხეცური ისტორიები სინამდვილეს შეესაბამება, რომ „საერთაშორისო საზოგადოების“ მიერ დალოცვილი სამხედრო მოქმედებები მორალური ვალდებულებაა, რომ ომისკენ სწრაფვა და ზიზღი ამ შემთხვევაში კეთილშობილებაა და რომ გარდაუვალი სისხლისღვრა მხოლოდ განწმენდა იქნება.

ისევე, როგორც პორნოგრაფიის ნებისმიერი სხვა სახეობის შემთხვევაში, სამხედრო პორნოგრაფიაც უმაღლეს დონეზე პროგნოზირებადია. მაგრამ სამხედრო პორნოგრაფია ის ფოკუსია, რომელიც ყოველთვის გამოდის.

ომი უკვე შეკვეთილია, კიდევ რამეს ხომ არ ინებებთ?

თანამედროვე პოლიტიკასა და ეკონომიკაში არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც შეუძლია ერთდროულად თავდაყირა დააყენოს ყველა პროგნოზი. ასეთი ჯოკერია ახლო აღმოსავლეთში ლოკალური სამხედრო კონფლიქტი, უფრო კონკრეტულად კი — ირანზე თავდასხმა. სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში მოვლენათა განვითარების პროგნოზირება რთულია მრავალი ფაქტორის გამო და დასაწყისისათვის საჭიროა სიტუაციის გაწმენდა ემოციური შეფასებებისა თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი დეტალებისაგან.

გასაგებია, რომ ირანი თავის ბირთვულ პროგრამაზე უარს არ იტყვის მრავალი მიზეზის გამო, რომელთაგან ყველაზე თვალსაჩინო ისაა, რომ ჩრდილოეთ კორეამ ამ პროგრამაზე უარი არ განაცხადა, კადაფმა კი შეაჩერა. პარადოქსია, მაგრამ ყველაზე მუსირებულ და სადავო საკითხს, თუ რამდენად მშვიდობიანია ირანის ბირთვული პროგრამა, აგრესიისათვის პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. ბოლოს და ბოლოს ერაყში სულაც ვერ მიაგნეს ვერანაირ მასობრივი განადგურების იარაღს, რასაც არა-

© „ღონისძიებები ირანისთვის“

ვისთვის შეუშლია ხელი ამ ქვეყანაზე თავდასხმაში. შესაბამისად, პოტენციური აგრესორებისთვის ირანის საწინააღმდეგო არსებული „მტკიცებულებებიც“ სავსებით საკმარისია.

თვალნათელია, რომ თავდასხმა შეუძლიათ მხოლოდ ისრაელს ან აშშ-ს (სასურველია კოალიციის სახით), **ან ამ ორს ერთად. აქვე განვმარტოთ, რომ ირანის პრობლემის რადიკალური ზომებით გადაწყვეტის საშუალება არ არსებობს. ერაყისა და ავღანეთის მაგალითებმა ცხადყო, რომ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია ან ოკუპაცია ძალზე ძვირი ჯდება, გარდა ამისა, სირთულის მიხედვით ირანი ამ ორივე ქვეყანას ერთად გაუტოლდება.**

გასაგებია, რომ პირველ ეტაპზე (კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია და მისი შედეგები სხვა თემაა) საკითხი საჰაერო დარტყმებით შემოიფარგლება და თავდასხმისათვის ფორმალური მიზეზის მოძებნა ან ორგანიზება არასდროსაა ძნელი. მაგალითად, თავდასხმა ყატარის პროვოკაციებით ცნობილ ტელეარხ „ალ-ჯაზირაზე“, რის შემდეგაც დარჩება რამდენიმე გვამი ირანის მცველთა კორპუსის მოწმობებით. სხვა ვარიანტებიც მრავლადაა.

შეტევის სამხედრო უზრუნველყოფის ასპექტი, რომელსაც ხშირად განიხილავენ, წმინდა ტექნიკური ხასიათისაა. რეგიონში აშშ-ს ამისათვის სავსებით საკმარისი სამხედრო შესაძლებლობები აქვს. ავიამზიდთა სამი დაჯგუფება და ბაზებზე არსებული სამხედრო საჰაერო ძალები, როგორც ერაყის მაგალითმა აჩვენა, სავსებით საკმარისია როგორც ირანის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ნეიტრალიზაციისათვის, ასევე შერჩეული ობიექტებისათვის სერიოზული ზიანის მისაყენებლად. ძალები (მათ შორის, ირგვლივ არსებულ ბაზებზე ერაყიდან დაბრუნებული) სავსებით საკმარისია ბაზებისა და მოკავშირეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ორმუზის სრუტის დებლოკირება, თუნდაც ირანმა მისი გადაკეტვა მართლაც განახორციელოს, სამხედრო თვალსაზრისით სულ რამდენიმე დღის საქმეა. **300-350 თვითმფრინავი ფრთიანი რაკეტების სათანადო რაოდენობასთან ერთად თა-**

ვისუფლად მოაგვარებს ამ პრობლემას და პარალელურად მწყობრიდან გამოიყვანს ირანის ბირთვული პროგრამის როგორც დამხმარე ობიექტებს, ასევე მთავარი ობიექტების ნაწილსაც.

მოვლენათა ამგვარად განვითარებისათვის წინააღმდეგობის გაწევის საშუალებები ირანს საკმაოდ შეზღუდული აქვს. რასაც არ უნდა ამბობდნენ, **სამხედრო პოტენციალი, მათ შორის ირანის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვაც, დაახლოებით შეესაბამება ერაყის ომამდელ ანალოგიურ მონაცემებს** (1980-იანი წლების ირან-ერაყის ომმა ეს ნათლად აჩვენა) **ერაყის ბედი კი ცნობილია** (აქ კარგი იქნებოდა, გაგვეხსენებინა ზოგიერთი „პროგნოზი“, რომელსაც სადამზე თავდასხმამდე ვისმენდით, მაგალითად „მარტო გაბედონ, ერაყი იუგოსლავია არ არის“).

თეირანის მიერ შექმნილი ან შეძენილი შეიარაღების ცალკეული საშუალებები არის მხოლოდ რაღაც პოტენციალი, რასაც ტირაჟირება და ეფექტურად გამოყენება სჭირდება. ირანის კატერების ავიამზიდებზე თავდახმა კი, რაზეც ხშირად საუბრობენ, ფსიქიური შეტევების სერიიდანაა და ძალიან ჰგავს „მეზღვაურებს ზებრებზე“. **არავინ აპირებს, დიდი სამხედრო გემები ორმუზის სრუტეში შეყაროს — ავიამზიდები სავსებით ეფექტურნი არიან შორი დისტანციიდანაც. ასე რომ, აშშ-ს სამხედრო პროგლემები და პოტენციური წინააღმდეგობის შიში არ აჩერებს.**

გაცილებით სერიოზულია ამ კონფლიქტის ეკონომიკური შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერ იქცა განხილვის თემად, ამ შედეგების პროგნოზირება მაინც ძალიან რთულია.

დანამდვილებით ერთი რამის თქმა შეიძლება — თავდასხმის (განსაკუთრებით კი გრძელვადიანი კონფლიქტის) ეკონომიკური შედეგები კრიზისის შემდგომი განვითარების ფონზე ამერიკისა და ევროპისათვის, შესაძლოა, დამანგრეველი იყოს, მით უფრო, რომ ნავთობზე ფასის მკვეთრი ზრდის შედეგად ინფლაციის ძლიერ ტალღებს წარმოშობს. პოლიტიკური შედეგების წინასწარმეტყვე-

© „ღონისძიების ოთახი“

ლება კი ამგვარ რეგიონში სტრატეგიულად შეუძლებელია. კარგი იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ პირველი მსოფლიო ომი დაიწყო ერცჰერცოგ ფერდინანდის მკვლელის წინააღმდეგ გაჩაღებული კონტრტერორისტული (თანამედროვე ტერმინოლოგიით) ოპერაციით. ან გავიხსენოთ ჰიტლერი, რომელიც სულაც არ გეგმავდა მეორე მსოფლიო ომის წამოწყებას, მას მხოლოდ პოლონეთის წინააღმდეგ სამკვირიანი ოპერაცია ჰქონდა ჩაფიქრებული.

თვით ყველაზე წარმატებული დაბომბვებიც არაა გამოსავალი და მხოლოდ ირანის ბირთვული პროგრამის დაახლოებით ერთი წლით გადადებაა. დაბომბვები რეგულარულად უნდა გაგრძელდეს, რაც სულ სხვა პრობლემებს, დანახარჯებსა და შედეგებს განაპირობებს. ცხადია, უპირატესობა ენიჭება გაცილებით იაფ გამოსავალს — უმკაცრესი სანქციებით ირანის დაჩოქებას, უმჯობესია, რეჟიმის შეცვლის თანხლებით. მაგრამ „მწვანე რევოლუცია“ არ შედგა, ირანს კი 1980-იანი წლებიდან მოყოლებული სანქციების პირობებში ცხოვრების დიდი გამოცდილება აქვს. გარდა ამისა, მიუხედავად სანქციებისა, **ინდოეთმა ირანისგან ნავთობის შეძენა რეკორდულ მაჩვენებლამდე გაზარდა, ჩინეთი აპი-**

რებს, წელს ირანი ნავთობის ნომერ მეორე მიმწოდებლად აქციოს. თუმცა, უკანასკნელი მონაცემებით, ამ ქვეყნებსაც დაჰპირდებიან წახალისებას ირანისგან ნავთობის შეძენის შემცირების სანაცვლოდ, რაც, უპირველეს ყოვლისა, ირანთან ვაჭრობის საგანია.

იაპონიაც კი ცდილობს სანქციების გვერდის ავლას, რომ აღარაფერი ვთქვათ სამხრეთ კორეასა და დანარჩენ სინგაპურებზე. ევროპული სანქციები ირანს მაინცდამაინც არ დაძაბავს, რადგან ივლისამდე, სავსებით შესაძლებელია, „მოლაპარაკებები განახლდეს“ და დაძაბულობამაც იკლოს. მაგრამ ეს ყველაფერი სპარსული ეკონომიკისათვის უკვალოდ არ ჩაივლის (რეალის კურსი მკვეთრად დაეცა, ფასები მატულობს, მოსახლეობის დოტაციები მცირდება). მიუხედავად ამისა, **ახმადინეჯადი უშფოთველად ხსნის მორიგ ობიექტს ურანის გასამდიდრებლად და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორებს კვლავაც არ აკარებს თეირანთან მდებარე პოლიგონს**.

ანტიირანულ კამპანიაში ყველაზე აქტიური ისრაელია, რომელიც მართლაც სტრატეგიულადაა შეშინებული. ირანი, როგორც ისლამური სამყაროსა და რეგიონის პოპულისტური ლიდერი და ახლა უკვე ბირთვული ბომბის მფლობელიც, უკვე კოშმარული სიზმარი კი არა, რეალური პერსპექტივაა.

თელ-ავივს ტვინი უდუღს და ხელები ექავება. ისრაელში მრავალი ადამიანი მიიჩნევს, რომ საპასუხო დარტყმასთან დაკავშირებით ირანის განცხადებები ბლეფია, მით უფრო, რომ არც სირიას (2007), არც ერაყს (1981) თავის დროზე ანალოგიურ შეტევებზე პასუხი არ გაუციათ. თვითგამხნევება განსაკუთრებით აუცილებელია სიტუაციებში, როდესაც ისრაელი უკვე მზადაა „შედარებით მცირე მსხვერპლისათვის დიდის თავიდან ასაცილებლად“. ფსიქოლოგიური ქვეტექსტი არსებობს — შიშის სპეციფიკური ისრაელური ნარევი (დაფუძნებული იმ შეგრძნებაზე, რომ ისრაელის გადარჩენა დამოკიდებულია სხვა სახელმწიფოების მხრიდან განუცხადებელ მხარდაჭერაზე) და თემური თავდაჯერება, რომ მხოლოდ ისრაე-

© „ღვასკვამაღლები ისრაფელი“

ლელები დაიცავენ საკუთარ თავს და სხვა არავის ამის გაკეთება არ შეუძლია.

მაგრამ არ ღირს ისრაელის სამხედრო შესაძლებლობების შეფასებისას გადაჭარბება, როდესაც საქმე ბირთვული პროგრამის მწყობრიდან გამოყვანას ეხება. ისრაელის გამანადგურებელი-ბომბდამშენების ორიოდე ესკადრილია (მეტი არ გამოვა) გამოიყენებს რა მოულოდნელობის ეფექტს და ჩამოყრის ორმოცდაათიოდე ბომბს, ცხადია, შესამჩნევად დააზიანებს ყველაფერს, მათ შორის — გარეთა კომუნიკაციებს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ამის შედეგი იქნება ირანის პროგრამის მხოლოდ რამდენიმე თვით შეჩერება, ისიც დიდი გამართლების შემთხვევაში. უკლებლივ ყველა ომის პრაქტიკა ადასტურებს, რომ მსხვილი სამრეწველო ობიექტებისათვის შესამჩნევი ზიანის მისაყენებლად საჭიროა მრავალკვირიანი დაბომბვები სტრატეგიული ავიაციის მხრიდან. მით უფრო, თუ ობიექტები მიმოფანტული, დაცული და ღრმად ჩამარხულია (ჩვენ შემთხვევაში — 80 მეტრზე).

ისრაელს ეს მშვენივრად ესმის. რომ არ ესმოდეს, დიდი ხნის წინ დაიწყებდა დაბომბვებს. კომანდოსის დამატე-

ბით გამოყენება კი ამ თავდასხმისთვის (როგორც ყრუდ იმუქრებიან თელავივიდნ) წმინდა წყლის პიარია, ისრაელი კამიკაძეების სამშობლო არაა. კიბერშეტევების შესაძლებლობები ძირითადად ამოწურულია და დასტაში ტუზები აღარ დარჩა.

რჩება ერთადერთი — განუწყვეტელი „გაჟონვების“ და ხმამაღალი განცხადებების წყალობით ისტერიკის დანერგვა. მაგალითად, ინფორმაციის გავრცელება ვაშინგტონში მოსადის მეთაურის „საიდუმლო ვიზიტის“ შესახებ, რომლის დროსაც მთავარი მოქმედი გმირი შემთხვევით ჟურნალისტებს გადაეყარა; ან თელ-ავივის გაფრთხილება, რომ ისინი აცნობებენ ვაშინგტონს თავდასხმის შესახებ მხოლოდ 12 საათით ადრე, ან რეკლამირებული ისრაელელი ბოევიკების გაფრენა ნეგევის უდაბნოდან სარდინიაში და შემდეგ უკან, შეუჩერებლად. ისტერიის მწვერვალი ახლახან იყო, როდესაც ირანმა ექსპერტებს სამხედრო ობიექტების დათვალიერებაზე უარი განუცხადა. 22 თებერვლიდან მოყოლებული თამაშის წესები შეიცვალა, — განაცხადა ისრაელის დაზვერვიდან ერთ-ერთმა „წყარომ“.

მთელი ეს პუბლიკაზე მუშაობა სტილში „დამიჭირეთ, თორემ საკუთარ თავზე პასუხს არ ვაგებ“, საშუალებას აძლევს აშშ-ს, საკუთარი როლი ითამაშოს დუეტში ცუდი-კარგი პოლიციელები. რაღაც რყევები დუეტში ნამდვილად არის. ბირთვული ირანის მნიშვნელობა შორეული ზესახელმწიფოსა და მეზობლისათვის, რომელსაც განადგურებით ემუქრებიან, ცხადია, განსხვავდება მნიშვნელოვნებისა და ვადების მიხედვით. ვაშინგტონში ახლო აღმოსავლური ახალი ომი გარეგნულად მორიგ აკეპსისს იწვევს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ **არავინ დაიჯერებს, თითქოს ამ საქმეში აშშ-ის ხელი არ ერიოს და ისედაც არც თუ მარტივი ურთიერთობები მუსლიმანურ სამყაროსთან კიდევ უფრო დაზარალდება; მერეც, იმიტომ, რომ აშშ თითქმის გარდაუვალად ჩათრეული აღმოჩნდება სპარსეთის ყურეში შემდგომ სამხედრო დაპირისპირებებში. გამოდის, რომ თითქოს ისრაელმა აშშ-ის პრეზიდენტი კუთხეში მიიმწყვდია.**

© „ღონისძიების ორგანიზაციული“

მაგრამ შტატებისათვის ირანთან კონფლიქტი, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, ფრიად საინტერესო პერსპექტივაა. სამხედრო შედეგები და, სახმელეთო ოპერაციის გარდა, ფასიც ამერიკისათვის ზომიერია, ეკონომიკური დანაკარგები უმნიშვნელოა: ირანიდან პირდაპირი მიწოდებები ისედაც არ ხორციელდება, ნავთობზე ფასის მატებას საკუთარი მარაგებით დაარეგულირებს.

სამაგიეროდ არის უზარმაზარი პლიუსები კონკურენტების შეხურების სახით და, რაც მთავარია, ხმაურის ფონზე კრიზისული პრობლემების ჩამოწერა. მით უფრო, რომ **ადრე ნებისმიერი სამხედრო ინციდენტი, ერაყში ომიც კი, ამერიკული ეკონომიკის ზრდის სტიმულირებას განაპირობებდა.** დამატებით ირანი ყველაზე წმინდათაწმინდაზე — საფულეზე თავდასხმას გეგმავს და აპირებს 20 მარტიდან საკუთარ სანავთობე ბირჟაზე დოლარით ვაჭრობაზე უარის თქმას (რაც არ აპატიეს ჰუსეინსა და კადაფს).

ირანზე თავდასხმის სცენარი სერიოზულად განიხილებოდა 2008 წელს, როდესაც ამერიკის ეკონომიკას ბიძგი სჭირდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მაშინ სუსტი რგოლი პრეზიდენტი ბუსჰი იყო. რეიტინგის დაკარგვის ფონზე ის ერთგვარ პოლიტიკურ „არამზადად“ იქცა. დღეს

დემოკრატიული ობამა გაცილებით უკეთესი ვარიანტია ამ მიზნისათვის, ეკონომიკური სარგებელი კი შეუდარებლად დიდია. ერთის მხრივ, წყდება უმნიშვნელოვანესი საკითხი ნავთობის საბადოებსა და ფასთან დაკავშირებით. მეორეს მხრივ, ირანისათვის იმის უფლების მიცემა, რომ აბსოლუტურად დაუსჯელად განაგრძოს ესოდენ თავხედური ქცევა, ფაქტობრივად, კარტ-ბლანშია ბირთვული პროგრამების (და არა აუცილებლად მშვიდობიანის) მთელ ახლო აღმოსავლეთში გავრცელებისათვის, რასაც ისრაელისთვის რეგიონული ბირთვული მონოპოლიის დაკარგვა მოჰყვება. ამერიკისათვის ეს არა მხოლოდ სახის დაკარგვას, არამედ რეგიონზე კონტროლის დაკარგვასაც ნიშნავს, რაც სტრატეგიულად დაუშვებელია. თავდასხმის შემთხვევაში მთავარი პრობლემა თავად კონფლიქტისა და მისი შედეგების მართვის შენარჩუნებაა, რათა მთელი ფინანსურ-ეკონომიკური სისტემა არ ჩამოინგრეს.

თუმცა ირანის მკაცრად დასჯით სხვებიც არიან დაინტერესებულნი. მაგალითად, უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გააქტიურებული თურქეთი, საუდის არაბეთი და „უდაბნოს მირაჟი“ ყატარი. ყველა დაინტერესებულია, ალაგმოს ახლადგამომცხვარი რეგიონული ლიდერი და, მით უფრო, მის მიერ ბირთვული იარაღის შექმნა.

საუბარიც აღარაა „მსუქანი პინგვინების“ ჯოგზე, რომელიც ნავთობით მდიდარ შემოგარენში ცხოვრობს და რომელსაც გული უსკდება ატომური ბომბით შეიარაღებული აიათოლას რეჟიმის წარმოდგენაზეც კი.

ყველაზე სახალისო ისაა, რომ ირანი არამც თუ წინააღმდეგი არაა მოვლენათა ამგვარი განვითარების, არამედ სწორედ ამგვარ სცენარს ათამაშებს, როდესაც „დიდ სატანას“ წვერით ათრევს. მნიშვნელოვანი საფუძველია აშშ-ის საგარეოპოლიტიკური ქმედებების წინასწარგანსაზღვრის დიდი ხარისხი. ბოლო პერიოდში ამ პოლიტიკის მთავარი ლოზუნგია „ძალა მაქვს, გონება საჭირო არ არის“. **ირანელებმა ჩამოაყალიბეს ქცევისა და პოლიტიკის საკუთარი მიმართულება მისი ყველა**

© „ეროსულობის ოთხკუთხედი“

შედეგის სრული გათვლით. უფრო მეტიც, სწორედ ირანი მართავს და აკონტროლებს მოძმედებათა მსვლელობას და თავისი შეხედულებისამებრ ამწვავებს და ანეიტრალებს საერთოპოლიტიკურ დაძაბულობას.

ოპტიმისტურ ვარიანტში თუ სამხედრო კონფლიქტის თავიდან აცილება მოხერხდება, ირანს ხელში უდიდესი პოლიტიკური დივიდენდები დარჩება და არა მხოლოდ არაბულ სამყაროში. ქვეყანა, რომელსაც არ შეეშინდა აშშ-ისათვის პირდაპირი გამოწვევა გაებედა, რეალური და ერთადერთი ლიდერია ახლო აღმოსავლეთში, მესამე მსოფლიოს მძიმეწონოსანია.

საჰაერო თავდასხმის შემთხვევაში, ირანში არანაირი საშინელება არ მოხდება. ეკონომიკური დანაკარგები უმალ ანაზღაურდება გაძვირებული ნავთობის ხარჯზე. მცირე ადამიანური დანაკარგები „ალაჰის წმინდანობით“ გამართლდება და ხელს შეუწყობს ფანატიზმის განმტკიცებას ქვეყნის შიგნითაც და მის ფარგლებს გარეთაც. სამხედრო და ბირთვული პროგრამის დანაკარგებიც არ იქნება დიდი, რადგან „ვინც გაფრთხილებულია, ის შეიარაღებულია“. ეკონომიკურადაც კი ირანმა თავი დაიზღვია და ნავთობზე ანგარიშსწორებები წინასწარ გადაიყვანა ევროში.

ომის წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ გაცილებით უფრო საინტერესო საკითხია: როდის? პასუხისათვის საკმაოდ ბევრი ირიბი ნიშანი არსებობს. პასუხთაგან ერთ-ერთი სირიის სიტუაციაშია ჩამალული. ირანის დასუსტების მოსურნე მისი მოწინააღმდეგეები აქტიურად ებრძვიან მის უახლოეს მოკავშირეს — ასადს. გათვლა იმაზეა გაკეთებული, რომ უახლოეს თვეებში რეჟიმი დაემხობა.

ევროკავშირმა ნამდვილად მაზოხისტური სანქციები დაუწესა ირანს, ცხადია, **აშშ-ის ზეწოლის შედეგად**. ევროკავშირში ირანული ნავთობის ექსპორტის მხოლოდ 18 პროცენტი იყიდებოდა. თანაც მეტწილად იმ ქვეყნებში, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ ეკონომიკური კრიზისის გამო. ისინი ირანისგან რაღაც აბსტრაქტულ ნავთობს კი არა, მის კონკრეტულ სორტებს ყიდულობდნენ. ახლა ეს ყველაფერი რაღაც ანალოგიურით ჩანაცვლებას მოითხოვს. გარდა ამისა, ნახშირწყალბადებზე ფასმა ზოგადად მოიმატა. ასე რომ, ევროპა ირანის წინააღმდეგ სანქციების დაწესებით ორმაგად დაზარალდა. საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტორი: სანქციების ამოქმედების თარიღი — 2012 წლის ივლისი.

აშშ ირანის ნავთობზე არაა დამოკიდებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მოტივით ობამამ 2012 წლის ზაფხულისათვის აშშ-ის ნავთობსაბადოების 75%-ის გახსნა ბრძანა.

აშშ თანდათან ამძაფრებს სამხედრო რიტორიკას და ბრალდებების სიმართლისათვის მიმსგავსებაზეც დიდად აღარ ზრუნავს. განსაკუთრებით საინტერესოა ქვეყნის შიდა ანტიირანული პიარკამპანია, რომლის თანახმადაც ირანი აშშ-ში ტერაქტების განხორციელებას გეგმავს. ყოველ შემთხვევაში ასე ვარაუდობენ ამერიკული სპეცსამსახურები, რომელთაც საამისოდ რაიმე რეალური მონაცემების მოსაპოვებლად თავი არ შეუწუხებიათ. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ხომ პირდაპირ ღია ტექსტით ამცნო მსოფლიოს, რომ ისრაელი ირანს თავს დაეხმება აპრილიდან ივნისამდე შუალედში. ობივატელს გაუჩნდა აზრი, რომ აშშ-ს ისღა დარჩენია, დაასწროს ისრაელს ან შო-

© „ღამისფრთიანი“

რიდან უყუროს, თუ როგორ გააკეთებს ამას მოგვიანებით ისრაელი.

აშშ გეგმაზომიერად აგზავნის რეგიონში ავიამზიდების უკვე მესამე ჯგუფს. უფრო მეტიც, სპარსეთის ყურის რაიონში ნელ-ნელა იზრდება ნატოს გემების რაოდენობაც. საფრანგეთმა კი იქ თავისი ერთადერთი ატომური ავიამზიდი გაგზავნა. პარალელურად აშშ ატარებს მასშტაბურ საზღვაო მანევრებს აღმოსავლეთ სანაპიროზე 20 ათასი მედესანტის გადასმით.

მნიშვნელოვანი მინიშნებები კიდევ ბევრია. მაგალითად, ობამასა და საქართველოდან ჰალსტუხების მღეჭავის მოულოდნელი შეხვედრა. ადრე აშშ-ის პრეზიდენტს საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის სურვილი არ გამოუხტავს, ახლა კი თავად გამოიძახა პრივატული საუბრისათვის. და მიშიკომ, რომელიც ადრე საათობით ღეჭავდა პარტნიორის კეთილმოსურნეობაზე უმნიშვნელო მინიშნებასაც კი, ახლა მხოლოდ ბუნდოვანი ფრაზებით შემოიფარგლა. როგორც ჩანს, რაღაც საიდუმლო გაუმხილეს და რაღაცას დაჰპირდნენ, მაგრამ არა პირდაპირ რუსეთის საწინააღმდეგოდ, თორემ წამოსცდებოდა. თეირანმა განაცხადა, რომ დაარტყამს ნებისმიერს, ვინც აგრესიაში მიიღებს მონაწილეობას, თურქეთი კი საქართველოსთან სავიზო რეჟიმს აწესებს (დევნილების შესაძლო ნაკადის გამო?). **ამ მხრივ მნიშვნელოვანია მინიშნებები ირანის კიდევ ერთი მეზობლის — აზერბაიჯანისგან. ისრაელი მას 1,6 მილიარდის იარაღის მიყიდვას ჰპირდება, იქაური პარლამენტარები კი აცხადებენ, რომ ქვეყანას ჩრდილოეთ აზერბაიჯანად გადაუკეთებენ სახელს. ეს უკვე მინიშნებაა იმაზე, რომ დიდი აზერბაიჯანის 2/3 სამხრეთით დარჩა.**

და ბოლოს, უკვე გასაგებია, რომ გლობალური კრიზისი განუხრელად ვითარდება. ევროკავშირი კრიტიკულ მდგომარეობაშია, ჩინეთი ლოკომოტივად ვერ იქცევა, აშშ-ს კი სახსრები მხოლოდ კრიზისის მცირე ხნით გადავადების რესურსი აქვს. ყველა ობიექტური ნიშანი ცალსახად მიანიშნებს, რომ გლობალური ვალების პირამიდა უახლოეს წელიწად-ნახევარში უნდა დაინგრეს და, სავა-

რაუდოდ, დაინგრევა ეტაპობრივად. ამასთან, კრიზისის მომდევნო ეტაპს 2012 წლის ზაფხულში თავის გამოჩენის ყველა შანსი აქვს. სწორედ ზაფხულისათვისაა პროგნოზირებული გამწვავება როგორც კრიზისის საბანკო შემადგენლის, ისევე სოციალური პროტესტების მხრივ. ამ პრობლემის გადაჭრა არა, მაგრამ ისრების გადაწევის მოსინჯვა შეიძლება. და ამისთვის რა იქნება იმაზე უკეთესი, ვიდრე პატარა, მაგრამ გამარჯვების მომტანი ომია?

ირანზე თავდასხმამ, შესაძლოა, დამღუპველი შედეგები მოიტანოს და ეს ამჟამინდელი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი არ არის, მაგრამ მოვლენათა ამგვარად განვითარების საფრთხე დღითიდღე მატულობს და სულ უფრო მეტი მონაცემი გროვდება პოტენციური თავდასხმის სავარაუდო თარიღთან დაკავშირებით.

როგორც წესი, აშშ აგრესიის დაწყებამდე სრული სვლით იწყებს კამპანიას მასმედიაში და პროპაგანდისტულ სარჩულს უზრუნველყოფს. დღეისათვის ამერიკელების 35% ირანს თავისი სამშობლოს მთავარ მტრად მიიჩნევს. როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, ოპერაციის მხარდაჭერისათვის მომხრე ნახევარზე მეტი უნდა იყოს, რაც ასევე მოითხოვს რამდენიმე თვეს. ისრაელს ამია საწინააღმდეგო პოლიტიკა აქვს — თავდასხმის წინ გაირინდება და მოულოდნელობის ეფექტს იყენებს. **როგორც კი შევნიშნავთ, რომ ისრაელში ისტერიკა შეწყდა და შტატებში მოსახლეობის დამუშავების ტემპმა და მასშტაბებმა მოიმატა, უნდა ვიცოდეთ, რომ ირანზე თავდასხმამდე სულ ორიოდე კვირა რჩება.**

საერთაშორისო ძარცვის ახალი წესრიგი

გამოდის, რომ გაეროც, უშიშროების საბჭოც, ნატოც, საერთაშორისო მოლაპარაკებათა სისტემაც და ჰააგის სასამართლოც ძლიერთა მიერ სუსტების ძარცვის ინსტრუმენტებია და სხვა არაფერი. გამოდის, რომ სიტყვის თავისუფლებაც, მშვიდობის ნობელის პრემიებიც და მთელი კულტურაც გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ მიზეზად იმისთვის, რომ ჰუმანიზმის სახელით ხალხი დახოცონ, აგრესორი უწოდონ მას, ვინც თავს იცავს, და იძახონ, რომ სურთ ხალხის გადარჩენა, ვისაც თავად უშენენ ბომბებს. გამოდის, რომ კაპიტალიზმი არსებობს საკუთარ ხალხთა ფინანსური თაღლითობისა და სხვა ქვეყნების ხალხთა შეიარაღებული გზით ძარცვის ხარჯზე. გარდა ცნობილი ჭეშმარიტებების მრავალჯერადი გამეორებისა, კიდევ რისი გაკეთება შეიძლება?

თუ მოწინააღმდეგის დამარცხება არ შეგიძლია, გადადი მის მხარეს — ეს **პროფესიონალი** მკვლელების ერთ-ერთი მცნებაა, **მაგრამ მთელი რიგი** მაგალითებისა ამ **თეზისს უარყოფს.** მარკოს პერეს ხი-

მენესი, რომელიც აშშ-ის ინტერესებს თავგანწირვით ემსახურებოდა, ბოლოს ვენესუელაში გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. სწორედ აშშ-მა გადასცა იგი ხსენებულ ქვეყანას. მანუელ ნორიეგას, რომელიც ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოსთან თანამშრომლობდა, საბოლოოდ ხანგრძლივი პატიმრობა მიესაჯა. ალბერტო ფუხიმორი, რომელმაც პერუ სისხლის ზღვაში ჩაძირა, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს იმ კამერაში ატარებს, რომელშიც ოდესღაც აბიმაელ გუსმანი ჩასვა. თალიბები, რომლებსაც ცსს ავღანეთში საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად აჭმევდა, აცმევდა, წვრთნიდა და ფულსაც უხდიდა, ახლა ამ საიდუმლო სამსახურის წინააღმდეგ წმინდა ომში იხოცებიან. სადამ ჰუსეინი, რომელმაც ერაყი ირანის წინააღმდეგ მხოლოდ ამერიკელებისთვის მომგებიან ომში ჩაითრია, საბოლოოდ აშშ-ის საოკუპაციო ჯარების მიერ ხელისუფლებაში მოყვანილმა მარიონეტულმა მთავრობამ ჩამოახრჩო. **აი, ასე უხდის სამაგიეროს სატანა თავის მსახურთ.**

ლაქიების ერთ-ერთი მცნების თანახმად, თუ არ შეგიძლია ვიღაც შენს მხარეს გადმოიბირო, უნდა დამორჩილდე. მათ, ვინც ამ გზას დაადგა, მთელი რიგი სევდიანი მაგალითები მოგვცა. წაართვა საკუთარ ხალხს, რათა მისცე უცხოელებს, საკუთარ ხალხში უკმაყოფილებას, უცხოში კი უმადურობას იწვევს. ლიბიის მეფე იდრისმა საკუთარი ქვეყანა გაყიდა და სახალხო ამბოხის შედეგად ჩამოაგდეს. ირანის შაჰმა მუჰამედ რეზა პეხლევიმ თავისი ქვეყანა ამერიკელებს აჩუქა და ამბოხებულმა ხალხმა ტახტიდან ჩამოაგდო. საუდის მონარქებს თავიანთი ქვეყნის ტერიტორიების სხვა ქვეყნების სამხედრო ბაზებისთვის გაღება და ერთი ბარელი ნავთობის დაახლოებით რვა დოლარად გაყიდვა მოუხდათ. კარლოს ანდრეს პერესმა საკუთარი ქვეყნის სუვერენიტეტი საერთაშორისო სავალუტო ფონდს გადასცა და საყოველთაო ამბოხის შედეგად თანამდებობაც დაკარგა და სასამართლოს წინაშეც წარსდგა. ამერიკის მარიონეტმა მუბარაქმა დაკარგა ხელისუფლება და ვაშინგტონს თითიც

© „ღიასკამბლეა“

არ გაუნძრევია მისთვის დახმარების აღმოსაჩენად. **აი, ასე ექცევა ხალხი სატანის მსახურთ.**

თუ არ შეგიძლია მათ დაემორჩილო, დაუმეგობრდი, — იძლევა რჩევას საზოგადოებრივი კავშირების სფეროს ექსპერტი. საკუთარი ჯალათისადმი კეთილგანწყობის გამოვლენას მუდამ უკუშედეგი მოჰყვებოდა. ძნელი წარმოსადგენია ენერგიის უფრო უაზრო ხარჯვა. ლიბიისთვის ომის გამოცხადების გარეშე აშშ-მა მისი სამხედრო-საზღვაო ძალები და რადიოლოკაციური სისტემები გაანადგურა, ტრიპოლი და ბენღაზი დაიბომბა, დაიღუპა ასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე კადაფის ქალიშვილის ჩათვლით. აშშ-ის ქმედებათა განსჯის ნაცვლად გაეროს უშიშროების საბჭომ კადაფი დაადანაშაულა და კომპენსაციის სახით ორ მილიარდ დოლარზე მეტის გადახდა აიძულა იმ დანაკარგისთვის, რომელიც, სავარაუდოდ, ლიბიელთა მიერ თვითმფრინავის აფეთქების შედეგად წარმოიშვა. სავარაუდოდ, დამნაშავე ლიბიელები საერთაშორისო სასამართლოს გადასცეს.

სხვადასხვა დათმობის ხარჯზე კადაფიმ 1999 წელს ლონდონთან დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა, ევროკავშირის მიერ დაწესებული სავაჭრო შეზღუდვების გაუქმებას და 2003 წელს გაეროს სანქციების მოხსნას მიაღწია. გარდა ამისა, კადაფიმ ქვეყანა განაიარაღა შორი მოქმედების რადიუსის ხუთი რაკეტისა და საშუალო რა-

დიუსის ასობით რაკეტის გადაცემით. მას შემდეგ მის მიმართ ყველაზე თბილი გრძნობებით განიმსჭვალენ ტონი ბლერი, შრედერი, ბერლუსკონი და ჟაკ შირაკი, რომლის საპრეზიდენტო კამპანია კადაფიმ დააფინანსა. მას დიდი პათოსით ღებულობდნენ ევროკომისიის თავმჯდომარე რომანო პროდი, ასნარი, ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი, მთავრობის თავმჯდომარე როდრიგეს საპატერო და სარკოზი, რომელსაც კადაფიმ ასევე დაუფინანსა წინასაარჩევნო კამპანია. ყველა ეს ადამიანი მოგვიანებით იმ ჯოგში გაერთიანდება, რომელიც კადაფის ქვეყანას დაბომბვისთვის გაწირავს და საზღვარგარეთ მის ანგარიშებს გაყინავს.

კადაფიმ თავის კეთილისმყოფელებს შეიარაღების დიდი პარტიების შესყიდვითა და ლიბიური ნავთობის საბადოების დამუშავებასთან დასავლური კორპორაციების — ინგლისური BP-ის, ესპანური Repsol-ის, იტალიური ENI-ის, ამერიკული Conoco Phillips–ის, Exxon Mobil-ისა და Chevron Texaco–ის დაშვებით უპასუხა. ჩათვალა რა, რომ მშვიდობისმყოფელობისთვის ეს ზომები არ იქნებოდა საკმარისი, ქვეყნის ლიდერმა ლიბიის საინვესტიციო საგენტოს დაავალა, ევროპაში 70 მილიარდი დოლარი დაებანდებინა და, მიუხედავად იმისა, რომ ლიბიის სახელმწიფო ვალი უმნიშვნელო იყო და სულ რაღაც ხუთ მილიარდს, ანუ ქვეყნის ოქროს რეზერვის 0,5 პროცენტს არ აღემატებოდა, კადაფი დათანხმდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაწესებულ ზომათა პაკეტის მიღებას. ეს ზომები ითვალისწინებდა ექვსი სახეობის მასობრივად მოთხოვნად პროდუქტზე სახელმწიფო დოტაციების გაუქმებას და სახელმწიფო საწარმოთა დიდი ნაწილის პრივატიზებას, რის შედეგადაც ქუჩაში აღმოჩნდა უამრავი ადამიანი. შესაძლოა, სწორედ ეს ადამიანები იქცნენ საპროტესტო დემონსტრაციების მთავარ მამოძრავებელ ძალად.

ახლა ეს დემონსტრაციები დანაშაულებრივი აგრესიის განსახორციელებლად გამოიყენება. სწორედ ის ოლიგარქიული დაჯგუფებები გაგყიდიან, რომლებთანაც თანამშრომლობას დათანხმდები. **მსოფლიო სავალუტო ფონ-**

© „ღვასაბაძეების ეროვნული“

დი, რომელსაც საკუთარი ეკონომიკის მართვას მიანდობ, არ დაგინდობს. ნებისმიერი შეთანხმება, რომელსაც ნაციონალური კანონმდებლობის გვერდის ავლით დათანხმდები, შენივე ჩამოგდების საწინდარი გახდება. ის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის ჩარევასაც დაუშვებ, შენს საკუთარ საქმეებში დაიწყებს ხელების ფათურს. ის უცხოელი მოსამართლე, რომელსაც მართლმსაჯულებას მიანდობ, შენვე გამოგიტანს განაჩენს. სწორედ ის უცხოელი მოსამართლე, რომელსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შეთანხმებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას მიანდობ, დაატყვევებს შენსავე ქონებას. ის ტრანსნაციონალური კორპორაცია, რომელსაც გადასახადების გადახდისგან გაათავისუფლებ, ამით დაზოგილ თანხას თვითმფრინავების შეძენას მოახმარს და ეს თვითმფრინავები დაბომბავენ შენსავე ქვეყანას. ის რელიგიური ან ეროვნებათშორისი დაპირისპირება, რომელსაც გააღვივებ, შენს ქვეყანას გახლეჩვამდე მიიყვანს. ის შერეული საწარმოები, რომელთაც შენს ნავთობწარმოებაზე კონტროლს გადასცემ, მოშლის შენს კომპიუტერულ სისტემებს და არც სხვა გამანადგურებელ ქმედებებს მოერიდება. ის, ვინც მტერს საკუთარი ელექტროკარდიოსტიმულატორის კოდს ანდობს, გულის გაჩერებით მოკვდება.

თუ ძარცვა არ გამოგდის, დახუჭე თვალები იმაზე, რაც ხდება. რუსეთმა და ჩინეთმა თავი შეიკავეს უშიშროების საბჭოში ნატოელი კაციჭამიების დახმარებით მსოფლიო ნავთობის ძარცვის ამერიკულ გეგმაზე ვეტოს დადებისგან. არაბული სახელმწიფოების ლიგამ და აფრიკულმა კავშირმა, რომელიც მომდევნო მსხვერპლ-ქვეყნებს აერთიანებს, ორმაგი პოზიცია დაიკავეს. 2002 წლის 17 ნოემბერს ჯორჯ ბუშ უმცროსმა ვაშინგტონში გამოაქვეყნა „აშშ-ის სტრატეგია ნაციონალური უსაფრთხოების სფეროში“. როგორც ეს დოკუმენტი და „ახალი ამერიკული საუკუნის“ მსგავსი გეგმები თვალსაჩინოდ ამტკიცებენ, ამერიკელები თავიანთ ჯვაროსნულ ომში ერთი ნაბიჯითაც არ აპირებენ უკან დახევას. ამ ლაშქრობის მიზანი მსოფლიო ბუნებრივი რესურსების ძალა-

დობრივი მიტაცება და ყველა იმ ქვეყნის ლიკვიდაციაა, რომელთაც ამ რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობა, უბრალოდ, აღარ ექნებათ. **ომი იაპონიასთან მაშინ დაიწყო, როდესაც აშშ-მა, მისი განადგურების მიზნით, ამ ქვეყანას ენერგეტიკული ბლოკადა დაუწესა.**

გულუბრყვილობა იქნებოდა იმის იმედად ყოფნა, რომ ლომი ხელს არ ახლებს მის კუთვნილ ნაჭრებს, ვინც სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ენერგორესურსების მიტაცება, უპირველეს ყოვლისა, ჩინეთის, მსოფლიო არენაზე აშშ-ის მთავარი კონკურენტის, მოგუდვაა.

ჩინეთის შემდეგ რუსეთის დრო დადგება, რადგან ბუნებრივი რესურსების არც თუ მცირე ნაწილი ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ტერიტორიებზე დარჩა. ევროკავშირსა და იაპონიას კი მოუწევს, ნახშირწყალბადების ნამცეცების მისაღებად მთლიანად დამოკიდებულნი გახდნენ. ცხოვრებაში ამ გეგმის განსახორციელებლად ოთხი ომი გაჩაღდა: ერაყში, ავღანეთში, ლიბიასა და ბაჰრეინში. პლანეტარული მასშტაბის კონფლიქტი წარმოიშვა იმისთვის, რომ დედამიწის მოსახლეობის თუნდაც ხუთმა პროცენტმა ნახშირწყალბადების მონოპოლიური მფლობელობა მოიპოვოს. დანარჩენი ქვეყნები ამას ან წინ უნდა აღუდგნენ, ან უნდა გაქრნენ. ისინი, ვინც გულზე დაიკრეფს ხელებს, დაიღუპებიან. შეტაკების გადადება მხოლოდ დაამძიმებს მის შედეგებს.

თუ არ შეგიძლია მოწინააღმდეგის მხარეს გადახვიდე, დაემორჩილო, დაუმეგობრდე, თვალები დახუჭო მის ქმედებებზე, მაშინ შეეწინააღმდეგე. კაცობრიობის ისტორიაში უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის პირობებში მსოფლიოს მოსახლეობის ხუთი პროცენტი სასიკვდილოდ გაწირავს დანარჩენს, თუ ეს უკანასკნელნი თავისმოტყუებისა და დეზორიენტაციის მორევში ჩაეფლობიან. რა აქვთ არსენალში იმ ხალხებს, რომლებიც ამ დრომდე წარმატებით უწევდნენ წინააღმდეგობას იმპერიალისტურ აგრესიას? ჯერ ერთი, მათ საკუთარი თავი განსაკუთრებულ კულტურად გამოაცხადეს და დაიცვეს ეს პოზიცია. მეორე, მათ შეძლეს, თა-

© „ღვასუბლიგნი ანსაფაფი“

ვი აერიდებინათ განხეთქილებებისთვის ეროვნული და კულტურული ნიშნის მიხედვით. მესამე, ისინი სრულ მასშტაბში ანხორციელებენ არაკაპიტალისტური საზოგადოების მშენებლობის პროექტს. მეოთხე, მათ მოახერხეს ხალხთა მასების მობილიზება ამ პროექტის ცხოვრებაში განხორციელებისთვის. მეხუთე, ისინი სათანადოდ მოემზადნენ მის დასაცავად. მეექვსე, მათ არასდროს დაუთმიათ საკუთარი სუვერენიტეტი და არ დათანხმებულან რაიმე დათმობებს ტრანსნაციონალური კორპორაციების, მასმედიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საამებლად. მეშვიდე, მათ შექმნეს და გაამყარეს ორმხრივი, რეგიონული, კონტინენტური და მსოფლიო კავშირები, რომლებიც იდეოლოგიური, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური სიახლოვის საფუძველზე სხვადასხვა ქვეყნებისა თუ ბლოკებისგან შედგება.

ვერანაირი ბლოკადები და დაბომბვები ვერ შეაშინებს ხალხს, რომელიც ერთიანი იდეოლოგიითაა ნაკვები, საკუთარი კულტურით ამაყობს და თავს არ ზოგავს საკუთარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილებისა თუ შეიარაღებული ძალების გამყარებისთვის.

მათ ვერ მოახერხეს ვიეტნამისა და კუბის დაჩოქება, ისინი ჯერ კიდევ ცდილობენ ერაყის, პაკისტანისა და ავღანეთის წინააღმდეგობის ჩახშობას. ახლა სამიზნედ პატარა ლიბია აირჩიეს და არა — ხალხმრავალი ირანი. ეს არის გაკვეთილი, რომელიც უნდა გაითვალისწინოს ყველამ, ვინც სიაში შემდეგია, ანუ მთელი დედამიწის მოსახლეობამ.

არ არსებობს ომზე უკეთესი ბიზნესი

ტყუილი, ორპირობა და საიდუმლო გეგმები — აი, რაზე არ შეჩერდა აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, როდესაც ამერიკასა და მთელ მსოფლიოს თავის ლიბიურ დოქტრინას უხსნიდა. ტვინი დუღდება, როდესაც იწყებ ფიქრს იმ მრავალრიცხოვან შავ ხვრელზე, რომლებმაც ეს მშვენიერი პატარა ომი გადაყლაპა. ეს ომი არცაა, როგორც თეთრმა სახლმა მონათლა, ეს არის „დროსა და სივრცეში შეზღუდული სამხედრო აქცია". მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების უუნარობა, ერთდროულად განიკითხოს მუამარ კადაფის დაუნდობელი რეჟიმი და ანგლო-ფრანგული „ჰუმანიტარული" დაბომბვები.

1973 წლის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ტროას ცხენად იქცა და ბრიტანეთის, საფრანგეთის, ამერიკისა და ნატოსგან შემდგარ კონსორციუმს საშუალება მისცა, გაეროს სამხედრო-საჰაერო ძალად ქცეულიყო და მხარი დაეჭირა შეიარაღებული ამბოხისთვის. **ამ**

© „ᲙᲝᲚᲮᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ“

ოპერაციას არა მხოლოდ საერთო არ აქვს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვასთან, არამედ აბსოლუტურად უკანონოცაა საერთაშორისო სამართლის ნორმათა მიხედვით. საბოლოო მიზანი, რომელსაც არავინ აღიარებს, მაგრამ რომელიც თვით აფრიკის მშიერმა ბავშვებმაც იციან, მმართველი რეჟიმის შეცვლაა.

ნატოს მხრიდან ლიბიის ოპერაციის ხელმძღვანელს, კანადელ გენერალ-ლეიტენანტ შარლ ბუშარს შეუძლია, რამდენიც უნდა ილაპარაკოს ამ მისიის მშვიდობიან მიზნებსა და სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის ამოცანაზე. მაგრამ ეს „უდანაშაულო მშვიდობიანი მოქალაქეები“, რომლებიც სამოქალაქო ომის არმიად იქცნენ, სხედან ტანკებში და ისვრიან კალაშნიკოვებიდან. **ახლა მთავარი ისაა, იქცევა თუ არა ნატო ამ არმიის სამხედრო-საჰაერო ძალად და ჩაანაცვლებს თუ არა ანგლო-ფრანკო-ამერიკულ კონსორციუმს. სხვათა შორის, ეს „მსურველთა კოალიცია“, რომელიც ლიბიაში იბრძვის, ნატოს წევრი 28 ქვეყნიდან მხოლოდ 12-ს მოიცავს, პლუს ყატარი. ასე რომ, ის სულაც არ წარმოადგენს „მსოფლიო საზოგადოებას“.**

გაეროს მიერ მოწონებული არასაფრენი ზონის სრულ ვერდიქტამდე ლოდინი მანამ გასტანს, ვიდრე არ გაჩნდება „მეამბოხე“ მთავრობა და არ დასრულდება სამოქალაქო ომი. ამის შემდეგ კი შესაძლებელი გახდება მომხდარის გაანალიზება და იმის გარკვევა, გამართლებული იყო თუ არა დაბომბვები; რატომ „იცავდნენ“ აღმოსავლეთ რაიონების მოსახლეობას, ტრიპოლის მცხოვრებთ კი რაკეტებით ხოცავდნენ; იყო თუ არა ეს ქმედებები კანონიერი; როგორ იქცა გაეროს რეზოლუცია შირმად ხელისუფლების შესაცვლელად; როგორ შეიძლება, რომ ლიბიელ „რევოლუციონერებსა“ და დასავლეთს შორის სასიყვარულო რომანი სისხლიანი განქორწინებით დასრულდეს და დასავლეთიდან ვინ მიიღებს უდიდეს დივიდენდებს ახალი ერთიანი ლიბიისაგან. ახლა ძალზე ადვილია იმის განსაზღვრა, თუ ვინ ითბობს ხელს ამ ოპერაციაზე.

პენტაგონი

პენტაგონის შეფმა რობერტ გეიტსმა გაქვავებული სახით განაცხადა, რომ მთელს ახლო აღმოსავლეთში არსებობს სამი რეპრესიული რეჟიმი: ირანი, სირია და ლიბია. პენტაგონი ყველაზე სუსტ რგოლს — ლიბიას მიადგა. დანარჩენი ქვეყნებიც მუდამ წამყვან ადგილებს იკავებდა ნეოკონსერვატორების სალიკვიდაციო სიაში. რაც შეეხება საუდის არაბეთს, იემენს, ბაჰრეინსა და სხვებს, ეს ქვეყნები დემოკრატიის ნიმუშებს წარმოადგენს.

რაც შეეხება ამ ხან ხილულ და ხან უხილავ ომს, პენტაგონმა მოახერხა მისი ორჯერ გაჩაღება. ის დაიწყო აფრიკის რეგიონში აშშ-ის ძალთა სარდლობამ, რომელიც ჯორჯ ბუშმა შექმნა, ობამამ გააძლიერა, აფრიკის მრავალმა სახელმწიფომ და უფლებადამცველმა ორგანიზაციამ კი უარყვეს. ახლა ომი ნატოს მმართველობაში გადადის.

ეს პირველი აფრიკული ომი „AFRICOM“-ია და მას გენერალი კარტერ ხემი თავისი შტაბიდან კურირებს. **როგორც სირაკუზის უნივერსიტეტის აფრო-ამერიკული კვლევებისა და პოლიტოლოგიის მასწავლებელმა ხორას კემპბელმა თქვა, „AFRICOM“-ი წმინდა წყლის თაღლითობაა. „სინამდვილეში ეს არის აფრიკაში მოქმედი ამერიკული სამხედრო კონტრაქტორების „DYNCORP“-ის, „ MPRI“-ისა და „KBR“-ის შენიღბვა.**

სამხედრო გეგმების ამერიკელი შემდგენები, რომლებიც სამხედრო მოქმედებათა პრივატიზებით სარგებლობენ, მოხარულები არიან აფრიკული სარდლობისთვის ლიბიური ინტერვენციის ნიღაბქვეშ მეტი წონისა და ავტორიტეტის მინიჭებით“, — აცხადებს იგი.

სპარსეთის ყურის ნავთობმონარქებმა, ეგვიპტისა და ტუნისის გარდა, ერთხმად დაუჭირეს მხარი დაბომბვებს. აშშ-ის აფრიკულ სარდლობას აფრიკის მხოლოდ ხუთი ქვეყანა — ლიბია, სუდანი, სპილოს ძვლის სანაპირო, ერითრეა და ზიმბაბვე არ ემორჩილება.

© „ეროვნული ბიბლიოთეკა“

ნატო

ნატოს გენერალური გეგმა ხმელთაშუა ზღვის ნატოს ტბად ქცევაა. თუ ამ კუთხიდან შევხედავთ, ხმელთაშუა ზღვა ახლა, როგორც სამხედრო მოქმედებათა თეატრი, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ავღანეთი და პაკისტანი.

ხმელთაშუა ზღვის 20 ქვეყნიდან მხოლოდ სამი არ შედის ნატოს შემადგენლობაში და ალიანსთან „პარტნიორობის“ პროგრამებით არ არიან მიბმულნი. ესენია ლიბია, ლიბანი და სირია. ლიბანის წინააღმდეგ 2006 წლიდან უკვე მოქმედებს ნატოს ბლოკადა, ახლა ბლოკადა მოქმედებს ლიბიის წინააღმდეგაც. დაიხსომეთ, შემდეგი სირია იქნება. შეერთებული შტატები ნატოს დახმარებით ამ წრის ჩაკეტვას აპირებს.

საუდის არაბეთი

რა გამართლებაა! მეფე აბდალა თავისი მუდმივი მტრის — კადაფისგან თავისუფლდება. საუდების სახლი მისთვის დამახასიათებელი საცოდავი და დამამცირებელი მანერით საკუთარი ტყავიდან ძვრება, რომ როგორმე დასავლეთს აამოს.

მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას არ სცალია საუდიტებისთვის, რომლებიც კანონიერი, მშვიდობიანი და დემოკრატიული საპროტესტო მოძრაობის ჩასახშობად

ბაჰრეინში შეიჭრა. საუდების სახლმა შემოგვაჩეჩა ტყუილი იმის შესახებ, რომ არაბული სახელმწიფოების ლიგამ სრული შემადგენლობით დაუჭირა მხარი ავიაციის ფრენის აკრძალვას. არადა, სინამდვილეში 22 წევრი ქვეყნიდან კენჭისყრას მხოლოდ 11 ესწრებოდა. სირია და ალჟირი წინააღმდეგნი იყვნენ. საბოლოოდ აკრძალვას მხარი დაუჭირა 22-დან 9 ქვეყანამ.

ყატარი

2022 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა მშვენივრად იციან, რომ საჭიროა გარიგებები. მათი „მირაჟი" ხელს უწყობს ლიბიის დაბომბვებს, დოხა კი ამავე დროს აღმოსავლეთ რაიონებიდან ლიბიის ნავთობის გაყიდვას გეგმავს. ყატარმა, მას შემდეგ, რაც ნავთობის გაყიდვის გარიგება მოხდა, პირველმა აღიარა „ამბოხებულები" ლიბიის ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად.

„ამბოხებულები"

ლიბიის ყველაზე ორგანიზებულ ოპოზიციურ დაჯგუფებას — ლიბიის ნაციონალური გადარჩენის ფრონტს — წლების განმავლობაში საუდების სახლი, ცსს და ფრანგული დაზვერვა აფინანსებდა. მეამბოხეთა „დროებითი გარდამავალი ნაციონალური საბჭო" სხვა არაფერია, თუ არა ძველი ნაციონალური ფრონტი, პლუს არმიიდან გადასულთა გარკვეული რაოდენობა. ეს „მშვიდობიანი მოსახლეობის" ელიტაა, რომელსაც „კოალიცია" იცავს.

„დროებითმა გარდამავალმა ნაციონალურმა საბჭომ" ახალ ფინანსთა მინისტრად ამერიკაში ნასწავლი ეკონომისტი ალი ტარხუნი დანიშნა, მან კი განაცხადა, რომ დასავლეთის ქვეყნების ჯგუფმა ამბოხებულებს მისცა კრედიტი ლიბიის ნაციონალური კეთილდღეობის ფონდის უზრუნველყოფით, ბრიტანელებმა კი კადაფის სახსრებიდან 1,1 მილიარდი დოლარი მისცეს. ეს ნიშნავს, რომ ანგლო-ფრანკო-ამერიკული კონსორციუმი, ახლა უკვე ნატო, მხოლოდ ბომბებისთვის გადაიხდის. **დასავლეთმა ლიბიის ფული**

© „ღამისფრთიანი ათასფერი“

გამოიყენა იმისთვის, რომ ავანტიურისტების ჯგუფს, რომელიც თავს ლიბიელ მეამბოხეს უწოდებს, ხელისუფლებასთან ბრძოლა დაუფინანსოს.

ფრანგები

ბენღაზში ფაფის ხარშვა 2010 წლის ნოემბრიდან დაიწყო. მთავარი მზარეულები მესმარი, სამხედრო-საჰაერო ძალების პოლკოვნიკი აბდალა გეჰანი და საფრანგეთის საიდუმლო სამსახური იყო. მასმარი „ლიბიური ვიკილიქსია“, რომელმაც კადაფის, პრაქტიკულად, ყველა სამხედრო საიდუმლო გასცა. ეს ძალიან მოეწონა სარკოზის, რომელიც გამძვინვარებული იყო კადაფის მხრიდან „რაფელების“ შეძენის კონტრაქტსა და ფრანგულ ატომურ ელექტროსადგურებზე უარის თქმის გამო. სწორედ ამით აიხსნება, თუ რატომ პოზირებს სარკოზი სიხარულის შეძახილებით არაბული განმათავისუფლებლის როლში და რატომ დაიწყო ყველაზე პირველმა კადაფის ჯარების დაბომბვა. **ტერმინატორ სარკოზის ვერაფერი შეაკავებს. მან ესესაა გააფრთხილა ყველა არაბი მმართველი, რომ, პროტესტების ჩახშობის შემთხვევაში, ლიბიის სტილის დაბომბვები ელით.** მან ისიც კი თქვა, რომ შემდეგი სპილოს ძვლის სანაპირო იქნება.

„ალ ქაიდა“

დღეს ანგლო-ფრანკო-ამერიკული კონსორციუმი (ახლა უკვე ნატო) **იბრძვის ალ ქაიდასთან — მაღრიბის ქვეყნებში მის განყოფილებასთან ერთად** (კვლავაც). ჩადის პრეზიდენტმა იდრის დებიმ განაცხადა, რომ ამ განყოფილებამ ქვეყნის აღმოსავლეთით სამხედრო არსენალი გაძარცვა და ახლა საზენიტო რაკეტების დიდ რაოდენობას ფლობს. მარტის დასაწყისში ამ ორგანიზაციამ ღიად დაუჭირა მხარი მეამბოხეებს. **უსამა ბენ ლადენის აჩრდილმა კვლავ მოახერხა, აეძულებინა პენტაგონი, მასზე იმუშაოს.**

წყლის პრივატიზება

ცოტა ვინმემ თუ იცის დასავლეთში, რომ ლიბია, ისევე, როგორც ეგვიპტე, უკიდურესად ღირებული დაპრესილი წყლის ოკეანეზეა. ასე რომ, ეს ხან ხილული და ხან უხილავი ომი წყლისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა.

ამ წყლისმატარებელ ფენაზე კონტროლი ფასდაუდებელი სიმდიდრეა. ამიტომაც გაჩნდა ამ ღირებული ბუნებრივი რესურსის „ველურებისა და ბარბაროსებისაგან გადარჩენის“ აუცილებლობა. ეს წყალი იქცა უდიდეს ხელოვნურ მდინარედ უდაბნოში, რომელიც კადაფიმ 25 მილიარდ დოლარად ისე ააშენა, რომ მსოფლიო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკისგან ერთი ცენტიც არ უსესხებია. წყლის მსოფლიო ბაზრის 40%-ზე მეტს სამი ფრანგული კომპანია აკონტროლებს. ახლა თუ ამ ხელოვნური მდინარის წყალსადენების დაბომბვას დაიწყებენ, საფრანგეთი მათი აღდგენის უკიდურესად ხელსაყრელ კონტრაქტებს მიიღებს და ამით დასრულდება ამ დროისთვის უფასო ზემოხსენებული წყლის პრივატიზება, შოკის დოქტრინიდან წყლის დოქტრინამდე. ჯერჯერობით არავინ იცის, ვინ დაეპატრონება საბოლოოდ ნავთობსა და გაზს, მაგრამ შოუ (დაბომბვა) უნდა გაგრძელდეს, რადგან ომზე უკეთესი ბიზნესი არ არსებობს.

© „ღონისძიებები ომისაწინააღმდეგ“

მასობრივი განადგურების დემოკრატია

ავღანეთში მომხდარი უკანასკნელი მკვლელობა მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდია მშვიდობიანი მოსახლეობის ათწლიანი ჟლეტის ისტორიაში და ეს ყველაფერი გაგრძელდება მანამ, ვიდრე ქვეყნიდან ნატო არ წავა.

ეს „იზოლირებული ინცინდენტი“ იყო, ხაზგახმით აღნიშნავდნენ ამერიკელი ჩინოვნიკები. როგორც აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, 16 მძინარე მშვიდობიანი მოქალაქის ჩახოცვა ერთი სამხედრო მოსამსახურის „აუხსნელი საქციელია“. და ვიდრე ბარაკ ობამა და დევიდ კემერონი ემზადებოდნენ, ზარ-ზეიმით ეცნობებინათ მსოფლიოსთვის ავღანეთში საბრძოლო ოპერაციის ვადამდე დასრულების თაობაზე, ჰილარიმ მოასწრო და გამოაცხადა, რომ აშშ „ავღანელი ხალხის დაცვას განაგრძობს“.

ვის შეიძლება საღ გონებაზე ამგვარი დაცვის სურვილი ჰქონდეს, მით უფრო ნატოს სულ უფრო დეგრადირებადი ოკუპაციის შემდეგ? პანჯვაიში უდანაშაულო ადამია-

ნების, მათ შორის ცხრა ბავშვის, მკვლელობა მოჰყვა იმ მკვლელობებსა და პროტესტებს, რომლებიც ამერიკელი სამხედროების მიერ ყურანის რამდენიმე ეგზემპლარის დაწვამ განაპირობა. ეს კი, თავის მხრივ, მას შემდეგ მოხდა, რაც ამერიკელი საზღვაო ქვეითების მიერ მკვდარი ავღანელების ცხედართა შეურაცხყოფის ამსახველი ვიდეო გაჩნდა.

პანჯვაიში დახვრეტის თაობაზე მოწმეთა ჩვენებები ჯერჯერობით ურთიერთსაპირისპიროა. თუ ეს ერთი დამნაშავის ნახელავია, მაშინ ის ან შეშლილია, ან გარყვნილი რელიგიური თუ რასისტული ზიზღით ხელმძღვანელობდა.

როგორც ერაყში, ავღანეთშიც საოკუპაციო ჯარების მხრიდან მშვიდობიან მოსახლეობაზე ძალადობა ამ ბინძური ომის პირველივე დღეებიდან ჩვეულ მოვლენად იქცა. დროთა განმავლობაში ახალი ექსცესების სულ უფრო მეტი მტკიცებულება ჩნდება. შარშან ამერიკის ერთ-ერთი ქვედანაყოფის მებრძოლები ავღანეთის მშვიდობიანი მოსახლეობის გართობის მიზნით და ხოცვისთვის გაასამართლეს. მაშინ დახოცილებს სხეულის ნაწილებს აჭრიდნენ, გარდაცვლილებს კი ხელში იარაღს აძლევდნენ, რათა ისინი ბრძოლაში დაღუპულებს დამსგავსებოდნენ.

ცხადია, ამგვარი საქციელი მხოლოდ ამერიკელებს არ ახასიათებდათ. მაგალითად, ბრიტანელი სამხედრო ნაბახუსევზე უხასიათოდ იყო და აბსოლუტურად უმიზეზოდ დაარტყა თირკმელში დანა 10 წლის ავღანელ ბიჭს. მართლმსაჯულების წინაშე წარსდგნენ ის ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებმაც ვიდეოკამერით გადაიღეს ავღანელი ბავშვების წვალების ფაქტი, „ვიკილიკსის“ დოკუმენტების ნაკრებში კი არის 21 ინცინდენტი, რომელთა დროსაც ბრიტანელი სამხედროები მკვდრებს ესროდნენ ან მშვიდობიან მოსახლეებს ბომბავდნენ.

ნებისმიერ შემთხვევაში წინასწარ განზრახულ და შემთხვევით მკვლელობებს შორის ზღვარი გადაშლილია. ავღანეთში ნატოს ჯარების ყოფილმა სარდალმა, ამერი-



კელმა გენერალმა სტენლი მაკკრისტალმა აღიარა: „ჩვენ ვესროლეთ ადამიანთა წარმოუდგენელ რაოდენობას, მაგრამ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ერთხელაც არ დამტკიცებულა, რომ მათგან რომელიმე საფრთხეს წარმოადგენდა“.

როდესაც გილმენდში 6 ბრიტანელი ჯარისკაცი მოკლეს, რის შედეგადაც ამ ქვეყნის ათი წლის მანძილზე დახოცილ ჯარისკაცთა რაოდენობამ 400-ს მიაღწია, პოლიტიკოსებიცა და მასმედიაც მათ დღუპვას ნაციონალურ ტრაგედიად წარმოაჩენდნენ. **ავღანეთში აშშ-ისა და ბრიტანეთის მიერ წამოწყებულ ომში ათიათასობით ავღანელი დაიხოცა. რაც შეეხება პანჯვაიში დახოცილ 16 მშვიდობიან ავღანელს, მათ სახელებსაც კი არავინ აცხადებს.**

ავღანეთის ომში მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვის მხრივ რეკორდი დამყარდა: გაერო 3021 გარდაცვლილის შესახებ იტყობინებოდა და ნატოსა და მის მოკავშირეებს 410 მათგანის მკვლელობაში სდებდა ბრალს, მაგრამ ავღანეთის უფლებადამცველი ორგანიზაციები ირწმუნებიან, რომ ამ გათვლებში უცხოელი სამხედროების მიერ დახოცილთა რაოდენობა სერიოზულადაა შემცირებული.

როგორც წესი, ოკუპანტების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა ან თალიბებს ბრალდება, ან ამის შესახებ საერთოდ არ იტყობინებიან.

მრავალი მშვიდობიანი ავღანელი ღამის რეიდებს ან ავიაგადაფრენებს ეწირება, დაახლოებით ისე, როგორც გასულ თვეში ქვეყნის ჩრდილოეთით ცოცხლად დაიწვა 6-დან 18-წლამდე ასაკის რვა მწყემსი ბიჭი. საზღვრის მეორე მხარეს, პაკისტანში, სხვა გვარის ანგარიშსწორებებია — ცსს-ს უპილოტო საფრენი აპარატების წერტილოვანი დარტყმების შედეგად 3200 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის — ასობით მშვიდობიანი მოქალაქე და 175 ბავშვი. ეს ყველაფერი სამთავრობო კავშირგაბმულობის ბრიტანული შტაბის ხელშეწყობით ხდება.

ცხადია, ავღანეთის ოკუპაცია მშვიდობიანი მოსახლეობის ტანჯვის მხრივ სულაც არაა უნიკალური შემთხვევა. ერაყის ომი თავიდანვე გამოირჩეოდა ოკუპანტთა დანაშაულებებით: ხადისა, სადაც 2005 წელს ამერიკელმა საზღვაო ქვეითებმა 24 მამაკაცი, ქალი და ბავშვი ცივსისხლიანად ამოხოცეს, 2007 წელს „Blackwater"-ის დაქირავებული სამხედროების მიერ 17 ადამიანის დახოცვა და ბაღდადში ამერიკული ვერტმფრენის ეკიპაჟის მიერ ოცი ადამიანის დახვრეტა იმავე წელს მხოლოდ ყველაზე ცნობილი მაგალითებია.

ვიეტნამში ამერიკელ სამხედროებს არაერთი სისხლიანი სცენა მოუწყვიათ. ცნობილია სონგმის 1968 წლის ინციდენტი, რომლის დროსაც სოფლის ასობით მკვიდრი ამოხოცეს. იგივე შეიძლება ითქვას ბრიტანეთის კოლონიური ომის შესახებ მალაიაში მეამბოხე კომუნისტების წინააღმდეგ, სადაც 1948 წელს ბრიტანელმა ჯარისკაცებმა დახვრიტეს სოფელ ბატანგ კალის 24 მკვიდრი. მათი ნათესავები, უკვე 64 წელია, იბრძვიან სამართლიანობისთვის.

სისხლიანი ანგარიშსწორებები ომში ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ისინი უცხოური ოკუპაციის ხასიათზეა დამოკიდებული. რასობრივი და კულტურული უპირატესობის იდეებით გაჯერებული, გამხეცებული ჯარისკაცები



იგზავნებიან იმპერიულ დავალებებზე — დაიმორჩილონ ადამიანები, რომლებისაც მათ არ ესმით და ისინიც შურს იძიებენ რეალური ან წარმოსახვითი წინააღმდეგობის გამო, რითაც შიშსა და საშინელებას თესავენ.

ასეთია ავღანური კამპანიის ისტორია, უკვე ათწლიანი ინტერვენციის ისტორია, რომელიც თითქოსდა ტერორიზმის დასამარცხებლად დაიწყო, სინამდვილეში კი ავრცელებს და კვებავს ტერორიზმს მთელ რეგიონში და მის ფარგლებს გარეთაც. ეს არის ომი, რომლის მრავალრიცხოვანი მიზნებიდან ერთიც არაა მიღწეული — არც „თალიბანი“ და „ალ ქაიდა“ განადგურებულა, არც დემოკრატია და ქალთა უფლებები აყვავებულა, არც ოპიუმის ყაყაჩოს პლანტაციები მოსპობილა...

მტკიცდება მათი შავბნელი გაფრთხილებები, ვინც თავიდანვე ამ ომის წინააღმდეგი იყო. თალიბები ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებენ, ავღანეთი მსოფლიოს ოპიუმის დედაქალაქია, ქალთა უფლებებთან დაკავშირებით მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება, ხალხს კი ეზიზღება ბარონი-ყაჩაღი ყარზაის რეჟიმი.

სადაა დღეს ის „კარგი ომი“? უცხოური ჯარები კონფლიქტის მთავარი მიზეზია და არა მისი გადაწყვეტის გზა, რაც კარგად ესმით როგორც ნატოს ქვეყნებში, ისევე თა-

ვად ავღანეთში. **ბრიტანეთში მოსახლეობის 55% ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის მომხრეა; აშშ-ში მოსახლეობის 60% მიიჩნევს, რომ ეს ომი საერთოდ არ იყო საჭირო; ავღანეთის სამხრეთში მცხოვრებთა 87% ამბობს, რომ ნატოს ოპერაცია სახიფათოა ავღანეთისთვის, ჩრდილოეთით კი ამავე აზრს იზიარებს მოსახლეობის 76%.**

მაგრამ კემერონი ირწმუნება, რომ ეს „ძალიან კარგი საქმე“ უნდა გაგრძელდეს. მიუხედავად მზარდი ზეწოლისა კატასტროფული ოკუპაციის შეწყვეტის მიზნით, აშშ სულ უფრო დაჟინებით მოითხოვს ავღანეთის ხელისუფლებისგან „ხანგრძლივი დარჩენის“ უფლებებს, ოღონდ კი ნატოს სახე გადაარჩინოს, მაგრამ მას ველარაფერი გადაარჩენს. 2014 წლის დასასრულამდე, როდესაც ნატოს სამხედრო ოპერაციები უნდა დასრულდეს, ძალთა თანაფარდობაში სერიოზული ცვლილებები მოსალოდნელი არაა. ახლა, როდესაც აშშ და ნატო თალიბებთან მოლაპარაკებებისთვის არიან განწყობილნი, ჯარების გაყვანის მოთხოვნა საყოველთაო ხდება.

სამოქალაქო ომის განახლების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილებაა, რომელსაც მეზობელი ქვეყნები დაუჭერენ მხარს. ოკუპაციის 2014 წლმდე და უფრო შორს გაწელვა მხოლოდ ახალ ანგარიშსწორებებს, სამხედროებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების ხოცვას და რეგიონის შემდგომ დესტაბილიზაციას ნიშნავს.

ავღანეთის ომი, ისევე, როგორც ერაყის ომი, დასავლეთის იმ ქვეყნების კატასტროფულად მცდარი გათვლაა, რომელთაც კვლავაც და კვლავაც დასასწავლი აქვთ იმპერიების გაკვეთილები. XXI საუკუნეში უცხოურ სამხედრო ოკუპაციას წინააღმდეგობას გაუწევენ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ამისათვის საზღაური სისხლით გადაიხდება და ის რიკოშეტით შემოუბრუნდება მათ, ვინც ოკუპაციის თავსმოხვევას ცდილობს.

© „ღონისძიების ანგარიში“

ნატოს კრიზისი: ვინ შეასრულებს შავ საქმეს

რამდენად ერთიანია ნატო და შეიძლება, რომ ის უშუალოდ აშშ-ის იარაღად ჩავთვალოთ? ეს კითხვები ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაციის შექმნის მორიგ წლისთავზე შემთხვევით არ წამოჭრილა. ამ სამხედრო ბლოკში შემავალი მთელი რიგი ქვეყნებისა ლიბიის წინააღმდეგ აგრესიას მხარს არ უჭერდნენ. განსაკუთრებით სამაგალითო სამხედრო ოპერაციისადმი გერმანიის დამოკიდებულება გახდა, გერმანიისა, რომელიც ნატოში აშშ-ის შემდეგ უმსხვილესი სამხედრო ძალაა.

გერმანიამ დასაწყისშივე უარი განაცხადა ლიბიის დაბომბვაში მონაწილეობაზე. შეიძლებოდა ამ ოპერაციისადმი გერმანელების დამოკიდებულება იმისთვის მიგვეწერა, რომ გერმანია ლიბიის დიდი ხნის პარტნიორია. კადაფსა და დასავლეთს შორის უდიდესი დაპირისპირების დროსაც კი გერმანელები ტრიპოლთან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას განაგრძობდნენ. ისინი ლიბიის ნავთობის დაახლოებით ათი პროცენტის მომხმარებლები იყვნენ. გარდა ამისა, გერმანია ლიბიასთან ურთიერთსასარგებლო სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობას ახორციელებდა. მაგრამ შეუძლებელია მხოლოდ ეკონომიკურმა მოტივებმა, განაპირობოს ესა თუ ის პოლიტიკური გადაწყვეტილება.

უფრო მეტიც, **ნატოს ახლადნაზიარები აღმოსავლეთევროპელებიც კი, რომელთაც აშშ-ის ყველაზე ერთგულ მომხრეებად მიიჩნევდნენ, ლიბიის კრიზისთან დაკავშირებით განზე გადგნენ.** ვიღაცას, ისევე, როგორც პოლონეთს, ამ ქვეყანაში „დემოკრატიის“ დამყარება სურს; სხვებს, მაგალითად, ბულგარეთს, „ენერგეტიკული კომპანიების ინტერესებით ნაკარნახევი“ ეს ოპერაცია არ მოსწონს და ამის გამო ალიანსელ უფროს მეგობრებს აკრიტიკებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბლოკის შიგნით რყევები, კარგა ხანია, შეინიშნება. **ყველაზე მეტ უსიამოვნებებს ალიანსის ხელმძღვანელობას ორი ქვეყანა — საფრანგეთი და საბერძნეთი უქმნიდა.** პირველი 1966 წლის ივლისიდან ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან გავიდა და პოლიტიკურში დარჩა. მართალია, ამით განსაკუთრებული ტრაგედია არავის შეუქმნია, მაგრამ ფრანგებმა იგივე ამერიკელებს არაერთხელ შეუქმნეს სერიოზული უსიამოვნებები.

მაგალითად, 1986 წლის აპრილში საფრანგეთმა დემონსტრაციულად დახურა თავისი საჰაერო სივრცე აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალებისთვის, რომლებიც ბრიტანული ბაზებიდან იმავე ლიბიის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. უფრო მეტიც, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მან კონსტრუქციული როლი შეასრულა წარმოქმნილ კრიზისში და გერმანიასა და იტალიასთან ერთად საერთო ანტირუსული პოზიციის შემუშავება არ დაუშვა.

რაც შეეხება საბერძნეთს, 1974-დან 1980 წლამდე ის ასევე არ შედიოდა ნატოს სამხედრო ორგანიზაციაში, რაც მეზობელ თურქეთთან მისი რთული ურთიერთობებით იყო განპირობებული. იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატოს აგრესიისას, უწევდა რა ბელგრადს საკმაოდ სერიოზულ დახმარებას, ერთობ გამომწვევად იქცეოდა. ზოგიერთებმა მაშინ ის იმაშიც კი დაადანაშაულეს, რომ სერბებს საადაზვერვო ხასიათის ინფორმაციას აწვდიდა.

კიდევ უფრო საინტერესო იყო ალიანსის ევროპელი წევრების დამოკიდებულება ერაყში აშშ-ის სამხედრო ავანტიურისადმი. ამ ოპერაციას მხარი დაუჭირა ნატოს ქვეყნების რეკორდულად მცირე რაოდენობამ. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ ამ ქვეყნებმა ერაყში თავიანთი სიმბოლური კონტინგენტები გაგზავნეს, რეალური დახმარება აშშ-ს მხოლოდ ბრიტანეთმა გაუწია.

შეიძლება, რომ ამ მდგომარეობაში ნატო კვლავაც აშშ-ის პოლიტიკის ინსტრუმენტად განვიხილით? დიახ. **როგორი განხეთქილებაც უნდა იყოს ალიანსის შიგნით, ნატო კვლავ აშშ-ის ინსტრუმენტად დარჩე-**

ბა. თუნდაც ეგრეთ წოდებული ევროპული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა წმინდა ამერიკული პროექტია, რადგან დანარჩენი ქვეყნებიდან არც ერთს არ შეუძლია, რაიმეთი შეავსოს ის. **სავარაუდოდ, რუსეთთან თანამშრომლობის შესახებ საუბრები მხოლოდ ქაღალდზე დარჩება და აშშ-ის ნატოელ-ევროპელი მოკავშირეები იძულებული იქნებიან, ბევრი რამ ამერიკული წესებით გააკეთონ.**

სხვა თუ არაფერი, ბლოკის სამხედრო ძალის საფუძველს ამერიკელები შეადგენენ. სხვა ყველა ამცირებს სამხედრო ხარჯებს და ამერიკული ქოლგის ქვეშ დამალვას ცდილობს. ზოგიერთებმა, შესწირეს რა თავდაცვის ბიუჯეტი ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროებს, შეიარაღებულ ძალებზე ყველა საჭიროებისთვის გამოყოფილი ფულის 1,5%-ს ხარჯავენ. და რაკი ასეა, გამოდის, რომ მათ საკუთარი თავდაცვის საკითხებიც კი აშშ-ს გადააბარეს.

მაგრამ შეასრულებენ კი ამერიკელები შავ საქმეს აფრიკულ კონტინენტზე, ვთქვათ, ფრანგებისთვის? როგორც ცნობილია, მშვენიერ საფრანგეთს არც თუ პატარა ინტერესები აქვს თავისი ყოფილი კოლონიების ტერიტორიებთან დაკავშირებით შავ კონტინენტზე, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, საიდანაც ტრადიციულად ურანს იღებს.

ნებისმიერ შემთხვევაში, თავდაცვის მხრივ, აშშ-ის იმედად ყოფნით, ალიანსის სხვა წევრები სერიოზული რისკის წინაშე დგანან, ევროპის მილმა საკუთარი ინტერესები დარტყმის ობიექტებად აქციონ.

სანქცირებული ძალადობა და წამების ნებადართული მეთოდები

2012 წლის დასაწყისი აშშ-ისა და მისი მოკავშირეების შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში განხორციელებული ძალადობებით გამოირჩეოდა. საბრძოლო უპილოტო საფრენი აპარატებიდან გაშვებული რაკეტებით პაკისტანელი მშვიდობიანი მოქალაქეების მკვლელობები, ამერიკელი სერჟანტის მიერ 17 მშვიდობიანი მოქალაქის, მათ შორის ბავშვების, დახოცვა — ეს ყველაფერი მხოლოდ ის ერთეული შემთხვევებია, რომელთა საზოგადოებისაგან დამალვაც ვეღარ მოხერხდა. რეალობა ბევრად უფრო სასტიკია. „ჩვენ ავღანელ ბავშვებს თითქმის ყოველდღე ვხოცავთ. როგორც წესი, ჩვენ არ ვესვრით მათ ჩვენი საბრძოლო ბაზების გარეთ, მაგრამ, თუ ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე მოკლავს ან დაჭრის სამოქალაქო პირებს იმპროვიზებული ნაღმით ჩვენი ბადრაგის აფეთქების გამო, ეს უჩვეულო შემთხვევა არ იქნება... და ავღანელები ვერ გვიტანენ ამ მხეცობისა და ორპირობისთვის“, — განაცხადა ერთ-ერ-

© „ღვინისფერი ბინისფერი“

თმა ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურემ მარტის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ.

„სახელმწიფოს (აშშ) მიერ დაფინანსებული მკვლელობების დონე სხვა ქვეყნების საზოგადოებისათვის საგულდაგულოდ დამალულია. რეპორტიორები, რომლებიც სამხედრო ქვედანაყოფებთან ერთად მოგზაურობენ, წარმოადგენენ ფსიქოლოგიურ გუნდს, რომელიც აღწერს ჯარისკაცებს მითიურ თავგანწირვასა და გმირობებს სამშობლოში საბრძოლო სულისკვეთებისა და პატრიოტული გრძნობების გასაძლიერებლად“. რა თქმა უნდა, ამგვარი „ინცინდენტებისათვის“ ყოველთვის მოიძებნება გამართლება — ტექნიკური შეცდომა, სამხედროთა გადაღლა მათი მსახურების ვადების არასწორად გათვლის გამო და ასე შემდეგ, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც არ ხსნის made in US ძალადობის მიზეზებს.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ თავად აშშ-ის სამოქალაქო კულტურა, უფრო ზუსტად კი მისი პროტოტიპი, რომელიც ამერიკული საზოგადოების ქიმერულ სტრუქტურას ეფუძნება, ლეგიტიმურს ხდის ძალადობას, პირველ რიგში, თავად აშშ-ში. მაგალითად, სხვადასხვა სახის „სისასტიკის“ იურიდიული ინტერპრეტაცია აშშ-ში ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა, რაც ამართლებდა და ასაბუთებდა სახელმწიფოს მიერ სანქცირებული წამების მეთოდების გამოყენების საჭიროებას.

მასაჩუსეტსის 1641 წლის თავისუფლებათა ნაკრებში მითითებულია, რომ განსჯილი დამნაშავე „შეიძლება დაექვემდებაროს წამებას“, თუ ის აღიარებულია დამნაშავედ, მაგრამ, ამავე დროს, წამება არ უნდა იყოს „ბარბაროსული და არაადამიანური“.

1984 წლის კონვენცია წამების წინააღმდეგ სცილდება წამების, როგორც არაადამიანური აქტის, ჩარჩოებს და ავიწროებს მის განმარტებას, მათ შორის არაკანონიერ წამებებთან მიმართებაშიც. ამ ინტერპრეტაციის თანახმად, ნებისმიერი ქმედება, რომლებიც ლეგალიზებულ იქნა, განსაზღვრების მიხედვით, წამებას არ

წარმოადგენს. შესაბამისად, თუ ხელისუფლების ორგანოები მოქმედებდნენ ნაციონალური უსაფრთხოების რაღაც აბსტრაქტული ინტერესების დასაცავად, შეიძლება ნებისმიერი ეჭვნიტანილის წამება და წვალება, რადგან ეს კანონით ნებადართულია.

ჯეი ბაიბისთან (აშშ-ის ყოფილი გენერალური პროკურორი, რომელმაც ნებართვა გასცა, ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირში ეჭვმიტანილები წყლით ეწამებინათ) დაკავშირებული 2002 წლის შემთხვევა ადასტურებს, რომ ადამიანს შეუძლია, ოფიციალურად გასცდეს იმ ზღვარს, რომლის მიღმაც „დგება სიკვდილი, მუშაობას წყვეტენ ორგანოები ან ხდება ორგანიზმის ძირითადი ფუნქციების მუდმივი მოშლა“. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ეს ქმედებები, აშშ-ის კანონმდებლობის თანახმად, არ შეიძლება განხილულ იქნეს წამებად, თუ გამომძიებლებს ჰქონდათ „კონკრეტული განზრახვა“, ტკივილის განსაზღვრული დონე გამოეწვიათ. **თავის მემორანდუმში ბაიბი განმარტავს, რომ მძიმე წამება არის ტკივილისა და ტანჯვის ის დონე, რომლის გაძლებასაც დასაკითხი ადამიანი ვერ შეძლებს. ოფიციალურად წამება, უბრალოდ, ჩაანაცვლეს დაკითხვის მკაცრი მეთოდებით, რომელთა შორისაც იყო წყალში თავის ჩაყოფა, 40 საათის განმავლობაში ფეხზე დგომა, ცივ კარცერში შიშველი ყოფნა, მუცელში დარტყმების მიყენება და ასე შემდეგ.**

აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი დახმარების სამმართველომ მოამზადა სამსახურებრივი წერილი, რომელშიც მითითებული იყო, რომ, თუ სახელმწიფო მოხელე აპირებს ტერორიზმში ეჭვმიტანილის წამებას, „ის გააკეთებს ამას იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს ამერიკის შეერთებულ შტატებზე ახალი თავდახმები ტერორისტულ ქსელ „ალ ქაიდას“ მხრიდან“.

2007 წელს ცნობილი გახდა სასამართლო პროცესის შესახებ „ელ-მასრი აშშ-ის წინააღმდეგ“. 2003 წელს მაკედონიის ხელისუფლებამ ცსს-ს გადასცა ლიბანური წარმომავლობის გერმანიის მოქალაქე. ამ ადამიანს თითქმის ხუთი თვის განმავლობაში ცსს-ს წარმომადგენლები ავ-

ღანეთში მდებარე თავიანთ ერთ-ერთ ციხეში ბრალდების წაყენების გარეშე ამყოფებდნენ და აწამებდნენ. ამის შემდეგ ტუსაღი გაათავისუფლეს, რადგან, მისი ადვოკატის თქმით, იგი შეცდომით იყო დაკავებული. მიუხედავად იმისა, რომ ცსს-ს აგენტების წინააღმდეგ შეტანილ იქნა სარჩელი, აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ მის განხილვაზე უარი განაცხადა, რამაც საერთაშორისო სკანდალი განაპირობა. აშშ-ის სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ არ შეუძლიათ გამოიძიონ, თუ რომელი აგენტი აწამებდა პატიმარს ისე, რომ არ გამჟღავნებულიყო ცსს-ს მუშაობის ორანიზების სახელმწიფო საიდუმლო.

2009 წელს მომხდარი კიდევ ერთი პრეცედენტია ცნობილი, როგორიცაა „არარი ეშკროფტის წინააღმდეგ“. დაზარალებული კანადის მოქალაქე 2002 წელს ნიუ იორკიდან ახლო აღმოსავლეთში გადაიყვანეს და ერთ-ერთ ციხეში ათი თვის განმავლობაში აწამებდნენ. სასამართლომ ამ სარჩელის განხილვაზეც უარი განაცხადა და დაზარალებულს კომპენსაციაც კი არ შესთავაზა.

იყო შემთხვევა, როდესაც აშშ-ის ძალოვანი სტრუქტუ-

რების წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს „დაკითხვის მკაცრი ფორმების“ გამოყენებაზე. მაგალითად, გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტი ალი სუფანი 2009 წელს წამების წინააღმდეგ გამოდიოდა. მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს — თავად აშშ-ის მოქალაქეებიც მონაწილეობდნენ ტერორიზმის აქტებში. მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონი აშშ-ს წარმოაჩენს მაღალი სამოქალაქო კულტურისა და მორალური ვალდებულებების მქონე ადამიანების სამშობლოდ, რეალობა ამ სურათს აბსოლუტურად არ შეესაბამება. ცსს-ის მოხსენებაში, რომელსაც 2011 წელს აეხადა საიდუმლოების ფარდა, აღნიშნულია, რომ აშშ-ის იმ მოქალაქეების გამო შექმნილმა სიტუაციამ, რომლებიც დახმარებას უწევენ ტერორისტულ ორგანიზაციებს, შესაძლოა, სერიოზული გავლენა მოახდინოს საერთაშორისო ურთიერთობებზე, მათ შორის მესამე ქვეყნებში ეჭვმიტანილთა დაკავების, დევნისა და გადაგზავნის თვალსაზრისითაც.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სოციალური ქსელებს ექსტრემისტები გამოიყენებენ თავიანთი გზავნილების გასავრცელებლად და ადამიანების გადასაბირებლად. პრობლემები, შესაძლოა, ნორმატიული ხასიათისაც იყოს, რადგან აშშ-მა ხელი არ მოაწერა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დოკუმენტებს. მაგალითად მოყვანილია ისტორიული პრეცენდენტები აშშ-ის მკვიდრ ექსტრემისტებთან დაკავშირებით. მითითებულია, რომ „ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებს, ბრიტანული დაზვერვა ნაცისტებს აშშ-ის ტერიტორიაზე ხოცავდაო. ირლანდიური წარმომავლობის ამერიკელები კი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აფინანსებდნენ ირლანდიის რესპუბლიკურ არმიას. „Clan na Gael“-ის წევრებმა მოაწყვეს ლონდონში მეტროს, სკოტლანდ-იარდის, ბრიტანეთის პარლამენტისა და თაუერის კოშკის აფეთქებები. 1960-იანი წლების დასასრულს აშშ-ში შექმნილი ჩრდილოეთ ირლანდიის დახმარების კომიტეტი მატერიალურ მხარდაჭერას უწევდა ირლანდიელ ბოევიკებს. თანხა ძირითადად იარაღის შეძენაზე იხარჯებოდა.

1994 წელს ნიუიორკელი ექიმი, რომელიც ისრაელში გა-

დასახლდა, ექსტრემისტულ დაჯგუფება „კახში“ გაწევრიანდა და ლოცის დროს მეჩეთში 29 პალესტინელი მოკლა. ამ აქტმა „ჰამასის“ საპასუხო რეაქცია განაპირობა 1995 წლის დასაწყისში. 2008 წლის ნოემბერში პაკისტანური წარმომავლობის ამერიკელს, დევიდ ჰედლის ბრალად ედებოდა მუმბაის იმ ტერაქტებთან კავშირი, რომელთა შედეგადაც 160 ადამიანი დაიღუპა. არაერთხელ ყოფილან დაკავებულნი მუსლიმანი ამერიკელები, რომელთაც სურდათ, „თალიბანის“ ან „ალ ქაიდას“ რიგებში შეერთებოდნენ „ჯიჰადს“.

ცსს-ს ამ დოკუმენტის დასასრულს საუბარია იმაზე, რომ, გავრცელებული აზრის მიუხედავად, აშშ-ის მიერ ტერორიზმის ან ტერორისტების ექსპორტი რაიმე სიახლეს არ წარმოადგენს და ის მხოლოდ ისლამისტ რადიკალებთან და ახლოაღმოსავლური, აფრიკული ან სამხრეთაზიური წარმომავლობის ადამიანებთან არაა დაკავშირებული.

ამ ყველაფერს ისიც შეიძლება დაემატოს, რომ აშშ-ში რასისტული ხასიათის მრავალი ექსტრემისტული ორგანიზაცია მოქმედებს. იგივე კუ-კლუკს-კლანი და მისი ათასგვარი მოდიფიკაცია მრავალ შტატში აქტიურად გა-

ნაგრძობს მოღვაწეობას. მაგალითად, ტენესში შტაბ-ბინის მქონე „კლანი“ ათი ათასზე მეტ წევრს ითვლის და ამ წევრებიდან ყველა გამსჭვალულია რასობრივი, იდეოლოგიური თუ რელიგიური სიძულვილით, რაც მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებებშიც მშვენივრად ჩანს.

1985 წელს დაფუძნებული კონსერვატ მოქალაქეთა კავშირი, რომლის შტაბ-ბინაც სენტ-ლუისში მდებარეობს, რასობრივი უპირატესობის იდეოლოგიას ქადაგებს. ორგანიზაცია გამოსცემს „The Citizens Informer“-ს 20-ათასიანი ტირაჟით. მისისიპისა და ალაბამის მთელი რიგი სენატორებისა არაერთხელ გამოვიდნენ საბჭოს მიტინგებზე და პოლიტიკური მხარდაჭერა გაუწიეს რასისტებს. ორგანიზაცია გამოდის იმიგრაციაზე მორატორიუმის დაწესების, ვაჭრობის თავისუფლებისა და გლობალური კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ორგანიზაციის წევრები საკუთარ თავს მიიჩნევენ ანგლო-საქსონური პროტესტანტული ტრადიციების გამგრძელებლებად. სხვათა შორის, თავად ამ ტრადიციებსაც ძალზე სპეციფიური შეხედულება ახასიათებს მსოფლიოს მოწყობის თაობაზე.

კიდევ ერთი მსგავსი სტრუქტურაა „The Creativity Movement“. მისი უკანასკნელი ლიდერი მატ ჰეილი 2005-ში გაასამართლეს და 40 წელი მიუსაჯეს. **მოძრაობის წევრებს რასისტული შეხედულებები აქვთ. მათთვის ებრაელები და შავკანიანები ბუნებრივად მდაბიო რასას წარმოადგენენ და თეთრკანიანების მტრებად მოიაზრებიან. ასევე მტრულად არიან ისინი განწყობილნი ქრისტიანობის მიმართაც და მას „საყოველთაო რასობრივი აღრევისათვის ებრაელთა იარაღს“ უწოდებენ.**

აშშ-ის ძალაქი ელოხიმი საერთოდაც ერთი დიდი პროტესტანტული სექტაა, რომლის წევრებიც ჩაკეტილი ცხოვრების წესს მისდევენ და აპოკალიფსური განწყობა აქვთ. ადრე სექტის წევრებს კავშირები ჰქონდათ გასამხედროებულ რელიგიურ დაჯგუფებებთან, რომლებიც არკანზასისა და მისურის საზღვრებზე მოქმედებდნენ.

კიდევ ერთი პროტესტანტული სექტა, რომელიც 1993

წელს შეიქმნა და რომელმაც დაახლოებით ნახევარმილიონიანი ფინანსური პირამიდა ააგო **„Greater Ministries International“-ია. ის 18 ათასამდე წევრისაგან შედგება.**

სექტა „ქრისტიანული იდენტურობა“, რომელიც მომცრო ზომის პროტესტანტული რელიგიური მოძრაობის „ბრიტანული ისრაელიზმისგან“ შეიქმნა, ამტკიცებს, რომ არაკავკასოიდური რასის ადამიანებს სული არ გააჩნიათ, ქრისტემ კი მხოლოდ თეთრკანიანებისთვის დაღვარა სისხლი. ამ სექტის დოქტრინის თანახმად, ევამ აბელი ადამისაგან გააჩინა, კაენი კი — სატანისაგან. თავად კაენი მათთვის შავკანიანია. ეს სექტა **აშშ-ში ერთ-ერთ ყველაზე საშიშ რელიგიურ-ექსტრემისტულ დაჯგუფებად ითვლება.**

აშშ-ში არის ახალგაზრდული ორგანიზაციებიც, რომლებიც ერთგვარ ქუჩის საბრძოლო რაზმებს წარმოადგენენ. მაგალითად, **„ამერიკული ფრონტი“** არის სკინხედების რასისტული ორგანიზაცია, რომელიც ქვეყნის სხვადასხვა შტატში მოქმედებს. ის 1987 წელს ბობ ჰეიკმა შექმნა. **ორგანიზაცია ანტისემიტიზმს ქადაგებს და სხვა მრავალ ექსტრემისტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობს.**

ამ სიის გაგრძელება კიდევ ბევრი პუნქტით შეიძლება, თუმცა უკვე ჩამოთვლილებიდანაც ნათელია, თუ რამდენად მრავალრიცხოვანია ამერიკელი ექსტრემისტების რიგები.

აშშ-ის ხელისუფლებისთვის ბოლო დროს სულ უფრო რთული ხდება საკუთარი მოქალაქეების „აგრესიის კულტურის“ მართვა, ამიტომაც ეს აგრესია სულ უფრო ხშირად მიდის „ექსპორტში“.

ლაბორატორიულ ვირთხებად ქცეული ბავშვები

ერაყში, ფალუჯას საავადმყოფოში არავის შეუძლია სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რამდენი ბავშვი იბადება თანდაყოლილი დეფექტით — იქ ასეთი ძალიან ბევრია. მშობლებს ამაზე საუბარი არ სურთ, რადგან ამ ყველაფერს დიდ სირცხვილად აღიქვამენ. როგორც ჰოსპიტლის ერთ-ერთი თანამშრომელი აცხადებს, მხოლოდ იანვარში იქ უსაშინელესი თანდაყოლილი დეფექტით დაბადებული 672 ბავშვი დაფიქსირეს, მაგრამ სინამდვილეში მსგავსი შემთხვევა გაცილებით მეტი იყო.

როდესაც თავის ტვინის, კიდურების ან თვალების გარეშე დაბადებული ბავშვების შესახებ საუბრობენ, მათ მშობლებს სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობა ეუფლებათ. ისინი თავს იდანაშაულებენ, რომ ესოდენ არასრულფასოვანნი შვილები გაუჩნდათ და ოდნავაც არ ამშვიდებთ რომელიღაც უხუცესის მიერ მიცემული ახსნა-განმარტება, რომ ეს ხვთისგან მოვლენილი სასჯელია. ამ

ბავშვების ფოტოებს გულგრილად ვერავინ შეხედავს. მათ უბედურებაზე პასუხისმგებელ პირებს კი მშვიდად ძინავთ.

2004 წლს ამერიკელებმა ფალუჯაში ქიმიური ნივთიერებებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების ყველა სახეობა გამოსცადეს: თერმობარული იარაღი, თეთრი ფოსფორი და ასე შემდეგ. ადგილობრივი მოსახლეობა მათთვის ლაბორატორიული ვირთხები იყვნენ.

2003 წელს ერაყში შეჭრის შემდგომი თვეები საოკუპაციო ძალების საწინააღმდეგო დაუსრულებელი დემონსტრაციებით ხასიათდებოდა. 2004 წელს მსგავსი დემონსტრაციები აღარ მომხდარა — ამისათვის აღარავის ეცალა. ევფრატის სანაპიროზე ბაღდადის დასავლეთით მდებარე ქალაქს ყველაზე მძიმე პერიოდი დაუდგა.

იმ წელიწადს, 31 მარტს, ამერიკული ჯარის — Blackwater-ის ოთხი დაქირავებული სამხედროს ხიდიდან გადაკიდებული დანაწევრებული სხეულების ფოტოებმა მთელი მსოფლიო მოიარა. „ალ ქაიდამ“ საკუთარი თავის შესახებ ამ დაუნდობელი მეთოდებით გამოაცხადა და ადგილობრივმა მოსახლეობამ მომდევნო ოპერაციის „აჩრდილის მრისხანების“ წყალობით ამისთვის დიდი საზღაური გაიღო. პენტაგონის მონაცემებით, ეს ყველაზე დიდი სამოქალაქო ბრძოლა იყო 1968 წელს ვიეტნამის ქალაქ ხუეში მომხდარის შემდეგ.

პირველი რეპრესიები 2004 წლის აპრილში დაიწყო, მაგრამ ყველაზე უარესი ნოემბერში მოხდა. ქალაქში ინტენსიური დაბომბვები დაიწყო. ამერიკელები ამბობდნენ, რომ „ღამით სამიზნის გასანათებლად“ თეთრ ფოსფორს იყენებდნენ, მაგრამ იტალიელი ჟურნალისტების ჯგუფმა მალე იმის დოკუმენტური დადასტურება წარმოადგინა, რომ თეთრი ფოსფორი იყო მხოლოდ მორიგი აკრძალული იარაღი, რომელიც ამერიკულმა ჯარმა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოიყენა.

მსხვერპლთა საერთო რაოდენობა ამ დრომდე უცნობია, თუმცა ამ მსხვერპლთაგან მრავალი ჯერ კიდევ არ დაბადებულა.

ფალუჯას საავადმყოფოს ექიმმა აბდულკადირ ალრა-

ვიმ სულ ახლახან განიხილა კიდევ ერთი საინტერესო შემთხვევა — გოგონა დენდი უოკერის სინდრომით, თავის ტვინის განვითარების ნაკლოვანებით დაიბადა. მისი ტვინი ორ ნაწილად გაიყო და დარწმუნებული არავინაა, რომ ბავშვი გადარჩება.

ფალუჯას საავადმყოფოში ელემენტარული ინფრასტრუქტურაც კი მოუწესრიგებელია, რომ აღარაფერი ვთქვათ ესოდენ მძიმე შემთხვევებთან გამკლავებისთვის აუცილებელ პირობებზე.

გარემო პირობებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის კვლევაზე მომუშავე შვეიცარიის საერთაშორისო ჟურნალის მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგების თანახმად, ფალუჯაში სიმსივნეების, ლეიკემიისა და ახალშობილთა გარდაცვალების მაჩვენებლები გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ეს 1945 წლის დაბომბვების შემდეგ ხიროსიმასა და ნაგასაკში ხდებოდა.

ლეიკემიის შემთხვევები 38-ჯერ გახშირდა (იაპონიის ქალაქებში ამ დაავადების რაოდენობამ მხოლოდ 17-ჯერ მოიმატა). ცნობილი ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ფალუჯაში მდგომარეობა იმაზე უარესია, ვიდრე „ვიკილიქსის“ მიერ აღწერილი ავღანური ისტორიები.

ლონდონში ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების მონაცემების თანახმად, დაზარალებულთა თმის ძირებში უჩვეულოდ დიდი რაოდენობით ურანისა და თუთიის შემცველობაა. ეს კი იმის მტკიცებულებაა, რომ **ფალუჯაში გამოყენებულ იქნა აკრძალული იარაღი, რომელმაც თანდაყოლილი დაავადებების დონე გაზარდა.**

თეთრი ფოსფორის გარდა საუბარია გაღარიბებულ რადიოაქტიურ ურანზე, რომელიც, სამხედრო ინჟინრების თქმით, მნიშვნელოვნად ზრდის ჭურვების შეღწევის შესაძლებლობებს. ითვლება, რომ გაღარიბებული ურანი 4,5 მილიარდი წლის წინ გაჩნდა და სახელად „მდუმარე მკვლელი, რომელიც არასდროს წყვეტს მკვლელობას“ უწოდეს. **ამჟამად ნატოს მიმართა რამდენიმე სა-**

ერთაშორისო ორგანიზაციამ იმის გასარკვევად, იყენებდნენ თუ არა გაღარიბებულ ურანს ლიბი-ის ომში.

ბრძოლებისა და სამხედრო ოპერაციების შედეგებისგან დაზარალებულ კიდევ ერთ ქალაქ ბარსაში 2010 წელს ამერიკელების დაფინანსებით გაიხსნა სპეციალური საავადმყოფო, პედიატრიულ ონკოლოგიაზეა სპეციალიზებული.

ბაღდადში დაავადებული ბავშვების რიგი უსასრულო-

ბამდე გრძელდება, მკურნალობისათვის რესურსები არასაკმარისია, დრო კი პატარა პაციენტების მხარეს არაა. ეს დაავადებები, გარდა იმისა, რომ აუბედურებენ ავადმყოფი ბავშვების ოჯახებს, სრულად აკოტრებენ კიდეც მათ. ყველაზე იაფფასიანი მკურნალობა ირანში 5000 დოლარი ღირს, შედარებით შეძლებულები შვილებს სირიაში 7000 დოლარად ან იორდანიაში 12000 დოლარად მკურნალობენ. მკურნალობენ საკუთარი ჯამრთელობისა და ხანდახან სიცოცხლის ფასადაც — უცხოეთში წასული ავადმყოფი ბავშვების ოჯახები ხშირად ქუჩაში ცხოვრობენ, რადგან მთელი ფული მკურნალობას სჭირდება, თუნდაც ღამის გასათევისთვის სახსრები კი აღარავის რჩება.

© „ღონისძიების ობიექტი“

ნატო მშვიდობიან მოქალაქეებს პაკისტანშიც ხოცავს

აშშ-სა და პაკისტანს შორის ურთიერთობა ასე დაძაბული არასდროს ყოფილა. პაკისტანის ახალგაზრდა დემოკრატია, ქვეყანაში ბრიტანელი კოლონიზატორების ათწლოვანი მბრძანებლობის შემდეგ, ძალზე მტკივნეულად რეაგირებს სახელმწიფო სუვერენიტეტის დარღვევებზე. ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე ამერიკელი სამხედროების უცერემონიო ქცევა, პაკისტანის საჰაერო სივრცეში ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატების ნადირობა თალიბებზე, დიდი ხანია, აღიზიანებს ისლამაბადს. 2010 წელს უპილოტო საფრენმა აპარატებმა

„თალიბებზე“ ასზე მეტი სარაკეტო დარტყმა განახორციელეს და ამ დარტყმების მსხვერპლნი არაერთხელ გახდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის წარმომადგენლები. პაკისტანის მთავრობა მსხვერპლთა შესახებ მონაცემებს არ აქვეყნებს, ეს კი მხოლოდ აძლიერებს საზოგადოებრივ პროტესტს.

ბენ ლადენის ლიკვიდაციის ოპერაცია, რომელიც ამერიკელებმა ყველანაირი საერთაშორისო ნორმისა და ორმხრივი შეთანხმების დარღვევით განახორციელეს, პაკისტანურ საზოგადოებაში უკმაყოფილების ახალი ტალღის ბიძგად იქცა. პაკისტანის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც უნდა გადაიხედოს ამერიკასთან ურთიერთობები, ქუჩებში კი მასობრივმა დემონსტრაციებმა ანტიამერიკული ლოზუნგებით ჩაიარა. რეზოლუციაში განიკითხება ამერიკული ოპერაცია და წამოყენებულია მოთხოვნა, აიკრძალოს ნატოს ძალების გადაადგილება ავღანეთის მიმართულებით პაკისტანის გავლით მანამდე, ვიდრე აშშ უპილოტო საფრენი აპარატებიდან მიწისზედა სამიზნეებზე დარტყმებს არ შეწყვეტს.

ამავე დროს, პრეზიდენტი ობამა დაჟინებით მოითხოვს, რომ საზღვაო ქვეითებს, აუცილებლობის შემთხვევაში, ავღანეთის საზღვრებს გარეთაც შეეძლოთ ბრძოლით გზის გაკვალვა. იმ შემთხვევისთვის, თუ 79 ადამიანისა და 4 ვერტმფრენისაგან შემდგარ რაზმს პაკისტანის ჯარები აღმოაჩენდნენ და მის ბლოკირებას შეეცდებოდნენ, ამერიკელებს პაკისტანელებთან ბრძოლაში ჩართვისა და მათი ლიკვიდაციის სანქცია ჰქონდათ.

ბენ ლადენის მკვლელობისათვის შურისძიებად მონათლულმა ტერაქტებმა მდგომარეობა მხოლოდ გააუარესა. პაკისტანის უწყებათშორისი დაზვერვის ხელმძღვანელმა, გენერალ-ლეიტენანტმა შუჯა ფაშამ გადადგომა ითხოვა, მაგრამ თავდაცვის მინისტრმა ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. იმავე დღეებში გამოჩნდა პაკისტანში ცსს-ს რეზიდენტის სახელი, რაც ამერიკელებმა ბენ ლადენის ლიკვიდაციის ოპერაციის ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლობის გამო შურისძიებად ჩათვალეს.

© „ოდესგამსწრები“

მდგომარეობა იძაბება ვაშინგტონშიც, სადაც ირწმუნებიან, რომ „ალ ქაიდასთან“ პაკისტანის ხელისუფლების კავშირების გარეშე საქმე ვერ ჩაივლის. ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათ არ აქვთ პირდაპირი მტკიცებულებები იმისა, რომ პაკისტანის ტერიტორიაზე ბენ ლადენი ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირების ნებართვით აფარებდა თავს, მაგრამ პაკისტანის სამხედრო ობიექტებიდან ხელის გაწვდენაზე მდებარე მისი რეზიდენცია ამერიკულ-პაკისტანურ ურთიერთობებს კრიზისულამდე ძაბავს. **აშშ-ის კონგრესში უკვე ითხოვენ პაკისტანისათვის ეკონომიკური დახმარების შეკვეცას.**

ვაშინგტონში პაკისტანის „დასჯის“ მოწოდებები ისმის, განსაკუთრებით იმ შემთხვევისათვის, თუ ამ ქვეყნის ხელისუფლება უარს განაცხადებს იმ მასალების გადაცემაზე, რომლებიც ამერიკულმა სპეცრაზმმა ბენ ლადენზე შეტევისას ვერ წაიღო. ამბობენ, რომ სეიფის ნაცვლად, საზღვაო ქვეითებმა „ტერორისტ №1“-ის რეზიდენციიდან პორნოფილმების დისკები წაიღეს, ღირებული მასალები კი პაკისტანელებს დარჩათ. მართალია, ცსს ამ მასალების ხელში ჩაგდებას იმედოვნებს, მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად არაა. **ჯერჯერობით პაკისტანში მსჯელობენ, როგორი ურთიერთობა ააწყონ ვაშინგტონთან სამომავლოდ, ვაშინგტონს კი ამის გაგება არ სურს.**

ამერიკელები იმედოვნებენ, რომ ხელში ჩაიგდებენ ბენ ლადენის სამ ქვრივსაც, რომლებიც ამჟამად პაკისტანელებს ჰყავთ. მათგან ორი საუდის არაბეთის მკვიდრია, ერთი კი — იემენის. პაკისტანის ხელისუფლება აცხადებს, რომ დაკითხვის შემდეგ ქალებს სამშობლოში დააბრუნებს, რაც, ცხადია, ამერიკელებს არ მოსწონთ.

მთელ ამ ისტორიაში მთავარი ისაა, რომ **ვაშინგტონში უკვე არ შეუძლიათ ან დემონსტრაციულად არ სურთ, საელმწიფოთაშორისი ურთიერთობები თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის პოზიციიდან დაარეგულირონ.** რითაც არ უნდა დასრულდეს ეს საქმე, ერთი რამ ცხადია — პაკისტანში ამერიკისადმი დამოკიდებულება გაუარესდება და არც თუ უსაფუძვლოდ.

ნატოს პოლიტიკა ცხელი წერტილების შექმნაა

როგორც ცნობილია, რომის სენატისთვის მიწერილი გამონათქვამი მოუწოდებს: „გათიშე და იბატონე“. ეს კარგად ცნობილი ფრაზა უკიდურესად ზუსტად მიანიშნებს უმოკლეს გზას წარმატებისკენ იმ ადამიანებისა და სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც მაინცდამაინც არ ადარდებთ პოლიტიკაში კეთილსინდისიერება. ამ ადამიანებს, როგორც წესი, მორალისთვის არ სცალიათ, ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია.

მაინც რა იგულისხმება პოლიტიკურ მორალსა და კეთილსინდისიერებაში? არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია, თვალყური ადევნოს ქვეყნების ურთიერთქმედებას, მიიღოს ათასგვარი გადაწყვეტილებები, კენჭისყრაზე გაიტანოს სხვადასხვა სადავო საკითხი და მიიღოს რეზოლუციები ამა თუ იმ თემაზე, მაგრამ ეს თეთრი ზონაა, მის პარალელურად კი არსებობს ნაცრისფერი და შავი ზონებიც.

ამ შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს შეგრძნება, რომ ყვე-

© „ღვინისფრის ბინისფერი“

ლაფერი, რაც თეთრ ზონაშია, კარგია და სწორია, ხოლო ყველაფერი, რაც ნაცრისფერ ზონაშია, არალეგალურია, წინააღმდეგ შემთხვევაში თეთრ ზონაში იქნებოდა. შავ ზონაში, ცხადია, მოიაზრება იარაღის საიდუმლო მიწოდებები, რომელიღაც სახელმწიფოების წინააღმდეგ დამანგრეველი მოღვაწეობა და ასე შემდეგ. უკანასკნელი ორი ზონა მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს, რადგან სახელმწიფო მხოლოდ პოლიტიკის ობიექტი კი არა, სამართლის სუბიექტიცაა, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარადაა, თანაც — თითქმის ყოველთვის.

დიპლომატიური დაწესებულებების ყველაზე განვითარებული ქსელი აშშ-ს აქვს. როგორც ყველასთვის ცნობილია, ყველაფერი ამერიკის საქმეა და მისი ნაციონალური ინტერესები არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე, არამედ ამ ქვეყნის ეროვნული ბანკის შიგნითაა. ამგვარი ინტერესების „მფლობელების“ არავის შეშურდება — შეიარაღებული ფორმირებები კონფლიქტის ერთი ზონიდან ვერ ასწრებენ გასვლას, რომ უკვე მომდევნო სახელმწიფოს დაბომბვის დროა.

მაგრამ სახელმწიფოებს, რომლებშიც ამერიკელები აწარმოებდნენ ომებს, აქვთ სამხედრო ბაზები ან, უბრალოდ, ნავთობით მდიდარი ტერიტორიები. ამ შემთხვევაში სერიოზული რისკია, რომ დიდი ხნით გამოეთხოვონ მშვიდ ცხოვრებას, რადგან აშშ არასდროს წყვეტს ომის საკითხს ბოლომდე. აშშ მუდამ „თბილ“ სიტუაციას ტოვებს, რათა ნებისმიერ დროს შეეძლოს უკან დაბრუნება. ამ ყველაფრის მაგალითების მოსაძებნად დაფიქრებაც კი არაა საჭირო.

მაგალითად, ავიღოთ იაპონიასთან დაკავშირებული აბსოლუტურად სტანდარტული სიტუაცია. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იაპონიის ტერიტორიის ნაწილი საბჭოთა კავშირის იურისდიქციაში გადავიდა. მოკავშირე სახელმწიფოთა მთავარსარდლის, გენერალ დუგლას მაკარტურის 1946 წლის 29 იანვრის №677 მემორანდუმის თანახმად, იაპონიის ტერიტორიას ჩამოეჭრა

კურილის კუნძულები, ჰაბომაის კუნძულთა ჯგუფი და კუნძული სიკოტანი.

ეს მოვლენათა სპონტანური განვითარება არაა, ვინაიდან 1945 წლის 11 თებერვლის იალტის კონფერენციაზე საბჭოთა კავშირი, აშშ და დიდი ბრიტანეთი წერილობით შეთანხმდნენ, რომ საბჭოთა კავშირი იაპონიასთან ომში ჩაერთვებოდა ომის დასრულების შემდეგ სამხრეთ სახალინისა და კურილის კუნძულების დაბრუნების პირობით. შეთანხმების პირობების მიხედვით, საბჭოთა კავშირი ომში უნდა ჩართულიყო გერმანიაზე გამარჯვებიდან არაუგვიანეს სამ თვეში. ზუსტად ასეც მოხდა.

თითქოს ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოგვიანებით აშშ-მა სიტუაციის შემობრუნება მოინდომა. **ამერიკა გახსნილად დაიმუქრა, რომ, თუ იაპონია გააფორმებდა მშვიდობიან შეთანხმებას და დათანხმდებოდა მისთვის მხოლოდ ორი კუნძულის გადაცემას, აშშ უარს განაცხადებდა იაპონიისთვის რიუკიუს კუნძულების გადაცემაზე. ამრიგად, მშვიდობიანი შეთანხმების ხელმოწერა ჩაიშალა და მის ნაცვლად ცხელი წერტილი გაჩნდა.**

კიდევ ერთი ძალზე საინტერესო მაგალითი კორეის კონფლიქტია. როგორც ცნობილია, **ორი კორეა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა წარმატებით ცდილობდა მშვიდობიანი შეთანხმების მიღწევას და, ალბათ, მიაღწევდნენ კიდეც, საქმეში აშშ რომ არ ჩარეულიყო.** ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ საზღვარი ორ კორეას შორის უნდა გადიოდეს არა 38-ე პარალელზე, სადაც დემილიტარიზებული ზონა იყო, არამედ მნიშვნელოვნად ჩრდილოეთით. ცხადია, ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება ამაზე არ დათანხმდებოდა და სიტუაცია ზუსტად იმ მდგომარეობაში დარჩა, როგორში ხილვის ბედნიერებაც დღემდე გვაქვს.

კიდევ არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. **აშშ კიდევ მრავალ კონფლიქტში ჩაერია და შეგნებულად არ მისცა დამთავრების საშუალება, რის შედეგადაც მსოფლიო მნიშვნელოვნად არასტაბილური და ნამდვილად სახიფათო გახდა. რა მოიგო ამით თეთრმა სახლმა? უნდა აღინიშნოს, რომ**

© „ღიასკამბაზი“

ვაშინგტონი ეშმაკურ კომბინაციებს ხლართავს და ამ კომბინაციების მოკლე შინაარსი ასეთია: ქვეყნები ომობენ ერთმანეთთან, საომრად იარაღს ამერიკისგან ყიდულობენ, ამერიკა კი განაგრძობს მათ კარნახსა და მბრძანებლობას.

როგორც ჩანს, საინფორმაციო ომებიც საკმაოდ სისხლისმღვრელია. რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, ჩრდილოეთ კორეა სამხრეთ კორეაზე მეტი სტაბილურობით გამოირჩევა ორ კორეას შორის შერიგების საკითხთან დაკავშირებით. ამის მიზეზი ჩინეთის დახმარებაცაა.

ადრე საუბარი იყო სამხრეთ კორეაში მაღალტექნოლოგიურ წარმოებებზე, მაგრამ ამ ნამცეცა ეკონომიკის ქვეყანას აშშ წელიწადში მაინც ახარჯებდა 7-დან 20 მილიარდამდე დოლარს. ახლა დახმარების პროგრამები მნიშვნელოვნად მცირდება. კრიზისის გამო აშშ-ის ბაზარი სამხრეთ კორეაში წარმოებულ საქონელს ძველებური რაოდენობით აღარ ყიდულობს. **რაც არ უნდა წარმოუდგენელი იყოს, მალე სეული, შესაძლოა, გაკოტრების ზღვარზე დადგეს. ეს მეორე მიზეზია ჩინეთის სამხედრო ძლიერების ზრდის შემდეგ, რომელიც აშშ-ს აიძულებს, რეგიონში თავისი სამხედრო ძალები გაზარდოს.** როგორც ამ ყველაფრიდან ჩანს, ცხელი წერტილები არა მხოლოდ აშშ-ის მოწინააღმდეგეებს, არამედ მის მოკავშირეებსა და თავად აშშ-საც კი საკმაოდ ძლიერ დამწვრობებს აყენებს.

სატირალი სტატისტიკა

ერაყელებს ისღა დარჩენიათ, რომ იოცნებონ, რათა თავიანთი ქვეყნის ნავთობმოპოვების სიკეთით ცხოვრების ღირსეული პირობები თვითონაც შეიქმნან.

რა სიკეთე, რის სიკეთე! 12 წლის აბას მუჰამედის ოჯახისთვის რამდენიმე პლასტიკური ბოთლი და კონსერვის ცარიელი ქილა, რომელთაც ქალაქის ნაგავსაყრელზე იპოვიან და ბაზარში მეძველმანეს გროშებად მიჰყიდიან, მთელი დღის შემოსავალია. თუ ბედმა გაუღიმა, საკვების ნარჩენებსაც ამოქექავენ. მათთვის მეტის მიცემა არ შეუძლია ერაყის ხელისუფლებას, რომელიც ამერიკის პოსტკოლონიური სისტემითაა ნაკვები და გამოზრდილი. ბაღდადი, რომელიც ერთ დროს მოქალაქეთა ცხოვრების დონით სანიმუშო იყო, ამჟამად მათხოვართა ქალაქად იქცა, რომელშიც ყოვლისმომცველი კორუფცია ბატონობს და უდაბნოს ქვიშაც ვერ ფარავს ნაგავის გროვებს, რომლებიც ქალაქს გალავნად არტყია.

ნაგავსაყრელები, რომლებიც ადამიანებს კვებავს.

მედინატ სადრი ქალაქის ხალხმრავალი შემოგარენია. აქ ღატაკთა კვარტალში ცხოვრობს აბასი. უამრავი ნაგავსაყრელი და ნარჩენების რამდენიმე ფარდული. დილიდანვე მოედინება აქეთკენ ადამიანების ტალღა: უმუშევარი კაცები, ქალები, ბავშვები, მოხუცები ნაგვის გროვებს მოედებიან და იქექებიან. ყროლი დგას უსაშველო. ეშველებათ, თუ უზარმაზარი ნაგავმზიდები შემოყრიან ნარჩენების ახალ „ულუფას“. კაფანდარა აბასი, სხვა ჩამოკონკილ ბიჭებთან ერთად, თავქუდმოგლეჯილი გარბის ამ მანქანებისკენ — „განძი“ მოაქვთ აუწონავი. აბასს გაუმართლა: საკმაოდ ახალი ტილოს ტომარა და ორი დაჟანგული რკინის ღუზა იპოვა. ტომარა ზურგზე მოიგდო და გვითხრა, რომ ნაგავსაყრელზე სამი წლიდან დადის, აგროვებს ნაყარ-ნუყარს და ყიდის. ეს ბიჭი ერთ-ერთია მოსახლეობის იმ 25-პროცენტიანი ნაწილიდან, რომელიც სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.

© „ღამისფრთიანი“

მედინატ სადრს ამ ბოლო დრომდე სადამ ჰუსეინი ერქვა. ტიბროსის მარჯვენა ნაპირიდან აღმოსავლეთისკენ იშლება და სამ მილიონზე მეტ მცხოვრებს იტევს. სიღატაკე, ჯურღმულები, რომლებითაც კოალიციური ჯარების შესვლის შემდეგ მთელი სივრცეა მოფენილი. ოფიციალური სტატისტიკით, უმუშევრობა აქ შრომისუნარიანი მამაკაცების 15 პროცენტს აღემატება, 28 პროცენტი კი შემთხვევითი სამუშაოს იმედად ცხოვრობს.

(შეადარეთ საქართველოს და იკითხეთ, ჩვენთან ხომ არ ჩამოახრჩეს სადამ ჰუსეინი? თორემ ამერიკული დემოკრატიის შუქურის სამშობლო ამ ბოლო დრომდე რომ ვიყავით, საყოველთაოდ ცნობილია).

არადა, ერაყი ნავთობის მსოფლიო მნიშვნელობის მომპოვებელია! აქაური ნავთობი და გაზი ნახევარი მსოფლიოს ჰყოფნიდა. ხალხი კი შიმშილობს. ესაა აღმოსავლეთის დემოკრატიის ერთ-ერთი მოდელი, ამერიკულ თარგზე მოჭრილი.

მთელი დღე მცხუნვარე მზის ქვეშ, სიდამპლეებით მოწამლული ჰაერი, ეპიდემიის ბუდე... და ამ „სამუშაო სივრცეში“ იქექებიან პატარა ბიჭები, „საქონელი“ რომ იპოვონ და შუამავლის მეშვეობით (ამ ღატაკურ „ბიზნესსაც“ ჰყავს შუამავლები) გაასაღონ. ბიჭის მამა და აბასის ერთი ძმა მეზობელ კვარტალში იმავე „საქმით“ არიან დაკავებულნი. ოჯახი მრავალსულიანია და ზაფხულის არდადეგების დროს ბიჭები იძულებული არიან, დაეხმარონ მშობლებს. ამათ ბედმა გაუღიმა — სწავლას ახერხებენ, რაზეც მათი თანატოლების უმრავლესობას, დიდი ხანია, ხელი აქვს ჩაქნეული. ზუბეიდა ჰაზაალმა, აბასის დედამ, გვითხრა, რომ 12 შვილი ჰყავს, ქმარი უმუშევარია, ამასთან — ინვალიდია. ბიჭების იმედზეღა ცხოვრობენ, ნახევრადდანგრეულ ალიზის ქოხში თავშეფარებულები.

ხალხის გააფთრება ქუჩაში გადმოიღვარა მაშინვე, როცა ხელისუფლებამ შუქის მარაოსებრი გამორთვა დაიწყო. საკვების კატასტროფულმა უკმარისობამ, ჩინოვნიკების კორუფციამ, სოციალურმა უსამართლობამ აავსო ხალხის მოთმინების ფიალა: ქუჩები და მოედნები სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ასპარეზად იქცა. დაიწყო უმძი-

მესი პოლიტიკური კრიზისი. მალიკის კაბინეტი კი ამ დროს ბჭობდა — მოეთხოვათ ამერიკელების გასვლა ერაყიდან თუ ცოტაც მოეთმინათ? „მთავრობის ხალხს“ რა უჭირს! ამერიკელებმა იზრუნეს, რათა ერაყელი სახელმწიფო ჩინოვნიკები ყველაფრით ყოფილიყვნენ უზრუნველყოფილნი.

(ზუსტად ისეა, როგორც საქართველოში „ნაციონალების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ჩინოვნიკების მსუყე ცხოვრება, ათასები ხელფასებად და 100-ლარიანი პენსიები, რაც საწყალ ხალხს წყალსა და ხმელა პურზე აცხოვრებს).

შეიხი მუქტად ას-საარი არ მალავს თავის მტრულ დამოკიდებულებას ამერიკისადმი. 2006-2007 წლებში მისი არმია თავდაუზოგავად იბრძოდა ინტერვენტების წინააღმდეგ კონფესიათაშორისი ომის დროს. სადრმა მიმართა ვაშინგტონს, რომ, „თუ გაგრძელდა სამხედროების ყოფნა, იგი სათავეში ჩაუდგება შეიარაღებულ წინააღმდეგობას ამერიკელების წინააღმდეგ“. ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ მოხალისეთა რაზმები არ დააყოვნებენ ერაყის რეგულარული არმიის ბრძოლისუნარიანობის მოსინჯვას მაშინვე, როგორც კი ამერიკელები გავლენ ერაყიდან.

დიდი უბედურება დაატყდა თავს ერაყს. ამერიკელმა პოლიტიკოსებმა და დიპლომატებმა შეიძლება აქტივში მიითვალონ, რომ ახლო აღმოსავლეთში შექმნეს ისეთი დემოკრატია, რომელმაც მათ ხელში უმდიდრესი განძი ჩაუგდო. ნავთობის სახელმწიფომ, რომელიც ნორმალურად ცხოვრებას გადაეჩვია, დაივიწყა ღირსება და პატიოსნება. ამერიკელებს ეს საჩუქარი თითქმის უსისხლოდ ერგოთ, თუმცა არც მთლად მუქთად. მაგრამ თითოეული ცენტი, რომელიც ერაყში შეჭრის დროს დაეხარჯათ, ასმაგად დაუბრუნდებათ. ჯორჯმა უმცროსმა თვლა იცის, სასკოლო არითმეტიკის მიღმაც კი.

ერაყის საწარმოების 90 პროცენტი უმოქმედოდ დგას და ძველდება. ბაღდადის მახლობლად მუშაობს ერთი აგურის ქარხანა. კატორღული პირობები, აუტანელი სიცხე, ანტისანიტარია, ბავშვთა შრომა... ყველაზე მეტად ქალე-

© „ღამისფრთიანი“

ბი და მცირეწლოვანები იტანჯებიან. ჭიშკართან კი კილომეტრიანი რიგი დგას „ვაკანსიების მძებნელების“, რომლებიც ოცნებობენ ამ ჯოჯოხეთში მოხვედრაზე.

კოალიციური ძალების მხარდაჭერილმა ერაყულმა რეჟიმმა ძველი ქვეყანა — შუამდინარეთისა და მესოპოტამიის ბრილიანტი დააჩოქა.

ოფიციალური სტატისტიკით, ამერიკულმა დემოკრატიამ ასეთი შედეგი გამოიღო:

— ერთ მილიონზე მეტი ადამიანი დაიხოცა;

— 4,5 მილიონი უსახლკაროდ დარჩა;

— 1-2 მილიონი ქალი დაქვრივდა;

— უპატრონო ბავშვების რაოდენობამ 5 მილიონს გადააჭარბა.

ახალი ჯვაროსნები



კონსტანტინოპოლის გაძარცვის მიზეზი უზარმაზარი ვალები იყო, რომლებიც დასავლეთში დაგროვდა. დღეისათვის ბერძენთაგან ცოტა ვინმე თუ იტყვის რაიმე კარგს ევროპულ საბანკო სისტემაზე. ისინი თვლიან, რომ სწორედ ეს სისტემაა მათი ახლანდელი კრიზისის საბაბი.

მსგავსი რამ ხდებოდა 800 წლის წინათაც: წმინდა მიწაზე ქრისტიანობის დასაცავად მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეებმა საბოლოო ჯამში გაძარცვეს კონსტანტინოპოლი — ბერძნულენოვანი ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი იმ უზარმაზარი ვალების გამო, რომლებიც დასავლეთში დაგროვდა.

ის, თუ როგორ იქცევა ევროპა საბერძნეთის ახლანდელ კრიზისთან დაკავშირებით, სულაც არაა იმაზე სამარცხვინო, რასაც ჯვაროსნები მრავალი საუკუნის წინათ აკეთებდნენ. მუქი ლაქა დასავლეთის ისტორიულ სინდისზე სულ მცირე გაფრთხილება უნდა იყოს იმ ბანკირებისა და პოლიტიკოსებისათვის, რომლებიც უმალ საბრძნეთის კრახს დაუშვებენ, ვიდრე საკუთარ მფლანგველობაზე აიღებენ პასუხისმგებლობას.

ახლა საბერძნეთი ევროპის პერიფერიაა, მაგრამ XII

© „ღვინისგამოცემა ანანურიგი“

საუკუნეში კონსტანტინოპოლის გავლით მიმდინარეობდა აღმოსავლური სანელებლებით, აბრეშუმითა და ფუფუნების საგნებით მაღალშემოსავლიანი ვაჭრობა. ამ ვაჭრობამ გაამდიდრა უამრავი ევროპელი, ისევე, როგორც საბერძნეთის, ესპანეთის, პორტუგალიისა და იტალიის ეკონომიკები უკანასკნელ ოც წელიწადში.

XII საუკუნის ბოლოს ვენეციის, გენუის, პიზის და სხვა მათი მსგავსი ქალაქების ვაჭრებმა კონსტანტინოპოლში ისეთ უპირატესობებს მიაღწიეს, როგორისთვისაც ახლანდელი ახალგაზრდა საფონდო მენეჯერები არაფრის წინაშე უკან არ დაიხევდნენ. ისინი ადგილობრივ ვაჭრებზე უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და ხელი მოაწერეს ეშმაკურ კომერციულ შეთანხმებებს, რომლითაც ან საერთოდ თავიდან აიცილეს, ან მინიმუმამდე შეამცირეს გადასახადები. როგორც თანამედროვე საბერძნეთის შემთხვევაში, მაშინაც ამან ბაზარზე იაფი უცხოური კაპიტალის მოდინება განაპირობა.

მაგრამ დაახლოებით 1200 წელს საქმეები აირ-დაირია. ბიზანტიის იმპერიაში საქონელბრუნვა მკვეთრად შემცირდა, რაც განაპირობა სახსრების უზომო ფლანგვამ ვენეციაში ევროპული ცენტრალური ბანკის შუასაუკუნოვანი ექვივალენტის მიერ. დაახლოებით ერთ საათში აუცილებელი გახდა იოლი ფულიდან ისეთ ნაკლებსასიამოვნო საქმეზე გადასვლა, როგორიცაა გადასახადების მოკრება. როგორც ათონის შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც ფინანსური კრიზისი სერიოზულ სტადიაში გადავიდა, ცხადი გახდა, რომ არავინ აპირებდა პასუხისმგებლობის აღებას გადამეტებულ კრედიტირებაზე და საუკეთესო პროგნოზების გაკეთებას. ვიღაცას პასუხი უნდა ეგო ზარალზე, მაგრამ ვენეციელმა ვაჭრებმა მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ ეს „ვიღაც“ ისინი არ იქნებოდნენ. ყველა კონსტანტინოპოლისა და ბერძნულენოვანი ბიზანტიისაკენ იყურებოდა.

საბოლოო ჯამში, კონსტანტინოპოლის ერთ-ერთმა მეამბოხე პარტიამ წამოაყენა წინადადება — გარიგება მომხდარიყო ვენეციასთან: უბრწყინ-

ვალესი რესპუბლიკის ვალების დაბრუნების სანაცვლოდ, ეს პარტია ვენეციისაგან სამხედრო მხარდაჭერას მიიღებდა ბიზანტიის ტახტზე საკუთარი პრეტენზიების გასამყარებლად. ვენეცია სიხარულით ჩაეჭიდა ამ შესაძლებლობას.

მაგრამ კონსტანტინოპოლმა თავისი სავალე ვალდებულებების მოცულობა სათანადოდ ვერ შეაფასა, ვენეციური იარაღის ეფექტი კი გადაჭარბებულად შეაფასა. უცხოეთში ფინანსური ვალდებულებები იზრდებოდა, ქვეყანაში კი პოლიტიკური პარალიჩი მწვავდებოდა.

რომის პაპიდან დაწყებული, ევროპელი მეფეებით დამთავრებული — ყველამ მშვენივრად იცოდა კონსტანტინოპოლის მზარდი პრობლემების შესახებ. ევროპული დელეგაციები ერთმანეთის მიყოლებით უჩიჩინებდნენ ბერძნებს, დაეწყოთ ადეკვატური ქმედება, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, დაებრუნებიათ ვალები. ვენეციის ზეწოლით ჯვაროსნებმა ქალაქი აიღეს.

საბოლოო ჯამში, ევროპელებს მოსწყინდათ უსაქმურობა. რაინდებმა კონსტანტინოპოლი შტურმით აიღეს. ამის შემდეგ **სირცხვილის ისტორია** იწყება: გაიძარცვა ქალაქის უძვირფასესი ქონება, რომელიც ვალების დაფარვის მიზეზით ბრბომ დაიტაცა. ეს ბრბო საერთოდ არ აქ-

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულებში“

ცევდა ყურადღებას ქალაქის მცხოვრებლებს, მათ კულტურასა და ისტორიას.

წმინდა სოფიას ტაძრის საკურთხეველზე მეძავები ცეკვავდნენ. გაიძარცვა სასახლეები, ბაღები და სიწმინდეები. რაინდები იტაცებდნენ ხელოვნების უძვირფასეს ნიმუშებს, რომლებითაც შემდეგ მთელი დასავლეთ ევროპის ტაძრები და ეკლესიები მოირთო.

თვლიდნენ რა ბერძნებს არაკომპეტენტურებად ფისკალურ და პოლიტიკურ საკითხებში, დამპყრობლებმა დანიშნეს რეგენტი. ეს იყო ახლანდელი მსოფლიო სავალუტო ფონტის ჩვეულებრივი მოხელე, რომელთანაც საქმის დაჭერა შეეძლოთ დასავლეთის ლიდერებს.

ამ ყვლაფერთან ერთად, კეთილშობილმა რაინდებმა, რომლებიც სათავეში ედგნენ ჯვაროსნულ ლაშქრობას, ქალაქიცა და იმპერიაც გავლენის სფეროებად დაანაწილეს, ეს არის ფასების დაწევის წინ აქტივების მიტაცების კლასიკური მაგალითი. ახალმა ლათინურმა იმპერიამ, რომლის ცენტრიც კონსტანტინოპოლი იყო, 50 წელიწადს გაძლო, შემდეგ ხელისუფლებაში ბერძნები დაბრუნდნენ.

პიტერ ფრანკოპენი,
ოქსფორდში ბიზანტიური კვლევების ცენტრის დირექტორი,
ავტორი წიგნისა „პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა: ძახილი აღმოსავლეთიდან“

ნატო და ჰეროინული კოშმარი

თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლა, რომელსაც ასე ეწოდებოდა „გაზაფხულის“ დასაწყისში, ანარქიასა და არამოტივირებულ სისასტიკეში გადაიზარდა. იმ შემთხვევაში, თუ სირიული ტრაგედია მომავალშიც გაგრძელდება, სირიელები, ალბათ, ერაყელებისა და ლიბიელების ბედს გაიზიარებენ...

სახელმწიფო დაკარგავს ღირსებასა და დიდებულებას, ძალაუფლების მქონენი ჩიხში მოექცევიან, მინისტრის პორტფელებს მოისვრიან და იქით გაიქცევიან, სადაც გულღია შეხვედრის იმედი ექნებათ. ზოგიერთი უფრო შორსაც გაემგზავრება — უფლის უკიდეგანო ციურ სამფლობელოში.

დანარჩენებს ღატაკი, უუფლებო და ძაღლური ცხოვრება ელით, ისეთი, რომლის დროსაც ინგრევა ოჯახები, უცხოვდება ნათესაობა და მთელ ერს ღრმა განხეთქილება ელის.

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულ“

ყველა გმირი-მხსნელის მოლოდინში იძნეგა, ერაყელებივითა და ლიბიელებივით, მაგრამ ეს გმირი არც აქ მოვა. სამაგიეროდ, იფეთქებს და უდიდეს სიმაღლეს მიაღწევს გახსნილი, უაზრო და დაუნდობელი შურისძიების ავადმყოფური სურვილი.

გული სევდით ივსება, როდესაც ხვდები, რომ შურისძიების ძველისძველი და ველური ინსტინქტი ჩვენს საზოგადოებაში არ იკიცხება. წამების გამოყენებიდან დაწყებული შურისძიება ყველგან თან გვდევს, მთელი ისტორიის მანძილზე. ეს ხდებოდა ერაყის ციხეებში. ეს ხდება ახლა სირიაშიც.

ჩვენს გონებას თანაგრძნობა და კეთილგანწყობა აღარ ავსებს. მასში სულ სხვა რამემ დაიბუდა — რევოლუციურმა და ავისმომასწავებელმა სიტყვამ „აღმოფხვრა“.

როგორ მოექცევიან სირიაში მათ, ვისაც ბაშარ ასადის რეჟიმის მომხრეებად მიიჩნევენ? ნებისმიერი სისხლისღვრა და სასაკლაო შეიძლება გამართლდეს რევოლუციური გარდაქმნების საჭიროებით. და ამ წინდახედულად ჩამოსხმულ ფორმულირებაში შეიძლება მოექცეს ყველაფერი, რაც საჭიროა. ის კი, რაც არაა საჭირო, დაუნდობლად ჩამოიჭრება.

სოციალური სამართლიანობა არასდროს ყოფილა რეგიონების მმართველების მიზანი, მათ თავში სულ სხვა რამ უტრიალებდათ. ამიტომაც იყო, რომ რევოლუციური დროშის ქვეშ გადატრიალების მომწყობნი ერთი მეორეზე დესპოტურ კანონებს იღებდნენ. ეს დროთა განმავლობაში აღვივებდა ადამიანებში მინავლულ მიდრეკილებას შურისძიებისადმი.

1952 წელს ეგვიპტის 23 ივლისის რევოლუციისას დაიწყო მსხვილი სასოფლო მაგნატების მიწების ნაციონალიზაცია. საფუძველი: „თქვენ დამნაშავენი ხართ ქვეყანაში შექმნილ სოციალურ დაძაბულობაში და აღვივებთ კლასთა შორის შუღლს“.

რევოლუციური კონფისკაციის ეპოქა მოიცავდა გამალ აბდელ ნასერას პერიოდს, შემდეგ გრძელდებოდა სადათის მმართველობისას და მტკიცდე-

ბოდა მუბარაქის ხანაში. მსოფლიო მხარს უჭერდა რევოლუციურ რეფორმატორობას.

ხდებოდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ისინი, ვისაც ქარხნები, მიწები, ბანკები წაართვეს, მათ წინააღმდეგ ჯანყდებოდნენ, ვინც უკანონოდ იგემეს ნაციონალიზაციის ნაყოფი და თავისი ფულადი მდგომარეობა სხვების ხარჯზე გაიუმჯობესეს. სიძულვილი დუღდა და შურისძიებაში ეძებდა გამოსავალს. **ყველა რევოლუციის უმარტივესი არსი შემდეგშია: ჯერ ჩვენ ჩამოვაგდებთ, მერე ჩვენ ჩამოგვაგდებენ.**

იქნებ ვინმეს ახსოვს, რომ ნასერასეული რევოლუციის შემდეგ შეიქმნა არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა — ეგვიპტე-სირია. ეს იყო ყველაზე წარუმატებელი გაერთიანება ყველა არსებულ გაერთიანებათა შორის და მალევე დაიშალა. ნასერას სოციალისტური კურსი სირიელებს არ მოეწონათ, მათ ისე სურდათ ცხოვრება, რომ საყოველთაო სოციალური სამართლიანობის სულისშემხუთველი ჩახუტება საკუთარ თავზე არ გამოეცადათ. ამ სამართლიანობას ადამიანური საზოგადოების ისტორიაში არასდროს უარსებია და არც შეიძლებოდა ეარსება.

სამართლიანობად საღდებოდა რასისტული იდე-

© „ღონისძიების ინსტიტუტი“

ები. ერაყში გამოყოფდნენ გარკვეულ ჯგუფებს, რომელთა მიმართაც ზუსტად ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ, როგორიც აშშ-ში 40-50-იან წლებში ზანგებისადმი. ეგვიპტეში რევოლუციონერებმა გამოაცხადეს ომი „წარსული რეჟიმის ნარჩენების“ ამოსაძირკვად. ოდესღაც აღმოსავლეთში მკაცრ დისკრიმინაციას ექვემდებარებოდნენ მუქკანიანი იუდეველები, იმავე ძველი ინსტინქტის საფუძველზე: მე თეთრი ვარ, შენ კი — მონა.

რევოლუცია ცხოვრების ზედაპირზე ამოატივტივებს მანამდე დამალულ ცხოველურ ინსტინქტებსა და შავბნელ ვნებებს.

როგორც მოვლენებიდან ჩანს, ლიბიის რევოლუციური „საძმოს“ თავაშვებულობაზე, მკვლელობებზე, რეპრესიებზე და ქვეყნის უდაბურ ნაწილებში ჩადენილ სისასტიკეებზე თრთოლვითა და შეძრწუნებით ყვებიან.

რევოლუცია კი გრძელდება — შურისძიება და ამოძირკვა ყველგან ბატონობს.

ლიბიის გარდამავალი ნაციონალური საბჭო იმავე კანონებს აკანონებს, რომლებსაც ნაჩქარევად თხზავენ თავიანთ პოლიტიკურ სამზარეულოში ეგვიპტის, ტუნისის, ერაყისა და ალჟირის რევოლუციონერები.

მაგრამ რევოლუციური კოშმარი სიახლე არაა. ოფიცრები, რომლებმაც მეფეები ჩამოაგდეს ეგვიპტეში, სირიაში, ლიბიაში, სუდანში, წლობით მართავდნენ ამ ქვეყნებს. დღეს მათ დიქტატორები ჰქვიათ, მათ რეჟიმებს კი — რეპრესიული. **ძნელი მისახვედრი არაა, რას მოიტანს ახლანდელი „გაზაფხული“: არასტაბილურობა ეგვიპტეში, ხოცვა-ჟლეტა სირიაში, სოციალური აფეთქების ზღვარზე მდგარი ლიბია, პოლიტიკური ცხოვრების სტაგნაცია ტუნისში...**

რევოლუციური პერიოდის კოშმარებს ზრდის სახიფათო ტენდენცია ახასიათებს. თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლა, როგორც მას „გაზაფხულის“ დასაწყისში უწოდებდნენ, ანარქიასა და არამოტივირებულ სისასტიკეში გადაიზარდა.

ავღანური ყაყაჩოს პლანტაციებისა და ჰეროინის გავრცელების ცენტრების ნამდვილი მეპატრონეები

ამერიკელი ჯარისკაცები ავღანეთში, ყაყაჩოს ველებზე

ცენტრალური აზიიდან ავღანეთში ჰეროინის კონტრაბანდის გასაღები UNODC-ია (ნარკოტიკებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაეროს სამმართველო). ზუსტად ამ გაეროს ნარკოტიკების სააგენტოს უკანასკნელი მოხსენება ნათელს ჰფენს ავღანეთიდან ცენტრალური აზიის გავლით ნარკოტიკების ტრანზიტის მექანიზმს. მასში საუბარია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მხრიდან ამ ყველაფრისთვის ხელის შეშლის სუსტ მცდელობებზეც.

ნარკოტიკებისა და დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის გაეროს სამმართველოს 106-გვერდიან ანგარიშში, რომელიც ამ თვეში გამოქვეყნდა, აღწერილია ნარკოტიკების უმსხვილესი მწარმოებელი ავღანეთიდან ჰეროინისა და ოპიუმის მის უდიდეს მომხმარებელ რუსეთში

© „ადამიანის უფლებები“

კონტრაბანდული ტრანსპორტირების მექანიზმი. მაღალი სისუფთავის **90 ტონა ჰეროინი, ანუ მთელი წლის მანძილზე ავღანეთიდან გამავალი ჰეროინის მთელი რაოდენობის მეოთხედი, ყოველწლიურად ცენტრალური აზიის გავლით მოძრაობს. 2010 წელს ამ რაოდენობის მხოლოდ 3 პროცენტი დააკავეს რეგიონის ხელისუფლებებმა. და მიუხედავად დახმარების აღმოჩენის ინტერნაციონალური მცდელობისა, ეს ციფრი სულ უფრო და უფრო მცირდება.**

ამგვარი ანგარიშები არასდროს ავლენენ ე. წ. დამნაშავე კონტრაბანდისტებს და რატომღაც ეს ანგარიშები მუდამ ჩრდილში ტოვებს ე. წ. ინტერნაციონალური მცდელობების როლს. როგორ აღწერდით სიტუაციას, როდესაც კონტრაბანდისტები არიან მაღალი რანგის მქონე საერთაშორისო პერსონები, რომელთა ძირითადი ინტერნაციონალური ძალისხმევა მიმართულია კონტრაბანდის გაზრდის და არა მისი შემცირებისკენ? **„კოსმეტიკური შოუ“ სახელწოდებით „საერთაშორისო ძალისხმევა ნარკოტიკების კონტრაბანდის შესამცირებლად“ ხორციელდება იმავე კონტრაბანდისტების მიერ, რომლებიც მთელ ძალისხმევას ხარჯავენ კონტრაბანდის მოცულობის გაზრდაზე.**

ერთი შეხედვით, ეს ყველაფერი ძალზე რთულად და ჩახლართულად გამოიყურება, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი ძალზე მარტივია. მაგრამ ამ საკითხს მოგვიანებით დავუბრუნდეთ, მანამდე კი იმავე მოხსენების ესოდენ დაუზუსტებელ და სადავო სხვა მონაცემებს გადავხედოთ:

ცენტრალურ აზიაში ფესვგადგმული კორუფცია რეგიონს კონტრაბანდის მშვენიერ გზად აქცევს, — წერია მოხსენებაში. მაღალჩინოსანნი ან ჩაბმულნი არიან ამ ვაჭრობაში, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ქრთამს იღებენ მასზე თვალის დახუჭვისათვის, განსაკუთრებით ტაჯიკეთსა და ყირგიზეთში. მეზობლებთან თანამშრომლობის არარსებობაც ხელს უწყობს კონტრაბანდის გადაადგილების თავისუფლებას.

ამ პუნქტზე შეჩერებაა საჭირო. კორუფციის აყვავებაში მოხსენების ავტორები მმართველ რეჟიმებსა და საკუთარ ძალებს გულისხმობენ, რატომღაც არაფერს ამბობენ იმაზე, რომ ეს რეჟიმები საერთაშორისო კონტრაბანდისტების მიერ საგულდაგულოდაა შერჩეული, თავადვე უჭერენ მათ მხარს და თავადვე მართავენ. დავიწყოთ იმით, თუ როგორ ვარჩევთ, ვკვებავთ და ვამაგრებთ იმ „ფესვგადგმულ კორუფციას“, რომელიც ამ ე. წ. დოკუმენტშია მოხსენიებული:

2007 წელს პენტაგონმა დაახლოებით 30 მილიონი დოლარი გამოყო ბაკიევის რეჟიმის მხარდასაჭერ სხვადასხვა პროგრამაზე — ძირითადად, მანასის ავიაბაზაზე წვდომის კომპენსაციის სახით. ეს დაახლოებით ექვსჯერ აღემატება იმას, რაც დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების პროგრამებზე დაიხარჯა. გარდა ამისა, პენტაგონმა რეჟიმს მისცა ექსკლუზიური სანავთობო კონტრაქტები. ამის ბაზაზე აშშ-ის მიერ ჩატარებული იმ ოპერაციების გამო, რომლებიც ბაკიევისა და მისი შვილის მეგობრების მნიშვნელოვანი ინტერესებით „დახუნძლულ“ ფირმას ეხებოდა, ახლა ბიშკეკშიც და კონგრესშიც გამოძიება მიმდინარეობს. ამიტომაც ყირგიზეთში მიიჩნევენ, რომ ვაშინგტონი მხარს უჭერს კორუმპირებულ და ავტორიტარულ რეჟიმს.

ამ თემაზე კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ მოხსენებაში საუბარია კიდევ ბევრ მეზობელ ქვეყანაზეც და მათთან დაკავშირებული ფაქტებიც არანაკლებ საინტერესოა.

სამხედროებისა და პოლიციის ძალით ვაშინგტონი სხვადასხვა დროს ეხმარებოდა ცენტრალური აზიის არაერთ ქვეყანას — ყაზახეთს, უზბეკეთს, ტაჯიკეთს, ყირგიზეთსა და თურქმენეთს. ეს „დახმარება“ საბჭოთა კავშირის დაშლის და ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის დღიდანვე დაიწყო. რამდენიმე წელიწადში ეს დახმარება გაფართოვდა, რადგან აშშ-ის ცენტრალურმა სარდლობამ, რომლის ბრძანებები ეგვიპტიდან ჩინეთის საზღვრებამდე მოქმედებდა, სპეციალური დანიშნულების ძალები გაგზავნა

© „ღონისძიების ობიექტი“

უზბეკეთსა და ყირგიზეთში ადგილობრივი ჯგუფებისათვის მეამბოხეების წინააღმდეგ ბრძოლის სასწავლებლად. ორივე ქვეყანაში მღელვარება და არეულობები მატულობდა, ორივე ქვეყანაში სამხედროები ნატოს წვრთნებში მონაწილეობდნენ...

ყირგიზეთში, მანასში, მანასის ყოფილ ავიაბაზაზე, 2001 წლიდან იყო განთავსებული სატრანზიტო ცენტრი, როგორც ავღანეთში მიმავალი, და იქიდან უკან მომავალი ამერიკის სამხედრო პერსონალის გადასაგზავნი პუნქტი. ობიექტების უწყვეტი მუშაობისათვის ამერიკელებმა 200 მილიონი გადაიხადეს. ამ ბაზასთან დაკავშირებულია უამრავი მაქინაცია მისი არსებობის მრავალი წლის მანძილზე.

აი, კარგად შესწავლილი და დასაბუთებული განცხადებები და ანგარიშები მანასის რეალური დანიშნულების შესახებ.

პიტერ დეილ სკოტი წერდა ვრცელ სტატიაში, თუ როგორ **ერეოდა აშშ ყირგიზეთის საქმეებში თავისი სტრატეგიული ავიაბაზის ინტერესების დაცვის საბაბით, რამაც ყირგიზეთში პოლიტიკური დესტაბილიზაცია და ქვეყნის გავლით ნარკოტიკების გადინების გაზრდა განაპირობა.**

„ის ფაქტი, რომ ნარკომოვაჭრეების, დაზვერვის და ჯიჰადის უკან დგას ფარული ძალა, ემთხვევა აშშ-ის წინა ჩარევას ავღანეთში, ლაოსსა და ბირმაში და ამერიკის საერთო პასუხისმგებლობას მეორე მსოფლიო ომის დროიდან გლობალური ნარკოტრაფიკის უზარმაზარი ზრდის საქმეში. მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ 2001 წელს, ამერიკის ავღანეთში შეჭრის დროიდან, ავღანეთში ოპიუმის წარმოების გაორმაგება, უბრალოდ, იმეორებს ნარკოტიკების წარმოების მასიურ ზრდას ბირმაში, ტაილანდსა და ლაოსში 1940-იანიდან 1970-იან წლებამდე. ეს ქვეყნები ცსს-ს (ლაოსის შემთხვევაში — მისი ფრანგული განყოფილების) იქ ყოფნის პირობებში ნარკოტრაფიკის მთავარ წყაროებად იქცნენ, რომ არა მასობრივი შეჭრა, ამ ქვეყნებში ბოლომდე მხოლოდ ადგილობრივი მოვაჭრეები დარჩებოდნენ.

უკვე **2001 წელს ყირგიზეთის ბაზა იქცა ცენტრად ტრანსნაციონალური ჯგუფებისათვის, რომლებიც ნარკოტიკებს გზავნიდნენ სხვადასხვა მიმართულებით.** კონგრესის ბიბლიოთეკაში შენახული 2002 წლის ანგარიშის მიხედვით, **ყირგიზეთი ნარკოინდუსტრიის ძირითად ცენტრად იქცა მის ყველა ასპექტში: დამზადება, გაყიდვა და გავრცელება.** ტაჯიკეთის მთების გავლით ავღანეთიდან მომავალ გზაზე ყირგიზეთის მდებარეობა, კონტრაბანდის მხრივ, ქვეყნის არაეფექტური შიდა კონტროლის ფონზე გარკვეული პირების მოზიდვის საბაბად იქცა. ამ პირებს ყირგიზეთის გაზეთი შემდეგნაირად ახასიათებდა: **„ეს არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელშიც წარმოუდგენლად დიდი რაოდენობით წევრია გაერთიანებული შეერთებულ შტატებში, ბრაზილიაში, რუსეთში, ბელარუსსა და ყაზახეთში... ესენი ნარკოტიკების გაუნათლებელი ტაჯიკელ-ავღანელი გადამზიდები არ არიან, არამედ პროფესიონალები, რომლებმაც სტაჟირება მსოფლიო ნარკოსისტემის მაფიოზურ კლანებში გაიარეს...“**

ნარკოტრაფიკის ბადახშანის დერეფანი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს რუსეთისათვის. ავღანური ოპიატები რუსეთში ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის გავლით

ხვდება. კონტრაბანდის მთავარ გზაზე ის სწორედ ბადახშანისა და სხვა ჩრდილო-აღმოსავლური პროვინციებიდან ხვდება. ავღანეთში ბოლო სამ წელიწადში ნარკოტიკების წარმოების შემცირება თავისთავად უმნიშვნელოა, ამან თითქმის ვერანაირი გალენა ვერ მოახდინა ჩრდილო-აღმოსავლეთზე და რუსეთში ოპიატების იმპორტი კვლავაც განაგრძობს ზრდას. გარდა ამისა, ავღანეთის ჩრდილოეთ პროვინციების ყაყაჩოსაგან გაწმენდის ფართოდ რეკლამირებული აქცია ხშირად ამ ყაყაჩოდან სხვა უკანონო მცენარეების მოყვანაზე გადასვლას ნიშნავდა.

გაეროს ჩინოვნიკების მონაცემებით, ავღანეთი მსოფლიოში ჰაშიშის უდიდეს მწარმოებლად იქცა. ეს დაემატა ბადახშან-ტაჯიკეთ-ყირგიზეთის დერეფნის ნარკოტიკების ნაკადს. საბოლოო ჯამში **ამერიკის ანტინარკოტიკული პოლიტიკის პოლიტიკური გარყვნილება დღეს რუსეთს სერიოზული პრობლემების წინაშე აყენებს.**

საერთოდ, როდესაც საუბარია ავღანეთის, პაკისტანის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ, იგულისხმება არა მხოლოდ ტრადიციული სტრატეგიული რესურსები — ნავთობი, არამედ „ნარკოტიკული რესურსებიც“.

ამჟამად არსებული შეფასებების თანახმად, სუფთა ჰეროინის ავღანური მარაგი 3000 ტონაზე ოდნავ ნაკლებია. **ავღანური ნარკოტიკების მომწოდებელთა ყოველწლიური შემოსავალი კი დაახლოებით სამ მილიარდს უტოლდება. საერთაშორისო ნარკომაფია წელიწადში, სულ მცირე, ას მილიარდ დოლარს იღებს მხოლოდ ავღანური ჰეროინის საშუალებით.** ეს ფული ასაზრდოებს ორგანიზებულ დამნაშავეობას არა მხოლოდ ავღანეთში, არამედ მთელ ცენტრალურ აზიაში.

ამ რესურსების მფლობელნი ავღანელი გლეხები და მულები არ გეგონოთ. ჰეროინის საწარმოების რეალური მეპატრონეები არიან ისინი, ვინც საჭირო პერსონალი გამოზარდა და დასვა ნარკოტიკების მწარმოებელი და გამავრცელებელი ქვეყნების ხელისუფლებებში. ისინი მართავენ ამ ხელისუფლებებს, თავად კი აშშ-სა და სხვა დასავლურ ქვეყნებში ცხოვრობენ.

ნარკობიზნესის შემოსავლები ნაწილდება იმ კრიმინალურ ჯგუფებს შორის, რომლებიც მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა რგოლს აკონტროლებენ. ეს ჯაჭვი ყაყაჩოს მინდვრებიდან იწყება და ნარკოტიკების უშუალო მომხმარებლებით მთავრდება. **იმ დროს, როდესაც ყაყაჩოს მომყვანი ავღანელი გლეხები უკიდურეს სიღატაკეში არიან, ამ მინდვრების მეპატრონეები აშშ-ში, ბრიტანეთსა და დასავლური „დემოკრატიის“ სხვა ქვეყნებში ფუფუნებაში ცხოვრობენ.**

რაც შეეხება ნარკოტიკების მოძრაობის გზას, ყირგიზეთი კარგი ვარიანტია 879-კილომეტრიანი საზღვრის გამო ტაჯიკეთთან და ქვეყანაში კორუფციის ფართო გავრცელების გამო. ქალაქი ოშო ნარკოტიკებისა და კრიმინალური ბანდების თავშეყრის ადგილია. ამ ბანდების წარმომადგენლებმა თავიანთი როლი შეასრულეს 2010 წლის ეთნიკურ ნიადაგზე აღმოცენებულ ძალადობებშიც. ყირგიზეთში შენარჩუნებული არასტაბილურობა პირდაპირ ან ირიბად უწყობს ხელს ნარკოტიკების ბრუნვას.

ზემოხსენებულ ანგარიშში განტევების ვაცი ტაჯიკეთია და ამის მიზეზი შემდეგია:

© „ᲙᲝᲚᲘᲡᲬᲛᲘᲜᲓᲘ“

მიუხედავად იმისა, რომ ტაჯიკეთი მუდმივად თავისი არასტაბილური მეზობლის — ავღანეთის ჩრდილშია მოქცეული და არ გააჩნია ისეთი პოლიტიკური და სამხედრო გავლენა, როგორიც ცენტრალური აზიის სხვა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს აქვთ, ის მაინც რეგიონული და გლობალური იმპორტის ქვეყნად რჩება. **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში ინვესტირების გაზრდით ტაჯიკეთს შეუძლია დამაკავშირებელი რგოლი გახდეს, ერთის მხრივ, აღმოსავლეთ აზიასა და სპარსეთის ყურეს, მეორე მხრივ კი, რუსეთსა და ინდოეთს შორის. მას შეუძლია, მნიშვნელოვან საყრდენ წერტილად იქცეს რეგიონულ და გლობალურ ვაჭრობაში.**

უკანასკნელ პერიოდში ფართოვდება ირანის ეკონომიკური მონაწილეობა და ინვესტირება ტაჯიკეთში. ხელი მოეწერა ეკონომიკურ შეთანხმებებს, მათ შორის ქვეყანაში სამრეწველო ქალაქის მშენებლობის თაობაზეც. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი ჯერ მხოლოდ ფორმირების ეტაპზეა, უკვე არსებობს იმედი, რომ ის შესაძლებელს გახდის 50 სამრეწველო საწარმოს შექმნას.

ამ ინვესტიციების გარდა, ირანის პოლიტიკური ელიტა მიისწრაფვის ეკონომიკური კავშირების გაფართოებისკენ ირანის აღმოსავლეთ პროვინციებს, ჩრდილო-დასავლეთ ავღანეთსა და ტაჯიკეთს შორის. ისინი ხელს უწყობენ თანამშრომლობას წყლის რესურსების მართვის სფეროში, ელექტროენერგიის განაწილებაში, სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებასა და სავიზო თუ საბაჟო პროცედურების გამარტივებაში.

აი, ამიტომაც არ უყვართ ტაჯიკეთი უცხოელ კონტრაბანდისტებს, რომლებიც ცენტრალურ აზიაში რეგიონულ დერეფანს მართავენ — ტაჯიკეთი ხომ ირანთან მეგობრობს.

მეორე მხრივ, ცენტრალურ აზიაში ჰეროინის ტრანსპორტირების უმსხვილესი ქსელი სამხედრო ბაზები, ავიაბაზები ნატოსთან გაერთიანებულ ბაზებია, თუმცა ეს აზრი აბსოლუტურად არსად ფიგურირებს ზემოხსენებულ ესოდენ არაფაქტიურ მოხსენებაში, რომელიც, როგორც ჩანს, იმავე საერთაშორისო კონტრაბანდისტების ნახელავია.

თალიბების პერიოდში ავღანეთში ოპიუმის მწარმოებელი ერთდერთი ქარხანა მუშაობდა. ახლა ასეთი ქარხნების რაოდენობა ათასს აჭარბებს

რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, გამოაცხადა ავღანეთიდან ჯარების გაყვანის თაობაზე. ამ თემაზე ამერიკაში დისკუსია, დიდი ხანია, მიმდინარეობს და ყველასთვის ცნობილია, რომ ავღანური ავანტიურა სახელწოდებით „დაუმარცხებელი თავისუფლება“ ჩიხში შევიდა. გამოსავალი არ არსებობს, ომის საფასურმა კი ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა... ამიტომ კამათობენ საკითხის მხოლოდ ორ მხარეზე — რამდენად სწრაფად და რა პირობებში დაიწყება ჯარების გაყვანა. უწინ ყბადაღებული თარიღი ახლა უკვე დადგენილია — ამერიკელები ავღანეთს 2014 წლამდე თავი-

© „ადამიანის უფლებათა ევროპული“

ანთი 100 ათასი ჯარისკაცის ეტაპობრივი გაყვანით დატოვებენ.

ობამას გამოსვლისთანავე ალაპარაკდნენ ოპერაციის სხვა მონაწილენიც, რომლებიც დიდხანს ელოდნენ ამ მომენტს — აშშ ავღანეთში დიდხანს დარჩენას არ აპირებს. ამერიკის პრეზიდენტმა ავღანეთში ომის შედეგები ისე აღწერა, რომ მისი გამოსვლის თანახმად, „მისია შესრულებულია“. ობამას თქმით, **„რეგიონში საფრთხემ იკლო, აშშ-მა თავის მიზნებს მიაღწია. ქვეყანა, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტებში მონაწილე ტერორისტების ბაზა იყო, საფრთხეს აღარ წარმოადგენს. ახლა „ალქაიდა“ უფრო უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მისი 30 ხელმძღვანელი იდენტიფიცირებულია, 20 — განადგურებული, დანარჩენები პაკისტანსა და ავღანეთს შორის საზღვრის გაუვალ რაიონებში არიან. ომი შესუსტდა. დროა, ამერიკამ თავის შიდა პრობლემებს მიხედოს“.** თუმცა, **ამერიკის პრეზიდენტმა ამ ყველაფერთან ერთად ისიც აღნიშნა, რომ იმ კამპანიის დასრულება, რომელიც აშშ-ს ასობით მილიარდი დოლარი და 1500 ამერიკელის სიცოცხლედ დაუჯდა, „ძალიან დიდ რისკთანაა“ დაკავშირებული.**

რისკი მართლაც დიდია. აშშ-მა კიდევ ერთხელ ვერ მოახერხა ის, რაც არც არასდროს გამოსდიოდა მთელს მსოფლიოში სხვა ხალხების ძალადობრივი „დემოკრატიზაციის“ პროცესში.

ავღანეთში ვერ დამყარდა აშშ-ის მიმართ მეგობრულად განწყობილი რეჟიმი. აშშ თავის შემდეგ აბსოლუტურად კორუმპირებულ და ქმედუუნარო, ამასთანავე ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ჩაბმის სურვილით გამსჭვალულ, მოწინააღმდეგეებით გარშემორტყმულ ყარზაის ხელისუფლებას ტოვებს.

დაპირისპირებულ მხარეებს შორის მყიფე მშვიდობა იმის წყალობით ძლებს, რომ ხელისუფლებას ინტერვენტები უმაგრებენ ზურგს. მათი წასვლისთანავე სიტუაცია კარდინალურად შეიცვლება. **ახლანდელი მდგომარეობა ძალიან ჰგავს 1989 წელს, როდესაც გორბაჩოვის მიერ განწირული ნაჯიბულა მთავარი საყრ-**

დენის გარეშე დარჩა, სამი წლის შემდეგ კი თალიბებმა იგი ელექტროგოძზე ჩამოახრჩეს.

ავღანეთში პრაქტიკულად არ მუშაობს ეკონომიკა. სოფლის მეურნეობა ნარკოწარმოების ვირუსითაა მთლიანად დასნებოვნებული. სახელმწიფო ბიუჯეტის 90%-ზე მეტი ამერიკული დახმარებისგან შედგება.

„ალ ქაიდაზე“ ნადირობამ, რომელიც სამხედრო საჰაერო ძალებისა და უპილოტო საფრენი აპარატების მონაწილეობით ომში გადაიზარდა, მრავალი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ წარმატებული ის ვერ იქნებოდა. ერთადერთი, რასაც ამერიკელებმა რეალურად მიაღწიეს, ეს „ალ ქაიდას“ ბაზების ტრადიციული რაიონებიდან ბელუჯისტანსა და საზღვარგარეთ გადატანაა. დღეს ეს ტერორისტული ორგანიზაცია შესამჩნევად გაძლიერდა პაკისტანში და მთელი ძალით მოიკიდა ფეხი იემენში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამერიკელების წასვლის შემდეგ ის აუცილებლად დაბრუნდება ავღანეთში, რადგან ყარზაის ხელისუფლება მისთვის სერიოზულ წინააღმდეგობას არ წარმოადგენს, თალიბებისთვის კი არც არასდროს ყოფილა მტერი. გამოდის, რომ მას საწყისი მდგომარეობის დაკავების შანსი აქვს. მაშ, რაში გამოიხატება „მისიის წარმატებულობა“?

ახლა ამერიკელები თალიბებთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ და ცდილობენ, ჩამოართვან პირობა, რომ ჯარების გაყვანის შემდეგ „კარგად მოიქცევიან“. არადა, ისლამის მცველთა თვალში თალიბების მთავრობა 2001 წლამდეც კარგად იქცეოდა. ის თემებს შორის დამოკიდებულებას აკონტროლებდა, რელიგიურ მორალს აძლიერებდა, ეკონომიკის აწყობას ცდილობდა და ასე შემდეგ. მითი — რადიკალური იდეოლოგია — ყველას არ მოსწონდა, მაგრამ იდეოლოგია მუდმივი რამაა — თუ თალიბები ხელისუფლებაში კვლავ დაბრუნდებიან, ისევე მოიქცევიან, როგორც ადრე იქცეოდნენ. მაშ, რაღაში მდგომარეობს „მისიის წარმატებულობა“?

გასაგებია, რომ ამერიკელები ცდილობენ, ყარზაისა და მისი გარემოცვისთვის უსაფრთხოების გარანტიების მო-

© „ღამისფრიზენი ათასფრფილ“

პოვებას, მაგრამ ეს ამაო შრომაა. დაპირებებს, რა თქმა უნდა, მიიღებენ, მაგრამ ყველაფერი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დარჩება. **თალიბების წესი გამყიდველებისა და კოლაბორაციონისტების მიმართ ძალზე მკაცრია.**

გარდა ამისა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ვაშინგტონი გრძნობს საკუთარ უძლურებას, ავღანეთი ფინანსური ნაკადების გზით გააკონტროლოს. ამერიკის ბიუჯეტი გადატვირთულია, საზღვარგარეთული ხარჯები სერიოზულ შემცირებას ვერ გადაურჩება. თალიბების ფინანსური დახმარების შემცირებით დაშანტაჟება არ გამოდის, რადგან ეს ფინანსური დახმარება ნებისმიერ შემთხვევაში შემცირდება. **ავღანეთის ხელისუფლებამ ჯარების გაყვანის გარდამავალ ეტაპზევე იგრძნო იმ ამერიკული ფულის მნიშვნელოვანი შემცირება, რომლითაც სულდგმულობს სახელმწიფო აპარატი და ავღანეთის არმია. ხელისუფლება ფულის გარეშე — ეს უკვე განაჩენია.** გარდა ამისა, დღეისათვის ფულის ტომრებით მოთვინიერებული თემთა ბელადები ტომრების შემცირებისთანავე შეტორტმანდებიან.

ცალკე თემაა ნარკობიზნესი. თალიბების პერიოდში ავღანეთში ოპიუმის მწარმოებელი ერთადერთი ქარხანა მუშაობდა. ახლა ასეთი ქარხნების რაოდენობა ათასს აჭარბებს. ნარკობიზნესი იქ წარმოების ერთადერთ „რენტაბელურ“ სახეობად იქცა და სწორედ მასზეა დამოკიდებული (ყაყაჩოს მომყვანი გლეხებიდან დაწყებული და საზღვარგარეთ ნარკოტიკების გასასვლელი დერეფნების მაკონტროლებელი სახელმწიფო ჩინოვნიკებით დასრულებული) **მილიონობით ადამიანის კეთილდღეობა.**

ეჭვგარეშეა, რომ თალიბები ნარკოტიკებთან დაკავშირებით თავიანთ ძველ პოლიტიკას დაუბრუნდებიან, რადგან მათთვის იდეური დოგმები ყოველგვარ ეკონომიკურ მოსაზრებებზე მაღლა დგას. რით დასრულდება ნარკოწარმოების საყოველთაო განადგურება? სამოქალაქო შეტაკებით? **ნარკოომის აჩრდილი ავღანეთში ხელისუფლებაში თალიბების დაბრუნებისთანავე რეალობად იქცევა და ვინ იტვირთებს პა-**

სუხისმგებლობას ამის შემდეგ მომხდარზე, ვაშინგტონი?

ასე რომ, უდიდესი რისკები კვლავ არსებობს. პირველ რიგში, ეს რისკი ხელისუფლებაში თალიბების მოსვლასა და მათ მიერ ამერიკის ხელდასმული მოხელეების წინააღმდეგ განკითხვის დღის მოწყობას უკავშირდება. ეს ამბავი კი უსისხლოდ ვერ ჩაივლის.

თუ გავაანალიზებთ ომის ათ წელიწადს და იმას, თუ რას მიაღწიეს ამერიკელებმა, შემდეგ სურათს მივიღებთ: ამერიკელები რადიკალური ისლამისტების მიერ კონტროლირებად ქვეყანაში შეიჭრნენ. ათი წლის მანძილზე მათ ვერ მოახერხეს ვერც რადიკალური ისლამიზმის ამოძირკვა და ვერც თალიბების ავღანური პოლიტიკის პერიფერიებზე განდევნა. ის კვლავაც რჩება ძალად, რომელსაც სერიოზული პრეტენზიები აქვს ხელისუფლებაში მოსვლაზე და რომელიც ავღანეთის ტერიტორიის უმეტეს ნაწილს აკონტროლებს. რას ნიშნავს იქ უცხო ქვეყნის სამხედრო ძალების დარჩენა? ეს ნიშნავს მავთულხლართებით გარშემორტყმულ სამხედრო ბაზებს, რომლებშიც უცხოელი ჯარისკაცები სხედან და ვერტმფრენებს, რომლებიც მხოლოდ ღამღამობით დაფრინავენ, რადგან დღისით ეს ძალზე სარისკო საქმეა.

რა არის ავღანეთი ქაბულისა და სამხედრო ბაზების განლაგების გარდა? ეს არის ტერიტორია, რომელსაც ფორმალურად გუბერნატორები, რეალურად კი თალიბები და თემთა ბელადები აკონტროლებენ, ამ უკანასკნელთათვის კი პრეზიდენტი ყარზაი ამერიკის მარიონეტია, რომელსაც აბსოლუტურად არ სცემენ პატივს.

ვაშინგტონი აღიარებს, რომ დღეისათვის ყარზაის არ შეუძლია ამერიკის დახმარების გარეშე შეინარჩუნოს ხელისუფლება, მას უცებ ჩამოაგდებენ. ამიტომაც დაინიშნა სამწლიანი გარდამავალი პერიოდი. ეს ის სამი წელია, რომლის განმავლობაშიც ყარზაიმ საკუთარი ხელისუფლების იმდენად კონსოლიდირება უნდა მოახერხოს, რომ შემდეგ თავდაჯერებულად განაგრძოს მართვა. მაგრამ ჩნდება კითხვა: თუ მან ეს ვერ მოახერხა გასული ათი წლის განმავლობაში ამერიკელთა დახმარებითაც კი, რა-

ტომ უნდა სჯეროდეს ვინმეს, რომ მომავალ სამ წელიწადში იგი ამას შეძლებს?

ეს, ალბათ, ილუზიაა. ყარზაის აშშ-ის იმედი აღარ უნდა ჰქონდეს. **„ჩვენ აღარ განვახორციელებთ პატრულირებას მათ ქუჩებში და აღარ გავწმენდთ მათ მთებს. ეს ავღანელების საქმეა“,** — განაცხადა ამერიკის პრეზიდენტმა.

წავლენ ამერიკელები და ავღანეთი კვლავ რადიკალი ისლამისტების მიერ კონტროლირებად ქვეყნად იქცევა.

მაშ, რა აზრი ჰქონდა დასავლეთის ინტერვენციას ავღანეთში, თუ, რა თქმა უნდა, სამხედრო-სამრეწველო კამპანიისა და ნარკობიზნესის ინტერესებს არ გავითვალისწინებთ? დასავლეთი რადიკალი ისლამისტების მიერ კონტროლირებად ქვეყანაში შეიჭრა და ეს კონტროლი კოალიციის ჯარების გასვლისთანავე აღდგება.

ამერიკის ეკონომიკურმა მდგომარეობამ, საზოგადოების გადაღლამ ომებით და მოახლოებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა ობამა აიძულა, ძალზე სარისკო ნაბიჯი გადადგა. **თუ ყარზაისთვის ხელისუფლების შენარჩუნება ვერ მოხერხდება, ოპერაცია „დაუმარცხებელი თავისუფლება“ ყოველგვარ აზრს დაკარგავს და, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ყარზაის ხელისუფლება ვერ შეუნარჩუნდება. რა ელით ამის შემდეგ ყარზაისა და ამერიკის სხვა მარიონეტებს? მათ ისღა დარჩენიათ, იხილონ ამერიკელებისა და მათი სამხრეთვიეტნამელი მოკავშირეების სეულიდან გაყვანის კადრები — ისინი აკიდოებივით მოჩანდნენ ამ ქალაქიდან აფრენილ ვერტმფრენებზე.**

ევროატლანტიკურმა კავშირმა ფაშისტურ კოალიციას აჯობა

მსოფლიოში სიტუაცია ახლა უარესია, ვიდრე 1938-39 წლებში. ომის შეჩერება მხოლოდ რუსეთს შეუძლია. 22 ივნისს ვიხსენებთ ტრაგედიას, ვგლოვობთ დაღუპულებს. ჩვენ ვამაყობთ მათით, ვინც საკუთარ თავზე მიიღო დარტყმა და პასუხიც გასცა. ვამაყობთ იმითაც, რომ ამ საშინელი დარტყმის მიღებით ხალხმა ძალა მოიკრიბა და გაანადგურა მტერი, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულში დარჩა. მსოფლიოს, უკვე დიდი ხანია, არ ახსოვს თეზისი, რომელიც 50 წლის მანძილზე აკავებდა მას და ომის წამოწყების საშუალებას არავის აძლევდა: „41 წელი არ უნდა განმეორდეს“.

ხანდახან თვით პროსაბჭოთა ორიენტაციის ადამიანები და პოლიტიკური ფიგურები (რომ აღარაფერი ვთქვათ მათზე, ვინც საკუთარ თავს სხვა ქვეყნების შვილად მიიჩნევს) სკეპტიკურად საუბრობენ საბჭოთა კავშირის

ეკონომიკის გადატვირთვის შესახებ, ირონიით იხსენებენ „უსტინოვის დოქტრინას“, რომლის თანახმადაც საბჭოთა კავშირი მზად უნდა ყოფილიყო ერთდროულად ორ ზესახელმწიფოსთან (იგულისხმებოდა აშშ და ჩინეთი) ომისათვის და ირწმუნებიან, რომ სწორედ ამ დოქტრინამ დაანგრია საბჭოთა კავშირის ეკონომიკა.

დაანგრია თუ არა, ჯერ კიდევ საკითხავია, რადგან თვით 1991 წლამდე მრეწველობის უმეტეს დარგში პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები მატულობდა. და თუ რატომ იყო ამ დროს მაღაზიების თაროები გამოცარიელებული და რატომ გაივსო ყველანაირი პროდუქტით მას შემდეგ, რაც გამოცხადდა, რომ ნებადართული იყო პროდუქტებზე ფასების დამოუკიდებლად ზრდა — ეს უკვე სულ სხვა თემაა და სულ სხვა ადამიანებს ეხებათ.

უსტინოვი ნამდვილად ამ მიდგომას ემხრობოდა, მაგრამ ეს მისი ჩამოყალიბებული ფორმულირება არ იყო: მსოფლიო პოლიტიკაში დიადი ქვეყნის სტატუსი მუდამ განისაზღვრებოდა მისი უნარით, ეწარმოებია ომი ერთდროულად ორ სხვა სახელმწიფოსთან. უსტინოვმა იცოდა, რატომაც უჭერდა მხარს ამ მიდგომას: იმიტომ, რომ 1941 წლის 9 ივნისს მან ჩაიბარა საბჭოთა კავშირის შეიარაღების სახალხო კომისარიატი და იცოდა, რომ საჭიროა, შეაიარაღო ჯარი, რომელიც იძულებულია, სათანადოდ შეუიარაღებელმაც იომოს. და ყველა ცვლილებების მიუხედავად ზემოხსენებული თანამდებობის სახელწოდებაში, ის ამ თანამდებობაზე რჩებოდა, სანამ 1976 წლის თავდაცვის მინისტრი არ გახდა.

შემდეგ, 80-იანი წლების დასასრულს, გამოცხადდა, რომ საბჭოთა კავშირს შეიარაღება აღარ სჭირდება, რომ ცივი ომი დამთავრდა და რომ საფრთხეს აღარავისგან ველით. ცივ ომს ძალზე მნიშვნელოვანი ღირსება აქვს: ის არ არის „ცხელი“. მაგრამ, როგორც კი ის დასრულდა, მსოფლიოში სწორედაც რომ „ცხელი“ ომები დაიწყო.

მართალია, რუსეთს დამოუკიდებელი ქვეყნებიდან, თანაც გახსნილად, ჯერჯერობით თავს არავინ დასხმია, მაგრამ მას უკვე არაერთხელ დაესხნენ თავს პატარა სამხედრო სუბიექტები დიდი ქვეყნების წაქეზებითა და დახმა-

რებით. მეორეც, მსხვილი სამხედრო სუბიექტები თავს არ დაესხნენ მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთის შეიარაღებაში დარჩა იარაღი, რომელიც სწორედ საბჭოთა კავშირში შეიქმნა და ეს იარაღი საკმარისი იყო იმისათვის, რომ არაერთხელ გაენადგურებია თითეული მათგანი ან ყველა ერთად. მაგრამ ამერიკის მიერ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნის შემდეგ ამგვარი სიტუაცია აღარ იქნება.

იმის გათვალისწინებით, რომ ახლა მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობა არაფრითაა უკეთესი 1914 წლის ან 1939-41 წლების წინ შექმნილ სიტუაციებზე, საუბარი იმის შესახებ, რომ, თუ საბჭოთა კავშირი (რუსეთი) შეწყვეტს დასავლეთისთვის წინააღმდეგობის გაწევას, განიარაღდება და უარს იტყვის თავის სოციალურ-ეკონომიკურ წყობაზე, მსოფლიო ომის საფრთხეც გაქრება და მთელ მსოფლიოში ყველა მშვიდობიანად და მეგობრულად განაგრძობს ცხოვრებას, სისულელეზე უარესია. ეს ნამდვილი სიცრუეა და მიმართულია საბჭოთა კავშირის მორალური კაპიტულაციისკენ. **1914 წელს ინგლისი და საფრანგეთი მცირედ თუ განსხვავდებოდნენ გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთისაგან, მონარქიული რუსეთი კი ომობდა არა უკანასკნელი მონარქიების, არამედ ბრიტანული და ფრანგული დემოკრატიის მხარეს.**

30-იან წლებში ჰიტლერის შესაძლო აგრესიის ასარეკლად ევროპული კოლექტიური თავდაცვის მოწოდებით ერთ-ერთი პირველი გამოვიდა ფაშისტური იტალიის ლიდერი ბენიტო მუსოლინი. ის რეიხთან კავშირზე მხოლოდ მაშინ წავიდა, როდესაც დაინახა, რომ ინგლისი და საფრანგეთი უარს აცხადებდნენ ამგვარი სისტემის შექმნაზე. ამასთან, **მეორე მსოფლიო ომი დაიწყო არა კაპიტალისტური ქვეყნების სოციალისტურთან დაპირისპირებით, არამედ კონფლიქტებითა და ომით კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის.**

იმის ვარაუდი, რომ რუსეთსა და აშშ-ს შორის ომი არ იქნება მხოლოდ იმის გამო, რომ ორივე მათგანი „არასოციალისტურია“, სისულელეა. 1939 წელს ჰიტლერს კონ-

© „ღვინისმცოდნე“

ფლიქტი ჰქონდა არა მხოლოდ სსრკ-თან, არამედ თავისივე ანალოგიური წყობის ქვეყნებთან და ეს კონფლიქტები იმაზე ნაკლები იყო, ვიდრე ახლა აქვს ამერიკას.

ჰიტლერმა მაშინ ჯარები შეიყვანა გერმანიის ტერიტორიაზევე არსებულ დემილიტარიზებულ რეინის ზონაში. მან განახორციელა ავსტრიის ანშლუსი ფორმალურად თავად ავტრიის ნებით. დასავლეთის ქვეყნების ნებართვით, ჩეხოსლოვაკიას ჩამოაჭრა სუდეტსკის ოლქი, შემდეგ კი მთელი ჩეხოსლოვაკია ჩაიგდო ხელში. ესპანეთის სამოქალაქო ომში ფრანკოს მხარეს გამოდიოდა. სულ ოთხი კონფლიქტია და მათგან ერთადერთია შეიარაღებული. მიუხედავად ამისა, ჰიტლერს ყველა აგრესორად მიიჩნევდა და ყველა ამბობდა, რომ ომი კარსაა მომდგარი.

აშშ-სა და ნატოს დღევანდელ ანგარიშზეა:

ორი აგრესია იუგოსლავიის წინააღმდეგ, მისი გახლეჩა ნაწილებად;

შეჭრა ერაყში, ეროვნული ხელისუფლების ჩამოგდება და ქვეყნის ოკუპირება იქ ამერიკული რეჟიმის დამყარებით;

ზუსტად ანალოგიური ქმედებები ავღანეთში;

რუსეთის წინააღმდეგ სააკაშვილის რეჟიმის ომის დაგეგმვა, მომზადება და წამოწყება და ქვეყნის ღია დაცვის ქვეშ აყვანა სამხედრო დამარცხების შემდეგ;

აგრესია ლიბიის წინააღმდეგ, ქვეყნის მხეცურად დაბომბვა, ნაციონალური ხელისუფლების ჩამოგდება, ქვეყნის ლიდერის მოკვლა და ხელისუფლებაში ნამდვილი ბარბაროსული რეჟიმის მოყვანა;

სამოქალაქო ომის გაჩაღება სირიაში და ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიის მზადება;

სუვენერული ირანისადმი ომით მუქარა;

ნაციონალური ხელისუფლებების ჩამოგდება ტუნისსა და ეგვიპტეში;

საქართველოში ნაციონალური ხელისუფლების დამხობა და მარიონეტული რეჟიმის მოყვანა ხელისუფლებაში, ანუ სინამდვილეში ქვეყნის ოკუ-

პირება: ახლა საქართველოში სამსახურის დაწყების ან უნივერსიტეტის დიპლომის მიღების მთავარი პირობა აშშ-ის ენის სრულყოფილი ცოდნაა; ნაწილობრივ იმავეს განხორციელება ან განხორციელების მცდელობა სერბეთსა და უკრაინაში.

სულ 13 აგრესიაა, მათგან 6 — პირდაპირი შეიარაღებული შეჭრა. ჰიტლერს კი ოთხი აგრესიიდან მხოლოდ ერთი ჰქონდა შეიარაღებული. სხვადასხვა ტექსტით ერთი და იგივე ქმედებები ხორციელდება. განსხვავება ერთადერთია — რაც უნდა საოცარი იყოს, **ჰიტლერი ბევრად უფრო კეთილსინდისიერი იყო: ის ომში აგზავნიდა თავის ჯარისკაცებს, რომლებიც სიცოცხლეს წირავდნენ მისთვის, აშშ კი ომში, ძირითადად, დაქირავებულ ჯარისკაცებს გზავნის, თავად კი მხოლოდ კუთხიდან ისვრის და მოწინააღმდეგეს მხოლოდ უსაფრთხო პოზიციებიდან ანადგურებს.**

აშშ-მა თავისი გეოპოლიტიკური შეტევის შედეგად სამჯერ მეტი აგრესიის აქტი და ექვსჯერ მეტი ომი გააჩაღა, ვიდრე ჰიტლერმა ომისწინა პერიოდში, ანუ ახლა მსოფლიოში სიტუაცია გაცილებით უარესია, ვიდრე 1938-39 წლებში იყო. გარდა ამისა, ჰიტლერის აგრესიის აქტები შედარებით ლოკალური ხასიათისა იყო და, ძირითადად, მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიებს ეხებოდა, აშშ-ის აგრესიამ მთელი მსოფლიო მოიცვა.

30-იან წლებში მსოფლიოსა და ევროპაში არსებობდა რამდენიმე დაახლოებით თანაბარ ძალთა ცენტრი, რომლებსაც შეეძლოთ გაერთიანება და ჰიტლერის შეჩერება. დღევანდელ მსოფლიოში კი ჰეგემონიისაკენ ისწრაფის და სამხედრო პოტენციალით მნიშვნელოვნად აღმატება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას მხოლოდ ერთი ქვეყანა.

ახალი მსოფლიო ომის საფრთხე დღეს მეტია, ვიდრე 1930-იანი წლების მეორე ნახევარში იყო. ერთადერთ ფაქტორად, რომელიც მას არარეალურად აქცევს, რუსეთის შემაკავებელი შესაძლებლობებია. ეს ფაქტორი

© „ღამისფრთიანი ანგელოზი“

გაქრება რამდენიმე თვეში, როგორც კი ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა შეიქმნება.

შესაძლოა, ომი არც იყოს, მაგრამ ის არ იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი მზად იქნება ამ ომისთვის. მსოფლიო ომისკენ მიდის და რუსეთს არ აქვს სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ მოემზადოს ამ ომისთვის.

1941 წლის 22 ივნისი მართლაც არ უნდა განმეორდეს.

Sieg Heil ნატო

მრავალმა ავტორმა დოკუმენტურად დააფიქსირა, თუ როგორ უწევდა სპონსორობას ბრიტანულ-ამერიკული ელიტა ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლას. მესამე რეიხის წინააღმდეგ თავდაცვის გაძლიერება მან მხოლოდ იმ დროს დაიწყო, როდესაც რეიხის ძალები დასავლეთს მიუბრუნდნენ. ბრიტანეთში მემარჯვენე კლუბის ელიტის წარმომადგენლები ხშირად ხელისუფლების ფარული თანხმობით საიდუმლოდ უჭერდნენ მხარს ჰიტლერის ქმედებებს ებრაელების, კომუნისტებისა და სოციალისტების წინააღმდეგ.

ჰერცოგი ველინგტონი სახელგანთქმული ანტისემიტი და მემარჯვენე კლუბის წევრი იყო. ედუარდ VIII ცნობილია, როგორც მოღალატე მეფე, იგი ადოლფ ჰიტლერის ახლო მეგობარი იყო და იძულებული გახდა, უარი ეთქვა ტახტზე, რადგან გამოაშკარავდა, რომ ნაცისტებს გადასცემდა დოკუმენტაციას ბრიტანელი სამხედროების ოპერაციების თაობაზე. არისტოკრატია არასდროს ურიგდებოდა აუცილებლობას, ქვემოთ მდგომი კლასებისთვის გაენაწილებია ქონება. ადოლფი კი ანალოგიურ სისუსტეს განიცდიდა ამ

© „ღვინისფერი ცისფერი“

მიზნების მიმართ, რასაც ევროპისა და რუსეთის დაპყრობის მისეულ გეგმაში მთავარი ადგილი ეკავა.

უდავოა და ოდნავ ეჭვსაც კი არ ბადებს, რომ დასავლეთის წამყვანი ფინანსისტები ჰიტლერის გუნდში იყვნენ და მისი სამხედრო მშენებლობის ფინანსური უზრუნველყოფით გახლდნენ დაკავებულნი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჰიტლერმა მათ უღალატა და ინგლისს დაესხა თავს, მოკავშირეები გაერთიანდნენ ნაცისტური ძალებისათვის მომაკვდინებელი დარტყმის მისაყენებლად. ამ მცდელობაში ჩამოყალიბდა დასავლეთის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის მანკიერი ალიანსი, რომელმაც ჰიტლერის ლეგიონებზე გამარჯვების საქმეში მთავარი როლი შეასრულა.

ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე ბრიტანელები და ამერიკელები ინტრიგებს ხლართავდნენ საკუთარი ენერგიის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გადამისამართების შესახებ. ეს 1918 წელს დასავლეთის მიერ განხორციელებული ბოლშევიკების საწინააღმდეგო შეჭრის დეჟავუ იყო. ეს ფაქტი თანამედროვე ისტორიაში ყველაზე უცნობ მთავარ მოვლენად რჩება. ამისათვის აშშ-მა და ინგლისმა იხსნეს ყველაზე უარესი ნაცისტი სამხედრო დამნაშავეები, იმავე სახელმწიფოების მიერ ძებნაში გამოცხადებულები და უკლებლივ ყველა მათგანი ბრიტანეთისა და ამერიკის ტერორის აპარატში შეიყვანეს.

აი, რას წერს მაიკლ მაკკლინტონი:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნისთანავე ამერიკელმა ლიდერებმა აუცილებლად მიიჩნიეს, უბრალოდ, ცნობისმიყვარეობის გამო, დაერღვიათ ახალი წესი, რომელსაც თავადვე აქებდნენ და ადიდებდნენ. ამგვარი ქცევით მათ განავითარეს პასუხისმგებლობისგან თავის დაძვრენის ახალი სისტემები თავიანთი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამო, რომელთა შორისაც არის ფარული ჩარევის უზარმაზარი მანქანა. გარდა ამისა, ისინი უდიდეს ძალისხმევას ახარჯავდნენ იმ მოჩვენებითობის შექმნას, რომლის თანახმადაც აშშ-ის ნებისმიერი ქმედება, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ის სინამდვილეში, საერთაშორისო სამართლის ნორმებს შეესაბამებოდა.

ზუსტად იმავე დროს, როდესაც დასავლეთი საიდუმლო ღონისძიებას გეგმავდა დიდ სამამულო ომში საკუთარი მოკავშირის წინააღმდეგ, მან ჩამოაყალიბა ტერორისტული კლუბი, რომელიც ნატოს სახელითაა ცნობილი და რომელიც ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაციას წარმოადგენს. თითქმის თავიდან ბოლომდე ეს ორგანიზაცია ნაცისტური დაწესებულება იყო. მაგალითად, ნაცისტი გენერალი რეიჰარდ გელენი, რომელიც ვერმახტის უმაღლესი სარდლობის რუსულ ნაწილს ედგა სათავეში და ასევე გახლდათ კონსულტანტი ებრაელთა საქმის საბოლოო გადაწყვეტისათვის, საიდუმლოდ გადაგზავნეს აშშ-ში, სადაც მას თავისი უზარ-

© „ღვასუბუნეგნი ათასეულები“

მაზარი საგანძური — საბჭოთა კავშირის შესახებ მოგროვილი და დამალული დოკუმენტები — უნდა გადაეცა და შემდეგ ჩამოეყალიბებია რუსეთის განყოფილება მალევე ჩამოყალიბებული ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსთვის.

ამის შემდეგ გენერალს ომის შემდგომ გერმანიაში დააბრუნებენ და ახალ საიდუმლი სადაზვერვო სამსახურს — BND-ს ჩააბარებენ. გამოვიდა, რომ ამ დროს რუსეთის ერთი განყოფილების ნაცვლად უკვე ორი მუშაობდა და ორივეს ერთი და იგივე საბოლოო მიზანი ჰქონდა: **საბჭოთა კავშირისა და კომუნიზმის განადგურება.**

როდესაც ცივი ომი გაჩაღდა, ასობით და ათასობით ნაცისტმა ახალი ცხოვრება დაიწყო: ისინი აშშ-ზე, ბროტანეთსა და კანადაზე შეუდგნენ მუშაობას. ამის შემდეგ მასობრივი მკვლელობები პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა. ეს პოლიტიკა იმავე პატრონების შემუშავებული იყო, რომლებმაც თავის დროზე მხარი დაუჭირეს ჰიტლერსა და მის ფაშისტურ წამოწყებებს. თავიანთ მოვალეობებს დაბრუნებული ძველი ნაცისტებისათვის ყველა საშუალება გამართლებული გახდა, თუ მას გამოიყენებდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

დასავლეთი გერმანია ექს-ნაცისტის — კონდარ ადენაუერის მეთაურობით 1954 წელს ნატოს შეუერთდა, გელენი კი ინარჩუნებდა კავშირს თავის პრონაცისტ კურატორ ალენ დალესთან, რომელიც ცსს-ს მეთაური უნდა გამხდარიყო, მით უფრო, რომ მისი ძმა — ჯონ ფოსტერ დალესი სახელმწიფო მდივანი გახლდათ. სულ მალე ნატომ ძველი და გამოცდილი ნაცისტების წამყვან თანამდებობებზე დანიშვნა დაიწყო.

მაგალითად, გენერალი **ჰანს შპაიდელი** 1957 წელს ცენტრალურ ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გახდა. ნაცისტური წარსულის ადმირალი **ფრიდრიხ გუგენბერგერი** ვაშინგტონში ნატოს ძალზე მნიშვნელოვანი სამხედრო კომიტეტის შემადგენლობაში აღმოჩნდა, ხოლო ერთ დროს გელენის უფროსი, გენერალი **ადოლფ ჰოიზინგერი** ამავე კომიტეტში მისი მოადგილე გახდა.

გელენმა მოახერხა, რომ რამდენიმე ნაცისტი კოლაბორაციონისტი გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის შტაბში მნიშვნელოვან თანამდებობაზე მოეხვედრებინა. მათ შორის იყო პოლკოვნიკი **ჰენინგ შტრიუმპელიც,** რომელიც ბრიტანელი გენერალ-მაიორის, დაზვერვის ზემოხსენებული შტაბის უფროსის თანაშემწის — **ჩარლზ ტრაივერის** მოადგილე გახდა. პოლკოვნიკი **ჰაინც კოლერ-კრაუსი** მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებას ჩაუდგა სათავეში. ცოტა ხნის შემდეგ გელენის სხვა ხალხი ნატოში იმისთვის მოხვდა, რომ მომავალში ორგანიზაციის კურსი განესაზღვრა.

გელენის ნაცისტური სადაზვერვო სამსახურის საქმის გამგრძელებელი ნატოსა და ცსს-ში კომფორტულად მოკალათებული იმავე ნაცისტების დახმარებით „ახალი

ველტ ორდნუნგი“ ბერლინის რეიხსტაგიდან პენტაგონსა და ლენგლიში გადაჯდა.

აშშ-ის ელიტებმა აღიარეს გებელსისეული სიმართლის სამინისტროს ღირებულებები და ისწავლეს გაკვეთილი, რომელიც განახორციელეს კიდეც ოდესმე არსებულ პროპაგანდისტულ ქსელთაგან ყველაზე დახვეწილის შექმნით. ამის შემდეგ დასავლეთის ყველა ომს რაღაც ილუზორული სახელწოდება ერქმეოდა, მაგალითად: „ომი დემოკრატიისთვის“, „ომი მშვიდობისთვის“, „ჰუმანიტარული ომი“ და ასე შემდეგ დაუსრულებლად.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ-ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚ-ᲜᲐᲪᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲐᲓᲘᲝᲔᲑᲘ: „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲐ“ ᲓᲐ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ“. ᲝᲠᲘᲕᲔ ᲓᲐᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲜᲐᲪᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐ ᲝᲠᲘᲕᲔᲡ ᲪᲡᲡ ᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲓᲐ.

ცსს-სთან ერთად, რომელმაც საბჭოთა კავშირის მიერ მკაცრად ჩახშობილი უნგრული ამბოხების პროვოცირება მოახდინა, ამ ნაცისტმა მასობრივმა მკვლელებმა და-



აფუძნეს უნგრეთის განყოფილება, რომელიც იატაკქვეშეთის პრონაცისტურ ელემენტებს იარაღითა და სხვა დახმარებით უზრუნველყოფდა. ამ ეპიზოდის საწყისი გამოყენება ნაკლებად იყო დაკავშირებული სიკვდილთან, უფრო მეტად ის პროპაგანდისტული დატვირთვის იყო და ქმნიდა გასანადგურებელი „ბოროტების იმპერიის“ სახეს.

დოქტორი ებერჰარტ ტაუბერტი ნაციონალურ-სოციალურ პარტიაში 1931 წელს შევიდა და მალე მიიღო შტურმფიურერის წოდება გებელსის კვალდაკვალ პროპაგანდის სამინისტროში. ომის შემდეგ ტაუბერტი სამხრეთ აფრიკაში გაიქცა, სადაც ნეონაცისტებმა კომფორტული პირობები შეუქმნეს. 1950 წელს იგი გერმანიაში დაბრუნდა და შეხვდა თავის ძველ ნაცისტ მეგობარს — რეინჰარდ გელენს BND-ში თავის ახალ თანამდებობაზე მუშაობისას. ამავე დროს ტაუბერტი ცსს-ს მხარდაჭერის მქონე „მშვიდობისა და თავისუფლების ნაციონალური ასოციაციის“ თავმჯდომარე და ექსნაცისტი თავდაცვის მინისტრის — ფრანც იოზეფ შტრაუსის მრჩეველი გახდა. ამ უკანასკნელმა გაგზავნა იგი ნატოში ფსიქოლოგიური ომის დეპარტამენტის მრჩევლის რანგში. გებელსის სიმართლის სამინისტრომ მეორე სიცოცხლე შეიძინა.

გარდა ამისა, **ნატო მჭიდრო კავშირში იყო ტერორისტული აქტების სერიასთან, რომლებიც 70-იან წლებში იტალიაში „დაძაბულობის სტრატეგიის“ ფარგლებში განხორციელდა და რომლის მიზანიც ხელისუფლებაში ფაშისტური მარჯვენა ფრთის მოყვანა და ამით „სტაბილურობის“ აღდგენა იყო. ამ ტერაქტებს, რომლებიც მრავალი ტერორისტის დახმარებით და ნატო-ნაცისტების გელენისეული ტერორისტების თავგანწირვით საზოგადოებრივ ადგილებში ბომბების აფეთქებას გულისხმობდა, ასობით ადამიანი ემსხვერპლა.**

აი, ეს ადამიანები და მათი მიმდევრები მართავენ ნატოს, რომელიც ჰუმანურობის სახელით მთელ მსოფლიოში გვამებით მოფენილი გზებით დადის.

© „ღონისძიების ორგანიზაციები“

დიდი ავღანური თამაში



2001 წელს ავღანეთის მიმართ განხორციელებულ აგრესიასა და ამის შემდგომ ქვეყნის სამხედრო ოკუპაციაზე წლების მანძილზე უამრავი სისულელე და საზიზღრობა ვისმინეთ, მათ შორის იმის შესახებაც, თუ რა ეკონომიკურ და სტრატეგიულ უპირატესობას მიიღებს აშშ და ინტერნაციონალური ლობი საერთაშორისო მეკობრეობის ამ ეპიზოდის წყალობით. თვით ამ დეზინფორმაციულ გარემოშიც კი ყველამ გავიგეთ, რომ „ალ-ქაიდას“ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არაფერ შუაშია, რომ ჰამიდ ყარზაის კოლაბორაციონისტური მთავრობა, რომელსაც ქვეყანაში სერიოზულად არავინ აღიქვამს, მხოლოდ ქაბულსა და მის შემოგარენს მართავს და ხელისუფლებას ცალსახად უცხოური საოკუპაციო ჯარის წყალობით ინარჩუნებს.

ზოგიერთ რაიონში თალიბები ახლა უფრო მეტად აკონტროლებენ სიტუაციას, ვიდრე ოდესმე, სხვა რაიონებში ხელისუფლება რომელიღაც კლანების საველე მეთაურების ხელთაა. ერთთანაც და მეორესთანაც ოკუპანტებს ისეთი დამოკიდებულება აქვთ, რომ ამის ორაზროვნად გაგება ძალზე ოპტიმისტური იქნებოდა. ამ ეტაპზე ჯერ კი-

დევ ძნელია ავადსახსენებელი ბუშის ხელისუფლების საბოლოო მიზნების განსაზღვრა ავღანეთისა და ერაყის ოკუპაციასთან დაკავშირებით. გაურკვეველი რჩება ისიც, სურდა თუ არა მას ამ ორი ქვეყნის ქრონიკულ სამოქალაქო ომში ჩაძირვა, მაგრამ ერთი რამ ცხადია — აშშ-ის ადმინისტრაცია (ჯერ ბუშის, შემდეგ კი ობამასიც) მომხდარს სულაც არ მიიჩნევს აბსოლუტურ ჩავარდნად.

ზემოხსენებული ორი საომარი კამპანიის მიმდინარეობა და გართულებები ხანდახან ნამდვილად სამარცხვინო პოლიტიკურ და დიპლომატიურ წარუმატებლობებს განაპირობებს, სამაგიეროდ, აბსოლუტურად კმაყოფილი არიან იარაღის მწარმოებელი კორპორაციები და პენტაგონი, რომელიც გარკვეულწილად არა მხოლოდ სტრატეგიულ, არამედ პოლიტიკურ მოთამაშედაც რჩება და ოკუპირებულ და მიმდებარე ტერიტორიებზე სცენარების შესწავლას განაგრძობს.

კმაყოფილნი არიან „რეკონსტრუქციით", ხარჯების გადანაწილებით, მიწისქვეშა სიმდიდრეების სხვადასხვა სახის ექსპლოატაციით დაკავებული მოღვაწეებიც. აბსოლუტურად კმაყოფილნი არიან უმუშევრებიც, რომლებიც დაქირავებულ ჯარისკაცებზე გაზრდილი მოთხოვნის წყალობით კონტრაქტით მიდიან ჯარში.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია ამტკიცო, რომ ყველაფერი კარგადაა. პირიქით. პოლიტიკური მდგომარეობა ძალიან მძიმეა, პრეზიდენტ ობამას პრესტიჟი და მასზე დამოკიდებული საზოგადოებრივი კეთილგანწყობა მკვეთრად ეცემა, ადამიანებს აბსოლუტურად კანონზომიერად უჩნდებათ ახალი ვიეტნამის შიში.

ვიეტნამში რბილი ხასიათის, მშვიდობისმოყვარე გლეხები ცხოვრობდნენ. ამერიკელთა შეცდომებმა და თავნებობამ ეს ხალხი გმირულ ჯარად აქცია. მაგრამ, როგორც ჩანს, მსოფლიოში პირველი დემოკრატიის მმართველებმა ამ მაგალითიდან ვერაფერი ისწავლეს. 2001 წელს ისინი საკუთარ მახეში გაებნენ, როდესაც მსოფლიოში ყველაზე ძლიერ, მოხერხებულ და დაუნდობელ მებრძოლებს დაესხნენ თავს. უკანასკნელი ორ-ნახევარი ათასწლეულის მანძილზე ავღანელებთან ომი არავის მო-

© „ღვინისფერი ოთხკუთხედი“

უგია — არც სპარსეთს, არც ალექსანდრე დიდს, არც ჩინგის-ხანს, არც ბრიტანეთს, არც წითელ არმიას. ვერც ამერიკელები და მათი თანამზრახველები მოიგებენ, მიუხედავად თავიანთი დამანგრეველი იარაღისა და უდიდესი ფულისა, რომელსაც მოსახლეობას უხდიან.

ავღანეთი ცენტრალურ აზიაზე კონტროლის ხელში ჩაგდების მიზნით მეცხრამეტე საუკუნიდანაა საერთაშორისო მიზიდულობის ცენტრი, მაგრამ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ღრმა ცვლილებები მოხდა.

ყარზაის დისკრედიტირებული ხელისუფლების პოზიცია გაუსაძლისი ხდება, გენერალმა მაკკრისტალმა იგრძნო, რომ ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა. ამიტომაც გადაწყვიტა ხელისუფლებისა და პენტაგონის დისკრედიტირება და ღიად დაესხა თავს ობამას, მთელი თავისი გარემოცვიანად. ამასობაში ავღანეთში „ახლახან“ აღმოჩენილი სასარგებლო წიაღისეულის უდიდესი მარაგის შესახებაც გამოჟონა ინფორმაციამ. არადა, ამაზე ჯერ კიდევ 2001 წლის აგრესიამდე საუბრობდნენ. თალიბებმა ამ სიმდიდრეზე ჯერ კიდევ კლინტონის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებისას გაავრცელეს ხმა.

კლინტონი მაშინ ჭკუას ეკითხებოდა თავის ფასდაუდებელ თანაშემწეებს, ისეთებს, როგორებიც ჰენრი კისინჯერი და ზბიგნევ ბჟეზინსკი არიან. გეოპოლიტიკური და დიპლომატიური ნაგებობების დაუღალავმა კონსტრუქტორებმა კი მშვენივრად იცოდნენ, რომ მსოფლიომ უკვე

დაკარგა კონტროლი და თანამგზავრებისა და მოკავშირეების გულდასმით შერჩევით მომენტის შესაბამისი მოქმედება იყო საჭირო. მაგრამ **2000 წელს დიდი და ფრთხილი პოლიტიკოსები ნეოკონსერვატორებმა და ახალი ამერიკული საუკუნის მათეულმა პროექტებმა ჩაანაცვლა. მათ ტროცკისეული შემართებით განაცხადეს: „კმარა მსოფლიო პოლიტიკურ რეალობაზე გვერდიდან ფრთხილი და პედანტური დაკვირვება, ჩვენ არ გვსურს, უბრალო მაყურებლები ვიყოთ, ჩვენ უნდა შევცვალოთ მსოფლიო, ამერიკის ინტერესების შესაბამისად, ცხადია“. გაგრძელება ყველასათვის ცნობილია.**

და აი, ამდენი წლის განუსჯელი თავნებობის შემდეგ, სცენაზე კვლავ გამოჩნდა გონიერი სიფრთხილე და წინდახედულობა — გაზეთ „Il Sole-24 Ore“-ს ფურცლებზე გამოქვეყნდა სტატია „ვიეტნამის ჩრდილი ავღანეთის თავზე“, რომელსაც თავად ჰენრი კისინჯერი აწერს ხელს.

კისინჯერი არ მალავს, რომ მთავარი ამოცანა ყველა რეგიონის ადგილობრივ ძალებთან — თალიბებთან, საველე მეთაურებთან და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებთან მოლაპარაკებაა, მთავარი მიზანი — მიწისქვე-

შა სიმდიდრეებით სარგებლობა, ცენტრალური აზიიდან პაკისტანისკენ მიმავალ გაზსადენსა და ნავთობსადენებზე კონტროლის შენარჩუნება და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარება.

კისინჯერის რეცეპტის მიხედვით, ავღანეთიდან ჯარების ნაჩქარევად გამოყვანა კი არა, ქვეყანაში მყარი სახელმწიფო და სამხედრო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, ადგილობრივ მთავრობებთან დაკავშირება, მათი საჭირო მიმართულებით მიმართვა და მართვაა საჭირო.

კისინჯერი არ ერიდება ბელგიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული „ევროპული პრეცენდენტის“ ციტირებას. 1930 წელს ის ძველი მსოფლიოს ზესახელმწიფოებმა „ევროპის კარიბჭედ და ჩრდილო ატლანტიკაში საზღვაო გზებზე სადამკვირვებლო პუნქტად“ აქციეს. ინგლისმა და საფრანგეთმა ჰოლანდიას ბელგია კათოლიკური რწმენის მიზეზით წაართვეს და საკუთარი მიზნებისთვის მოსახერხებლად მოაწყვეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ცხადია, მაშინ ახალი სახელმწიფოს მუდმივ ნეიტრალიტეტზე ფიქრობდნენ. კისინჯერის რჩევით, მსგავსი მოლაპარაკება უნდა განხორციელდეს რუსეთთან, ჩინეთთან და ინდოეთთან.

ახალი ცენტრალურაზიური „დიდი თამაში“ იმით სრულდება, რომ ყველა კონკურენტ ზესახელმწიფოს ერთი ზესახელმწიფოსთვის ისედაც ძალიან დიდი ავღანური ტორტიდან თითო ნაჭერს ჰპირდებიან. მერე რა, თუ ხალხთა უფლებები კიდევ ერთხელ გაითელება ფეხქვეშ. სამაგიეროდ, ავღანური სიმდიდრეების მიტაცება თავისი გზით წავა, თავიანთი მონაგარით დაინტერესებული მეზობელი ქვეყნები ამერიკულ გეგმებს აღარ შეეწინააღმდეგებიან.

ბუშის შეუნიღბავი თავაშვებულობის შემდეგ სიხარულით ვესალმებით გეოპოლიტიკასა და დიპლომატიაში რბილი თავაშვებულობის დაბრუნებას. მიზანი უცვლელი რჩება — ძალადობა და ძარცვა, სამაგიეროდ, ეს უფრო მეტად ჰგავს პოლიტიკას.

როგორ ხვდება პენტაგონის მილიარდები ახლო აღმოსავლეთის დიქტატორების ხელში



ოფიციალურად აშშ სხვა ქვეყნებს ფულს არ უხდის იმისთვის, რომ მათ ტერიტორიაზე საკუთარი სამხედრო ბაზები განათავსოს. ლოგიკა სავსებით მარტივია: უცხოელი დიქტატორების ხაზინისთვის ფულის მიცემა ვერ ჩამოაყალიბებს საფუძველს ნამდვილი სტრატეგიული კავშირებისთვის. მაგრამ მაინც, იმისთვის, რომ ერაყსა და ავღანეთში ომები აწარმოოს და გულმოდგინედ ადევნოს თვალი ირანში მოლებს, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე პენტაგონს უხდებოდა იმ სამხედრო ბაზების ქსელზე დაყრდნობა, რომლებიც მთელ ახლო აღმოსავლეთშია მიმოფანტული. Newsweek-ის მიერ ჩატარებული გამოძიება ეხებოდა პენტაგონის პრაქტიკას

აბუ-დაბიში, ქუვეითსა და ბაჰრეინში კონტრაქტების გაფორმების თემას და მისი წყალობით გაირკვა, რომ 14 მილიარდ ამერიკულ დოლარზე მეტი გადაუხადეს კომპანიებს, რომლებსაც სპარსეთის ყურის ქვეყნების მმართველი ოჯახები აკონტროლებენ. გამოაშკარავებულ ფაქტებთან დაკავშირებით ჩნდება ფუნდამენტური კითხვა: ამდიდრებს თუ არა ამერიკელ გადასახადების გადამხდელთა დოლარები მეგობრული რეჟიმების მმართველ მბრძანებლებს?

მაგალითისთვის ავიღოთ, ვთქვათ, აბუ-დაბი. არის რა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ყველაზე მდიდარი, მის ტერიტორიაზე განთავსებულია ალ-დაფრის ამერიკული სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობის ცენტრია ამ რეგიონში საწვავის ავზების შესავსებად. როგორც ყურეში სახელმწიფოთა უმეტესობაში, აბუ-დაბის ერთი ოჯახი მართავს, ის მბრძანებლობს ხელისუფლებაზეც და ბიზნესის სექტორზეც. ეს ნაიანების ოჯახია, ემირი კი, 63 წლის შეიხ ხალიფა ბინ ზაიედ ალ-ნაიანი, ცნობილია აქლემების რბოლისადმი სათუთი დამოკიდებულებით. **იგი აკონტროლებს ნაციონალურ ნავთობკომპანია ADNOC-საც. როგორც გაირკვა, ავიასაწვავის ყველა წვეთი, რომელსაც ამერიკა ალ-დაფრეში თავისი თვითმფრინავებისთვის ყიდულობს, ეს კი წელიწადში 200 მილიონი გალონია და 2005 წლიდან ამ დრომდე ამერიკას 5,2 მილიარდი დოლარი დაუჯდა, სწორედ ამ კომპანიისგან შეიძინა.**

მაგრამ, როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ამ ფულს არ გაუვლია საკონკურსო ვაჭრობის პროცესი, რაც პენტაგონის მხრიდან ნებისმიერ შენაძენს უნდა ახლდეს. აბუ-დაბიში „შესაძლოა უბრალოდ ვყიდულობთ ჩვენს იქ ყოფნას“, — ამბობს ბერნარდის კოლეჯის პროფესორი ალექსანდრე კული. **ამერიკა რეგულარულად იხდის საიჯარო გადასახადს უცხოელი მიწის მფლობელების სასარგებლოდ, მაგრამ ეს გადახდები ხორციელდება ბაზების განთავსებაზე იმ უფლებებისგან დამოუკიდებლად, რომლებიც ხელი-**

სუფლებათშორისი შეთანხმებების საფუძველზე ყალიბდება. რაც შეეხება თავად ბაზებს, კულის თქმით, აქ მუშაობს პრინციპი „სამსახური სამსახურის სანაცვლოდ“.

თითქმის 30 წლის წინ, დანახარჯებთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი სკანდალის შემდეგ კონგრესმა დაამტკიცა **„კანონი კონკურენციის შესახებ კონტრაქტების გაფორმების დროს“.** პრინციპი საკმაოდ მარტივია: კონკურენცია ამცირებს ფასს და ზრდის ხარისხს. საომარ დროს კონტრაქტების ფედერალური კომისიის წევრის — ჩარლზ ტიფერას თქმით, **„კანონი ითხოვს კონკურენციას უმნიშვნელო გამონაკლისებით“.**

აბუ-დაბიმ ბრწყინვალედ გამოიყენა ამგვარი შელავათებიდან ერთ-ერთი. ხუთი წლის წინ, ერაყში გაგანია ომისას, ამერიკის საწვავის კონტრაქტორმა ფლორიდაში მდებარე ამერიკული კომპანია IOTC-ის სახით გამოწვევა ესროლა კომპანია Adnoc-ს. „კონტრაქტი უნდა გაფორმდეს კეთილსინდისიერი კონკურენციის საფუძველზე“ — წერდა თავის საპროტესტო წერილში ფედერალურ საბიუჯეტო-საკონტროლო სამმართველოს იურისტი რონალდ უშერი. პენტაგონი შეეწინააღმდეგა იმის მოშველიებით, რომ ეს არაბეთის გაერთიანებული საემიროების კანონია, მაგრამ IOTC-ის იურისტი ამბობდა, რომ სამხედრო ხელისუფლებას არანაირად არ შეეძლო ამგვარი კანონის ან ბრძანების შემუშავება.

პენტაგონის შიდა ელექტრონული წერილები, რომლებიც Newsweek-მა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის საფუძველზე მოიპოვა, ცხადყოფს სამხედრო შეძენებით დაკავებული სააგენტოს შიგნით გამეფებულ გაურკვევლობას აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ზურგის მომარაგების საკითხებში. **მას შემდეგ, რაც 2008 წელს პოლკოვნიკმა გამოხატა საკუთარი ეჭვები კომპანია ADNOC-იდან საწვავის მიწოდების შესახებ ერთადერთ კონტრაქტთან დაკავშირებით, სააგენტოს მოქმედმა ხელმძღვანელმა უპასუხა: „ეს არის ერთადერთი კომპანია, რომლისგან საწვავის შეძენის უფლება გვაკვს“. მოგვიანებით შემკვეთის წარმომადგენელმა იკითხა, არსებობს თუ არა რა-**

ИМЕ ДОКУМЕНТАЦИА АН ИСТОРИА АБУ-ДАБИС КАНОНИС МИХЕДВИТ. АБУ-ДАБИШИ АМЕРИКИС САЕЛЩОМАЦ КИ ГАНАЦХАДА, РОМ АМ КАНОНИС АСЛИ ВЕРСАД МОИПОВА. РАМДЕНИМЕ ТВИС ШЕМДЕГ ПЕНТАГОНМА КОМПАНИА ADNOC-С 918 МИЛИОНИ ДОЛАРИС ღირებულების КИДЕВ ЕРТИ КОНТРАКТИ ГАУФОРМА. როგორც ტიფერმა განაცხადა, **„თქვენ ხსნით ხაზინას ემირატის სასარგებლოდ“.**

პენტაგონი აცხადებს, რომ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა. **„ჩვენ გვაქვს არჩევანი“,** — უთხრა Newsweek-ს ზურგის უზრუნველყოფის სააგენტოს წარმომადგენელმა. — **„გინდათ, იყოთ ამ ქვეყანაში, გქონდეთ აქ ბაზები და გამოიყენოთ მათ მიერ მოწოდებული საწვავი, თუ — არა?“** როგორც ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის ყოფილი ელჩი რონალდ ნიუმენი ამბობს, დილემა — ეს არის **„ბიზნესის წარმოების პოტენციური გავლენა არადემოკრატიულ სახელმწიფოებში“.**

სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებში, სადაც ამერიკის ბაზებია განლაგებული, მმართველები, როგორც ჩანს, მოგებას ამავე სქემის შესაბამისად ნახულობენ. მაგალითად, **ასეთივეა საქმის ვითარება კუვეიტში, სადაც ძირითადი ამერიკული ბაზა „არიფჟანი“ ემსახურება ერაყში მიწოდების მთავარ სამხედრო მარშრუტებს. ისევე, როგორც ალ-ნაიანის ოჯახი აბუ-დაბიში, კუვეიტში ქვეყანას ალ-საბახის კლანი მართავს. ეს კლანი, АБУ-ДАБИС ММАРТВЕЛИС МСГАВСАД, ТАВАДВЕ МАРТАВС НАВТОБИС НАЦИОНАЛУР КОНЦЕРНС KUWAIT PETROLEUM CO. 2005 წლიდან ამ КОНЦЕРНМА ПЕНТАГОНИСГАН 4 МИЛИАРДИ ДОЛАРИС ღირებულების КОНТРАКТЕБИ МИИღО.**

როგორც ზურგის უზრუნველყოფის სააგენტო განმარტავს, **„ერაყისათვის განკუთვნილი საწვავის მიწოდებების შესახებ კონტრაქტები სრულდება ერთადერთი კონტრაქტორის მიერ კუვეიტის საკანონმდებლო შეზღუდვის გათვალისწინებით“.**

შეგვიძლია, მაგალითისთვის ბაჰრეინის სამეფოც განვიხილოთ. გასულ თვეში იქ საპროტესტო აქციები მძვინვარებდა. ამ ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატების მე-

ხუთე ფლოტის შტაბ-ბინაა განლაგებული. უფრო მეტიც, ბაჰრეინში განთავსებულია ზურგის უზრუნველყოფის საააგენტოს რეგიონალური შტაბ-ბინაც. ქვეყანას მეფე ხამად ბინ ისა ალ-ხალიფა მართავს.

ყოველწლიურად ნაციონალური ნავთობკომპანია იღებს კონტრაქტის ძირითად ნაწილს წყნარი ოკეანის რეგიონის დასავლეთით ამერიკული ჯარების მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციების საწვავით უზრუნველსაყოფად. **ბაჰრეინის ნაციონალურ საწვავის კომპანიას უიშვიათესი სტატუსი აქვს: მილიონიანი მოსახლეობის მქონე სამეფო საწვავის ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელია და ამისთვის მილიარდობით დოლარს იღებს.**

საწვავით უზრუნველყოფის საააგენტო აღნიშნავს, რომ ბაჰრეინის ნაციონალური საწვავის კომპანია, აბუ-დაბის კომპანია Adnoc-ისგან განსხვავებით, ერთადერთი კონტრაქტორი არაა. პირიქით, როგორც პენტაგონი აცხადებს, ბაჰრეინი ყოველთვის მოგებაშია, ვინაიდან საწვავზე მისი ფასი ნაკლებია; ის საწვავის დიდ რაოდენობას გვთავაზობს; და მას არ ჰყავს ბევრი კონკურენტი რეგიონში „ტრადიციულ მიმწოდებლებს“ შორის, თუ ასეთები საერთოდ არსებობენ.

როგორც კონსალტინგური ფირმა PFC Energy-ის დირექტორი დევიდ კირში ამბობს, Bahrain Petroleum Co, ალბათ, ვერ მოიგებდა ამ კონტრაქტებს, საწვავი რომ ბაზისთვის არ ყოფილიყო განკუთვნილი. ზურგის უზრუნველყოფის საააგენტოს წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათი უწყება მთელი ძალით ცდილობს, რომ ამერიკულ ჯარს მთელს მსოფლიოში საწვავი დაბალ ფასად მიაწოდოს.

საკითხავი ისღაა, არსებობს კი ეს სტრატეგიული ალიანსები კიდევ რაიმეს ხარჯზე, გარდა გადასახადების გადამხდელთა ფულისა?

ნატოს ომი ძვირი უჯდება

აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონს, რომელიც წმინდა ომს აწარმოებს სირიასთან, რიტორიკული საბრძოლო მასალები უთავდება. შესაძლოა, ეს არის შედეგი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით ომის წამოწყებისა. შესაძლოა, ეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის მოხერხებული კონტრშეტევების შედეგია. რამდენიმე დღის წინ ჰილარი კლინტონმა დასავლეთის სახელმწიფოებისა და მათი არაბული მარიონეტებისაგან შემდგარ სიმბიოზს, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის როლს ასრულებს, მოუწოდა, გარკვევით მიანიშნონ, რომ რუსეთი და ჩინეთი ძვირად გადაიხდიან იმის გამო, რომ ხელს უშლიან წინსვლას. წინსვლაში სირიაში რეჟიმის შეიარაღებული ძალით შესვლა იგულისხმებოდა.

მის ახალ ენაზე ეს აღნიშნავს: **„თუ თქვენ დაბლოკავთ ჩვენს ახალ ომს, საზღაური მალე მოგეკითხებათ“.**

მიუხედავად კრემლისა და ჩჟუნანშაის დერეფნებში

ხარხარისა, ეს მიანიშნებს, თუ რამხელა თავგანწირვით მიისწრაფვის ზემოხსენებული სიმბიოზი სირიაში რეჟიმის შეცვლისაკენ, რომ საბოლოოდ გადაჭრას ირანის კავშირები არაბულ სამყაროსთან. ამასთან, თურქეთის პრემიერი რეჯეპ ტაეპ ერდოღანი, რომელიც ნატოს აღმოსავლურ ფრთას კეტავს, ვეღარ ითმენს, ისე უნდა სირიაზე დარტყმა, მაგრამ ვერაფრით მოიფიქრა, როგორ წარმოაჩინოს ეს თურქეთის საზოგადოებრივი აზრის გამოხატულებად.

ცეცხლზე ნავთს ასხამს საიტი „ვიკილიკსი“, რომელმაც გამოაქვეყნა მიმოწერის ერთი ულუფა, რომელშიც კომპრომეტირებულია როგორც ასადის სისტემა, ისევე ნატოსეული ამბოხებულებიც. შესაძლო გვერდითი მოვლენა იქნება ის, რომ ეგრეთ წოდებული პროგრესირებადი ძალები დასავლეთიდან აქტიურად დაუჭერენ მხარს სირიის საწინააღმდეგო წმინდა ომს. ღეალურად, შესაძლოა, ველოდოთ, რომ ეს არამომგებიანად წარმოაჩენს ორივე მხარეს — ასადის პოლიციურ სახელმწიფოსაც და შეიარაღებულ ოპოზიციასაც.

საჭიროა იმაზე დაფიქრებაც, თუ რა ფასად შეიძლება დაუჯდეს ვაშინგტონს (რომ აღარაფერი ვთქვათ მის ნატოელ ქვეშევრდომებზე) ამ წმინდა ომის გაგრძელება სწორედ იმ „ტერორისტების“ მხარეს, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ დასავლური ცივილიზაციის განადგურებითა და მის გიგანტურ ხალიფატად ქცევით იმუქრებოდნენ.

ვაშინგტონი, ლონდონი და პარიზი ცდილობდნენ, ეშმაკობით ჩაეთრიათ გაეროს უშიშროების საბჭო კიდევ ერთ ომში, მაგრამ დაბრკოლებად რუსეთსა და ჩინეთს გადააწყდნენ. ამიტომ, გეგმაში იყო გაეროს გვერდის ავლით ნატოს ომის წამოწყება. პრობლემა ისაა, რომ ნატოს არც გამბედაობა ჰყოფნის და არც სახსრები, აწარმოოს ძალზედ სარისკო ომი ქვეყანასთან, რომელსაც შეუძლია თავი დაიცვას.

ამრიგად, მესამე გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ გაგრძელდეს ხანგრძლივი სამოქალაქო ომი

© „ღამისფრთიანი“

აბსოლუტურად არათავისუფასი, დაქირავებულებით და ჯიჰადისტებით გადავსებული სირიის არმიასა და იმ ემიგრანტ-ოპორტუნისტებზე დაყრდნობით, რომლებიც საკუთარ თავს სირიის ნაციონალურ არმიას უწოდებენ.

ამ უკანასკნელთ მოითხოვეს, სირია, ლიბიის სცენარის შესაბამისად, არასაფრენ ზონად გამოცხადდეს. ამის შესახებ ნატოს ოფიციალურად სთხოვა თურქეთმაც. მართალია, ნატოელი სარდლები მაინცადამაინც კომპეტენტურები არ არიან, მაგრამ ავღანეთში სახის დაკარგვა ჯერ კიდევ ახსოვთ და უყოყმანოდ განაცხადეს უარი ამ წინადადებაზე.

სირიაში მოქმედებამ სალაფიტი-ჯიჰადისტები, რომლებიც ძალზე ყურადღებით უსმენენ „ალ ქაიდას“ ლიდერებს, უკვე რამდენიმე თვეა, ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ლიბიური ისლამური საბრძოლო დაჯგუფება აქტიურად მოქმედებს სირიაში, ზუსტად ისევე, როგორც ერაყული „ალ ქაიდას“ ნარჩენები, ისინი ახლა მანქანებს პირდაპირ დამასკოში აფეთქებენ.

იმ შემთხვევაში, თუ სირიაში ასადის შემდეგ სუნიტები უმრავლესობას შეადგენენ, ვაჰაბისტები და სალაფიტი-ჯიჰადისტები კი მათ შეერევიან, ანტისაბჭოთა ჯიჰადის შემდგომი 1980-იანი წლების ავღანეთი ამასთან შედარებით ჰონ-კონგის დისნეილენდში გასეირნება იქნება.

რაც შეეხება ჩინეთს, მას ეცინება, როდესაც ჰილარის უყურებს და მშვიდად ითვლის შემოსავალს. ვიდრე საუდების მმართველი სახლი სულ უფრო ეფლობა პარანოიაში და თვლის, რომ ობამას ადმინისტრაციას ფლირტი აქვს არაბული სამყაროს დემოკრატიასთან, პეკინი სავაჭრო კავშირებს აფართოებს და ერ-რიადს რაკეტების ახალ პარტიას აწვდის.

და ვიდრე დასავლეთს წმინდა ომთან ფლირტი აქვს, პეკინის ნახევრადსახელმწიფო კორპორაციები წარმოუდგენელ ტემპში ყიდულობენ ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ბუნებრივ რესურსებს. გარდა ამისა, ის აგროვებს მიწათა იშვიათ ლითონებს მარაგის სახით. ჩინეთი ამ მეტალების სულ მცი-

რე 97%-ს აწარმოებს მთელი ჩინეთის მასშტაბით. ეს მეტალები კი გამოიყენება მთელ რიგ მოწყობილობებში — აიპოდებიდან იმ ახალ რაკეტებამდე, რომლებიც ახლა ცხვება არაბეთის უდაბნოში.

არ ღირს იმის დავიწყებაც, რომ სირიასთან წმინდა ომი მხოლოდ შუალედური წერტილია თეირანისკენ მიმავალ გზაზე. შესაძლოა, იყოს კიდევ მრავალი გვერდითი მოვლენაც, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტად შეიძლება იქცეს რუსეთის, ირანისა და ჩინეთის შეთანხმება იმაზე, რომ გლობალურ ენერგეტიკულ ბაზარზე დიდი რეორგანიზაცია მოახდინონ ნავთობდოლარების ტრანზაქციებში გამოყენებაზე უარის თქმით.

ვაშინგტონის სანქციებზე ირანს ადეკვატური პასუხი აქვს — გინდათ ჩვენთან ბიზნესის წარმოება? — გადაიხადეთ ნებისმიერი ვალუტით, გარდა დოლარისა, ან ოქროთი. აი ისიც — წმინდა ომის წმინდა გრაალი და არავითარი სირია.

გამოდის, რომ **მთელი ეს წმინდა ომის სინდრომი აშშ დოლარის, როგორც სარეზერვო ვალუტის, აღსასრულს აახლოებს. და როდესაც ეს მოხდება, ამერიკაშიც დადგება „გაზაფხული“ თუ ამერიკულ ელიტებს ეყოფათ გამბედაობა და ძალა იმისათვის, რომ რუსეთსა და ჩინეთს ამისათვის აზღვევინონ?**

© „ღიასკმაზეგნი ათასკაფეი“

ევროპაში დონორთა ორგანოების შავი ბაზარი ყვავის

ბელგრადი. პავლე მირკოვი და მისი მეუღლე დანიელა ყოველ 15 წუთში ერთხელ ნერვიულად ამოწმებენ თავიანთ ელექტრონულ ფოსტას ოჯახის ფინანსური სპონსორის მოლოდინში: ერთ-ერთი მყიდველი მზადაა, მათი ერთი თირკმელისათვის 40 ათასი დოლარი გადაიხადოს. ორი მოზარდის მშობლებმა თავიანთი შინაგანი ორგანოები გასაყიდად სპეციალურ საიტზე ნახევარი წლის წინ გაიტანეს. მაშინ 50 წლის ბატონმა მირკოვმა ხორცკომბინატში სამუშაო დაკარგა.

მირკოვის თქმით, მან სხვა სამსახურის მოძებნა ვერ შეძლო, რამაც სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. მას მამა ცოტა ხნის წინ გარდაეცვალა, მის საფლავზე კი ქვის დადებაც ვერ მოახერხა. ოჯახს უკვე გაუთიშეს ტელეფონი. ოჯახს შეუძლია, საკუთარ თავს პურითა და ძეხვით წახემსების უფლება მხოლოდ დღეში ერთხელ მისცეს.

„როდესაც ოჯახის გამოკვებაა საჭირო, თირკმლის გაყიდვა არც თუ დიდი მსხვერპლია“, — ამბობს მირკოვი.

ექსპერტები ირწმუნებიან, რომ სილატაკესთან პირისპირ დარჩენილი ევროპის მცხოვრებნი მზად არიან, თირ-

კმელები, ფილტვები, ძვლის ტვინი და რქოვანა გაყიდონ. ეს მოვლენა საკმაოდ ახალია სერბეთისათვის, სახელმწიფოსთვის, რომელიც ძლიერად დაზარალდა ომის შედეგად და ახლა მთელი კონტინენტის ფინანსური კრიზისის დაძლევას ცდილობს. ევროპაში ადამიანის ორგანოებით უკანონო ვაჭრობის გავრცელება იმის წყალობით გახდა შესაძლებელი, რომ ინტერნეტი საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახდა.

ფილტვის ფასმა შესაძლოა 250 ათას დოლარამდე მიაღწიოს. ევროკავშირის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა განცხადებით, 2012 წლის მაისის დასასრულს ისრაელის პოლიციამ დააკავა საერთაშორისო დამნაშავეობრივი ორგანიზაციის 10 წევრი, რომლებიც ევროპაში ადამიანის ორგანოებით ვაჭრობისთვის არიან ბრალდებულნი. ორგანიზაციის მსხვერპლნი გახდნენ მოლდოვის, ყაზახეთის, რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის ღატაკი მოქალაქეები.

ევროკავშირის პროკურორი ჯონათან რეტელი აცხადებს, რომ დონორული ორგანოებით ვაჭრობა ახლა იზრდება. რეტელი აწარმოებდა საქმეს შვიდი ადამიანის წინააღმდეგ, რომლებიც თურქეთისა და ყოფილი კომუნისტური ქვეყნების მოსახლეობას უბიძგებდნენ, გაეყიდათ თირკმელები და თითო ორგანოში 20 ათას დოლარს ჰპირდებოდნენ, მაგრამ შემდეგ დაპირებას არ ასრულებდნენ. პროკურორი ამბობს, რომ **ორგანიზებული დამნაშავეობრივი ჯგუფები მდიდრდებიან ადამიანთა უბედურებაზე — მათზეც, ვინც ქრონიკული სიღატაკით იტანჯება და იმედდაკარგულ მდიდარ პაციენტებზეც, რომლებიც მზად არიან, ყველაფერი გაიღონ სიცოცხლის შესანარჩუნებლად.**

ყველაზე ხშირად დონორთა ორგანოები ჩინეთიდან, ინდოეთიდან, ბრაზილიიდან და ფილიპინებიდან მოდის. მაგრამ, როგორც ექსპერტები ამბობენ, ევროპელები სულ უფრო სუსტები ხდებიან ამ საკითხში.

ამ საკითხზე მომუშავე უფლებადამცველი ორგანიზაციების მონაცემებით, **ყოველწლიურად მსოფლიო**

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულზე“



ბაზარზე უკანონოდ 150-200 ათასი თირკმელი იყიდება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით კი, მსოფლიოში ტრანსპლანტაციისათვის ორგანოთა მოთხოვნის მხოლოდ 10% კმაყოფილდება.

ექსპერტების განცხადებით, ევროპაში ახლა ორგანოების გაყიდვის მსურველი ღატაკების რაოდენობა დაახლოებით იმავე სურათს ქმნის, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიქმნა უმუშევრად დარჩენილ საბჭოთა მოსახლეობაში.

სერბეთში ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა უკანონობაა და 10 წლამდე პატიმრობით ისჯება, მაგრამ ეს ვერ აკავებს 19-ათასიანი მოსახლეობის ქალაქ დოლჟევაცას, რომელიც სერბეთის სამხრეთში მდებარეობს და რომლის ხელისუფლებამაც უარი უთხრა მოსახლეობას, დაერეგისტრირებინათ ორგანოებისა და სისხლის საზღვარგარეთ გაყიდვის ადგილობრივი სააგენტო.

ადგილობრივები ირწმუნებიან, რომ ქალაქში უმუშევრობა 50%-ს შეადგენს და მოსახლეობის სამი ათასი წარმომადგენელი მზადაა, მონაწილეობა მიიღოს პროექტში, ანუ გაყიდოს ორგანო ან სისხლი. მას შემდეგ, რაც ორგანოების ოფიციალური და კანონიერი გაყიდვის უფლება არ მიეცათ, ეს ადამიანები ცდილობენ, არალეგალურად გააკეთონ იგივე მეზობელ ბულგარეთსა და კოსოვოში.

პარალელურად ბატონი მირკოვი კომპიუტერს უზის და მოწყალებასავით ელის კლიენტს, რომელიც მის თირკმელს იყიდის და მისცემს ფულს, რომ შვილებს აჭამოს და სკოლაში ატაროს. ნახევარი წლის განმავლობაში იგი ყოველ დღე განიცდის იმედგაცრუებას. ერთხელ ვიღაც გერმანელმა შესთავაზა გერმანიაში ჩასვლა და მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებასაც დაჰპირდა, მაგრამ მას შემ-

დეგ, რაც მირკოვი ამის გაკეთებას შეეცადა, კლიენტი გაქრა.

მაკედონიელმა ქალმა მისი ცოლის — დანიელას თირკმელისთვის 24 ათასი დოლარი შესთავაზა, მაგრამ ეს ფასი საწყისზე 12 ათასით ნაკლებია. დანიელას სისხლის ჯგუფის გამო მისი თირკმელი რეციპიენტების უმეტესობას გამოადგება, ამიტომაც შავ ბაზარზე მეტი თანხის მოთხოვნა შეიძლება.

სერბეთის ხელისუფლება ირწმუნება, ქვეყანა არც ისე ღატაკია, რომ მისმა მოქალაქეებმა ორგანოების გაყიდვით ირჩინონ თავი, პოლიცია კი ირწმუნება, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე ორგანოებით ვაჭრობის გამო პასუხისგებაში არავინ მიუციათ. ექსპერტები კი აცხადებენ, რომ ამგვარი შემთხვევები ძალზე იშვიათად სრულდება სამართლებრივი პასუხისგებით, რადგან ოპერაციები, როგორც წესი, მესამე ქვეყნებში ტარდება და მათი კვალის მიგნება საკმაოდ ძნელია.

სერბეთში ისეთ ადამიანებსაც შეხვდებით, რომლებიც ირწმუნებიან, რომ უკვე გაყიდეს ორგანო. მაგალითად, 52 წლის მილოვანი აცხადებს, რომ მდიდარ პოლიტიკოსს მისცა თირკმელი. გადანერგვის ოპერაცია ბელგრადის საავადმყოფოში ჩატარდა, დონორისა და რეციპიენტის სამედიცინო ანკეტებში ეწერა, რომ ისინი ძმები არიან.

© „ღიასაზოგადოება“

სამყარო, რომელსაც ვერავინ აკონტროლებს

გაზეთმა „The Washington Post“-მა დაიწყო პროექტი „ზესაიდუმლო ამერიკა“, რომელსაც, სარედაქციო სტატიის თანახმად, თითქმის ორი წლის მანძილზე ამზადებდა. პროექტი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ აშშ-ის ნაციონალური უშიშროების სისტემის კოლოსალურ ზრდას ეხება. სისტემა იმდენად მასიურია, რომ ხელისუფლებაში არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც ბოლომდე ერკვევა მასში.

არავინ იცის, საერთო ჯამში რა ჯდება ეს გასაიდუმლოებული სამყარო, რამდენი ადამიანია მასში დასაქმებული, რამდენი პროგრამა მიმდინარეობს მის ფარგლებში და რამდენი უწყება ასრულებს ერთსა და იმავე სამუშაოს ერთდროულად. გამოძიების მასალების მიხედვით, კონტრტერორისტულ საქმიანობასთან, ეროვნულ უსაფრთხოებასთან და დაზვერვასთან დაკავშირებულ პროგრამებში დაახლოებით 1271 სახელმწიფო ორგანიზაცია და 1931 კერძო კომპანია მონაწილეობს. ზესაიდუმლო ინფორმაციასთან დაახლოებით 854 ათასი ადამიანი და-

იშვება. ვაშინგტონსა და მის შემოგარენში 2001 წლის შემდგომ პერიოდში აშენდა ან ამ დრომდეც შენდება 33 კომპლექსი, რომლებიც განკუთვნილია ზესაიდუმლო სადაზვერვო სამუშაოებისათვის. ამ შენობების საერთო ფართი 17 მილიონი კვადრატული ფუტია.

მრავალი სპეციალური და სადაზვერვო სამსახური ასრულებს აბსოლუტურად ერთსა და იმავე ფუნქციას, რაც ზედმეტ სამუშაო ადგილებსა და ზედმეტი ხარჯების აუცილებლობას ქმნის. **მხოლოდ ტერორისტული ორგანიზაციების ფულად ნაკადებს აშშ-ში 51 ფედერალური ორგანიზაცია და სამხედრო უწყება აკონტროლებს. დოკუმენტებისა და მოსმენების შედეგად ექსპერტები წელიწადში 50 ათას ანგარიშს წერენ, ამიტომ მათგან მრავალი უყურადღებოდ რჩება.**

მიუხედავად იმისა, ცსს-ს დირექტორი იქნება ის თუ აშშ-ის თავდაცვის მინისტრი, ერთი ადამიანის ტვინი ვერაფრით მოიცავს ამ სისტემას მთლიანად და სწორედ ეს უთხრა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა ახლახან ჟურნალისტებს.

მის სამინისტროში არის მაღალჩინოსან და უფლებამოსილ თანამშრომელთა ჯგუფი, რომელსაც აქვთ იმის საშუალება, რომ იცოდეს სამინისტროს ყველა ნაბიჯის შესახებ. სწორედ ამ თანამშრომელთაგან ერთ-ერთმა გაზეთს უამბო, რომ ყველაფრის საქმის კურსში ყოფნისათვის წაიყვანეს ბნელ ოთახში, დასვეს პატარა მაგიდასთან და განუცხადეს, რომ სადმე რაიმეს ჩანიშვნა კატეგორიულად აკრძალულია. ამ გაფრთხილების შემდეგ ეკრანზე სამინისტროს მიმდინარე პროგრამებს მანამ უჩვენებდნენ, სანამ მაღალჩინოსანმა არ იყვირა — „საკმარისია“. ამ მეთოდით რაიმეს დამახსოვრება მისი ტვინისთვის, უბრალოდ, შეუძლებელი აღმოჩნდა.

გადამდგარ გენერალ-ლეიტენანტ ჯონ რ. ვაინსს შარშან პენტაგონის ზესაიდუმლო პროგრამების კონტროლი დაავალეს. როგორც მან აღმოაჩინა, აშშ-ში არ არსებობს სამსახური ან უწყება, რომელსაც აქვს სათანადო უფლებამოსილება და ვალდებულება, განახორციელოს ყველა სპეცსამსახურის მუშაობის კოორდინირება. ამის

გამო მათი მუშაობის ეფექტურობის დათვლა პრაქტიკულად შეუძლებელია.

აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოებით დაკავებული უწყებებისა და კერძო ფირმების ქსელის ბირთვად შეიძლება „ლიბერტი-კროსინგი“ ჩაითვალოს. ეს არის არაოფიციალური სახელწოდება კომპლექსისა, სადაც ეროვნული დაზვერვის დირექტორის კანცელარია და მისი ეგიდით მოღვაწე ნაციონალური კონტრტერორისტული ცენტრი მუშაობს. ეს არის ფანჯრებიანი ბეტონის გორა, რომელიც ზომით Wal-Mart-ის ხუთ სუპერმარკეტს აღემატება. მაგრამ „ლიბერტი-კროსინგი“ სულაც არ წარმოადგენს სისტემის ყველაზე მსხვილ, ყველაზე ძვირადღირებულ ან ყველაზე საიდუმლო ელემენტს.

2009 წელს აშშ-მა დაზვერვაზე ბიუჯეტიდან 75 მილიარდი დოლარი დახარჯა, რაც 21,5-ჯერ აღემატება 2001 წლის 10 სექტემბრის მაჩვენებელს. მაგრამ ეს მხოლოდ ღია სტატისტიკაა, რომელშიც არაა გათვალისწინებული შეიარაღებული ძალების უამრავი პროექტი და არაერთი კონტრტერორისტული პროგრამა.

2004 წელს ბუშის ადმინისტრაციამ აშშ-ის კონგრესთან ერთად შექმნა ნაციონალური დაზვერვის დირექტო-

რის კანცელარია (ODNI), მაგრამ იდეამ ვერ გაამართლა. ნაციონალური დაზვერვის დირექტორს არ ჰქონდა მკვეთრი იურიდიული და ფინანსურ-საბიუჯეტო უფლებამოსილებანი და არ შეეძლო იმ უწყებების კონტროლი, რომელთა მართვაც თეორიულად ევალებოდა.

გარდა ამისა, ჯერ კიდევ დირექტორის დანიშვნამდე დაიწყო ომი გავლენისათვის. ცსს-მ გაზარდა საიდუმლოების ხარისხი, რითაც ნაციონალური კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებს მთელ რიგ მასალებზე ხელი აღარ მიუწვდებოდათ.

უშიშროების სამინისტროს სისტემები დღეში 1,7 მილიარდ ელექტრონულ წერილს, სატელეფონო ზარის ჩანაწერსა და სხვა ინფორმაციას იღებს. ნაციონალური კონტრტერორისტული ცენტრის დირექტორი მაიკლ ლაიტერი ოთხ მონიტორს უყურებს იმის გამო, რომ მონაცემთა ბაზები არაა გაერთიანებული.

20-30 წლის დაბალანაზღაურებადი ანალიტიკოსები, ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, აშშ-ის მტრის წინააღმდეგ მტკიცებულებებს ეძებენ ნაგვიდან დაწყებული ყველგან, სატელეფონო საუბრების ფრაგმენტების ჩათვლით. აღმოჩნდა, რომ ინტერნეტში განთავსე-

© „ინტელიგენციის ეროვნული“

ბულია ამ ანალიტიკოსთა 60 საიდუმლო საიტი, რომლებიც გაუქმებულად ითვლებოდა მათი ზედმეტობის გამო.

ანგარიშების მოცულობა ამავე ანგარიშების მიზნებს ვნებს. აშშ-ის პოლიტიკოსებისა და ადმინისტრაციის მაღალჩინოსანთა უმეტესობა საერთოდ არ კითხულობს დაგროვილ ცნობებს. ისინი მხოლოდ მათთვის განკუთვნილი ბრიფინგებიდან იღებენ ინფორმაციას. შედეგად ჩნდება იგივე პრობლემა, რასაც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების მიზეზად მიიჩნევენ — ინფორმაციის არასაკმარისი გაცვლა. ამიტომ ODNI–მ 30-მდე უწყებისა და 63 საიტიდან მოკრებილი ანგარიშებიდან მნიშვნელოვანის ამოსაკრებად ქსელური გაზეთი „Intelligence Today“ დააარსა.

მხოლოდ პენტაგონის ეგიდით 18 სამმართველო და სააგენტო ახორციელებს საინფორმაციო ოპერაციებს უცხოელი აუდიტორიის მიერ აშშ-ის პოლიტიკისა და სამხედრო ოპერაციების აღქმის სამართავად. ყველა მსხვილი სადაზვერვო სამსახური და სულ მცირე ორი სამხედრო შტაბი კიბერომებში პირველობისათვის იბრძვის. კიბერომების სფეროს გაკონტროლება ძალიან ძნელია გავლენისათვის უწყებათშორისი ომების გამო; ეს ის სფეროა, რომელიც კარგად ფინანსდება.

პენტაგონში არის ზესაიდუმლო პროგრამების ჯგუფი, რომელზე წვდომაც უკიდურესად შეზღუდულია. მათი კოდური დასახელებების სია 300 გვერდს მოიცავს. ყველა პროგრამის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ღმერთმა უწყის. საიდუმლოების ფარდით არც თუ იშვიათად სარგებლობენ მოწინააღმდეგისთვის ზიანის მიყენების ან აბსოლუტურად არაეფექტური პროექტების შენარჩუნების მიზნით. ერთადერთი, რასაც ODNI-ი ახერხებს, ყველაზე გასაიდუმლოებული პროგრამების სიის შედგენაა, მაგრამ პენტაგონის უამრავი პროგრამა და მნიშვნელოვანი პროექტი არც ამ სიაშია.

ავღანური რებუსი

სად მიდის ფონდებიდან ავღანეთის რეკონსტრუქციისთვის განკუთვნილი ფული? სადღაც ქრება, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. უკანასკნელი სამ-ნახევარი წლის მანძილზე ოთხ მილიარდზე მეტი დოლარი შეიფუთა და ჩაიტვირთა თვითმფრინავებში, რომლებიც ქაბულიდან გაურკვეველი მიმართულებით გაფრინდნენ. თუმცა ყველაფერი მთლად ასე ბურუსითაც არაა მოცული. თითქმის დანამდვილებითაა ცნობილი, რომ ამ თვითმფრინავებს პირველი გაჩერება დუბაიში ჰქონდათ. ავღანეთის თავზე მდებარე გზის უკანასკნელ მონაკვეთზე სათუთად ჩალაგებული ფულით დატვირთული თვითმფრინავები პატივს მიაგებდნენ შახ მასუდის ძეგლს და ფრენას განაგრძობდნენ საჰაერო დერეფნით, რომელსაც „კამიკაძის პროსპექტი“ ეწოდება.

მთელი ეს გასათეთრებელი ფული ნარკოტრაფიკის, ასევე საველე მეთაურების, პოლიტიკოსებისა და კლანების ხელმძღვანელების მიერ საერთაშორისო კონტრაქტორებისაგან მიღებული ქრთამით მოგროვდა. ეს

ძალზე მნიშვნელოვანი თანხაა, მით უფრო, ქვეყნის სიღატაკის გათვალისწინებით — ავღანეთის საერთო შიდა პროდუქტმა 2009 წელს სულ 13,4 მილიარდი დოლარი შეადგინა, ხაზინა ცარიელია, ვინაიდან გადასახადებიდან და საბაჟოდან მიღებული შემოსავლები საველე მეთაურებისა და თალიბების ქრთამებზე იხარჯება.

პარადოქსი ისაა, რომ საკმაოდ დაბნეული წესრიგის მცველისა და კორუფციონერი ჰამიდ ყარზაის მთავრობა, ქაბულის კონფერენციაზე 52 ქვეყნისა და საერთაშორისო ინსტიტუტების 12 დელეგაციის წარმომადგენლისაგან საერთაშორისო დახმარების სულ მცირე 50%-ის დამოუკიდებლად განკარგვის უფლებას ითხოვდა. ამ დახმარებამ 2001 წლიდან დღემდე უკვე მიაღწია 40 მილიარდს, რაც, მართალია, აშშ-ის მიერ სამხედრო მიზნებით წელიწადში დახარჯულ 50 მილიარდზე ნაკლებია, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი თანხაა.

შეიქმნება 600-მილიონიანი ნდობის ფონდი, პრეზიდენტი კი 50-მილიონიან პერსონალურ პორტფელს მიიღებს. ეს ფული იმ თალიბების რეკონსტრუქციასა და რეინტეგრაციაზე უნდა დაიხარჯოს, რომლებიც იარაღს გვერდზე გადადებენ. ლონდონის კონფერენციის გეგმას ირონიულად ეწოდა „ათი დოლარი თალიბისათვის“. სინამდვილეში თუ პარტიზანული ომის მწარმოებელი 36 ათასი ბოევიკი და 900 საველე მეთაური დადებს იარაღს, თითოს დაახლოებით 20 ათასი დოლარი შეხვდება.

ამ პროგრამას რაიმე წარმატება რომ ჰქონდეს, აზრიც ექნებოდა, მაგრამ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ გამოსავლის იმ სტრატეგიის ღირებულება, რომელიც ახალი ადგილობრივი მილიციის შექმნას გულისხმობს, პროგრამირებულ თანხას ბევრად აღემატება. **ავღანელები (სახელმწიფო მოხელეები იქნებიან ისინი თუ თალიბები) ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი გამოწურონ საერთაშორისო ძალებს, რომლებმაც, როგორც ყარზაის მიერ წარმოდგენილ კალენდარშია აღნიშნული, ქვეყანა 2014 წელს უნდა დატოვონ. ეს, მართალია, ინგლისელებს ძალიან უნდათ, მაგრამ ამ დროისათვის თარიღი ძალზე საეჭვოდ გამოიყურება.**

ასეა თუ ისე, დღის წესრიგში დგას საკითხი, რომ კონფლიქტის დარეგულირების სადავეები თავად ავღანელებს უნდა გადაეცეთ, ადგილობრივმა სამხედროებმა და პოლიციამ ზოგიერთ პროვინციაში უსაფრთხოება თავად უნდა აკონტროლონ. პროცესი მიმდინარე წლის ბოლოდან დაიწყება, მანამდე კი საერთაშორისო ღვეზელია გასანაწილებელი.

ამ თამაშს ავღანელები მართავენ. 60-იანი წლების დასაწყისში დურანების მონარქიამ, რომელიც ცივ ომში ორ ბლოკს შორის ლავირებდა, მოახერხა, რომ საერთო ჯამში იმ დროისათვის ძალიან დიდი თანხა — 500 მილიონი დოლარი მიეღო დახმარებისა და შეღავათიანი სესხების სახით როგორც საბჭოთა კავშირისგან, ასევე აშშ-სგანაც. მაგრამ, შესაძლოა, ეს მხოლოდ დამთხვევაა, რომ ორი ურთიერთდაპირისპირებული ბლოკი ათწლეულობით იბრძოდა ანარქიასა და სამოქალაქო ომებში ჩაძირული ქვეყნებისათვის, რომელთაც უკვე შეწყვიტეს არსებობა. ოცდაათი წლის შემდეგ ამ ტერიტორიებზე გადაიგზავნა არა მხოლოდ ფინანსები, არამედ ადამიანური რესურსებიც, რათა მოუთვინიერებელი ეთნიკური მოზაიკის ფრაგმენტები კვლავ ერთად შეკრებილიყო.



ამერიკელები ისე გაბრაზდნენ ავღანური კორუფციის გამო, რომ კონგრესმა 3,9 მილიარდი დოლარის ფონდები გაყინა და კონფერენციის მოწვევა გაამართლა. როგორც ჩანს, ევროპელებიც მათ მიბაძვას აპირებდნენ და 600-მილიონიანი დახმარება სამი წლით შეაჩერეს. მაგრამ არჩევნების წინ ევროპამ უკან დაიხია და სახსრები გაათა-

ვისუფლა. თეორიულად მათ ხარჯვას უშუალოდ ამერიკელები და ევროპელები ან მსოფლიო ბანკის მსგავსი ინსტიტუტები აკონტროლებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რაიმე პროექტის განხორციელებისათვის საჭირო გახდება ქრთამის გაცემა და ავღანელ ხალხამდე თანხის მხოლოდ გარკვეული ნაწილი მივა.

კანადაში დიპლომირებული ფინანსთა მინისტრი ომარ ზახარველი ირწმუნება, რომ ინფრასტრუქტურისათვის განკუთვნილი თანხიდან სულ მცირე ორი მილიარდი კორუფციასა და გამომძალველობას ემსხვერპლა. ამავე მინისტრმა ამერიკის კონგრესს მისწერა წერილი, რომელშიც დაადასტურა, რომ ავღანეთიდან საჰაერო გზით 4 მილიარდი დოლარი გაიტანეს.

ავღანეთის დონორი ქვეყნების მე-9 საერთაშორისო კონფერენციაზე ქაბულში 52 ქვეყნისა და საერთაშორისო ინსტიტუტების 12 დელეგაციის წარმომადგენელთა შეკრების წინ რასმუსენმა ერთ-ერთი გერმანული გაზეთის ფურცლებზე განაცხადა, რომ „ავღანეთს საერთაშორისო საზოგადოებისაგან მუდმივი დახმარება დასჭირდება“. კონფერენციას თავად რასმუსენიც ესწრებოდა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონიც. განსახილველი საკითხი ყველასათვის ცნობილია: ქვეყნის

აღდგენა და ეროვნული უსაფრთხოების ყველა მიმართულების ავღანური მთავრობისათვის გადაცემა.

რასმუსენმა ნატოსა და მის წევრებს ავღანეთის მთავრობასთან გრძელვადიან თანამშრომლობაზე შეთანხმებისაკენ მოუწოდა. მისივე თქმით, აუცილებელია, ავღანელმა ხალხმა იცოდეს, რომ „ჩვენ მათ მხარეს ვრჩებით“ და ამ ქვეყანას აღარ მიეცემა უფლება, კიდევ ერთხელ იქცეს ტერორიზმის სავანედ.

„საერთაშორისო მონაწილეობის ცხრა წლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ფასი, რომლის გადახდაც მოგვიწევს, მოსალოდნელზე ბევრად მეტია — განსაკუთრებით საერთაშორისო ძალებისა და ავღანელი სამხედროების მხრიდან დახოცილი ჯარისკაცების მხრივ. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ თავიდანვე სათანადოდ ვერ შეაფასა ამ პრობლემის მასშტაბურობა“, — ამბობს რასმუსენი.

მისი აზრით, თალიბების დასაყრდენ პუნქტებში მიმდინარე სამხედრო ოპერაციები გაცილებით უფრო დაძაბულ ბრძოლებს განაპირობებს და, „სამწუხაროდ, იქნება ახალი დანაკარგები“. მაგრამ რასმუსენმა ისიც თქვა, რომ ამ სამხედრო ოპერაციებს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, „ისინი თალიბებს ასუსტებს პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით“.

ბრიტანული გაზეთი „Independent“-ი ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ წერდა, რომ ქაბულის კონფერენციის რეზოლუციის იმ პროექტის თანახმად, რომელიც რედაქციას ჩაუვარდა ხელთ, ავღანეთის ჯარი ქვეყანაში სრულ სამხედრო კონტროლს 2014 წლისათვის გადაიბარებს. ამასთან დაკავშირებით, გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა განაცხადა, რომ „აქამდე არასდროს დაუნახავთ ავღანეთის მომავალი ასე გარკვევით“.

© „ღონისძიების ობიექტი“

ავღანური დოზა

ერთ-ერთი ფართომასშტაბიანი სამხედრო შეტევისას აშშ-ის სამხედრო ქვეითებმა ავღანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მარჟაში ოპიუმის ბაზარზე 700 კილოგრამი ოპიუმი და 25 კილოგრამი ჰეროინი აღმოაჩინეს. მსოფლიოს ნებისმიერ სხვა წერტილში ეს ნარკოტიკების უმსხვილეს პარტიად ჩაითვლებოდა, მაგრამ არა — ავღანეთში. შარშან იმავე ბაზარზე ნადავლი ტონებში განისაზღვრებოდა, მაგრამ წელს მეტს არ ელოდნენ. მშვიდობიან მოსახლეობაში დანაკარგების მინიმალიზაციისათვის აშშ-ისა და ნატოს ძალების სარდალმა, გენერალმა სტენლი მაკკრისტალმა მოსალოდნელი ოპერაციის თაობაზე გაფრთხილებები ერთი კვირით ადრე დაიწყო. ნარკომოვაჭრეები და მათი მფარველი თალიბები ოპერაცია მოშტარაკის (ერთად) დაწყებამდე კარგა ხნით ადრე გაქრნენ რაიონიდან.

მარჟა 17 ათას ჰექტარ ყაყაჩოს პლანტაციებში გაბნეული რამდენიმე სოფელია, მაგრამ შარშანდლამდე ის რამდენიმე საერთაშორისო ნარკოკარტელის სატრანზიტო კვანძი იყო. გაერო თვლის, რომ მარჟა ოპიუმის წარმოების მსოფლიო ცენტრია, ამიტომ მოშტარაკი მხოლოდ

სამხედრო თვალსაზრისით კი არა, ანტინარკოტიკული ღონისძიებების მხრივაც უმნიშვნელოვანესი ოპერაცია იყო. ამით გაცხადდა, რომ თეთრი სახლი და პენტაგონი თალიბებს ნარკოფინანსირების გზებს გადაუკეტავენ.

ეს ყველაფერი ბუშის ადმინისტრაციის მიერ ყაყაჩოს პლანტაციების განადგურების პერიოდული მცდელობების ანტინარკოტიკული სტრატეგიის ნარჩენებია. ერაყში ომის დაწყების შემდეგ ამერიკელმა ჩინოვნიკებმა განაცხადეს, რომ რესურსები არ ჰყოფნით, რათა ავღანეთში თალიბებსაც ებრძოლონ და ნარკოტიკებსაც. გარდა ამისა, ავღანეთის საველე მეთაურებიდან, ვისაც აშშ თალიბებთან და „ალ-ქაიდასთან" საბრძოლველად იყენებდა, ბევრი თავად იყო ჩაფლული ნარკოვაჭრობაში. ობამას ადმინისტრაცია კი პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის პარტნიორების მიმართაც მკაცრი და დაუნდობელია.

მაგრამ მარჟამ აჩვენა, რატომაა ასე რთული თალიბებისა და მათი ნარკოდოლარების გაცალკევება. ნარკოკარტელები თავიანთი მარაგიანად გაიძურწნენ და ჰეროინის წარმოების ლაბორატორიების აღჭურვილობაც თან წაიღეს. ახლა ნატო, ნარკოტიკებთან ბრძოლის ექსპერტები და ავღანეთის მინისტრთა კაბინეტი ველარ თანხმდებიან, რა ქნან მომავალში. ოპიუმით ვაჭრობა სამხრეთ ავღანეთის ეკონომიკაში მჭიდროდაა ჩაქსოვილი. მარჯაში ნარკოკარტელებს თალიბები იცავდნენ და მათგან მილიონებს იღებდნენ, მაგრამ ადგილობრივი 70 ათასი ფერმერი და მათი ოჯახები ყაყაჩოს მოყვანით საზრდოობდნენ, ის ქმნიდა სამუშაო ადგილებს გლეხებისთვის და ქრთამის პირობას ჩინოვნიკებისათვის.

როგორ უნდა გათავისუფლდეს ავღანეთი ამ დამოკიდებულებისგან? დასავლელი და ავღანელი ექსპერტების გარკვეული ნაწილი ამბობს, რომ ყველა პლანტაცია ერთბაშად უნდა განადგურდეს და ფერმერები იძულებულნი უნდა გახდნენ, სხვა რამე დათესონ. ადგილობრივი ფერმერები კი ამბობენ, რომ, თუ მათ მრავალწლიან ნაშრომს ხელისუფლება გაანადგურებს, ხალხი კვლავ არსდგება ამ ხელისუფლების წინააღმდეგ.

სამხედროები თვლიან, რომ წლევანდელი მოსავალი

ფერმერებისაგან უნდა გამოისყიდონ და დაარწმუნონ ისინი, რომ მომავალ წელს სხვა რამე დათესონ. ნარკოტიკებთან მებრძოლი ჩინოვნიკები ამ წინადადებას არ ეთანხმებიან, რადგან, მათი აზრით, ფერმერებისთვის ფულის გადახდა დანაშაულისთვის დასაჩუქრების ტოლფასი იქნება და ჩრდილოეთ ავღანეთის რაიონებზე მიანიშნებენ, სადაც ყაყაჩოს პლანტაციები ყოველგვარი აჯანყებების გარეშე მოსპეს პროვინციულმა ანტინარკოტიკულმა ჯგუფებმა.

კიდევ ერთი ვერსიის მიხედვით, ფერმერებს მოსავლის გაყიდვას დააცდიან, შემდეგ კი დაიკავებენ იმ ადამიანებს, რომლებშიც შეეცდება, ყაყაჩო ოპიუმის ლაბორატორიებში ან მსოფლიო ბაზრებზე გაიტანონ. ამით დაისჯებიან ნარკოკარტელები და თალიბები, მაგრამ არ დაზარალდებიან ფერმერები. ამას ნატოს გენერლები ვარაუდობენ, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის აგენტები კი დარწმუნებულნი არიან, რომ ნარკობარონები მოძებნიან ოპიუმის მიღების გზას, მით უფრო, რომ მარჟისკენ მიმავალი გზების მაკონტროლებელ ავღანეთის უსაფრთხოების სამსახურის ჯარისკაცები, რომელთაც თვეში 165 დოლარს უხდიან და რომლებიც ძნელად თუ გაუძლებენ ცდუნებას, როდესაც

კონტრაბანდისტები დოლარების მთელ შეკვრებს დაუწყობენ წინ.

როგორც კი სამხედროები და სპეციალისტები მორიგდებიან, რა უყონ წლევანდელ მოსავალს, უმალ გაუჩნდებათ ახალი პრობლემა — როგორ დაარწმუნონ ფერმერები, რომ ამის შემდეგ ყაყაჩოს ადგილას რაიმე სხვა დათესონ. ქაბულის ჩინოვნიკები უკანასკნელად 2008 წელს ცდილობდნენ, მარჟას ფერმერები ხორბლის თესვაზე დაეთანხმებინათ, მაგრამ უარი მიიღეს იმ მოტივით, რომ ოპიუმი გაცილებით შემოსავლიანად ითვლება. სინამდვილეში იმ წელს მეტი შემოსავალი მიიღო იმან, ვინც ხორბალი დათესა. ოპიუმი, მართალია, ძვირი ღირს, მაგრამ მისი მოყვანა და კრეფაც დიდ რესურსსა და დიდ ხარჯებს მოითხოვს. მას შემდეგ ხორბალზე ფასი და შესაბამისად ჩინოვნიკების იმედებიც იზრდება, მაგრამ როგორ უნდა დაარწმუნონ ფერმერები, რომ პროვინციაში აღარ გამოჩნდებიან თალიბები და არ დასჯიან მათ ამერიკელებთან თანამშრომლობისთვის? ათიოდე ავღანელ ჩინოვნიკს, რომლებიც რაიონში სამხედრო შეტევის კვალდაკვალ ჩავიდნენ, ამ ტვირთის საკუთარ მხრებზე ზიდვა მოუწევს, მაგრამ მდგომარეობა აქაც უიმედოა. მარჟას ახალი ადმინისტრაციის ხელმძღვანელ აბდულ ზაჰირ არიანს საამისო რეპუტაცია ნამდვილად არ აქვს. ის 1989 წელს წავიდა გერმანიაში, სადაც უამრავ სასტუმროსა და სამრეცხაოში მუშაობდა, თავისი გერის მკვლელობის მცდელობისათვის კი ოთხი წელი ციხეში გაატარა.

ეს ზაჰირი ირწმუნება, რომ მარჟას „70%-ით აკონტროლებს“, მაგრამ ღამით შენიღბული თალიბები მოსახლეობას სახლში უვარდებიან და ხელისუფლებასთან თანამშრომლობისთვის თავის მოკვეთით ემუქრებიან. მათ სჭირდებათ, რომ ფერმერებმა კვლავ ყაყაჩო თესონ. ექსპერტების ინფორმაციით, 2011 წელს თალიბებმა ნარკოვაჭრობიდან 300 მილიონამდე დოლარი მიიღეს. ავღანელი ჩინოვნიკები ამბობენ, რომ ეს თანხა 100 მილიონს არ აღემატებოდა, მაგრამ ასეც რომ იყოს, ამბოხის ერთი წლით გაგრძელებისათვის სავსებით საკმარისია.

სანამ რეგიონში ნატოს ჯარები დგას, ნარკომოვაჭრეები იქაურობას გაერიდნენ, მაგრამ, როგორც თალიბებისა და ვაჭრების ნარკოკავშირების ექსპერტი — გრეტჩენ პიტერსი ამბობს, „ნარკოტიკებთან ბრძოლა და ამბოხის საწინააღმდეგო ოპერაციები ბუზის მოკვლის მცდელობას ჰგავს, როგორც კი ერთ ადგილას არტყამ, ის მაშინვე ჩნდება სხვაგან“. წავლენ ნატოს ჯარები და დაბრუნდებიან ნარკობარონები. ამ ზაფხულს მაკკრისტალი თალიბების სხვა დასაყრდენ პუნქტებზე გადაერთვება და იძულებული იქნება, მარჟა ავღანეთის უშიშროების ძალების დაცვის ქვეშ დატოვოს. წარსულში ნარკობარონებმა არა ერთხელ გამოიყენეს მსგავსი სიტუაციები იმისათვის, რომ ნარკოვაჭრობის მფარველობის მხრივ თალიბების ფუნქციების შემსრულებელ ავღანელ ჩინოვნიკებთან ალიანსები შეეკრათ. ადგილობრივ ფერმერებს ეს უკვე უნახავთ. ნატოს სარდლობა ირწმუნება, რომ თვალყურს ადევნებს მექრთამეობას და გააკონტროლებს ქაბულის მიერ კორუმპირებული ჩინოვნიკების სამაგალითოდ დასჯას. მაგრამ თავად ქაბულში გამეფებულ კორუფციას ვინ გააკონტროლებს, ეს ჯერჯერობით უცნობია. ასე რომ, მარჟას ნათელი მომავალი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება.

ადრე თუ გვიან თალიბებიც დაბრუნდებიან. მარჟა დიდი ნადავლია, მასზე უარს ასე ადვილად არავინ იტყვის. ნარკომოვაჭრეებისაგან განსხვავებით, ისინი მაკკრისტალის ჯარისაგან დასამალად შორს არც წასულან. სადაც არ უნდა იყვნენ, მეამბოხეები თვალყურს ადევნებენ ყაყაჩოს მოსავალს და, როგორც კი მინდვრები ამწვანდება, ისინი დაბრუნდებიან. მარჟისთვის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა.

ნავთობის უკანასკნელ ბარელამდე

„ამოცანა შესრულებულია!“ — „ერაყზე გამარჯვებასთან“ დაკავშირებით 2003 წლის 1 მაისს ავიამზიდ „აბრამ ლინკოლნის“ ბორტზე პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები მომავალში მრავალი გამაღიზიანებელი, მწარე და ხშირად დამცინავ-შეურაცხმყოფელი კომენტარების საბაბად იქცა. მაგრამ მძლავრი ზესახელმწიფოს მებრძოლი მეთაური თავისებურად მართალი იყო — მთავარი საქმე მართლაც გაკეთებული იყო: სადამი და მისი რეჟიმი ლიკვიდირებულ იქნა, ისრაელის მტერი დამარცხდა, რეგიონის უმდიდრესი ქვეყნის რესურსები კი მთლიანად აშშ-ის კონტროლს დაექვემდებარა. მთელი მომდევნო რვა წლის მანძილზე ამერიკელები ცდილობდნენ, როგორმე გაემყარებინათ თავიანთი სამხედრო-პოლიტიკური გავლენა და უზრუნველეყოთ საიმედო კონტროლი ნავთობის საბადოებზე ექსპლოატაციის კუთხით.

ერაყის „ნავთობის ღვეზელის“ საუკეთესო ნაჭრები ოთხ

კომპანიას — Halliburton-ს, Baker Hughes-ს, Weatherford International-სა და Schlumberger-ს ერგო. ყველა მათგანი ტეხასის შტატთანაა დაკავშირებული. ამერიკული ნავთობგიგანტები ერაყის პროექტებში 150 მილიარდამდე დოლარის დაბანდებას აპირებენ. ეს ციფრი თავადაც მრავლისმთქმელია. **კონგრესმა უკვე მოიწონა აშშ-ის ერაყში გრძელვადიანი ყოფნის გაფართოება: ერაყის ყველა მსხვილ ქალაქში ამერიკის 15 წარმომადგენლობა გაიხსნება, თითოეული — თანამშრომელთა შთამბეჭდავი რაოდენობით. ოფიციალური მონაცემებით, ამჟამად ერაყში უკვე მუშაობს 17 ათასი სამოქალაქო სპეციალისტი.**

გასაგებია, რომ ამგვარი შორს მიმავალი მასშტაბური გეგმები ყოველმხრივ უზრუნველყოფას საჭიროებს და გარანტიებს მოითხოვს, მაგრამ ერაყის შემთხვევაში ეს იოლი ამოცანა არაა და მთავარ პრობლემად უსაფრთხოება რჩება. ქვეყანაში მდგომარეობის სტაბილიზებისთვის 8 წლის მანძილზე დახარჯული მთელი ძალისხმევა სასურველ შედეგამდე ვერ მივიდა. პირიქით, ბოლო პერიოდის მოვლენები იმაზე მიანიშნებს, რომ მდგომარეობის გაუმჯობესება მოსალოდნელიც კი არაა.

ძალზე რთულად განსახორციელებელი აღმოჩნდა უცხოელი მფარველებისადმი ლოიალურად განწყობილი ადგილობრივი უშიშროების ძალების მომზადება. **2011 წლის 1 ივლისისთვის ერაყის ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა ოფიციალურმა რაოდენობამ 780 ათასს გადააჭარბა. მიუხედავად ამისა, ეს ძალები ვერ აკონტროლებენ სიტუაციას და დიდ დანაკარგებს განიცდიან. მხოლოდ ივნისში ერაყში საბრძოლო შეტაკებების შედეგად სამხედროებისა და პოლიციელების რიგებიდან 116 კაცი დაიღუპა, 262 კი — დაიჭრა. ეს დაახლოებით მესამედით აღემატება მიმდინარე წლის მაისის მაჩვენებლებს.** სამხედრო გარნიზონებისა და პოლიციის განყოფილებების გარდა, თავდასხმის ობიექტებს წარმოადგენენ სამთავრობო ორგანოები, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობები, ბანკები, სამედიცინო დაწესებულებები, ერაყული და უცხოური ფირმების ოფისები. გა-

მოსასყიდის მიღების მიზნით, ადამიანთა, მათ შორის უცხოელების გატაცება, ერაყში მომგებიან „ბიზნესად“ იქცა. **ქვეყანას ახრჩობენ მრავალრიცხოვანი, კარგად შეიარაღებული და დიდი საბრძოლო გამოცდილების მქონე დამნაშავეობრივი ბანდები, რომლებიც დიდი წარმატებით იყენებენ „დემოკრატიზაციის“ შედეგებს საკუთარი ინტერესების რეალიზებისთვის.**

ამ პირობებში აშშ იძულებულია, პერიოდულად უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა ოპერაციებში, თუმცა ჯერ კიდევ 2010 წლის დეკემბერში გამოცხადდა, რომ ერაყში ამერიკის სამხედრო ნაწილები აღარ დარჩა. 2011 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში აშშ-ის შეიარაღებული ძალების დანაკარგები ერაყში 44 ადამიანს შეადგენს, მათგან 15 ივნისში მოკლეს, რაც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ივლისში ერაყში როტაციის ფარგლებში 7175 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე გაიგზავნა, მათ შორის — მესამე ქვეითი დივიზიის შტაბი და ორი ბრიგადული ტაქტიკური ჯგუფი, აშშ-ის არმიის პირველი და მეოთხე ბრონესატანკო დივიზიიდან.

ამჟამად აშშ-ის სამხედრო ძალების საერთო შემადგენლობა ერაყში დაახლოებით 49 ათას ადამიანს შეადგენს, მათგან დაახლოებით 1600 ერაყის ჯარსა და პოლიციაში სამხედრო მრჩეველი ან ინსტრუქტორია. ამავე დროს „მშვიდობისმყოფელთა მზრუნველობით“ ერაყი განვითარების მხრივ მრავალი წლით უკან გადავარდა. ქვეყანა გაძარცულია, წარმოებაცა და სოფლის მეურნეობაც მთლიანად პარალიზებულია, ოდესღაც მშვენიერი სამედიცინო უზრუნველყოფა და განათლების სისტემა მხოლოდ უფროსი თაობის მეხსიერებას შემორჩა. სადამ ჰუსეინის რეჟიმის ჩამოგდებიდან მთელი რვა წლის განმავლობაში ერაყის მოსახლეობის უმეტესობისთვის ცხოვრება გადარჩენისთვის ბრძოლად იქცა.

მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრად შემცირების ფონზე უმუშევრობის დონემ ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 15%-ს, ანუ 1 მილიონ ადამიანს მიაღწია. ამდენად,

© „ღიასაზოგადოება“

ბუნებრივია, რომ ბოევიკები თავიანთი რიგების შესავსებად კადრების დეფიციტს არ განიცდიან.

საკუთარი უსუსურობის გამართლების ძიების პროცესში ერაყის ხელისუფლება სახსრების არასაკმარისობაზე შეჩერდა და იმასაც კი შეეცადა, რომ აშშ 17 მილიარდი დოლარის მოპარვაში დაედანაშაულებინა. სახსრები 2004 წელს იმხანად პოლ ბრემერის ხელმძღვანელობით მოქმედი ერაყის დროებითი ადმინისტრაციის ბრძანებით შექმნილ ეგრეთ წოდებულ ერაყის განვითარების ფონდში ინახებოდა. ფონდის ანგარიშებზე ფული ერაყის ნავთობის გაყიდვიდან შედიოდა, ნაწილს გაეროს პროგრამის „ნავთობი სურსათის სანაცვლოდ“ ნარჩენები შეადგენდა, ნაწილს — საზღვარგარეთ, ძირითადად, აშშ-ში ერაყის გაყინული ანგარიშებიდან გადარიცხვები. ფონდის განმკარგველები, ცხადია, ამერიკელები იყვნენ.

პარლამენტის სტრუქტურაში შემავალი ერაყის ერთიანობის კომიტეტი ამაყად აცხადებდა: **„ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ აშშ-მა ერაყელი ხალხის ის ფული მოიპარა, რომელიც ერაყის განვითარებისთვის იყო განკუთვნილი“.** ერაყის ხელისუფლება ამ ფულის დახარჯვას „ომის შედეგად დანგრეული ქვეყნის აღდგენაზე“ აპირებდა. კომიტეტმა ფულის გაქრობას „ფინანსური დანაშაული“ უწოდა და გადაწყვიტა, გაეროსთვის მიემართა თხოვნით, დახმარებოდა მოპარული მილიარდების პოვნასა და დაბრუნებაში. კომიტეტს არც ის დავიწყებია, რომ, გაეროს რეზოლუციების მიხედვით, ერაყს უშუალოდ აშშ-ის წინააღმდეგ სარჩელის წარდგენის უფლება არ ჰქონდა.

ეს იურიდიული კაზუსი მხოლოდ წვრილმანი შტრიხია, რომელიც თანამედროვე ერაყის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ხარისხს ასახავს. კიდევ უფრო შთამბეჭდავია ის გარემოება, რომ **ათი ათასობით შეიარაღებული ადამიანი, უცხოეთის ქვეყნების მოქალაქე ოფიციალურად, აბსოლუტურად უპროგლემოდ გადადის ერაყის სახელმწიფო საზღვრებზე, რადგან ამ ქვეყნის კანონმდებლობა მათზე არ ვრცელდება. მათ არ ესაჭიროებათ ვიზები, მათ არ ამოწმებს საბაჟო, ისინი საქმის კურსშიც კი არ აყენებენ ერაყის მთავ-**

რობას, თუ სად არიან, რამდენი არიან და რას აკეთებენ. საუბარია ეგრეთ წოდებული მრავალეროვნული ძალების შეიარაღებულ წევრებზე და დაცვის კერძო სტრუქტურების უცხოელ თანამშრომლებზე, რომლებიც გაეროში მსახურობენ და მათ კონტინგენტს იცავენ. აშშ-ის სამხედროები, როგორც ცნობილია, უკვე დიდი ხანია, ფლობენ იმუნიტეტს უცხოეთში სასამართლო დევნისგან დასაცავად. 2004 წელს კი აშშ-ის საოკუპაციო ადმინისტრაციამ ერაყში მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც იმუნიტეტი მიენიჭათ კერძო დაცვის სამსახურების უცხოელ თანამშრომლებსაც. ეს უამრავ ერაყელს სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

ერაყის შსს-ს მონაცემებით, ახლა ერაყში უცხოური დაცვის სამსახურების 12 ათასი თანამშრომელი იმყოფება. ერაყის მთავრობის მცდელობა, საკუთარი კონტროლისთვის დაემორჩილებინა და შეძლებისდაგვარად შეემცირებინა მათი რაოდენობა, მაშინვე შეეჯახა გაეროს განცხადებას რასობრივი და ეროვნული დისკრიმინაციის დაუშვებლობის თაობაზე. რაც შეეხება ამერიკელებს, სახელმწიფო დეპარტამენტი უკვე აფორმებს კონტრაქტს კარძო დაცვის რვა კომპანიასთან, ერაყში ოპერაციის გაფართოების მიზნით. სახელმწიფო მდივნის მოადგილემ პატრიკ კენედიმ განაცხადა თავისი უწყების გადაწყვეტილებაზე, გამოყოს სამი მილიარდი დოლარი ერაყში „უსაფრთხოების სფეროს პროფესიონალების“, სულ 5100 პირის გაგზავნისთვის.

ცხადია, რომ 2008 წელს ვაშინგტონის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2011 წლის 31 დეკემბრამდე ერაყიდან ამერიკული ჯარების სრული გაყვანის თაობაზე პოლიტიკური დეკლარაცია იყო. იშვიათობას არ წარმოადგენს მსგავსი შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური განცხადებები ან მალავს რეალურ განზრახვებს, ან რეალობასთან საერთოდ არ აქვს შეხება. ამერიკელი ექსპერტები თანხმდებიან, რომ ერაყში ამერიკის სამხედროების დარჩენა აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების ინტერესებს შეესაბამება. გარდა ამისა, ვაშინგტონში მიიჩნევენ, რომ ერაყში ამერიკელი სამხედროების დარჩენით დაინტერესებული არიან

სხვა ქვეყნებიც — იორდანია, თურქეთი, საუდის არაბეთი და სხვები, რომელთაც რეგიონში ირანის გავლენის ზრდა აწუხებს.

2011 წლის დეკემბრის შემდეგაც ერაყში ამერიკელი სამხედროების დარჩენის საკითხი აშშ-ში ახლა უკვე ღიად განიხილება უმაღლეს დონეზე, როგორც პრაქტიკულად გადაწყვეტილი საქმე. გადადგომამდე სულ ცოტა ხნით ადრე პენტაგონის შეფმა გეიტსმა პირდაპირ მიანიშნა: **„ეს იქნება როგორც აშშ-ის, ასევე ერაყის ინტერესებში. ვფიქრობ, ერაყელი სამხედროები აღიარებენ, რომ მათ ჯერ კიდევ სჭირდებათ ჩვენი დახმარება ზურგის სამსახურსა და დაზვერვაში. მათ არ აქვთ საშუალება, დაიცვან საკუთარი საჰაერო სივრცე. არის კიდევ რამდენიმე სხვა სფერო, რომელთაც შეგვიძლია მომავალშიც გავუწიოთ დახმარება“.**

თანამდებობაზე მისმა შემცვლელმა, ცსს-ის ყოფილმა ხელმძღვანელმა ლეონ პანეტამ განაცხადა: **„ჩემთვის ცხადია, რომ ერაყი განიხილავს შესაძლებლობას, თხოვნით მიმართოს ვაშინგტონს, იქ ამერიკული სამხედრო ნაწილების დარჩენის თაობაზე... დარწმუნებული ვარ, რომ ამგვარი თხოვნით წლის ბოლომდე მოგვმართავენ“.** პანეტამ ისიც დაამატა, რომ, მისი აზრით, აშშ-ის ადმინისტრაციამ მსგავს მიმართვას დადებითად უნდა უპასუხოს.

თავდაცვის მინისტრად დანიშვნიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ ლეონ პანეტა ხანმოკლე ვიზიტით ეწვია ბაღდადს, სადაც ხაზგასმით აღნიშნა: **„უნდა ვთქვა, რომ ერაყში მდგომარეობა კვლავაც არამდგრადია და ვთვლი, რომ უნდა გადავდგათ ყველა აუცილებელი ნაბიჯი იმისათვის, რომ დარწმუნებულნი ვიყოთ იქ მიღწეული პროგრესის შენარჩუნებაში“.**

ერაყის ხელისუფლების რეაქციას არ დაუგვიანია: პრემიერმა ნური ალ-მალიკიმ განაცხადა, რომ **„ერაყს შესაძლოა 2012 წელსაც დასჭირდეს მხარდაჭერა ქვეყანაში უსაფრთხოების შესანარჩუნებლად“.** მაგრამ ამგვარ თვალსაზრისს ერაყში ყველა არ ეთანხმება. **ბევრი კვლავაც ოკუპირებულად მიიჩნევს საკუთარ ქვეყანას, ხელისუფლებას კი — მარიონეტულად. ცნობილმა შიიტმა ლიდერმა მუკთადა ას-სადრმა უკვე განაცხადა, რომ აღადგენს 2007 წელს დათხოვნილ „მახდის არმიას“ და აიძულებს ამერიკას, წავიდეს.**

30 ივნისს აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა ერაყში ოპერაციის ახალი პერიოდის შესახებ. 2010 წლის 1 სექტემბრიდან, ანუ წინა თარიღით, დაიწყო ფაზა „ახალი განთიადი“. ეს ქვეყნის ოკუპაციის ისტორიის მერვე ეტაპია. მანამდე იყო „ხელისუფლების გადაცემა“, „ეროვნული თანხმობა“, „სუვერენიტეტი“ და ასე შემდეგ. ყველაფერი კი „ერაყის განთავისუფლებით“ დაიწყო. ვაშინგტონის ვერსიით, ერაყი განთავისუფლდა 2003 წლის 19 მარტიდან 1 მაისამდე პერიოდში. პენტაგონში ამ ფაზისთვის „განთიადის“ დარქმევა იმაზე მიანიშნებს, რომ ამერიკელ სტრატეგებს ფანტაზია ეწურებათ — 2003 წელს სადამ ჰუსეინის პოვნისა და შეპყრობის ოპერაციას მსგავსი სახელწოდება „წითელი განთიადი“ ჰქონდა. არის სხვა ფერები და შუქ-ჩრდილებიც. კიდევ არსებობს ნუმეროლოგია, რაც კიდევ უფრო ამარტივებს პერიოდიზაციას. სწორედ ასე მოიქცა პენტაგონი ავღანეთში, სადაც „განთავისუფლების“ შემდეგ „კონსოლიდაციების“ ფაზები დაინომრა. იმავე ბრძანებით ახლა ავღანეთში ფაზა „კონსოლიდაცია III“ მოქმედებს, თუმცა მისი ათვლა ასევე წინა თარიღით — 2009 წლის 1 დეკემბრიდანაა ნაბრძანები.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ციკლის თავისებური დასასრული დადგა — ის, რასაც ამერიკელები აღმავალ ხაზად მიიჩნევდნენ, სინამდვილეში სპირალისებურად დახვეული მრუდი აღმოჩნდა — ზემოთ, ქვემოთ მიმავალი კიბით.

© „ღონისძიება ოპიუმისფრთა“

ნარკოჯიჰადი პენტაგონისთვის

აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ შეადგინა ავღანეთის მინერალური რესურსების რუკა. ეს რესურსები კოსმოსიდან დაასკანერეს და გადაიღეს. პირველად ამ საბადოების არსებობა არაოფიციალურად აღიარეს 2010 წელს, როდესაც ავღანეთის მაღაროებისა და სამთო მრეწველობის სამინისტრომ ქვეყნის მინერალური რესურსები ტრილიონ დოლარად შეაფასა. პრესა კი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის ინფორმაციაზე დაყრდნობით იტყობინებოდა, რომ ავღანეთში არის სპილენძის, ოქროს, კობალტისა და ლითიუმის მარაგები. მარაგები იმდენად დიდია, რომ ავღანეთი მსოფლიოში მთავარი ექსპორტიორი გახდება.

საქმე ისაა, რომ **აშშ-ისა და ბრიტანეთის მიერ ავღანეთში ჩატარებული „ანტიტერორისტული ოპერაციისა“ და თალიბანის დამხობის შემდეგ ამ ქვეყანაში ნარკოტიკების წარმოება გაათმაგდა. ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანით, ოპიუმის დამზადებით, ტრანსპორტირებით, გადამუშავებითა და**

ჰეროინის ადგილამდე ჩატანით მილიონობით ადამიანია დაკავებული.

ამერიკელების შესვლიდან უკვე ერთ წელიწადში ავღანეთი მსოფლიო ლიდერი გახდა ჰეროინის წარმოებაში. ოპიუმის ყაყაჩოს ნათესებზე გამოყენებული მიწის საერთო ფართი აღემატება კოლუმბიაში, პერუსა და ბოლივიაში ნათესების საერთო რაოდენობას. ავღანელი ღარიბები დაკავებულნი არიან ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანით, რათა როგორმე თავი გაიტანონ და შიმშილით არ დაიხოცნონ, თითქოს მათ ქვეყანას მეტი არაფერი გააჩნდეს. არადა, საბჭოთა მეცნიერებმა ჯერ კიდევ რამდენიმე ათწლეულის წინ დაამტკიცეს, რომ ავღანეთი ძალიან მდიდარი ქვეყანაა.

ამერიკელმა სამხედროებმა მხოლოდ დაადასტურეს საბჭოთა გეოლოგების დიდი ხნის დასკვნა იმის შესახებ, რომ ავღანეთი უზომოდ მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, პირველ რიგში, ძვირფასი მეტალებით. მათ არა მხოლოდ დაამტკიცეს, არამედ ავღანეთის მთელი სიმდიდრეების რუკაც შეადგინეს.

ამ ფაქტორის მნიშვნელობა უდიდესია იმიტომაც, რომ ავღანელი მოჯაჰედებისა და მათი დასავლელი მფარველების ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელიც თითქოს 20 წლის წინ დასრულდა საბჭოთა კავშირის ჯარების გასვლით, სინამდვილეში არ დამთავრებულა. 2000-იან წლებში ამ ომმა ახალი ფორმები შეიძინა და ნარკოტიკულ მინდორზე გადაინაცვლა. ამ ომში რუსეთის ადამიანურმა დანაკარგმა ბევრად გადააჭარბა ბრძოლის ველზე დანაკარგებს. **მაშინ, ომის 10 წლის განმავლობაში, დაახლოებით 15 ათასი ადამიანი დაიღუპა, ახლა კი ყოველწლიურად ავღანური ნარკოტიკებისაგან დსთ-ს ტერიტორიაზე 20 ათასი ადამიანი იღუპება,გაცილებით მეტი ინვალიდდება.** ამ ომში ძირითადი მსხვერპლი ახალგაზრდობაა. ახლა, როდესაც უკვე აღიარებულია, რომ ავღანეთი უზომოდ მდიდარია და მის მოსახლეობას სიცოცხლის გადასარჩენად და თავის გასატანად მხოლოდ ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანა არ უწევს, ამერიკელები ამით ვეღარ გაამართლებენ ავღანური ნარკოტიკებით ადამიანთა სიკვდილს.

საცდელი ბოცვერი ნატოსათვის

აშშ-ის ინიციატივა, ჩამოეგდო კადაფის რეჟიმი, ბოლო თაობის „საინფორმაციო ოპერაციების“ პროგრამის გამოცდის წინაპირობად იქცა. ლიბიაში გამოიცადა შეტევათა ახალი ტიპები, რომლებიც ამის შემდეგ სრულად შეცვლის საომარი მოქმედებების წარმოების კონცეფციას დაბალი ინტენსივობის კონფლიქტებში.

კავშირგაბმულობისა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებზე ამ კიბერშეტევების შედეგი იმდენად ეფექტური გამოდგა, რომ აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების ადმირალი გერი რაფხედი არ მოერიდა და დიდი ენთუზიაზმით განუცხადა ამის შესახებ ინტერვიუში პოპულარულ სპეციალიზებულ გამოცემა „Aviation Week“-ს. ადმირალმა რაფხედმა მოიხსენია დიდი და საშუალო დაშორების საზენიტო სარაკეტო სისტემები „SA-5“, „SA-6“ და „SA-8“, ასევე ბოლო თაობის სისტემები „SA-24“. ამ ინფორმაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვენესუელისთვის, რადგან სწორედ ეს სისტემები იყიდა ამ ქვეყანამ აშშ-ის მხრიდან ჰიპოთეზური თავდასხმის შემთხვევაში თავდასაცავად.

„SA-24“ სისტემის გამოყენებამ ლიბიაში სამხედრო წრეების ახმაურება განაპირობა, რადგან ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც შეიარაღებაში შევიდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ეს უახლესი რუსული სისტემები. საიტ „ვიკილიქსზე“ გამოქვეყნებულ საიდუმლო დოკუმენტებში ეწერა, რომ ვენესუელის მთავრობამ სწორედ ეს სისტემები შეიძინა, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ ლიბიაში სხვა სახის „SA-24“-ები დაამონტაჟეს.

ადმირალ რაფხედის განცხადებებიდან ირკვევა, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების მწყობრიდან გამოსაყვანად გამოიყენებოდა „Growler“-ის სიგნალების ბლოკირებისთვის 2009 წლიდან გამოცდის რეჟიმში მყოფი ელექტრონული მოწყობილობები, რომლებიც ლიბიის სანაპიროებთან მდგომ გემებსა და წყალქვეშა ნავებზე დაამონტაჟეს.

ადმირალის განცხადებით, მომავალში საბრძოლო მოქმედებები დაიწყება და წარიმართება ელექტრომაგნიტურ ველზე.

პროექტ „CYBER DAWN LIBYA“-ს გამოქვეყნებული ვერსია იმის დასტურია, რომ ლიბიის საწინააღმდეგოდ აშშ-ის მიერ განხორციელებულ კიბერშეტევებში მონაწილეობდნენ კომპიუტერული უსაფრთხოების ექსპერტები და ისეთი კომპანიები, როგორიცაა „VERYSIGN INC“.

პროექტი „Cyber Dawn Libya“, რომელშიც 21 სპეციალისტი მონაწილეობდა, ორგანიზაცია „Cyber Security Forum Iniciative“ (CSFI)-ის მიერ შემუშავდა. ეს იყო სხვადასხვა ქვეყნის აკადემიკოსებისა და კორპორაციების ხელმძღვანელებისგან შედგენილი ჯგუფი. პროექტის ერთ-ერთი შემქმნელი და CSFI-ის დამფუძნებელი კარიმ ხიჯაზი არის საინფორმაციო დაზვერვით დაკავებული კომპანია „Unveillance“-ის გენერალური დირექტორი. არსებული ინფორმაციის მიხედვით, ამ ორგანიზაციამ დაახლოებით 1000 საფოსტო სერვერზე განახორციელა შეტევა და დაკავებული იყო ლიბიის ელექტრონული ინფრასტრუქტურის განადგურებით. პროექტში მონაწილეობდა ჯეფრი ბარდინიც, კრიპტოანალიზის სპეცია-

© „ღონისძიებები ინფორმაციულ“

ლისტი, აშშ-ის ნაციონალური უშიშროების სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი.

პროექტი ითვალისწინებდა ლიბიის სანაპიროებზე მდებარე რას-ლანუფის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მწყობრიდან გამოყვანას. ეს ქარხანა ყოველდღიურად 200 ათას ბარელ შავ ოქროს გადაამუშავებდა. ქარხანა მწყობრიდან უნდა გამოსულიყო „Stuxnet“-ის მსგავსი ვირუსის დახმარებით. სწორედ ამ ვირუსის დახმარებით დაზიანდა შარშან ირანში ურანის გამდიდრების პროგრამა.

აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთაც ზემოხსენებული კიბერშეტევების თაობაზე კითხვები დაუსვეს, არც ადასტურებდნენ, მაგრამ არც უარყოფდნენ მსგავსი ოპერაციის განხორციელების შესახებ ინფორმაციას.

პენტაგონის უკანასკნელი დოქტრინა კიბერშეტევებს სამხედრო მოქმედებებთან აიგივებს და შესაბამისად, თავდახმის შემთხვევაში ან თავდაცვაში მათ გამოყენებას უშვებს. კიბერშეტევების ეთიკური ასპექტების მიმომხილველი უილიამ ბეილსი ირწმუნება, რომ აშშ-ის სამხედრო დოქტრინა კომპიუტერულ სისტემებზე შეტევებსაც ითვალისწინებს და სხვა იმ კატეგორიის სამხედრო მოქმედებებსაც, რომლებიც „საინფორმაციო ოპერაციების“ ტერმინის ქვეშ გაერთიანებას ექვემდებარება.

საინფორმაციო ოპერაციები განისაზღვრება როგორც მოწინააღმდეგის ინფორმაციისა და საინფორმაციო სისტემების განადგურების მიზნით განხორციელებული ქმედებები საკუთარი ინფორმაციისა და საინფორმაციო სისტემების დაცვისას.

მიუხედავად იმისა, რომ კადაფის ხელისუფლება, პრინციპში, ვერ შეძლებდა აშშ-ისა და ნატოს მიერ განხორციელებული მასიური კიბერშეტევის ნეიტრალიზებას, „CSIF“-მა მოახერხა იმ ჰაკერების, სულ მცირე, 10 ჯგუფის იდენტიფიცირება, რომლებიც ლიბიის ხელისუფლებას გარკვეული მიზნების მიღწევაში უწევდნენ დახმარებას. ამ ჯგუფებიდან ერთ-ერთი შედგებოდა ერაყული „Iqziad“-ის მეომრებისგან, რომელთაც ვირუს „Here You Have“-ის შემქმნელებს „ელექტრონული ჯი-

ჰადი“ გამოუცხადეს. სავარაუდოდ, სწორედ ამ ვირუსის შეტევის მსხვერპლნი გახდნენ ისეთი კორპორაციები, როგორიცაა „Google“, ამერიკის კოსმოსური სააგენტო „NASA“, ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი სადაზღვევო საა-აგენტო „AIG“ და ა. შ.

ლიბია ბოლო თაობის „საინფორმაციო ოპერაციების“ გამოცდის პირველ პოლიგონად იქცა და, თუ მიღწეული წარმატებების მიხედვით ვიმსჯელებთ, ის უკანასკნელი ნამდვილად არ იქნება.

© „ღონისძიების ორგანიზაციები“

მივედი, ვნახე... გავაპარტახე

33 ათასმა ამერიკელმა სამხედრომ ავღანეთის ტერიტორია დატოვა. ისინი მონაწილეობდნენ კოალიციური ძალების ოპერაციაში, რომელიც 2009 წელს დაიწყო. მაშინ პრეზიდენტმა ობამამ გადაწყვიტა, დაახლოებით ერთ-ნახევარჯერ გაეზარდა ამერიკული ჯარის შემადგენლობა ამ ცენტრალურაზიურ ქვეყანაში, რათა გაზრდილიყო ოპერაციის ეფექტურობა. ახლა ამ ეფექტურობის შესახებ ოდები დაიწერება. ავღანეთში არა მხოლოდ ამერიკელი სამხედროების, არამედ მთელი კოალიციის ყოფნის უაზრობაზე უკვე მთელ მსოფლიოში ლაპარაკობენ და თვით აშშ-შიც.

მხოლოდ ვაშინგტონისთვის ცნობილი რაღაც ამოცანების შესასრულებლად დღეისათვის ავღანეთის პროვინციებში დაახლოებით 68 ათასი ამერიკელი სამხედრო რჩება. ისინი შინ 2014 წელს დაბრუნდებიან.

ომი იმ სტადიაში გადავიდა, რომლის დროსაც აღარავის ესმის არც ამ დაპირისპირების მიზანშეწონილობა, არც ის, თუ როგორ შეიძლება ამ

კონფლიქტის ჩახშობა. ამერიკელი პოლიტიკოსები ავღანეთთან დაკავშირებით სულ უფრო იშვიათად იყენებენ ტერმინს „ტერორიზმთან ბრძოლა“, ყველას მშვენივრად ესმის, რომ ომი გრძელდება, მსოფლიო ტერორიზმი არა მხოლოდ არ მარცხდება, არამედ არნახული ტემპით იზრდება. ამერიკელი ჯარისკაცები სულ უფრო ხშირად უტევენ მშვიდობიან მოსახლეობას და პასუხადაც იმავეს იღებენ. ამერიკელ ჯარისკაცებს ესვრიან ისინი, ვინც აპრიორი უნდა ეხმარებოდნენ მათ ქვეყანაში ანტიტერორისტული წესრიგის დამყარებაში — ავღანელი პოლიციელები, არმიის წარმომადგენლები, სამხედრო ბაზების თანამშრომლები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ეს არის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ომის კლასიკური მაგალითი, ქვეყანაში მანამდე დაპირისპირებული ძალებიც კი გაერთიანდნენ, რათა საოკუპაციო ძალების რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი გაისტუმრონ საიქიოს.**

მეორე მიზეზი ისაა, რომ **დღეს ამერიკას მხოლოდ ავღანეთში არ დასცხა**. **ნამდვილი ომი გამოუცხადა მას მთელმა ისლამურმა მსოფლიომ და ანტიმუსლიმანური ფილმი მხოლოდ საბაბია მათთვის, ვისაც დიდი ხანია ყელში ამოუვიდა მთელ მსოფლიოზე თავსმოხვეული ამერიკული პოლიტიკა. ეს მსოფლიო ბატონობის პოლიტიკაა.**

მსოფლიოსთვის უკვე გასაგები ხდება, რომ ამერიკა ძალიან ჰგავს თიხის ფეხებზე შემდგარ კოლოსს, რომელიც დიდხანს აშინებდა ყველას, ბოლოს კი საკუთარი მოუხერხებელი მოძრაობების გამო წაბორძიკდა.

რომნის რომ ავღანეთში წესრიგის დამყარებაზე დაეწყო ლაპარაკი, ამერიკელები მას, უბრალოდ, დასცინებდნენ — ავღანეთში ხომ 11 წელია ვერავინ დაამყარა წესრიგი. კიდევ უფრო დასცინებდნენ თალიბები, რომლებმაც მშვენივრად იციან, რომ თავად მათივე გამჩენ ამერიკასთან ხანგრძლივი დაპირისპირების შემდეგ გამარჯვება უკვე სულ ახლოსაა.

ობამას ავღანეთიდან ჯარების გაყვანა არ უშველიდა. მისი რეიტინგი ამით არ ამაღლდებოდა, რადგან ხალხს

ეს სახლში გაქცევად ეჩვენება, მთელ მსოფლიოში მუსლიმანების შეტევების გამწვავების ფონზე. ამერიკელებისთვის ავღანეთიდან წასვლა ახლა გაქცევას ნიშნავს, მაგრამ იქ დარჩენა ხაფანგში გაბმის ტოლფასია.

ამ ყველაფრის გამო ახლა ძველი იარაღი — საინფორმაციო დამუშავება ჩაერთვება საქმეში. ამერიკული დემოკრატიული და, რა თქმა უნდა, ყველაზე მართალი გაზეთები ჩვეულებრივ ამერიკელებს დაარწმუნებენ, რომ ეს გამარჯვებაა. ისინი იტყვიან, რომ ავღანეთში ტერორიზმი განადგურებულია, დარჩა მხოლოდ რამდენიმე დაჯგუფება, რომელთაც ამერიკელების მომზადებული ავღანეთის არმია გაანადგურებს. და ცხადია, ამერიკაში ვერავინ გაიგებს, რომ ეს არმია ამერიკელების წასვლისთანავე შეუერთდება მათ, ვისაც, წესით, უნდა ებრძოლოს. მაინც რად უნდათ ამერიკელებს ამის ცოდნა? უფროსი ძმა საშუალოსტატისტიკური ამერიკელის ფსიქიკას ამით არ შეარყევს და თანაც ამ ქვეყანაში საკუთარი დამარცხებების აღიარება მიღებული არაა. თვით ბრძოლის ველიდან რომ გაიქცეს ამერიკის ჯარი, მსოფლიოს მაინც მოუყვებიან, თუ როგორ გაიმარჯვა ამერიკამ ავღანეთში და რომ მისი ჯარისკაცები ბრძოლის ველიდან ცოლებთან და შვილებთან შესახვედრად გარბოდნენ პლანეტაზე დემოკრატიის სახელით გამარჯვების შემდეგ.

როგორც არ უნდა იყოს, დარჩენილ 68 ათას ჯარისკაცსაც ამერიკა ჩუმად გაიყვანს ავღანეთიდან, რომ არავის მიეცეს საბაბი, ფართოდ გაშალოს თემა ამ ქვეყანაში ამერიკული ოპერაციის სრული ჩავარდნის შესახებ.

«ავღანეთში ქედმაღლობამ და სიხარბემ დაგვაბრმავა»

ავღანეთის ათწლიანი ომი, რომელიც ამ ქვეყნის დასჯის სურვილმა განაპირობა, ძალზე ძვირი უჯდებათ დასავლეთის ქვეყნებს. დანახარჯების რაოდენობა დასავლეთის ძველ მოწინააღმდეგეთათვის სიცილის მიზეზია. ავღანეთი, უკვე ათი წელია, დასავლეთის ქვეყნების კოალიციის მიერაა ოკუპირებული, მაგრამ რამდენიმე დღის წინ გაერო იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ამ ქვეყნების დასახლებული პროვინციების ნახევარს, რომელიც ახლა გვალვისგან იტანჯება, ზამთარში შიმშილობა ელის. მსოფლიო სასურსათო პროგრამამ ჰუმანიტარული დახმარების სახით 92 მილიონი ფუნტის დაუყოვნებლივ გამოყოფა მოითხოვა. ეს წარმოუდგენელია! ავღანეთი მსოფლიოში ისედაც დახმარებების უდიდესი მიმღებია. უკანასკნელ ათწლეულში ამ დახმარებათა რაოდენობამ დაახლოებით 20 მილიარდი შეადგინა. დაუმატეთ ამას სამხედრო დანახარჯები, რაც ასჯერ მეტ თანხას მოიცავს. ქვეყანაში იმდენად ბევრ ფულს გზავნიან, რომ, გავრცელებული ხმების თანახმად, კორუმპირებულ ჩი-

ნოვნიკებს ქაბულიდან ყოველდღიურად დაახლოებით სამი მილიონი გააქვთ.

საერთოდ, ყველაფერი, რაც ავღანეთს უკავშირდება, ყოველგვარი გონიერების საზღვრებს სცილდება. ერთი კვირის წინ ქვეყნის პრეზიდენტმა ხამიდ ყარზაიმ, ყოველგვარი უხერხულობის განცდის გარეშე, ინდოეთთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. არადა, მშვენივრად იცოდა, რომ ეს ნაბიჯი მეზობელ ისლამაბადს განარისხებდა და ტერორისტული დაჯგუფება „ხაკანის“ მოქმედებათა გააქტიურებას განაპირობებდა. როგორც მრავალი წყარო ირწმუნება, „ხაკანი“ მჭიდროდაა დაკავშირებული პაკისტანის უწყებათაშორის დაზვერვასთან. ამავე დროს, ვაშინგტონში პენტაგონი იმ ახალი სტრატეგიის გამო ზეიმობს, რომლის მიხედვითაც ტერორისტები უპილოტო საფრენი აპარატების საშუალებით უნდა გაანადგურონ და აცხადებს, რომ საჰაერო დარტყმებს შეუძლია ჩაანაცვლოს სახმელეთო ოპერაციები ავღანელი ამბოხებულების წინააღმდეგ.

21-ე საუკუნის პირველი ათწლედი დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკაში ორი, მართლაც გრანდიოზული ჩავარდნით აღინიშნა. ეს ქვეყნები ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ცივ ომში გამარჯვებით იწონებდნენ თავს, მაგრამ ეს ჩავარდნები როგორც საღი აზრის, ასევე ლიდერის თვისებების უკმარისობამ განაპირობა.

პირველ რიგში, ამ ქვეყნების ხელმძღვანელებს არ აღმოაჩნდათ უნარი, თანამედროვე მართვის სისტემის შეუზღუდავი შესაძლებლობები ეკონომიკის ხანგრძლივი კრიზისისგან გადასარჩენად გამოეყენებინათ. მეორე შეცდომა იყო ამერიკაზე შეშლილი ისლამისტი დამნაშავეების თავდასხმის გამოყენება იმ საპასუხო სადამსჯელო ოპერაციის დაწყების საბაბად, რომელიც მთელი მუსლიმანური სამყაროს წინააღმდეგ ომში გადაიზარდა.

ოპერაციას, რომლის მიზანიც იყო ავღანეთის დასჯა, უსამა ბენ ლადენისთვის თავშესაფრის მიცემის გამო, და რომელიც, უკვე ათი წელია, გრძელდება, ბიბლიური შურისძიების ყველა ნიშანი აქვს. განცხადებები იმის თაობაზე,

რომ დასავლეთის ქვეყნების ქმედებები ავღანელებს აიძულებს, უარი თქვას ცხოვრების ისტორიულად ჩამოყალიბებულ წესზე და მიიღოს კაპიტალიზმი და დემოკრატია, მხოლოდ იმპერიული ქედმაღლობით იყო განპირობებული.

2001 წლის შემოდგომის შემდეგ გახდა ცნობილი მრავალი საინტერესო ფაქტი, რომელთა გათვალისწინებაც მიზანშეწონილი იქნებოდა ავღანეთში ოპერაციის დაწყებისას. ჩვენ გავიგეთ თალიბანის შიგნით მიმდინარე კამათის შესახებ. ორგანიზაციის ლიდერთაგან ბევრი მჭიდრო კავშირში იყო ცსს-სთან. ჩვენ ვიცოდით იმ როლის შესახებ, რომელიც ქაბულში აბდულ ხაკს შეეძლო შეესრულებინა; პაკისტანის სპეცსამსახურების ორპირობის შესახებ; იმის შესახებაც, რომ 2001 წლის ოქტომბერში პროვინცია ყანდაარის უხუცესთა საბჭო ძალზე ახლოს იყო ქვეყნიდან უსამა ბენ ლადენის გაძევებასთან.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, შურისძიების წყურვილმა დააბრმავა ამერიკელი ლიდერები, რომელთაც ავღანეთთან დაკავშირებული ყველანაირი გაფრთხილება უგულებელყვეს. ასევე მოიქცნენ დონალდ რამსფელდის გაფრთხილებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც ამერიკას სადამსჯელო ოპერაციის შემდეგ თავიდან უნდა აეცილებინა ამ ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში მონაწილეობა. **ვაშინგტონში ლონდონსა და ნატოს ხელმძღვანელობას შორის ყველაფერს გადააჭარბა იმპერიულმა მისწრაფებებმა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ყველა ქვეყანა, რომელიც დასავლურ ლიბერალიზმს ქმნიდა, მსოფლიო პოლიტიკაში საკუთარ როლს ითხოვდა.**

ავღანეთის ოკუპაცია სრულ სისულელედ, აბსოლუტურად უგუნურ ნაბიჯად იქცა. ამერიკის შეერთებული შტატები უზარმაზარ თანხებს ხარჯავს ომზე, რომელსაც ნამდვილად ვერ მოიგებს. კონგრესში ავღანეთისთვის ამერიკული დახმარების განხილვამ აჩვენა, რომ ეს დახმარება ავღანეთის ეკონომიკამდე ვერ აღწევს, სახსრების დიდი ნაწილი ხომ აშშ-შივე რჩება დაქირავებულთათვის და იხარჯება უსაფრთხოების ზომებისთვის. დანარჩენს იპარავენ. ავღანეთში დემოკრატია არ გამოვიდა, რად-

გან საველე მეთაურები ნარკობარონებთან იბრძვიან, სხვადასხვა თემი კი — ერთმანეთთან. იდეა, რომელიც „ავღანური პოლიციისა და არმიის სწავლებას“ უკავშირდება, საერთოდაც დაბოლილი ნარკომანის ხუმრობას ჰგავს.

ბრიტანეთი მთელ ამ პროცესში ძალზე სამწუხარო როლს ასრულებს. თეზისი იმის შესახებ, რომ უაიტჰოლი და მისი არასამთავრობო ორგანიზაციები შეძლებენ ავღანეთში კორუფციას ბოლო მოუღონ, სრულ აბსურდად გამოიყურება. საერთაშორისო განვითარების საკითხთა ყოფილი მინისტრის — კლერ შორტის 2002 წლის მისია, რომელიც მიმართული იყო ოპიუმის ყაყაჩოს ნათესების გასანადგურებლად და საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილისა და ლეიბორისტთა მთავრობაში დაზვერვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის — კიმ ჰაუელსის ინიციატივა, გამოეყოთ 270 მილიონი ფუნტი ნარკოვაჭრობის აღმოსაფხვრელად, სატირულ რომანში აღწერის ღირსია.

ჯონ რეიდის 2006 წლის ბრიფინგზე თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ **„ბრიტანეთის ამოცანა აყვავებული, დემოკრატიული, სტაბილური და უსაფრთხო ავღანეთის აშენებაა“** და რომ **„ბრიტანელი ჯარისკაცები ამ ქვეყანა-**

ში არ ომობენ, არამედ ეხმარებიან ადგილობრივ მოსახლეობას საკუთარი ქვეყნის გარდაქმნაში“. გენერალი სერ დევიდ რიჩარდსი ირწმუნებოდა, რომ პროვინცია ჰელმანდში საბრძოლო მოქმედებები მალე დასრულდება ეგრეთ წოდებული მელნის ლაქების სტრატეგიის წყალობით. ეს სტრატეგია გულისხმობდა მთელი რიგი საყრდენი ბაზების შექმნას ჯარებით დაკავებულ მთელ რაიონად მათი გაერთიანების მიზნით. თავის წიგნში „პატარა ომების წაგებისას“ ფრენკ ლედუიჯი მიდის დასკვნამდე, რომ **„ჰელმანდის პროვინციაში ბრიტანეთის 16 საჰაერო-საშტურმო ბრიგადის ძმედებათა შედეგები, უბრალოდ, კატასტროფული იყო, რადგან მისი ოპერაციების შემდეგ რჩებოდა განადგურებული ქალაქები, უამრავი დევნილი და მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობას შორის“. კომპენსაციის თანხები, რომელსაც უაიტჰოლი მოკლული ან დასახიჩრებული მშვიდობიანი ავღანელების ოჯახებს უხდის, ყოველწლიურად ორმაგდება.**

ამ ომს უკვე შეეწირა 382 ბრიტანელი სამხედრო. შეუძლია კი მინისტრთაგან რომელიმეს, თვალებში შეხედოს მათ ოჯახებს და უთხრას, რომ ეს არ იყო უაზრო მსხვერპლი? ავღანეთში მდგომარეობა უსაფრთხო მაინც ვერ გახდა. ამ მხრივ, შესაძლოა, გამონაკლისებად მივიჩნიოთ მხოლოდ ის დასახლებული პუნქტები, რომლებშიც კოალიციური ძალების გარნიზონები დგანან. ბრიტანელ ჯარისკაცებს უთხრეს, რომ მათ ავღანეთიდან მომდევნო ორი წლის მანძილზე გაიყვანენ. შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ მათ შეასრულეს საკუთარი ამოცანა. ამიტომაც არანაირი აზრი არ აქვს ჯარის იმ ქვეყანაში დატოვებას, სადაც მათ სასიკვდილო საფრთხე ელით.

დღეს „თალიბებთან მოლაპარაკებების“ იდეას გამოთქვამენ, თითქოს თალიბები იმ გერმანელ სარდლობას ჰგავდნენ, რომელთაც ლიუნებურგში კაპიტულაციას მოაწერეს ხელი. ამგვარი პოლიტიკის შედეგად ყარზაის ემისრებსა და თალიბანის ხელმძღვანელებს ჯერ „მოლაპარაკებებზე“ ითანხმებენ, შემდეგ კი ისინი ან თავისიანების ხელით, ან მიზნის განადგურებისთვის მუდამ მზადმყო-

© „ადამიანის უფლებათა ევროპული

ფი ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატების იერიშთა შედეგად იხოცებოდნენ. ყარზაის ხუთი მომლაპარაკებელი, მისი ძმის ჩათვლით, უკვე მოკლულია. უპილოტო საფრენმა აპარატებმა თალიბებისა და „ალ ქაიდას“ ლიდერები ერთი მეორის მიყოლებით გაანადგურეს. ცხადია, მათი შებრალება არ ღირს, მაგრამ მართვის სისტემის იერარქიაში ყოველი მნიშვნელოვანი თანამდებობის პირის სიკვდილი მშვიდობისკენ მიმავალ გზაზე დაბრკოლებაა, რადგან ვენდეტის განახლებას განაპირობებს. ამერიკულმა პოლიტიკამ „ალ ქაიდა“ უკვე აქცია არც თუ დიდი ორგანიზაციიდან მსოფლიო ტერორისტულ ბრენდად.

როგორც ამერიკელი ისტორიკოსი ბარბარა ტაკმანი წერდა, გამაოგნებელია არა მხოლოდ პოლიტიკის უგუნურება, არამედ ისიც, რომ მას არავინ აკორექტირებს მაშინაც კი, როდესაც სისულელე უკვე თვალნათელი ხდება. ქაბულში ჩასული ნებისმიერი ადამიანი ძალიან სწრაფად იწყებს ორი რამის გაცნობიერებას: ერთი ის, რომ სისულელეა პუშტუნელი ნაციონალების ამბოხებულ თალიბებთან ან „ალ ქაიდას“ ტერორისტებთან შედარება, და მეორე, თუ ნატოს სურს ამ რეგიონში უსაფრთხოების პრობლემების აღმოფხვრა, ალიანსის ხელმძღვანელობამ რაიმე შეთანხმებას უნდა მიაღწიოს მოჯაჰედებთან. სხვაგვარად ისინი, უბრალოდ, მოუგებენ ომს. მოლაპარაკებაა საჭირო მათ პაკისტანელ სპონსორებთანაც. ამ კარების ერთადერთი გასაღები ნატოს ჯარების გაყვანაა.

როგორც ვიეტნამის გამოცდილებამ აჩვენა, ზოგიერთ ომში პოლიტიკოსები და გენერლები გადადიან იმ ზღვარს, რომელიც ჯერ კიდევ იძლევა უკან დახევისა და მდგომარეობისთვის სხვა კუთხიდან შეხედვის საშუალებას. ამ დროს სტრატეგიის საფუძველში დევს დიდებისკენ სწრაფვა და ნებისმიერ ფასად გამარჯვების სურვილი. ქაბული ფაქტობრივად ოკუპირებულ იქნა ათეულ ათასობით ჯარისკაცის, დიპლომატების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების და დაქირავებული ორგანიზაციების თანამშრომლების მიერ. ავღანეთი იქცა „სამზარეუ-

ლოდ“, სადაც მზარეულის როლში სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი გამოდის და, სხვა ყველაფრის გარდა, ჰუმანიტარული დახმარების ფულიც ტრიალებს.

ამერიკის ბრაუნის უნივერსიტეტის შეფასებით, 2001 წლის 11 სექტემბერს დაღუპული ადამიანების გამო შურისძიების მიზნით დაწყებული ომის დანახარჯებმა უკვე მიაღწია 3,7 ტრილიონს. ბრიტანეთისთვის ეს დანახარჯი არნახულ თანხას — 18,8 ტრილიონ ფუნტს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ უსამა ბენ ლადენის განადგურების ოპერაცია გაცილებით იაფი დაჯდა. დღეს საეჭვოა იმ კითხვებზე პასუხი მოიპოვებოდეს, რომლებსაც გვერდს ვერ ავუვლით. იქნა კი ამ დანახარჯების სანაცვლოდ სამომავლო მსგავსი ტერორისტული აქტები თავიდან აცილებული და თუ კი, ღირდა კი ეს ამად? იქნებ ამ ყველაფრის უკან ამპარტავნება, ქედმაღლობა და ბანალური სიხარბე დგას?

დღეს, ცხადია, ერთი რამ — **შურისძიება იმდენად ტკბილი არ აღმოჩნდა, რამდენადაც — ძვირი.**

ბედის ირონიით, ამგვარი უგუნური პოლიტიკით მხოლოდ იმ ქვეყნებმა მოიგეს, რომლებმაც წააგეს ცივი ომი — რუსეთმა და ჩინეთმა. ვიდრე დასავლეთის ქვეყნები ცდილობენ, თავიანთი არმიები და ეკონომიკები როგორმე დააძვრინონ უბედურებისგან, რომელშიაც თავადვე უკრეს თავი, მათი ძველი მოწინააღმდეგენი დასცინიან და აღფრთოვანებისგან ხარობენ. დემოკრატიამ მოახერხა, გამარჯვება დამარცხებად ექცია.

© „ღიასკმაუწყებლობა ათასწლეულში“

უკანასკნელი ჯვაროსნული ლაშქრობა

მამა-შვილი ბუშები

ამერიკის უფროსი თაობისათვის, რომელიც მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა, და „მდუმარე“ თაობისათვის, რომელიც 1950-იან წლებში იზრდებოდა, უდიდეს იდეოლოგიურ და მორალურ გამოცდად იქცა ცივი ომი. მან მიზანი და სიცხადე შესძინა ამერიკის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, ამერიკელთა ცხოვრებას. ამ ომს, რომელიც 1945-ში, ბერლინის დაცემის შემდეგ დაიწყო და 1989-ში ბერლინის კედლის დაცემით დამთავრდა, ორი თაობა აწარმოებდა. მისი დასრულების შემდეგ კი ამერიკელები პირისპირ აღმოჩნდნენ ფუნდამენტური კითხვის წინაშე: თუ ისტორიული დაპირისპირება კომუნიზმსა და თავისუფლებას შორის დასრულდა, თუ საბჭოთა იმპერია და საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, თუ რუსებს ამერიკელებთან მეგობრობა სურთ, მაოისტები კი კაპიტალიზმის გზას გაუდგნენ, მაშ, როგორია ჩვენი ახალი მისია მსოფლიოში? რა უნდა აკეთონ ახლა ამერიკელებმა?

ამ საკითხთან დაკავშირებული დებატები მას შემდეგ დასრულდა, რაც სადამ ჰუსეინი კუვეიტში შეიჭრა. ჯორჯ ბუშ უფროსმა შეკრიბა მძლავრი კოალიცია და მოიგო ომი. ამისათვის მას სულ რაღაც 100-საათიანი სახმელეთო ოპერაცია დასჭირდა.

ამერიკელებმაც განსაზღვრეს საკუთარი მისია.

ამერიკის შეერთებული შტატები იყო ერთადერთი და უკანასკნელი ძლიერი სახელმწიფო და მოზეიმე ბუშმა განაცხადა: „ჩვენ შევქმნით ახალ მსოფლიო წესრიგს“. ნეოკონსერვატორებმა ცამდე აიყვანეს ამერიკის „ერთპოლარული“ გამარჯვება და „გლობალური ჰეგემონიის“ დამდეგი ერა.

მაგრამ ამერიკელები ამან ვერ აღაფრთოვანა. მათ უარი თქვეს ერაყის გამარჯვებაზე ბილ კლინტონის სასარგებლოდ. 2000 წელს კი რესპუბლიკურმა ამერიკამ მხარი დაუჭირა მეორე ბუშს, რომელიც უფრო „მოკრძალებულ“ ამერიკას ჰპირდებოდა ხალხს.

შემდეგ 9/11 მოხდა და მომწიფებულ ჯორჯ ბუშ უმცროსს ვილსონისეული ინტერვენციისაკენ უბიძგა.2001 წლის დეკემბერში თალიბანის განადგურების შემდეგ ჯორჯ ბუშ უმცროსმა გადაწყვიტა, ავღანეთი აიოვას მსგავსად გადაეკეთებინა და „ბოროტების ღერძის“ წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა დაეწყო.თავის მეორე საინაუგურაციო გამოსვლაში მან განაცხადა, რომ ამერიკის მისია მსოფლიოში ტირანიის განადგურებაში მდგომარეობს.

მაგრამ მსოფლიომ დახმარებაზე უარი უთხრა. 2006 წლის დასასრულს თალიბანი დაბრუნდა, ამერიკა ერაყში დაუსრულებელ ომში ჩაერთო, რესპუბლიკელებმა დაკარგეს კონგრესი, ჯვაროსნული ლაშქრობა კი, რომელიც ბუშმა მსოფლიოში დემოკრატიის დამყარების ეგიდით გააჩაღა, არჩევნებზე „ჰამასისა“ და „ჰეზბოლას“ გამარჯვებებით დასრულდა.

2008 წლის დასასრულს ჯვაროსნებს სთხოვეს, აბარგებულიყვნენ და გასასვლელისკენ მიუთითეს.

მოვიდა ბარაკ ობამა. ობამამ მზამზარეულად მიიღო 2010-ში დაწყებული „არაბული გაზაფხულიც“, დიქტატო-

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულ“

რების დამხობაც ტუნისში, ეგვიპტეში, იემენში, ლიბიასა და სირიაში.

გამოღვიძება საშინელება იყო. როდესაც არაბული სამყაროს დიქტატორები ერთი მეორის მიყოლებით დაემხნენ, მიწებს, რომლებსაც ისინი მართავდნენ, ჭენებით გადაურბინეს არაბული აპოკალიფსის ოთხმა მხედარმა: ტრაიბალიზმმა, ეთნო-ნაციონალიზმმა, ისლამურმა ფუნდამენტალიზმმა და ანტიამერიკანიზმმა. და ამერიკის წინაშე დადგა უბრალო შეკითხვა:

თუ ისლამური სამყარო ამდენად გაჯერებულია მრისხანებითა და სიძულვილით ჩვენ მიმართ — ჩვენი ომების, ოკუპაციების, უპილოტო საფრენი აპარატებიდან დარტყმების მიყენების, ისრაელის მხარდაჭერის, დეკადენტური კულტურის, ისლამისა და წინასწარმეტყველის შეურაცხყოფისადმი შემწყნარებლობის გამო — **რატომ უნდა მოვუწოდოთ თავისუფალი არჩევნებისაკენ იმ ქვეყნებში, სადაც ხალხი ამ არჩევნებს გამოიყენებს და აშშ-ის მიმართ მტრულად განწყობილ მმართველებს მისცემს ხმას?**

მოკავშირე დიქტატორების დამხობის სავარაუდო და გარდაუვალი შედეგი თუ ისაა, რომ ხელისუფლებაში ჩვენი მტერი ისლამისტები უნდა მოვიდნენ, რაღატომ ვეხმარებით დიქტატორების დამხობაში?

ცივი ომის დროს ამერიკა იჩენდა მეგობრებს იქ, სადაც მიაგნებდა. თუ ისინი მზად იყვნენ, საკუთარი ბედი ამერიკასთან დაეკავშირებინათ, ამერიკა მიესალმებოდა ყველას — შაჰიდან დაწყებული, გენერალ პინოჩეტით დამთავრებული.დემოკრატიული დისიდენტები, ისეთები, როგორიც ინდოეთში ჯავაჰარლალ ნერუ იყო, შვედეთში კი ულოფ პალმე, სწორედ ამერიკის ფრთებქვეშ აფარებდნენ თავს.

მეორე მსოფლიო და ცივი ომების პერიოდში მთავარი საკითხავი იყო არა ის, თუ რამდენად დემოკრატიული ან სულაც არადემოკრატიული გზით მოვიდა ვიღაც ხელისუფლებაში (ბოლოს და ბოლოს ადოლფ ჰიტლერი გერმანიაში კანცლერად აირჩიეს), არამედ ის, თუ ვის მხარეს იყო იგი.

სხვათა შორის, ყველა ქვეყანას არ აქვს დემოკრატიულობის უნარი.

მთელ არაბულ და ისლამურ სამყაროში ამერიკის მიმართ ესოდენ მოუთოკავი სიძულვილის პირისპირ ამერიკა კვლავ განმსაზღვრელი მომენტის წინაშე დგას: როგორია ახლა მსოფლიოში მისი მისია? რა უნდა იყოს ამერიკის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი?

რა გლობალური ამოცანა უნდა დაისახოს ამერიკამ ახლა, რომელი მიზნისკენ უნდა ისწრაფვოდეს თავისი ტრილიონდოლარიანი თავდაცვით, სპეცსამსახურებით, უცხოეთის დახმარების ბიუჯეტით, ყველა კონტინენტსა და მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში დაქსაქსული დიპლომატიური და სამხედრო დასწრებით?ბუშისეული „ახალი მსოფლიო წესრიგი“, ამერიკის სტრატეგიული ჩაქრობის, ასევე რუსეთის, ჩინეთისა და ისლამური სამყაროს წინააღმდეგობის გათვალისწინებით, უკვე ისტორიას ჩაბარდა.

ბუშ II-ის ჯვაროსნული ლაშქრობა „დემოკრატიისთვის“ და ობამას მიერ „არაბული გაზაფხულის“ მიღება გახდა პირობა იმისათვის, რომ ხელისუფლებებში მოვიდნენ ამერიკის სურვილების მიმართ გაცილებით ნაკლებად კეთილგანწყობილი ძალები, ვიდრე თავად ამერიკის სრული მხარდაჭერით დამხობილი დესპოტები და დიქტატორები იყვნენ.

სამივე წარმოდგენა ილუზია აღმოჩნდა. იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც წელიწადში 1 ტრილიონი დოლარით ვალების გაზრდის სიჩქარით მიექანება გაკოტრებისკენ და რომელიც გადაქანცა ჯვაროსნული ლაშქრობების საუკუნემ, ალბათ, შეიძლება გამოყენებულ იქნას ჯონ კუინს ადამსის სიტყვები: **„ამერიკა არ მიდის საზღვარგარეთ იმ ურჩხულების საძებნელად, რომლებიც უნდა განადგურდნენ. ის თავისუფლებისა და სრული დამოუკიდებლობის თაყვანისმცემელია. ის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მცველია, მაგრამ მხოლოდ საკუთარი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების“.**

© „ღონისძიების ორგანიზაციები“

სისხლიანი ყასბები

კადაფის მკვლელობა ევროპის ეკონომიკური კრიზისის გადაწყვეტის საშუალებაა. კადაფი დასავლურ ეკონომიკაში უზარმაზარ თანხებს აბანდებდა, მაგრამ ეს ხომ საჩუქარი არ იყო, ეს იყო ინვესტიციები, რომლებიც ადრე თუ გვიან უკან უნდა დაბრუნებულიყო. ახლა მოამარ კადაფი მოკლულია.

რატომ მოკლეს? რატომ დაეცა ბრძოლაში, როგორც ყოველთვის თავადვე ამბობდა? ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, მან თავად გადაწყვიტა, ტყვედ არ ჩავარდნილიყო, არადა, ეს შეცდომა იყო, რადგან კადაფის ბევრი რამის თქმა შეეძლო თავის პარტნიორებზე, რომლებიც ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ გულში იკრავდნენ მას, ხელს არ-თმევდნენ და მისი ფულის ხელში ჩაგდების სურვილით კანკალებდნენ. მეორეც, **იგი სარკოზისა და იმ ადამიანების დაკვეთით მოკლეს, რომელთა საარჩევნო კამპანიებისთვისაც ფულს ხარჯავდა. მოკლეს დასავლური ფინანსურ-სამრეწველო ისტებლიშმენტის შეთანხმებუ-**

ლი პოზიციის შედეგად — კადაფი უზარმაზარ ფულს აბანდებდა დასავლურ ეკონომიკაში.

ევროპაში კრიზისის პირობებში კადაფის მკვლელობა, ანუ იმ ფულის დაბრუნების აუცილებლობის მოსპობა, რომელიც დასავლეთმა კადაფისგან მიიღო, ევროპის ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი საშუალებაა.

ამ ომს ევროპისთვის უდიდესი ეკონომიკური სარგებელი ახლდა. იტალიაში, უმსხვილეს კონცერნებში, ფრანგულ კორპორაციებში დაბანდებულ ათობით მილიარდს ახლა უკან ვეღარავინ მოითხოვს. ამიტომაც მოკლეს კადაფი სასწრაფოდ და ბანდიტურად.

ამ ადამიანის მთავარი შეცდომა დასავლეთთან მოლაპარაკების, მსოფლიო ისტებლიშმენტის წევრობის სურვილი იყო. მას გულუბრყვილოდ სწამდა, რომ დემოკრატია, ჰუმანიზმი და სხვა დეკლარირებული ღირებულებები რეალურად არსებობს და ისინი, ვისთანაც საქმე ჰქონდა, არ წარმოადგენდნენ გამწარებული არამზადების ბანდას, რომლისთვისაც ყველაზე მთავარი ფული და ძალაუფლებაა. სწორედ ამ გულუბრყვილო რწმენამ მიიყვანა კადაფი სირტას ქუჩებში ტრაგიკულ აღსასრულამდე.

ის კაცურად მოკვდა. იძიებენ თუ არა შურს მამის მკვლელობისთვის მისი შვილები? აიშას შვილები დაუხოცეს, მისმა ახალშობილმა გოგონამ ჯერ კიდევ დედის მუცელში მიიღო კანტუზია იმის გამო, რომ ქალი ფრანგული ბომბების დარტყმის ქვეშ მოხვდა. აიშას ნამდვილად აქვს შურისძიების უფლება.

ახლა კარლა ბრუნსაც გოგონა შეეძინა, აიშას კი სარკოზის ოჯახთან პირადი ანგარიშები აქვს. თუ იგი ერთ მშვენიერ დღესაც მივა კარლა ბრუნთან, რათა უბრალოდ თვალებში ჩახედოს, თავისი დასისხლიანებული, ბომბებისგან დასახიჩრებული შვილების ფოტოები აჩვენოს, მაშინ გამოჩნდება, ვინაა სინამდვილეში კარლა ბრუნი — უაზრო ტოპ-მოდელი, რომელიც გლამურული ჟურნალების გარეკანზე გამოსაჩენად შიშვლდება, თუ ადამიანი, რომელსაც სულის რაღაც ჩანასახი მაინც გააჩნია. იმ დროისთვის უკვე ორსულ კარლა ბრუნს ერთი ცრემლიც

© „ღვასკვმაზე ეგვანაფლე“

არ ჩამოვარდნია მისი ქმრის მიერ აიშა კადაფის შვილების მკვლელობის გამო.

კადაფი ახალი ჩე გევარა ვერასდროს გახდება, თუნდაც იმიტომ, რომ ერნესტო ჩე გევარა დასავლურ ისტებლიშმენტში სატანას ხედავდა და მიიჩნევდა, რომ სატანასთან კომპრომისები და მოლაპარაკებები შეუძლებელია. იგი სატანას ხედავდა საბჭოთა კავშირშიც. თავის ცნობილ ალჟირულ გამოსვლაში მან განაცხადა, რომ საბჭოთა იმპერიალიზმი დასავლურზე უარესია, რადგან ის სოციალიზმის ნიღაბს ეფარება, სინამდვილეში კი განვითარებად ქვეყნებს აიძულებს, აიღონ შეკვეთები, ფული, იყიდონ საბჭოთა შეიარაღება. ჩე გევარა მოკვდა, როგორც ნამდვილი რევოლუციონერი, ადამიანი, რომელიც ცხოვრების მიზნად ხედავდა მხოლოდ თავისუფლებას, რევოლუციას, სოციალურ სამართლიანობას.

სიცოცხლის ბოლოს კადაფი, ალბათ, მიხვდა თავის შეცდომებს. რაღაც მომენტში მას სურდა, სასახლის კარზე ჯამბაზად, ეგზოტიკურ ბელადად ქცეულიყო. იგი ეპოლეტებიანი ლამაზი მუნდირით დადიოდა. კარლა ბრუნიც, სარკოზიც, ბერლუსკონიც, ტონი ბლერიც და ყველა მასთან იყო. ყველამ იცოდა, რომ ის უცნაურია, მაგრამ, ვინაიდან ყველას ალ-

მასებს, ბრილიანტების კოლიეს, ბენტლის, როლს-როისებს წარწერით „თავისუფლება, სამართლიანობა, თანასწორობა“ ჩუქნიდა, მის უცნაურობას ყველა ღებულობდა.

მაგრამ მერე გაირკვა, რომ კრიზისის დროს მათთვის კადაფის მოკვლა უფრო მომგებიანი იყო, რაც გააკეთეს კიდეც. საფასური უდიდესია და სწორედ ეს იყო ლიბიის ომის ნამდვილი მოტივი. და ეს ომი მძარცველებმა მოიგეს.

უკანასკნელ დღეებში კადაფი, ალბათ, მიხვდა, რაც გააკეთა და საკუთარ ცხოვრებას გადახედა, გაიაზრა საკუთარი შეცდომები და იმედია, აპატია თავის ლიბიელ ხალხს, რომელიც ასე უყვარდა და რომელსაც მიუძღვნა სიცოცხლე.

საშინელ სასამართლოზე კი, ალბათ, მოკითხავს სარკოზისაც, ბაროზუსაც, ბერლუსკონისაც და ყველას, ვინც ლიბიაში 25 ათასი ლიბიელი მოკლა იმ შავკანიანი გასტარბაიტერების გარდა, რომელთაც საერთოდ არავინ ითვლიდა, და ვინც 50 ათასი ლიბიელი დაასახიჩრა. მოკითხავს ყველას, ვინც ლიბიის ათობით ქალაქი დაარბია და არა მხოლოდ აიშა კადაფი, არამედ ათი ათასობით სხვა ლიბიელი ქალიც დააქვრივა.

© „ღიასკამბაზი“

მშვიდობის ნობელის რიგში ნატო დგას

ევროკავშირისთვის მშვიდობის ნობელის პრემიის მინიჭების შემდეგ ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა მთელი თავდაჯერებულობით განაცხადა, რომ ამ საპატიო ჯილდოს ჩრდილოატლანტიური ალიანსიც იმსახურებს. საბედნიეროდ, მის აზრს ყველა არ იზიარებს.

როგორც ჩანს, ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი სერიოზულად გაიტაცა ოცნებებმა. ისარგებლა რა ევროკავშირისთვის მშვიდობის ნობელის პრემიის მინიჭებით, ევროკავშირის თავმჯდომარის, ჰერმან ვან რომპეის, მიმართ მილოცვაში კაცობრიობას ნაჩქარევად შეახსენა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის განსაკუთრებული მისიისა და იმის შესახებ, რომ ევროკავშირი

სწორედ ნატოსთან ერთად აშენებდა „განახლებულ ევროპას“, რომ სწორედ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ემსახურება არა მხოლოდ კონტინენტზე, არამედ ლამის მთელ მსოფლიოში მშვიდობის, თანამშრომლობის, თავისუფლების, დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების მაღალ იდეალებს.

მილოცვაში გულახდილადაა მინიშნებული, რომ ნატოს გარეშე ევროპაში ომისშემდგომი შერიგების პროცესი ვერ წარიმართებოდა და ამიტომ ნობელის კომიტეტის მიერ ევროკავშირისთვის მიწერილი დამსახურებების არც თუ მცირე ნაწილი ალიანსის ანგარიშზეა ჩასაწერი. და რასმუსენის მისალოცი გზავნილის ტექსტის სტრიქონებს შორის არც ისე ძნელი ამოსაკითხია ქვეტექსტი: „რატომაც არ უნდა წარადგინოს მშვიდობის ნობელის პრემიაზე მადლიერმა ევროპამ თავად ჩრდილოატლანტიკური ალიანსი?“

ცხადია, გამჭვირვალე და გულუბრყვილო „ნობელის ამბიციები“ ნატოს გენერალური მდივნის მხრიდან სერიოზულ ადამიანებში მხოლოდ ღიმილს გამოიწვევს და თავად რასმუსენიც, საეჭვოა, თავისი ოცნებების ნობელის კომიტეტის რეალურ გადაწყვეტილებებში ახდენას იმედოვნებდეს. მაგრამ საპატიო ჯილდოსთან მიტმასვნის მცდელობაში იკითხება თავად ნატოს არსებობის გამართლების მცდელობა, ნატოს კი ცივი ომის დასრულების შემდეგ ძალიან სჭირდება დამატებითი ლეგიტიმიზაცია.

გამოწვევები, რომლებიც უსაფრთხოებას ემუქრება — ტერორიზმი ან კიბერსაფრთხეები — ტანკებითა და რაკეტებით ვერ განადგურდება. „საომარი ქირურგიის“ მეთოდებით არ იკურნება არც შიდაპოლიტიკური კონფლიქტები, რასაც ადასტურებს კოსოვოსა თუ ავღანეთში განვითარებული მოვლენები. რაც შეეხება ლიბიას, რომელსაც საავიაციო პრესინგით უპირებდნენ დემოკრატიზაციას ნატოს ბრძნული ხელმძღვანელობით, ახლანდელმა ლიბიამ ამერიკის ელჩის „კადაფიკაციის“ ჩათვლით საბოლოოდ დაადასტურა ნატოსეული დარტყმების მეთოდოლოგიის უპერსპექტივობა.

© „ღამისფრთიანი“

სხვაგვარად რომ ვთქვათ, რიგით ევროპელებს, რომლებიც იძულებულნი არიან, საკუთარი ჯიბიდან შეინახონ ეს უზარმაზარი სამხედრო მანქანა, მუდმივად უტრიალებთ კითხვა: რა საჭიროა ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ვარშავის შეთანხმების ლიკვიდაციისა და ცივი ომის დამთავრების შემდეგ? ამ კითხვების ნაწილობრივ მაინც შესარბილებლად კარგი იქნებოდა, თუ ნობელის კომიტეტი ნატოს მშვიდობისმყოფელურ მოღვაწეობას სათანადოდ შეაფასებდა და დააფასებდა კიდეც.

ბოლოს და ბოლოს, ევროკავშირის ნომინირებისას ნობელის კომიტეტს ხელი არ შეშლია იმით, რომ ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა მონაწილეობდა იუგოსლავიის დაბომბვებში, ერაყში შეჭრაში და მრავალტანჯული ლიბიის თავზე „ცის გადაკეტვაში“, ანუ არსებობს იმედი, რომ ასეთივე საცერში გახედავენ ნატოს დამსახურებათა სიას და მიუხედავად იმისა, რომ ალიანსმა უკვე არაერთხელ გამოიჩინა თავი ძალისმიერი „მისიონერობით“, გაეროს წესდების სურვილისამებრ, გაგებით, ძალის გამოყენების უმნიშვნელოვანესი პრინციპების იგნორირებით, სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უპატივცემულობით, მათ საშინაო საქმეებში ჩარევით მხოლოდ მის მიერ ნათეს სიკეთეს დაინახავენ.

სამწუხაროდ, დღევანდელი მსოფლიოს თვალთახედვიდან გამომდინარე, ნატოს მშვიდობის ნობელის კი არა, „საბრძოლო დამსახურებებისთვის“ მედლის იმედი თუ ექნება. მშვიდობის ნობელის მისაღებად ალიანსი საფუძვლიანად უნდა რეფორმირდეს, იქცეს ეფექტურ სტრუქტურად, იმოქმედოს გაეროს ეგიდის მკაცრად დაცვით, იბრძოლოს მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის მსოფლიოში...

თუმცა ძალიან საეჭვოა, რომ ნატოს გენერალური მდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის, აზრები ამ მიმართულებით ვითარდებოდეს.

ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკი დასავლური «დემოკრატიის» ნაცვლად

სააგენტო „Reuters"-ი იტყობინება, რომ საერთაშორისო ტრეიდერები შიშობენ გარიგებების დადებას მარიონეტულ პრონატოურ „ხელისუფლებასთან" და ლიბიაში ხორბლის მიწოდება პრაქტიკულად შეჩერებულია.

საერთაშორისო დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ლიბიის ეკონომიკური ზონა ხმელთაშუა ზღვაში შავ ხვრელად იქცა, საიდანაც, სარგებლობენ რა თევზის დაცვის ლიბიური სისტემის განადგურებით, მეთევზე-ბრაკონიერები ევროპის ყველა ქვეყნიდან დაეხეტებიან. ანალიტიკოსები იმაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ სომალიში მეკობრეების ინდუსტრია თავის დროზე სწორედ ამგვარად დაიწყო, როდესაც სომალიში სახელმწიფო სტრუქტურების გაქრობის შემდეგ ბრაკონიერმა-მეთევზეებმა ნელ-ნელა დაიწყეს თვითორგანიზება, ბანდებად გაერთიანება, ერთობლივი ბუღალტერიის წარმოება, დანაზოგით ჯერ ახალი გემების, შემდეგ კი იარაღის შეძე-

ნა. იარაღი თავდაპირველად თავდაცვისათვის იყო საჭირო, შემდეგ კი — გემების გასატაცებლად.

თავად „რევოლუციონერები“ ახლა არა მხოლოდ ომობენ ლიბიის განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან და ეროვნული წინააღმდეგობების რაზმებთან, რომელთაც სათავეში მოამარ კადაფის ვაჟი, სეიფ ალ-ისლამი უდგას, არამედ ერთმანეთითაც არიან დაკავებულნი. ლიბიის სხვადასხვა რეგიონის დემოკრატიულ მეთაურებს, განსაკუთრებით ზინტანის, ტრიპოლისა და ბენღაზის დაჯგუფებებს, შორის ამჟამად უწყვეტი საბრძოლო შეტაკებები მიმდინარეობს.

როგორც ალჟირის ერთ-ერთი წამყვანი საინფორმაციო პორტალი იტყობინება, ბენღაზელების დაჯგუფებამ ტრიპოლელ თანამოაზრეებთან ბრძოლის შემდეგ ხელში ჩაიგდო აეროპორტი. მასმედიის ცნობით, ტრიპოლის „რევოლუციური“ საბჭოს მეთაური აბდალა ნაკერი ეს-ესაა ფორმირებულ „ხელისუფლებას“ ჩამოგდებითაც კი ემუქრებოდა. ამ ხელისუფლების სათავეში ამერიკელი აბდელრაჰიმ ალ-კიბა დგას.

ეს ყველაფერი ხდება თავისუფლებისათვის მებრძოლი პრონატოელების მხრიდან დაუსრულებელი ძარცვისა და დარბევების გამო მშვიდობიანი მოქალაქეების მზარდი უკმაყოფილების ფონზე. გაზეთი „Telegraph“-ი წერს იმის თაობაზე, რომ ქვეყანაში გაჩაღებულია მასშტაბური ექსპროპრეაცია და „რევოლუციონერები“ იტაცებენ ნებისმიერ სასურველ ქონებას იმ პირობით, რომ რევოლუციის დასრულების შემდეგ დააბრუნებენ. კონტრრევოლუციასთან ბრძოლის საბაბით, გაზეთის წყაროების მტკიცებით, ახალი ხელისუფლებისთვის არასასურველ ადამიანებთან ანგარიშსწორება ხორციელდება.

დეკემბერში გამოქვეყნდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კომუნიკე, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ლიბიიდან გაიქცა ომამდე აფრიკის 19 ქვეყნიდან ლიბიის ჯამახირიაში ჩასული და იქ მომუშავე 200 ათასზე მეტი აფრიკელი.

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო გამოიძიებს დანაშაულებს, რომლებიც მა-

რიონეტული გარდამავალი ნაციონალური საბჭოს სამხედრო ქვედანაყოფებმა და ნატომ ლიბიაში ჩაიდინეს. პირველ რიგში, ეს ეხება ნატოს ავიაციის მიერ 11 აგვისტოს დასახლება ზლიტენის დაცხრილვას, რომლის შედეგადაც 85 მშვიდობიანი მოსახლე, მათ შორის 32 ქალი და 33 ბავშვი დაიღუპა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო გამოიძიებს პრონატოელი მებრძოლების დანაშაულებათა სხვა შემთხვევებსაც.

აი, რატომ მალავს ლიბიას დუმილის სქელი ფარდის ქვეშ მსოფლიო მასმედია: ლიბიაში დასავლური „დემოკრატიის“ ზეიმზე სათქმელი არაფერია.

© „ღვასრულმსჯველი“

დემოკრატიის სახელით...

პლანეტა მოლოდინისგან ერთ ადგილას გაიყინა. ყველა სულგანაბული მისჩერებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და ელოდა, თუ ვინ დაიკავებდა მთავარ სავარძელს თეთრ სახლში. სინამდვილეში მთელ პლანეტას ფეხებზე ჰკიდია, ვინ იქნება ამერიკის პრეზიდენტი, მაგრამ არავის კიდია ფეხებზე ის, თუ როგორ საგარეო პოლიტიკას გაატარებს ეს ადამიანი. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, მსოფლიოში ჯერ კიდევ შემორჩნენ გულუბრყვილო ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ აშშ-ის პრეზიდენტის შეცვლით ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა რამენაირად განსხვავებულ გზას დაადგება...

ყველა მოვლენა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა, იმაზე მიანიშნებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ისევე, როგორც საკუთარი თავის იმპერიად წარმომდგენ ნებისმიერ სხვა ქვეყანას, ერთადერთი და უცვლელი კურსი აქვს და ამ კურსის მიზანია ტოტალური მსოფლიო მბრძანებლობის მიღწევა ყველა არსებული რესურსის გამოყენებით. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ეს მსჯელობა გააკრიტიკოს და მას შეშლილი ამერიკანოფობის ბოდვა უწოდოს, მაგრამ ამაში არაფერია მიკერძოებული და ამ თვალსაზრისის გასამართლებლად მხოლოდ მსოფლიოს პოლიტიკური რუკის გადახედვაც კი კმარა. არ-

სებობს მსოფლიოში რეგიონი, რომელშიც ჯერ კიდევ არ მოუკიდებიათ ფეხი ან არ ცდილობენ ფეხის მოკიდებას ჩვენი „პარტნიორი“ ამერიკელები? ამგვარი რეგიონის ძებნას, შესაძლოა, უსასრულოდ ბევრი დრო დასჭირდეს.

დღეს უკვე შეიძლება საკუთარ თავს გამოუტყდე იმაში, რომ მსოფლიოს პოლიტიკური რუკა რეალობას არ შეესაბამება. მსოფლიოს პოლიტიკურ რუკად მოიაზრება დოკუმენტი, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოების საზღვრებს ასახავს. ენციკლოპედიური მონაცემების თანახმად, მსოფლიოში დღეისთვის 194 დამოუკიდებელი სახელმწიფო და 20 არამდგრადი პოლიტიკური სტატუსის მქონე ტერიტორიული ერთეული არსებობს. მაგრამ ეს, როგორც იტყვიან, დე იურე მონაცემებია, დე ფაქტო კი — მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მსოფლიომ კოლონიალური მსოფლიო წყობის ახალი ფორმა მიიღო. ამ ფორმის პირობებში მსოფლიო რუკაზე რეალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოები ერთი ხელის თითებზე ჩამოითვლება.

ის, რასაც ორპოლარული მსოფლიო ერქვა, სინამდვილეში იყო მსოფლიო, რომელსაც ორად ყოფდა ორი მეტროპოლია — აშშ და სსრკ. პოლიტიკური პოლუსები ერთმანეთთან კონფლიქტში იყვნენ, ამასთან, თავად მსოფლიოს მდგრადობა შეურყეველი რჩებოდა. ბირთვული იარაღის ქონა და ჯანსაღი აზრი არ აძლევდა საშუალებას მხარეთაგან არც ერთს, რომ თავისი მოწინააღმდეგისთვის ღია სამხედრო დარტყმის მიყენებით გადაეწყვიტა ესა თუ ის საკითხი. აქედან გამომდინარე, დაპირისპირება იატაკქვეშეთში მიმდინარეობდა და ხანდახან იჩენდა ხოლმე თავს „მესამე“ ტერიტორიებზე, რომლებიც გარემოებათა დამთხვევის წყალობით ან საერთოდ არ იყო პოლუსების ძალთა მოქმედების არეალში (ავღანეთი), ან გაყოფილი იყო ამ პოლუსებს შორის (ვიეტნამი, კორეა).

დრო მიდიოდა და რუკაც იცვლებოდა. დაპირისპირება ახალ ფაზაში გადადიოდა და 1991-მა წელმა მსოფლიოს იმის შესახებ ამცნო, რომ ორპოლარულ მსოფლიოს დიდი დღე აღარ ეწერა. პოლუსი ერთადერთი დარჩა, რაც,

© „ღვანლისმცოდნეობა ათასწლეულ“

ფაქტობრივად, დედაბუნების კანონებს ეწინააღმდეგებოდა. არადა, ჩვენ ხომ ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან ვიცით, რომ ბუნებაში არ არსებობს ერთპოლუსიანი მაგნიტები. თუ ფიზიკაში კანონებიდან უცნაური გადახვევები და გამონაკლისები გვხვდება, პოლიტიკაში კანონებზე საერთოდ არაა საუბარი: ყველა ცდილობს, იდაყვი გაჰკრას თა-

ვის უახლოეს მოწინააღმდეგეებსა თუ კონკურენტებს და როგორმე ზედაპირზე ამოტივტივდეს.

ომისშემდგომი მსოფლიოს კოლონიალური სტადია 1991 წლიდან სულ უფრო მეტად გამოვლინდა. სახელმწიფოები, რომლებიც თავს იმ აზრით იმშვიდებდნენ, რომ უზომოდ დამოუკიდებლები აღმოჩნდნენ, ვაშინგტონისთვის ერთგულების შეფიცვაზე გადავიდნენ და იმაზე ალაპარაკდნენ, თუ რამდენად ახლოსაა დემოკრატიული იდეალები მათი მმართველებისა და ხალხისთვის. ახლადგამომცხვარი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ლიდერები აუცილებლად უნდა ჩასულიყვნენ ვაშინგტონში, რომ იქ მათთვის მხარზე ხელი შემოერტყათ და შეექოთ. ამასთან, რაც უფრო მეტი პრეზიდენტი, პრემიერი თუ სხვა ფსევდოლიდერი აცხადებდა, რომ სამუდამოდ და უკან მიუხედავად განყვიტეს კავშირი კომუნისტურ წარსულთან, მით უფრო უხვსიტყვიანი იყო მათი მისამართით წარმოთქმული ქებაც, მეგობრობისა და მხარდაჭერის მით უფრო მეტ დაპირებას იღებდნენ ისინი მეტროპოლიისგან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც ჩანს, ზეიმობდნენ გამარჯვებას და ძლივს ასწრებდნენ სიაში მონიშვნების აღნიშვნას ახალი კოლონიების სახელების წინ. ახლა უკვე თავისუფლად შეიძლებოდა ამ კოლონიების მართვა თავიანთი ვასალების ადგილებზე დანიშვნით და ახალი და ახალი რესურსებით სარგებლობა.

მაგრამ, როგორც ყველა იმპერიის შემთხვევაში იყო, რომელსაც ძალის მხრივ საპირწონე არ ჰყავს, ამერიკის შეერთებულ შტატებსაც გადახდა შემდეგი ისტორია: ამ ქვეყანაში მსოფლიოს ტოტალური მბრძანებლობით თამაში დაიწყეს. ეს იმას ჰგავს, რომ ბავშვმა დიდხანს ითამაშოს ჯარისკაცობანა და შემდეგ საკუთარი თავისთვისაც მოულოდნელად რეალურ სამყაროშიც მოინდომოს ამ თამაშის გმირობა. ახალი და ახალი კოლონიების დაუფლების წყურვილმა დაიპყრო ამერიკის ხელმძღვანელი პირებისა და იმ ძალების ტვინები, რომლებიც ამ ხელმძღვანელების უკან დგანან. თამაში ნელ-ნელა გადავიდა იმ სტადიაში, რომლის დროსაც ამ ადამიანებმა საკუთარი თავისთვის დაიწყეს მტკიცება, რომ სწორედ ასე მოქცევა იყო საჭირო.

ამერიკელი ლიდერები ასი პროცენტით დარწმუნებულნი არიან, რომ, თუ მათ ჯარები შეჰყავთ ერაყში, ავღანეთში და შემდეგ ყველგან, ამით ამ ქვეყნების ხალხებს ეხმარებიან. მათ აბსოლუტურად ავიწყდებათ, რომ ეს კოლონიზატორული აქტივობის მორიგი გამოვლინებაა, რაც, როგორც ჩანს, უკვე ავადმყოფობად იქცა.

ამ სიტუაციას შეიძლება ამერიკის პოლიტიკური ელიტების ქრონიკული სინდრომი ეწოდოს. სინდრომი იოლად დიაგნოსტირდება, მაგრამ მთელი მსოფლიოს სამწუხაროდ, ამ სინდრომისგან განკურნება ჯერჯერობით არანაირ პოლიტიკურ ძალას არ შეუძლია. სინდრომი, როგორც ნებისმიერი ქრონიკული დაავადება, მკაცრად განსაზღვრულ დროის მონაკვეთებში ვლინდება: საპრეზიდენტო არჩევნებს შორის პერიოდში. კანდიდატობის პერიოდში ყველა პაცეფისტია და მსოფლიოს დამოუკიდებელ განვითარებას ჰპირდება, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებისთანავე ნებისმიერი არჩეული უმალ ხდება ზემოხსენებული სინდრომის მსხვერპლი და მისი წინასაარჩევნო დაპირებები ჰაერში ორთქლდება. სამაგიეროდ, ნაწვიმარ მიწაზე სოკოსავით მრავლდებიან ამერიკის სამხედრო ბაზები.

სიმართლე რომ ითქვას, დღევანდელი მსოფლიო ერთი დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური კოლონიაა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს ექვემდებარება. ამ კოლონიის ნაწილები კი ამა თუ იმ ხარისხით დამოკიდებულნი არიან მეტროპოლიაზე. ამერიკა იმავე კოლონიზატორული გავლენის მოხვევას ცდილობს რუსეთზეც და მის ყველა დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას, რომელიც თვალში არ მოუვა, საინფორმაციო ომით უპირისპირდება. არადა, რუსეთში ადრეც შეიარეს „ბატონებმა“ გარკვეული დროით, მაგრამ ეს ყველაფერი, როგორც ცნობილია, მდინარე უგრასთან დასრულდა... იქნებ ღირს, ახალ და ერთადერთ მეტროპოლიას იმპერიის ისტორია შევახსენოთ, თორემ, როგორც ჩანს, მათ სახელმძღვანელოებში ისტორიულ მოვლენებს სრულად არ აშუქებენ...

პენტაგონი წესიერების ნიღაბს იხსნის



როგორც ჩანს, „მსოფლიოში ყველაზე არასწორკუთხა ხუთკუთხედის“ (პენტაგონის შენობის) მაღალჩინოსანმა რეზიდენტებმა, რომლებმაც უკანასკნელი 12 წლის მანძილზე იუგოსლავიაში, ერაყში, ავღანეთსა და ლიბიაში საკმარისად „იცელქეს“, ბოლოს და ბოლოს შეიგნეს, რომ „დემოკრატიის ციტადელის“ საერთაშორისო იმიჯი დღეისათვის ის იოლად გადასამუშავებელი ფაფაა, რომელსაც ველარაფრით გააფუჭებ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უკვე შეიძლება თამამად მოისროლონ გვერდზე ყალბი მოკრძალებულობა და დიპლომატიური პოლიტკორექტულობა და იმოქმედონ პრინციპით: „თუ არ შეიძლება, მაგრამ ძალიან გინდა, ესე იგი შეიძლება“.

როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ამავე სამსახურის ხელმძღვანელ ვიქტორია ნულანდის განცხადებაშია ნათქვამი, აშშ წყვეტს ევროპაში ჩვეულებრივ შეიარაღებასთან დაკავ-

შირებული „გარკვეული ვალდებულებების“ შესრულებას რუსეთთან მიმართებაში, მაგრამ, ამასთანავე (სულგრძელობის გამო) ნებაყოფლობით საფუძველზე მაინც აცნობებს მას ევროპაში თავისი შეიარაღებული ძალების განლაგებაში „მნიშვნელოვანი ცვლილებების“ შესახებ. ამასთან, **მორიგი ანტირუსული აგრესიული დემარშის გამართლების მიზნით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მათთვის დამახასიათებელი ცინიზმი მოიშველიეს, რომ რუსეთმა ჯერ კიდევ 2007 წელს გადაწყვიტა, შეეჩერებინა შეთანხმების მიხედვით თავისი ვალდებულებების შესრულება.**

ამასთან დაკავშირებით საჭიროა იმის შეხსენება, რომ ლამის ხუთი წლის წინანდელი მოსკოვის გადაწყვეტილება იძულებითი ხასიათისა იყო, რამდენადაც ის პროვოცირებულ იქნა თავად აშშ-ის მიერ. ეს უკანასკნელი დიდი წარმატებით იყენებდა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმებას (ეს შეთანხმება ჯერ კიდევ მაშინ გაფორმდა, როდესაც ორი დაპირისპირებული ბანაკი არსებობდა — საბჭოთა, ვარშავის შეთანხმების სახით და ნატო) იმისათვის, რომ მოსკოვისთვის ხელ-ფეხი შეეკრა. კონკრეტულად ის უფლებას არ აძლევდა რუსეთს, ჩვეულებრივი შეიარაღების პერედისლოცირება მოეხდინა გერმანიის დასავლეთ საზღვრებთან ახლოს. ამ დროს კი ნატოს ძალები განაგრძობდნენ აღმოსავლეთით ექსპანსიას და სულ ახალ-ახალ საჯარო კონტინგენტებს განალაგებდნენ რუსეთის მეზობელ ალიანსის წევრ ქვეყნებში.

ამასთან, ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით, ყველაფერი „სუფთად“ იყო, თუ ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის ძველი პრინციპის მიხედვით ვიმსჯელებდით.

ბუნებრივია, ეს მდგომარეობა რუსეთის ფედერაციის სამხედრო უსაფრთხოებას პრობლემებს უქმნიდა, ამიტომ რუსეთი იძულებული გახდა, თავის მხრივ, შეთანხმების შესრულება შეეჩერებინა. რუსეთის მხარისთვის გადაწყვეტილების მიღების თაობაზე შეტყობინებისას სა-

ხელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ შექმნეს მშვიდობისმყოფელი ნაღმი, როგორც ყოველთვის, ახლაც ანტირუსულ მტრულ თამაშში.

ქალბატონ ნულანდის თქმით, **„შეერთებული შტატები ძველებურად დაიცავს შეთანხმებას და შეასრულებს ყველა ვალდებულებას ყველა წევრი სახელმწიფოს მიმართ, გარდა რუსეთისა, მათ შორის დაიცავს შეთანხმებით დადგენილ წესს ჩვეულებრივი შეიარაღებისა და ტექნიკის რაოდენობრივი შეზღუდვის დაურღვევლობის შესახებ. ჩვენ განვაახლებთ შეთანხმების სრულად შესრულებას რუსეთთან მიმართებაში, თუ რუსეთი განაახლებს თავისი ვალდებულებების შესრულებას,“** — აღნიშნავენ დოკუმენტის ავტორები. ეს თანამედროვე საერთაშორისო-დიპლომატიური ენიდან თარგმანში ნიშნავს, რომ **რუსეთს სთავაზობენ, ნებაყოფლობით და ცალმხრივად შეზღუდოს თავისი საფლანგო ჩვეულებრივი შეიარაღება.**

ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმებიდან აშშ-ის გასვლის შესახებ ქვეყნის ხელისუფლების ანონსი გააანალიზა ჟურნალ „ნაციონალური თავდაცვის“ მთავარმა რედაქტორმა იგორ კოროტჩენკომ:

— ნებისმიერი მინიშნება იმაზე, რომ რუსეთმა რამდენიმე წლის წინ ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო, სრულიად მოკლებულია მტკიცებულებებს. მოსკოვს, უბრალოდ, არ შეეძლო, სხვაგვარად მოქცეულიყო იმის გათვალისწინებით, რომ მაშინაც და დღესაც ალიანსს 4,5-ჯერ მეტი უპირატესობა აქვს რუსეთთან შედარებით ჩვეულებრივ შეიარაღებაში. აი, რატომაა პრიორიტეტული ამ შეთანხმებით რუსეთის შეშფოთება. მოსკოვმა ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ ნატოს ახალი წევრები ალიანსში შესვლის შემდეგ არ მოექცნენ შეთანხმებით გათვალისწინებულ შეზღუდვებში. კერძოდ, ეს ბალტიის ქვეყნებს ეხება. გამოდის, რომ ნატო განათავსებს აქ ნებისმიერ დაჯგუფებებს ნებისმიერი შეიარაღებით. ამასთან, ძველი შეთანხმების თანახმად, ეს შეთანხმების დარღვევა არც იქნება.

იმ დროიდან, რაც გაფორმდა და ძალაში შევიდა შეთან-

© „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ“

ხმება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ, რეალიები მნიშვნელოვნად შეიცვალა. რუსეთი გამოდიოდა ადაპტირებული შეთანხმების ხელმოწერის შეთავაზებით და მასში სამართლიანად იქნებოდა კვოტები გადანაწილებული. ასევე მკვეთრად გაიწერებოდა იმ შეიარაღების შემადგენლობა, რომელიც უნდა ჰქონოდათ შეთანხმების მონაწილეებს, მაგრამ ეს არ მოხდა. მიუხედავად რუსეთის მცდელობისა, მისი შეშფოთება არავინ შეისმინა და მისი პოზიციისკენ რაიმე შემხვედრი ნაბიჯი რა გადადგმულა. აქედან გამომდინარე, **რუსეთმა შეაჩერა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმებაში საკუთარი მონაწილეობა იმისათვის, რომ არ დაერღვია საფლანგო შეზღუდვების პრინციპი, რაც ძველი შეთანხმებით იყო დადგენილი, მითუმეტეს, რომ ნატო ჯიუტად აცხადებდა უარს, ხელი მოეწერა ახალ, ადაპტირებულ შეთანხმებაზე. რუსეთისათვის კი აუცილებელი იყო, ამ პირობებში გადაეწყვიტა თავისი სამხედრო უსაფრთხოების ამოცანა. სწორედ ამ მიზეზების გამო შეაჩერა მან შეთანხმების შესრულება.**

და სწორედ ამიტომაა, რომ ამერიკის ხელმძღვანელობის მხრიდან ამ ფაქტზე აპელირება მდგომარეობის შეგნებულად დაძაბვა იყო. აშშ დღესდღეობით ისედაც დომინირებს მსოფლიოში თავისი სამხედრო შესაძლებლობებით. ნატოს ბლოკი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 4,5-ჯერ აჭარბებს რუსეთის შესაძლებლობებს ჩვეულებრივ შეიარაღებაში და ამერიკელთა მხრიდან რუსეთის მაგალითის მოშველიება აბსოლუტურად არაკორექტულია. **ადაპტირებული შეთანხმება, რომელიც 1999 წელს მომზადდა, რუსეთის შეშფოთების მიზეზებს ითვალისწინებდა, მაგრამ ის არ შესულა ძალაში ნატოს ქვეყნების წყალობით. მათ შეთანხმების რატიფიცირების პროცედურა ჩაშალეს. საქმე ისაა, რომ მათ რატიფიცირება მიაბეს რამდენიმე ისეთ მომენტს, რომელსაც რუსეთი ვერაფრით დათანხმდებოდა. კერძოდ, იქ საუბარი იყო საქართველოში განლაგებულ იმ სამხედრო ბაზებზე, რომლებიც ახლა იქიდან უკვე გაყვანილია. გარდა ამისა, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეთანხმების ადაპ-**

ტირებული ვარიანტის რატიფიცირება უკავშირდებოდა დნესტრისპირეთიდან რუსული დაჯგუფების გაყვანასაც და ასე შემდეგ.

ყველა ეს პირობა ყურით მოთრეული იყო და წმინდა პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა.

უნდა ითქვას ისიც, რომ რუსეთის მხრიდან ამ პირობების შესრულების შემდეგაც კი არავინ იცის, დათანხმდებიან თუ არა ნატოს ქვეყნები შეთანხმების ადაპტირებული ვარიანტის რატიფიცირებას. აშშ-ის ამჟამინდელი გადაწყვეტილება ძალთა არსებულ განლაგებაზე განსაკუთრებულ გავლენას ვერ მოახდენს. რაზე შეიძლება საუბარი, როდესაც ნატოს რუსეთთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს. სხვა საკითხია, რომ არ მუშაობს ინსპექციის მექანიზმი და ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს ვაშინგტონის პოლიტიკის ორპირობას სტრატეგიული სტაბილურობის სფეროში.

ვისთვისაა მომგებიანი საერთაშორისო ტერორიზმი

ტერორიზმის თემა სულ უფრო აქტუალური ხდება — ყოველდღიურ ახალ ამბებში იტყობინებიან იმ ახალი ტერაქტების შესახებ, რომელთა მსხვერპლნიც სამოქალაქო პირები ხდებიან. ამასთან, ტერორის ტალღები ითრევენ არა მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებს, არამედ მთელ რეგიონებს. ტერორიზმი ზენაციონალურ გაგებად იქცა, ცალკეული სახელმწიფოების საზღვრებს გასცდა და საერთაშორისო მდგომარეობის განუყოფელ ნაწილად ჩამოყალიბდა.

რუსული სამართალი ტერორიზმს განსაზღვრავს, როგორც „ძალადობის იდეოლოგიას და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე ზემოქმედების პრაქტიკას, რომელიც დაკავშირებულია მოსახლეობის დაშინებასთან და/ან სხვა სახის სამართალდამრღვევ ძალადობრივ ქმედებებთან“, ანუ ნებისმიერი ტერორისტული აქტის მიზანია, აიძულოს მართვის ორგანოები, იმოქმედონ განსაზღვრული სცენარით, ამ მიზნის მიღწევის საშუალება კი მოსახლეობის დაშინებაა.

მრავალი მკვლევარი, ცდილობს რა, დაადგინოს უკანასკნელ ათ წელიწადში მთელ მსოფლიოში ტერორისტული

მოქმედებების გააქტიურების მიზეზები, იკვლევს თანამედროვე საზოგადოებას, შეისწავლის ტერორისტთა ფსიქოლოგიას, მიდიან დასკვნამდე, რომ **მზარდი სოციალური დაძაბულობა, საზოგადოების დანაწევრება, ცხოვრების დაბალი დონე, არასათანადო აღზრდა არის ის უმთავრესი მიზეზები, რომლებიც უბიძგებს ადამიანებს ტერორისტული აქტების განხორციელებისკენ.** ეს მეცნიერები იყენებენ ანალიზის მეთოდს კერძო შემთხვევიდან საერთომდე, ანუ შეისწავლიან მრავალ ტერორისტულ აქტს, გამოავლენენ მათ შორის მსგავსებებს და აკეთებენ შესაბამის დასკვნებს ტერორიზმის სოციალურ წარმომავლობაზე. ამგვარ დასკვნებზე შეკამათება ძნელია, რადგან, თუ ცალკეული ტერორისტის ცხოვრებას განვიხილავთ, ყველა ზემოჩამოთვლილი ელემენტი მის ცხოვრებაში ნამდვილად შეგვხვდება.

მიუხედავად ამისა, მსგავსი კვლევებით ვერ აიხსნება მთავარი — მიზეზები, რომლებიც ტერორისტებს უბიძგებს, წლიდან წლამდე გაზარდონ აქტივობა და მთელ მსოფლიოში ახალახალი ტერორისტული ორგანიზაციები ჩამოაყალიბონ. სიღატაკე, სოციალური დაძაბულობა, კლასობრიობა და ასე შემდეგ კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში არსებობდა, საერთაშორისო ტერორიზმი კი სულ ახლახან — 60-იანი წლების მიწურულს გაჩნდა. მის აპოგეად ათი წლის წინანდელი მოვლენები იქცა, როდესაც აშშ-ში, ნიუ იორკში ტყუპი ცათამბჯენი ააფეთქეს და ამერიკამ საერთაშორისო ტერორიზმთან ომის ეპოქაში შეაბიჯა.

იმ პირობებში, როდესაც კერძო შემთხვევის განზოგადება ვერ ქმნის სრულ სურათს, შეიძლება საპირისპირო მიმართულებით მოძრაობითაც შევეცადოთ მთავარი მიზეზების პოვნას.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ „ალ ქაიდას“ მსგავსი ტერორისტული ორგანიზაცია წარმატებით ახორციელებდეს თავის „მოვალეობას“? უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ფული, დიდი ფული. ზედმეტი არ იქნება კავშირები სხვადასვა პოლიტიკურ ძალებთან და ცალკეული ქვეყნების ლოიალობა, რათა მათ ტერიტორიებზე გან-

თავსდეს მებრძოლების მოსამზადებელი ბანაკები ან, უბრალოდ, საჭირო მომენტში მათი დამალვა შეიძლებოდეს.

ვის შეუძლია, რეგულარულად ხარჯოს რამდენიმე მილიონი დოლარი („ალ ქაიდას“ შემთხვევაში კი — რამდენიმე მილიარდი) ტერორისტული დაჯგუფების საქმიანობისათვის? ცხადია, რომ ამგვარი დანახარჯები, რომელთა აფიშირებაც არ შეიძლება, საკუთარ თავზე შეიძლება აიღოს ან სახელმწიფომ, ან ტრანსნაციონალურმა კორპორაციამ. ბუნებრივია, ფინანსები ორგანიზაციას „მესამე ხელით“ მიეწოდება. ფული ადრესატამდე შეიძლება მივიდეს ერთდღიანი ფირმების მიერ გაღებული შემოწირულობის სახით ან ნაღდი ფულის სახით, რისიც უამრავი ვარიანტი არსებობს.

სახელმწიფოებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ საერთაშორისო ტერორისტების დაფინანსების ფაქტს განაპირობებს ის მიზნებიც, რომელთაც ტერორისტული ორგანიზაციები ემსახურებიან. ამასთან, აუცილებელია ნამდვილი მიზნების დეკლარირებულისგან განსხვავება. მაგალითად, „ალ ქაიდა“ იბრძვის ისლამურ ქვეყნებში ელიტური რეჟიმების დამხობისა და „დიდი ისლამური ხალიფატის“ შექმნისთვის. მაგრამ აშშ-

სა და ევროპის ქვეყნებში განხორციელებული ტერაქტები, ისევე როგორც ამ ტერაქტების მიერ პროვოცირებული მოვლენათა ჯაჭვი ადასტურებს, რომ სინამდვილეში „ალ ქაიდას“ სულ სხვა მიზნები ამოძრავებს.

ტერორისტული ორგანიზაციები იმ სახელმწიფოთა პოლიტიკას ახორციელებენ, რომლებიც მათ აფინანსებენ, და თავიანთი არსით წარმოადგენენ ისეთსავე იარაღს, როგორიცაა შეიარაღებაში არსებული ტანკი ან თვითმფრინავი. განსხვავება ისაა, რომ, თუ ტანკებსა და თვითმფრინავებს ვერავინ გამოიყენებს ომის გამოცხადების გარეშე, ტერორისტებს შეუძლიათ იომონ მშვიდობიან პერიოდებშიც. ამ მხრივ ნებისმიერი ტერორისტული აქტი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთი სახელმწიფოს დივერსია მეორის მიმართ. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამგვარი დივერსიის მიზანი, როგორც წესი, არის არა მატერიალური დანაკარგები (ქვეყნისათვის ამგვარი დანაკარგები, ძირითადად, უმნიშვნელოა ხოლმე), არამედ საზოგადოებრივ აზრსა და საზოგადოების ცნობიერებაზე დარტყმა. შესაბამისად, **ტერორიზმი საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის შემადგენელი ნაწილია.**

ტერაქტის შემთხვევაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსაც, რომლებმაც სათანადო ადგილას უნდა გააჟღერონ ინფორმაცია ტერაქტის თაობაზე მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად. საჭირო თვალსაზრისის გამავრცელებელ მასმედიის მნიშვნელოვან ნაწილზე კონტროლი ასევე სერიოზული ფინანსური დანახარჯების საშუალებითაა შესაძლებელი.

მე-20 საუკუნეში იმ საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნამ, რომლებიც კრძალავს ღია სამხედრო აგრესიას (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია), და ნატოს მსგავსი ალიანსების ჩამოყალიბებამ აგრესიული პოლიტიკის გამტარებელი ქვეყნები აიძულა, საერთაშორისო არენაზე საკუთარი ინტერესების რეალიზებისთვის სხვა გზები გამოენახათ. სწორედ ამან შეუწყო ხელი მთელ მსოფლიოში ტერორისტული ორგანიზაციების გაფართოებას და საერთაშორისო ტერორიზმის, როგორც საერთაშორისო ინსტიტუტების გვერდის ავლით ომის წარ-

მოების საშუალების განვითარებას. „ნარინჯისფერი რევოლუციების“ ტექნოლოგიაც იმავე სერიის ნაწილია. ამიტომაც თანამედროვე ტერორიზმი განხილულ უნდა იქნეს არა როგორც სოციალური მოვლენა, არამედ როგორც პოლიტიკური და სწორედ ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე უნდა ხორციელდებოდეს პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიებაც.

ვაშინგტონის მიერ გამოცხადებული „ტერორიზმის წინააღმდეგ ომი“ მთელ მსოფლიოს შეეხო. ავღანეთსა და ერაყში ამ ომს ასიათასობით ადამიანი ემსხვერპლა და მათ შორის ათეულათასობითაა ოფიციალურად აღიარებული სამოქალაქო მსხვერპლი. განადგურებულ იქნა მსოფლიოს „ნომერ პირველი ტერორისტი“, რომელმაც ამ ომის სასხლეტ ღილაკზე თითის გამომკვრელი ტერორისტული აქტი განახორციელა.

გავიდა ათი წელი, მაგრამ რა შედეგი მოიტანა ტერორიზმის წინააღმდეგ ათწლიანმა ომმა? ორი ქვეყანა ოკუპირებულია ნატოს ჯარის მიერ, უსამა ბენ ლადენის ადგილი სხვა „ნომერ პირველმა ტერორისტმა“ დაიკავა, „ალ ქაიდამ“ მხოლოდ გაიმყარა პოზიციები და უშუალოდაც კი მონაწილეობს არაბულ რევოლუციებში; მთელ მსოფლიოში განუხრელად იზრდება ტერაქტების რიცხვი, ამ ომის მთავარი მომხრეები კი იმდენად გაერთნენ, რომ საერთაშორისო ნორმების დაცვაზეც კი უარი თქვეს (გაეროს მიერ ლიბიის რეზოლუციის დარღვევა). ყველა მოვლენა, რაც 9/11-ს მოჰყვა, ადასტურებს, რომ „ტერორიზმის წინააღმდეგ ომის“ ჭეშმარიტი მიზნები მნიშვნელოვნად განსხვავდება დეკლარირებულისგან.

2001 წლის 9 სექტემბრის მოვლენათა ოფიციალური ვერსიაც სულ უფრო მეტ ეჭვს იწვევს მსოფლიო საზოგადოებაში. ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი პირდაპირ აცხადებს, რომ, როგორც ინჟინერს, არ სჯერა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობების ჩამონგრევისა ავიალაინერის შეჯახების შედეგად. ოფიციალური მოხსენების თანახმად, ორივე კოშკში საშენი მასალა დადნა ნავთის წვის ტემპერატურაზე — 800 გრადუსზე. არადა, ამ მასალის დნობის ტემპერატურე 1450-1500 გრა-

დუსია. **ირანის ლიდერის აზრით, ცათამბჯენების ჩამონგრევისათვის შენობაში დიდი რაოდენობით ასაფეთქებლები იყო დამონტაჟებული, რაც მხოლოდ ამერიკულ სპეცსამსახურებს ხელეწიფებოდა. „ფალსიფიცირების ძირითადი მიზანი ამერიკის მიერ წამოწყებული ეგრეთ წოდებული ტერორიზმის წინააღმდეგ ომის გამართლება იყო. ამასთან, ამერიკელებს, უბრალოდ, საბაბი სჭირდებოდათ ავღანეთსა და ერაყში შეჭრისათვის,“** — განაცხადა აჰმადინეჯადმა.

როგორც იტყვიან ხოლმე, იგრძენით განსხვავება: თუ ავღანეთსა და ერაყში ომს წარმოვიდგენთ როგორც აშშ-ის სტრატეგიული ინტერესების რეალიზაციას, მაშინ მათ იქ მარტოებმა უნდა იბრძოლონ. მაგრამ, თუ ომს განვიხილავთ როგორც ტერორისტების გასანადგურებლად წამოწყებულ კამპანიას, მაშინ კოალიციის შეკრებაც კი შეიძლება. დავუჯეროთ ირანის პრეზიდენტს თუ მისი სიტყვები ფარსად და პროპაგანდად უნდა მივიჩნიოთ? ამას ყველა თვითონ გადაწყვეტს, მაგრამ იმაზე დავას, რომ მისი დასკვნები დიდწილად ლოგიკური და საფუძვლიანია, სავარაუდოდ, არავინ დაიწყებს.

მათ კი, ვისაც მორალური სახის ეჭვები გაუჩნდებათ და იფიქრებენ, შეუძლია კი ზოგიერთ სახელმწიფოს, დააფინანსოს ტერორისტები, რომლებიც ბავშვებსა და ქალებს ხოცავენ? შეუძლია. 1996 წელს მადლენ ოლბრაიტის გამოსვლა გაიხსენონ გადაცემაში „60 წუთი“. მაშინ წამყვანი დაინტერესდა ერაყის წინააღმდეგ სანქციების შედეგებით და უთხრა: „გავიგეთ, რომ ნახევარი მილიონი ბავშვი დაიღუპა. ეს უფრო მეტია, ვიდრე ხიროსიმაში მოკვდა. ღირდა კი ეს ამად?“ ოლბრაიტმა უპასუხა: „ვფიქრობ, რომ ეს ძალიან რთული არჩევანია, მაგრამ საფასური, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამად ღირდა“. მომდევნო წელს, 1997-ში, მადლენ ოლბრაიტი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნად დაინიშნა.

ისლამური ფუნდამენტალიზმი – საშველი ნატოსთვის

ეგვიპტეში, სირიაში, იემენსა და სხვა არაბულ სახელმწიფოებში არეულობები არ ცხრება. რა ხდება? ვინ აკეთებს ამას? რის მიღწევა სურთ? ვინ აფინანსებს ყოველივეს? და საერთოდ, რისთვისაა ეს საჭირო? დღესდღეობით მიმდინარე მოვლენების მთავარი პოსტულატი ავანტიურისტმა ჯერ კიდევ 2007 წელს გამოაცხადა: თუ აშშ არ დაანგრევს ენერგობაზარს, ძალიან მალე საქმე ცუდად ექნება. ეს მისთვის ერთადერთი შანსია, კვლავ კოლონიალური კონტროლი დაამყაროს დანარჩენ ქვეყნებზე.

თუ ამერიკელები ამით არ ისარგებლებენ, თვით ჰიპერინფლაციური შოკის სტრატეგიის გამოყენებითაც კი ყველაფერი მეტნაკლებად მწვავე ეკონომიკური კრიზისის გზით წავა — ევროპა მწვავე კრიზისის გზით, ჩინეთი — ნაკლებად მწვავე. აშშ-ს დე-ფაქტო გამორიცხავენ მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემიდან, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, მსოფლიო ბანკს დამარხავენ, დოლარის ანგარიშებს საერთოდ ამოშლიან

მოხმარებიდან, მათთვის დახურავენ ყველა ფინანსურ ბაზარს, უარს განაცხადებენ ამერიკულ საფონდო ბაზარზე ფულის დაბანდებაზე, ვალების რეალური ფასით დაბრუნებას მოითხოვენ და ასე შემდეგ. და რა უნდა ჭამოს ამერიკამ ამ შემთხვევაში? როგორ მოიპოვონ პური არსობისა კოლონიალური გადასახადების გარეშე? იცოდვილონ მომავალი ასი წელი როგორც ვიღაც უქონლებმა? ასეთი რამ ვინმეს წარმოუდგენია, რომ ამერიკა მომავალი 100 წლის მანძილზე უქონელ ღატაკად დარჩეს?

მაშ ასე, საჭიროა მესამე მსოფლიო ომი ახლო აღმოსავლეთში საბრძოლო მოქმედებების თეატრითა და ევროპასა და სხვა რეგიონებში პარტიზანული მოძრაობებით.

გასული საუკუნის 30-იან წლებთან უხეში შედარებით, აშშ-ისთვის აუცილებელია, კრიზისიდან ომის საშუალებით გამოსვლის მოსინჯვა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპისა და მთელი მსოფლიოს ეკონომიკა რომ არ დანგრეულიყო, აშშ დიდი დეპრესიიდან ვერასდროს გამოვიდოდა.

ვინ იყო მეორე მსოფლიო ომის დრაივერი? — ფაშიზმი.

ვინ იყო ფაშიზმის წამახალისებელი და დამფინანსებელი? — ამერიკის შეერთებული შტატები.

ფაშისტური მოძრაობა განავითარეს, გააფართოეს და დააფინანსეს. ფაშიზმმა კი მეორე მსოფლიო ომი გააჩაღა. შემდეგ მოიძებნა ხალხი, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად გაანადგურა ფაშიზმი. და მაშინვე მოიძებნა ხალხი, რომელმაც ისარგებლა ამ ომით. რა იყო აშშ-ისთვის მეორე მსოფლიო ომის მთავარი შედეგი? — მსოფლიო ეკონომიკის განადგურება, ცხადია, ფაშიზმთან ერთად; ამერიკის დეპრესიიდან გამოსვლა და მისი მსოფლიო ლიდერად, ჰეგემონად ქცევა მსოფლიო ეკონომიკაში. **რა იქნება მესამე მსოფლიო ომის მთავარი შედეგი ამერიკისთვის? მსოფლიო ეკონომიკის განადგურება, ცხადია... ერთად. აშშ-ის გამოსვლა დეპრესიიდან და მისი ლიდერად, ჰეგემონად ქცევა მსოფლიო ეკონომიკაში. ახლა რა ჩავსვათ მრა-**

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულ“

ვალწერტილის ადგილას? — სწორია, ისლამური ფუნდამენტალიზმი — ისლამის აგრესიული მიმართულება, მიმდინარეობა, რომელიც მუსლიმანების ცხოვრების წესის ყურანის მოთხოვნებისადმი დამორჩილებას და „მუსულმანური მიწების კოლონიზატორებისგან გათავისუფლებას“ ითხოვს.

მაგრამ დასაწყისისთვის საჭიროა ამ მიმართულების განვითარება, გაზრდა, შეიარაღება, შემდეგ კი მისი კაცობრიობის მთავარ მტრად გამოცხადება.

ამის შემდეგ აუცილებელი გახდება იმ ხალხის (ხალხების) პოვნა, რომლებიც მტერს გაანადგურებენ, ცხადია, მთელი მსოფლიოს ეკონომიკასთან ერთად.

მუსლიმანური ფუნდამენტალიზმის იდეისა და იარაღის კონცენტრაცია გამოცდილი ამერიკელი რეჟისორების ხელმძღვანელობით ძველი სცენარით მიდის მესამე მსოფლიო ომისკენ.

მაშ ასე, ისლამიზმის აგრესიული ფრთის განვითარებისა და გაფართოების პროცესი დაწყებულია.

№1. ეგვიპტე

აშშ-ის მხარდაჭერით სულ უფრო თამამად გამოჩნდნენ „ძმები მუსლიმანები“. ახლა ქაირო მათი შტაბ-ბინაა, მათი გაერთიანებული ფრაქციები მთელ მსოფლიოშია მოფანტული. ახლა, რევოლუციური მოვლენების შემდეგ, შეიძლება მთელი მსოფლიოს მუსლიმანურ ოპოზიციურ მოძრაობაში ქაირო მეთაურად გამოცხადდეს და ყველა ერთი დროშის ქვეშ დაირაზმოს, ერთ მუშტად შეიკრას. ეგვიპტის რევოლუციის შედეგებით მოხერხებულად ისარგებლეს „ძმებმა მუსლიმანებმა“. „გაზაფხულის“ კონფისკაცია დასავლეთმა მოახდინა, მისი მიღწევები კი „ძმებ მუსლიმანებს“ გადასცა.

№2. ტუნისი

ტუნისის ისლამური პარტია „აღორძინება“ დაუღალავად ქადაგებს თანასწორობას, როგორც თავისი მომავალი მმართველობის უმთავრეს პრინციპს. მაგრამ ისლამისტებმა დემოკრატია გაიტაცეს, დემოკრატია, რა-

ზეც ტუნისელები ოცნებობდნენ და ქვეყანაში „არჩევნების უკიდურესი სისუფთავით“ ჩატარების მქადაგებელი დასავლეთის მხარდაჭერით შეგულიანებულებმა თავდაჯერებით დაიწყეს მოძრაობა უმაღლესი ხელისუფლებისკენ.

ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების თანახმად, ზომიერად ისლამურმა პარტია „ან-ნაჰდამ“ გაიმარჯვა და ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში 217-დან 89 ადგილს დაიკავებს. ელიტურმა რესპუბლიკურმა პარტიამ „კონგრესი დემოკრატიისთვის“ 29 ადგილი მოიპოვა. მესამე ადგილზე 26 სავარძლით „სახალხო პეტიცია“ გავიდა. ტუნისის ამ დამფუძნელთა კრებამ ქვეყნის ახალი კონსტიტუცია უნდა დაწეროს.

№3. ლიბია

სავსებით ელიტური სახელმწიფო სუფთა მუსლიმანურ ქვეყნად იქცა. იქ გამარჯვებულმა რევოლუციონერებმა უმალ გამოაცხადეს, რომ ლიბიაში შარიათის კანონები უნდა შემოიღონ.

ექსპერტები ნატოსა და ისლამისტების კავშირს „კეთილსასურველ ქორწინებას“ უწოდებენ. ისლამისტებმა გარდამავალ ნაციონალურ საბჭოში რიგიანად შეავიწროეს ლიბერალები. უკვე გასაგები ხდება, რატომ მოხვდა ალიანსის იარაღი ფუნდამენტალისტების ხელში. ეს უკანასკნელნი მზად არიან, აღნიშნული იარაღი გამოიყენონ ნებისმიერის წინააღმდეგ, ვინც პრეზიდენტის სასახლისკენ მიმავალ გზაზე გადაეღობებათ.

№4. იემენი

იემენში რელიგიური ფანატიკოსები, რომლებიც საკუთარ თავს „ზომიერ ისლამისტებს“ უწოდებენ, ყველაზე ძლიერი და ყველაზე დაუნდობელი დაჯგუფებაა მათ შორის, ვინც სალეხის რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიოდა. მათ იდეოლოგიაში სიახლე არაფერია, არც დემორატიული და არც ლიბერალური. თუ ისინი ხელისუფლებაში მოვლენ, დასავლეთი კი უკვე განიხილავს ამგვარ შესაძ-

ლებლობას, იემენელები გამოემშვიდობებიან ცხოვრების გაუმჯობესების იმედებს, რადგან მათი რევოლუცია უკვე დაექვემდებარა კონფისკაციას.

იქაურ „ალ ქაიდას“ სათავეში უდგას იემენელი ნასარ ალ-ვახიში; მისი მარჯვენა ხელი საუდეველი საიდ აშ-შუხრია. მათი ხელმძღვანელობით დაჯგუფება ძალზე სწრაფად გაიზარდა როგორც რაოდენობრივად, ასევე საბრძოლო პოტენციალის მხრივ. ბოევიკების რაზმების შემდუღაბებელია მოძრაობის მთავარი იდეოლოგი იმამი ანვარ ალ-აულიაკი, ისლამისტი მოძღვარი, რომელმაც საინჟინრო განათლება აშშ-ში მიიღო. იგი ისლამურ სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ მქადაგებლად მიიჩნევა. ალქაიდელებმა მთავარი პლაცდარმის შექმნა ღრმა სამხრეთით, სეპარატისტების მზარდი მოძრაობის შუაგულში მოინდომეს. სეპარატისტების მიზანია, იემენის სამხრეთი დამოუკიდებელ წარმონაქმნად აქციონ და ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებიდან გამოყონ. სულ რაღაც ათი მილის მოშორებით განუწყვეტლივ მოძრაობენ ნავთობტანკერების ქარავნები. აქ მსოფლიოს მთავარი ნავთობარტერია გადის.

№5. თურქეთი

თურქეთის ერაყში შეჭრის იდეა თანდათან მწიფდება. თუ ეს შეჭრა დროში გახანგრძლივდება, მას სერიოზული შედეგები მოჰყვება, უპირველესად, თურქეთისა და ახლო აღმოსავლეთის, შემდეგ კი მთელი მსოფლიოსთვისაც.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩრდილოეთ ერაყში სრულმასშტაბიანი შეჭრის იდეა თურქეთის ხელისუფლებას, დიდი ხანია, აწვალებს, მაგრამ ამ იდეას თურქეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო მეთაურობა არ იზიარებდა. არ იზიარებდა, რადგან მშვენივრად ესმოდა ამ ნაბიჯის ყველა შედეგი.

მიმდინარე წლის ზაფხულში მთელი სამხედრო მეთაურობა, უკლებლივ ყველა სახეობის ჯარის მთავარსარდალი თანამდებობიდან დაითხოვეს. **მხოლოდ სამხედროების დამსახურებით რჩება თურქეთი ელიტურ სახელმწიფოდ და გზას არ აძლევს მუსლიმანურ ფუნდამენტალიზმს. რა შედეგებით დასრულდება ერაყში სამხედრო შეჭრა? სავარაუდოდ, — თურქეთის ეკონომიკის სრული ნგრევითა და მარცხით. ვის დაადანაშაულებენ ყველა უბედურებაში? — სამხედროებს.**

დასრულდა. სამხედროები თურქეთის საზოგადოებაში გავლენას დაკარგავენ და თურქეთი დაუყოვნებლივ გახდება ირანი №2. ამით მუსლიმანური ფუნდამენტალიზმი — ისლამის აგრესიული ფრთა გაფართოვდება.

„მტრული წნეხისადმი“ გაცილებით მდგრადები აღმოჩნდნენ სპარსეთის ყურის სახელმწიფოები. მათ მოახერხეს უკონფლიქტო სამოქალაქო საზოგადოების აშენება, რითაც თეირანელი მულების დაუძინებელ მტრებად იქცნენ: ისინი აიათოლას მონარქიას ვერ დაუქვემდებარეს. ირანისადმი მტრულ განწყობას ისინი არც მალავენ. შიიტებთან ურთიერთობებს აწყობენ, მათთან კონფლიქტებს მშვიდობიანად აგვარებენ. რეგიონში სამეფო ხელისუფლებას თვალის ჩინივით უფრთხილდებიან და გზას უჭრიან ისლამისტების ყველა მისწრაფებას —

ზომიერსაც, პოლიტიკურსაც და რადიკალურსაც. მაგრამ ჩნდება ცნობები იმის შესახებ, რომ **დასავლეთის სპეცსამსახურები მხარს უჭერენ და ეხმარებიან ისლამურ მოძრაობებს, რომელთაც შეუძლიათ შეუძლებელი მოახდინონ — სპარსეთის ყურეში ერრიადის გავლენას ბოლო მოუღონ.**

ფუნდამენტალისტების კანონზომიერ შეიარაღებაზე სალაპარაკოც არაფერია. 1 ნოემბერს „ინტერფაქსის“ ლონდონის განყოფილება იტყობინებოდა, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ ლიბიის ხელისუფლებას დაავალა, არ დაუშვას კადაფის კუთვნილი გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებისა და სხვა შეიარაღების ბოევიკებისა და ტერორისტების ხელში მოხვედრა.

როგორც ბრიტანული სატელევიზიო კომპანია „ბი-ბი-სი“ იტყობინებოდა, რუსეთის მიერ შეთავაზებული რეზოლუციის პროექტის მხარდაჭერა გამოხატა უშიშროების საბჭოს ყველა წევრმა.

მოსკოვი შეშფოთებას გამოთქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ ლიბიაში მიმდინარე კონფლიქტისას იარაღის მნიშვნელოვანი ნაწილი უპატრონოდ დარჩებოდა და შეიძლებოდა საზღვარგარეთ გასულიყო.

გაეროს უშიშროების საბჭომ ასევე მოუწოდა ხელისუფლებას ტრიპოლში, გაენადგურებინა მთელი არსებული ქიმიური იარაღი უფლებამოსილ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მკაცრი კოორდინაციის პირობებში.

თავის მხრივ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა და გაეროს ორგანოებმა ლიბიის მთავრობასა და რეგიონის სახელმწიფოებს ხელი უნდა შეუწყოს შეიარაღების გაუვრცელებლობაში, — ნათქვამია რეზოლუციაში.

აშშ-ის მონაცემებით, სამხედრო კონფლიქტის დაწყებამდე ლიბიის ტერიტორიაზე არსენალებში ინახებოდა დაახლოებით 20 ათასი გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი. მათი ნაწილი ნატოს ავიადარტყმებისას განადგურდა, მეორე ნაწილი მეამბოხეებმა ნადავლის სახით ჩაიგდეს ხელში, მაგრამ შეიარაღების არც თუ მცირე ნაწილი, უბრალოდ, მოიპარეს.

თუნდაც 20 ცალი გადასატანი საზენიტო-სარაკეტო

კომპლექსი ისლამისტების ხელში არის 20 ჩამოგდებული სამგზავრო თვითმფრინავი.

შეიარაღების უდიდეს რაოდენობას ჩაიგდებენ ხელში ფუნდამენტალისტები იმ არაბულ ქვეყნებში, სადაც ისინი ხელისუფლებაში მოვლენ, მთელ მსოფლიოში მოდებულ ფუნდამენტალისტებში ამ იარაღის გავრცელება კი მსოფლიოს მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებს.

№6. ევროპა

ისლამი დედამიწაზე ყველა მიმართულებით წარმოუდგენელი სისწრაფით ვრცელდება. უკანასკნელ 25 წელიწადში მუსლიმანების რაოდენობა ზუსტად სამჯერ გაიზარდა და ისტორიაში პირველად გადააჭარბა ქრისტიანებისას. თუ 1973 წელს მუსლიმანთა რაოდენობა 500 მილიონს უტოლდებოდა, ახლა ეს რიცხვი 1,5 მილიარდს უტოლდება.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, პლანეტის ყოველი მეოთხე მოსახლე მუსლიმანია. ეს გავრცელება იმდენად თავბრუდამხვევია, რომ ის არნახულ გავლენას ახდენს მათზე, ვინც ყოყმანობს და საბოლოოდ ისინი ისლამს იღებენ. ისლამი მსოფლიო იდეოლოგია ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანების რაოდენობა იზრდება, არ შეიძლება საუბარი ერთიან საზოგადოებაზე ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. ერთის მხრივ, არის ავღანეთი, ალჟირი — ქვეყნები, სადაც რადიკალური ისლამი მეფობს, მეორე მხრივ — ეკონომიკური უფსკრული აფრიკის უღატაკეს სახელმწიფოებსა და ირანსა და ერაყს (ნავთობის იმ მონარქ-მილიარდერებს შორის, რომლებიც საკუთარ თავში გეოპოლიტიკური პოტენციალს მალავენ) შორის; ამას ემატება ნაციონალური შუღლით ფეოდალურ კროსვორდად ქცეული პაკისტანი, პალესტინა, ბოსნია და ბოლოს კოსოვო...

მაგრამ შედეგი ერთი და იგივეა. მიუხედავად შიდა წინააღმდეგობებისა, თანხმობისა თუ უთანხმოებისა, ისლამი, ახდენს რა შიდა რესურსების მობილიზებას, მაინც იქცევა მძლავრ ერთიანობად და მოძრაობაში მოჰყავს ის-

ტორიის ბორბალი, ვრცელდება მთელ მსოფლიოში და ერთიან იდეოლოგიად ყალიბდება.

მუსლიმანების რაოდენობის ზრდის კიდევ ერთი ფაქტორი შობადობის მაღალი მაჩვენებელია. სოციოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ მხოლოდ არაბულ ქვეყნებში 2025 წლამდე მუსლიმანური მოსახლეობა გაორმაგდება.

ევროპაში 17 მილიონ ემიგრანტ-მუსლიმანს ასი ათასობით ევროპელი მიემატა. მათ მუსლიმანობა მიიღეს. ანალიტიკოსთა პროგნოზები კი ასეთია: **ევროპა მუსლიმანების ხელში შეიძლება მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ კარტად იქცეს.**

ახლახან გამოცემულ წიგნში „ისლამის მიმღებები: ისლამი ევროპაში“ მკვლევარები აღნიშნავენ, რომ დიდი ხნის მანძილზე მუსლიმანები ევროპას აღიქვამდნენ როგორც პროვინციას, რომელიც შიდა განვითარების პროცესების შედეგად ისლამის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად იქცევა.

ერთ-ერთი ისლამური ცენტრის ხელმძღვანელის მიერ

ნახევრად ხუმრობით ნათქვამი იმის შესახებ, რომ 50 წლის განმავლობაში ევროპა ისლამური გახდება ან ისლამის ძლიერი გავლენის ქვეშ მოექცევა, ევროპის ქრისტიანებს უკვე თავზარს სცემს. ეს მოვლენა განპირობებულია არა იმდენად აღმოსავლეთის ქვეყნებიდან იმიგრანტების ნაკადებით, რამდენადაც იმით, რომ კომუნიზმის კრახისა და კაპიტალიზმის შიდა დეგრადაციის შემდეგ ისლამი მსოფლმხედველობის ალტერნატივად განიხილება.

ბოლო ოც წელიწადში დასავლეთ ევროპაში მცხოვრები მუსლიმანების რაოდენობა განუხრელად იზრდება — 1990 წლის თითქმის 10-მილიონიანი მაჩვენებლიდან 2010 წლამდე თითქმის 17 მილიონს მიაღწია. ისლამური მოსახლეობის ზრდა თანდათან უმატებს გრადუსს ამასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ-სოციალურ პრობლემებს. სულ უფრო დაძაბულად მიდის მსჯელობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ევროპის საზოგადოებაში რელიგიის ადგილი, ქალების როლი, იმიგრანტების უფლებები და მოვალეობები, ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერა და ასე შემდეგ.

სრულფასოვან დისკუსიას ის ფაქტი ართულებს, რომ ზოგიერთი ევროპელი მუსლიმანი პირდაპირაა დაკავშირებული ევროპის საზღვრებს გარეთ ბაზირებულ რელიგიურ გაერთიანებებსა და მოძრაობებთან. სამართლიანია ეს თუ არა, აღნიშნულ ორგანიზაციებს ხშირად ადანაშაულებენ ევროპულ საზოგადოებაში მუსლიმანების ინტეგრაციისთვის წინააღმდეგობების შექმნაში და ხანდახან მათვე ბრალდებათ რადიკალური განწყობისა და ექსტრემიზმის მატება.

ესეც მესამე მსოფლიო ომის საბრძოლო მოქმედებების თეატრი.

მსოფლიო ეკონომიკის გასანადგურებლად ყველაფერი მზადაა.

აშშ მესამე მსოფლიო ომში პირდაპირ მონაწილეობას არ მიიღებს. შესაძლებელია მცირე ოპერაციები ომის დასასრულს, როგორც ეს 1945-ში იყო.

და როგორც ყოველთვის, ამერიკა კვლავ თეთრი და ფუმფულაა.

© „ღონისძიების ანგარიში“

როგორ ქაჩავს აშშ ფულს მსოფლიოდან

იმის განხილვა, თუ როგორ ქაჩავს აშშ ფულს მთელი მსოფლიოდან, ეკვატორული გვინეის კლასიკურ მაგალითზე შეიძლება. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მშვენივრად აითვისა სხვა სახელმწიფოებთან უდანაკარგოდ თანამშრომლობის ტექნოლოგია. ჩინურ იმპორტზე დახარჯული მილიარდები შეიძლება უკან დაბრუნდეს პეკინისთვის სახაზინო ობლიგაციების მიყიდვის გზით. საუდის ნავთობის შესაძენი მზარდი დანახარჯები იოლად შეიძლება ანაზღაურდეს არაბებისთვის იმდენი იარაღის მიყიდვით, რომ ნავთობის ფასი რამდენიმე წლით ადრეც იქნება გადახდილი. ის ფულიც კი, რომელსაც ამერიკელები განვითარებად ქვეყნებში ჩინოვნიკების მოქრთამვისთვის იყენებენ, თურმე თავისუფლად შეიძლება უკან დაბრუნდეს. ამისათვის საკმარისია იმ აქტივების კონფისკაცია, რომლებიც ამ ქრთამებითაა შეძენილი.

25 ოქტომბერს ამერიკის იუსტიციის სამინისტრომ შეიტანა ორი სარჩელი კალიფორნიასა და ვაშინგტონში. სა-

რჩელებში მოთხოვნილია ეკვატორული გვინეის აშშ-ში მდებარე სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის 71 მილიონი დოლარის ქონების კონფისკაციის შესახებ. მინისტრს ადანაშაულებენ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში, მექრთამეობაში და ფულის გათეთრებაში. კონფისკაციას უპირებენ თვითმფრინავს (38 მილიონი დოლარი), მალიბუში მდებარე აპარტამენტებს (30 მილიონი დოლარი), რამდენიმე ავტომობილსა და მაიკლ ჯექსონის პირად ნივთებს, რაც საერთო ჯამში დაახლოებით 2 მილიონი ღირს.

აშშ პირველად არ დასდევს კორუმპირებულ უცხოელ ჩინოვნიკებს, მაგრამ ეს მაინც განსაკუთრებული შემთხვევაა. გვინეელ მინისტრს თეოდორო ობიანგ-უმცროსი ქვია. მისი მამა, თეოდორო ობიანგ-უფროსი, უკვე 32 წელია, სათავეში უდგას აფრიკის ყველაზე მდიდარ ქვეყანას ეკვატორულ გვინეას და გადადგომას არც აპირებს. აშშ-ს სურს, ქვეყნის მოქმედი მეთაურის საზღვარგარეთული ქონების კონფისკაცია, თანაც არა რაიმე ეკონომიკური სანქციის ფარგლებში, არამედ, უბრალოდ, „მექრთამეობის, გამომძალველობისა და ბუნებრივი რესურსების დატაცებისათვის“.

ეს ყველაფერი ახალი „კლეპტოკრატიური ინიციატივის“ ფარგლებში ხდება, რაც ობამას ადმინისტრაციამ ჯერ კიდევ შარშანდელი წლიდან წამოიწყო. თავად პრეზიდენტის თქმით, ეს ინიციატივა „უნდა დაეხმაროს დემოკრატიულ მმართველობებს მათი ერისათვის მოპარული აქტივების დაბრუნებაში“. მისი ნოვატორობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ამერიკის ხელისუფლება კორუფციული ქონების კონფისკაციას დაიწყებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც თავად კორუფციონერის მიმართ სასამართლოს ჩატარება შეუძლებელია მისი იმუნიტეტის ან აშშ-ის იურისდიქციაში არყოფნის გამო.

ვაშინგტონი უკვე მრავალი წელია, აჯარიმებს ამერიკულ კომპანიებს, რომლებსაც უცხოელი ჩინოვნიკების ქრთამებთან კავშირი დაუტკიცდათ, მაგრამ ახლა ქონებრივი დანაკარგები ელით მათაც, ვისაც ეს ქრთამები თვა-

ლითაც არ უნახავს. მექრთამის მშობლიური ქვეყნის თანხმობა ამ ყველაფრისთვის საჭირო არაა. ობიანგ-უფროსს ამერიკის იუსტიციის სამინისტროსთვის არ ჩაუბარებია თავისი შვილი და მემკვიდრე; პირიქით, ის აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე გულუხვი და ლოიალური მოკავშირე იყო. მაგრამ ვაშინგტონში გადაწყვიტეს, რომ გვინეელმა კორუფციონერებმა ძალზე შორს შეტოპეს.

გასაგებია, რომ გვინეის ხელისუფლებას ყველაზე მეტ ქრთამს სწორედ ამერიკული ნავთობკომპანიები უხდიან; სხვაგვარად როგორ გამოვიდოდა, რომ რეჟიმი მთლიანად კორუმპირებულია, ამერიკელები კი იქ საუკეთესო ნაჭრებს ეუფლებიან. აშშ გვინეის ნავთობის მთავარი მყიდველია. სწორედ ამერიკელებმა გახსნეს იქ ნახშირწყალბადების პირველი საბადო 90-იან წლებში. ტყუილად არ უწოდებდა კონდოლიზა რაისი უფროს ობიანგს GOOD FRIEND-ს, ობამა კი მეტროპოლიტენ-მუზეუმში მასთან ერთად სურათებს იღებდა.

იდეაში კონფისკაციის შედეგად ამოღებული სახსრები ვაშინგტონმა დაზარალებული ქვეყნის ახალ, დემოკრატიულ მმართველობას უკან უნდა დაუბრუნოს. მაგრამ ეკვატორულ გვინეაში კვლავაც ობიანგია მმართველი და აბსოლუტურად ღიად ამზადებს თავის შვილს საკუთარ მემკვიდრედ. ამიტომ დემოკრატიული მმართველობა, რომელსაც ობიანგების მოპარული და ამერიკის მიერ ჩამორთმეული ქონება დასჭირდება, იქ კიდევ კარგა ხანს არ იქნება.

მსახურებისთვის უვარგისია



აშშ-ის შეიარაღებული ძალების უცნობ შინაგან სამყაროში მოგზაურობა 2008 წლის მარტის წვიმიანი სამშაბათის დილით შტატ ფლორიდაში ქალაქ ტამპის ძებნით დაიწყო. მიზანი ფორესტ ფოგარტთან შეხვედრაა. ეს არის ამერიკელი პატრიოტი, რომელიც ერაყში ამერიკის არმიის შემადგენლობაში ორი წელი მსახურობდა. ფოგარტი ამავე დროს თეთრკანიანთა ბატონობის მომხრეა და მათი წარმომადგენელი, ვინც სერიოზულად ეთაყვანება ჰიტლერს. შეხვედრა შედგა მის საყვარელ რესტორან „Winghouse Bar & Grill"-ში. მანამდე კი ხანმოკლე სატელეფონო საუბარში ფოგარტმა საკუთარი თავის ამოსაცნობად ასეთი მინიშნება გააკეთა: „მოძებნეთ ტატუებიანი სკინხედი". მართლაც, იგი მთლიანად დაფარული აღმოჩნდა ტატუებით, თმა მოკლედ ჰქონდა შეჭრილი და ბიცებსები საგრძნობლად გამობერილი.

როგორც ფოგარტი ყვებოდა, ლოს-ანჯელესის საშუალო სკოლაში მას აწვალებდნენ მექსიკელი და აფროამერიკელი ბავშვები და მხოლოდ თოთხმეტი წლის იყო, რო-

დესაც გადაწყვიტა, ნაცისტი ყოფილიყო. ახლა მას საკუთარი მრწამსის სულაც არ ერიდება. როდესაც მის ახლოს შავკანიანები აღმოჩნდებიან, ბუზღუნს იწყებს და ამბობს, რომ არ სურს, მათ სიახლოვეს შავკანიანები იყვნენ, არ სურს მათი დანახვა.

ახალგაზრდობაში ფოგარტი გატაცებული იყო იან სტიუარტ დონალდსონით, ბრიტანულ ჯგუფ „Skrewdriver“-ის ლეგენდარული მომღერლით, რომელსაც ნეონაცისტურ მუსიკალურ სამყაროში ეთაყვანებიან, როგორც ნამდვილ გმირს. 16 წლის ფოგარტს უკვე ამშვენებდა პირველი ტატუ მხარზე, ნეონაცისტების ნიშანი — **სეკირათი შეიარაღებული ვიკინგის გამოსახულება.** სულ მალე მან ახალი ტატუ გაიკეთა. ამჯერად დაიხატა **კელტური ჯვარი,** რომელიც ასევე ნეონაცისტების „შეიარაღებაში“ შემავალი ირლანდიური სიმბოლოა. რამდენიმე წლის შემდეგ მან საკუთარი მუსიკალური ჯგუფი ჩამოაყალიბა და „შეტევა“ უწოდა. ახლა ეს აშშ-ში ერთ-ერთი უდიდესი ნაცისტური ჯგუფია, თუმცა მის მთავარ სამუშაოს ეს არ წარმოადგენდა. **„სკოლის დამთავრების შემდეგ ლანდშაფტის დიზაინის სფეროში ვმუშაობდი. რაღაცნაირად მივეჩვიე ამას. არ მადარდებდა, რასაც ვაკეთებდი, უბრალოდ, ვსვამდი და ვჩხუბობდი“,** — ამბობს ახლა.

მომავალი რვა წლის მანძილზე მან უამრავი სამუშაო ადგილი გამოიცვალა მშენებლობებსა და გამწვანების სამსახურებში. სწორედ იმ პერიოდში დაუკავშირდა იმ დროისთვის აშშ-ის ერთ-ერთ უდიდეს ნეონაცისტურ ორგანიზაციას — **„ნაციონალურ ალიანსს“.**

ფოგარტი აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში ჩაწერილი პირველი ექსტრემისტი არაა. ნეონაცისტური მოძრაობა, დიდი ხანია, მჭიდრო კავშირშია აშშ-ის შეიარაღებულ ძალებთან. ორგანიზაციის დაარსების წუთიდანვე თეთრკანიანთა ბატონობის მოძრაობის ლიდერები იწონებდნენ და აფასებდნენ თავიანთი წევრების არმიაში შესვლას. ისინი ამას განიხილავენ, როგორც საშუალებას საკუთარი მიმდევრებისთვის, გაიარონ საბრძოლო მომზადება და მიიღონ იარაღთან ურთიერ-

თოგის გამოცდილება, რასაც უხვად სთავაზობს აშშ-ის ხელისუფლება, შემდეგ კი ამ გამოცდილებით დაბრუნდნენ სახლში, რათა იქ აწარმოონ რასობრივი ომი. ყველა ულტრამემარჯვენე დაჯგუფება არ ეთანხმება ამას, ზოგიერთი, მაგალითად, კუ-კლუკს-კლანი აცხადებს, რომ დემოკრატიულ მიდგომას ამჯობინებს, მაგრამ მოძრაობის დიდი ნაწილი თავს მეამბოხე ძალად მიიჩნევს, ამგვარი მიდგომისას კი პროფესიონალური სამხედრო მომზადება აუცილებელი პირობაა.

აშშ-ის ხელისუფლებამ დიდი ხანია იცის, რომ ეს ჯგუფები აშშ-ის არმიაში შეღწევას ცდილობენ, მაგრამ მხოლოდ 1996 წელს აეკრძალათ რასისტებსა და ნაცისტებს შეიარაღებულ ძალებში შესვლა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მედესანტე ნეონაცისტმა, რომელიც ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ფორტ-ბრეგში იყო დისლოცირებული, ორი შავკანიანი მოკლა. ფოგარტი ჯარში ერთი წლის შემდეგ ჩაეწერა.

მან მშვენივრად იცოდა, რომ სვირინგი პრობლემას შეუქმნიდა ჯარში მოხვედრის საქმეში. ნეონაცისტურ იატაკქვეშეთში, რომელიც შეპყრობილია გასაიდუმლოებით, რასისტული სვირინგები ექსტრემიზმის ერთ-ერთ ყველაზე თვალნათელ მაჩვენებლებად რჩება და სიტუაციის კონტროლის მცდელობით აშშ-ის შეიარაღებული ძალები წვევამდელთაგან ყოველი სვირინგის თაობაზე ითხოვენ ახსნა-განმარტებას. **„მათ, უბრალოდ, მითხრეს, რომ ახსნა-განმარტება დამეწერა ყველა სვირინგის შესახებ, მეც რაღაც გამოვიგონე და ამით დამთავრდა ყველაფერი“,** — იხსენებს ფოგარტი.

ფოგარტის კანდიდატურის მოწონებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ მისი ყოფილი მეგობარი ქალი და მისივე უფროსი შვილის დედა შეიარაღებულ ძალებს დაუკავშირდა. ფოგარტის თქმით, ქალმა მის სამხედრო მეთაურებს გაუგზავნა იმ ფოტოების ნაკრები, რომლებზეც იგი აღბეჭდილია თეთრი რასისტებისა და ნეონაცისტების მიტინგებსა და ყრილობებზე, ასევე თავის ჯგოფ „შეტევასთან“ ერთად რასისტული როკის შესრულებისას. **„მათ გამომიძახეს რაღაც კომიტეტზე და მაჩვენეს ფოტოები. მე, უბ-**

რალოდ, უარვყავი ყველაფერი. კომიტეტმა მშვენივრად იცოდა, ვინ ვარ და რა ვარ, მაგრამ ეს საქმე დაამუხრუჭა, რადგან მე ძალიან კარგი ჯარისკაცი ვარ“, — ამბობს ფოგარტი.

ფორგატი რეზერვში იყო, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, 2004 წელს არ გაგზავნეს იქ, სადაც დიდი ხანია სურდა მოხვედრა — ერაყში. ახლო აღმოსავლეთში გამგზავრებამდე იგი შეუერთდა ორგანიზაცია „ჰემერსკინს“, რომელსაც ანტიდიფამაციური ლიგა ახასიათებს, როგორც ყველაზე სასტიკსა და ყველაზე კარგად ორგანიზებულ ნეონაციისტურ სკინხედურ ორგანიზაციას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ახლა ფოგარტი ირწმუნება, რომ მის ირგვლივ მყოფი ადამიანების უმეტესმა ნაწილმა იცოდა, რომ ნეონაცისტია. „ჩემს ნაწილში ამის შესახებ ყველამ იცოდა, ისინი მუდამ ხუმრობდნენ ამაზე და სკინხედს მეძახდნენ“, — ამბობს იგი. ფოგარტს იმდენად სჯეროდა შეიარაღებული ძალებისგან კარტ-ბლანშისა, რომ 2004 წლის შვებულებაზე, იმის ნაცვლად, რომ ოჯახის მოსანახულებლად გამოეყენებინა, გერმანიაში გაემგზავრა არმიის ხარჯებით და კონცერტი ჩაატარა დრეზდენში 2500 სკინხედისთვის.

თეთრკანიანების ბატონობის მომხრეთაგან კიდევ ერთი რასისტი, ფორტ ბრეგში დისლოცირებული სამხედრო დაზვერვის ოფიცერი **ჯეიმს დუგლას როსი** არმიიდან მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს ცუდი ქცევის გამო, რაც ფაქტზე დაიჭირეს: **იგი ერაყიდან პისტოლეტტყვიამფრქვევის გაგზავნას აპირებდა ფოსტით ვაშინგტონის შტატის სპოკანში მდებარე მამისეულ სახლში**. სამხედრო პოლიციამ აღმოაჩინა თეთრების მოძრაობის ატრიბუტიკით სავსე სამალავი და რამდენიმე ერთეული იარაღი, რომელიც როსის სამხედრო ბინის ჭერის ფილების უკან იყო დამალული. გათავისუფლების შემდეგ სპკანის საგრაფოს შერიფის თანაშემწემ ნახა, თუ როგორ არიგებდა როსი ნეონაცისტური ნაციონალური ალიანსის ფურცლებს. 2012 წელს კი გაჩნდა ფოტო, რომელიც ავ-

ღანეთის ქალაქ სანგინში საზღვაო ქვეითების სნაიპერთა ქვედანაყოფმა გადაიღო. მასზე ათი სნაიპერი ესესელთა ელვების დროშის ფონზეა აღბეჭდილი. სამხედროების განცხადებით, ჯარისკაცებისთვის უცნობი იყო ამ სიმბოლიკის მნიშვნელობა.

არმიაში ამ პრობლემის მასშტაბები რთულად ექვემდებარება რაოდენობრივ შეფასებას. სამხედროები არ ეძებენ ექსტრემისტებს, როგორც ცალკე კატეგორიას, არამედ აერთიანებენ მათ ბანდიტური დაჯგუფებების წევრებთან, ნეონაცისტური მოძრაობების წყაროები კი სხვადასხვა ციფრს ასახელებენ. ნაციონალური სოციალური მოძრაობა აცხადებდა, რომ არმიის შემადგენლობაში მისი 190 წევრია. თეთრი რევოლუცია აცხადებს 12 წევრის შესახებ, თეთრ რასისტებთან დაკავშირებულ შემთხვევებში 2001-დან 2008 წლამდე გამოძიების ფედერალურმა ბიურომ 203 ყოფილი სამხედრო მოსამსახურე გამოავლინა. ვინაიდან გამოძიების ფედერალური ბიურო ითვალისწინებს მხოლოდ დოკუმენტურად დადასტურებულ შემთხვევებს, მის მიერ დასახელებული ციფრი არ მოიცავს იმ უამრავ ექსტრემისტ ჯარისკაცს, რომლებიც ვერ მოხვდნენ გამოძიების ფედერალური ბიუროს თვალთახედვის არეალში. სამაგიეროდ, ბიურო თავის ანგარიშში ხსნის, თუ რატომ სურთ რასისტულ და ნაცისტურ ორგანიზაციებს ვეტერანების გადაბირება. ისინი შეიძლება გამოდგნენ აკრძალულ ზონებთან დაშვების, დაზვერვის მონაცემების მოპოვების ან იარაღთან მოპყრობის სპეციალური მომზადების გასავლელად. მაგალითად, 2007 წელს გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტს, რომელსაც თეთრების მოძრაობის წევრად თვლიდნენ, ფორტ-ბრეგის საჰაერო-სადესანტო დივიზიის ორი რიგითი გარკვეული თანხის სანაცვლოდ აძლევდა ჯავშანჟილეტებს, ჯავშანჩაფხუტებს და მორფინის ჩათვლით სხვადასხვა სახეობის ტკივილგამაყუჩებლებს. ანგარიშში ასევე ასახულია სამხედროების გადაბირების რამდენიმე შემთხვევა. მაგალითად, 2003 წელს ექვსი ჯარისკაცი ფორტ-რაილში აღმოჩნდა ნეონაცისტური დაჯგუფება „არიელი ხალხების“ წევრი და დაკა-

ვებულნი იყვნენ სხვა ჯარისკაცების გადაბირებით, უფრო მეტიც, კანზასის შტატში გამოდიოდნენ, როგორც არიელი ხალხის წარმომადგენლები.

დაუსჯელობის ხარისხი, რომლითაც სარგებლობს ფოგარტი და კიდევ სხვა ექსტრემისტების დაუდგენელი რაოდენობა, აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში დაძაბულობის ატმოსფერო შექმნა. ჰანტერ გლასი 1980-იან წლებში მედესანტე იყო, 1999 წელს კი ბანდიტურ დაჯგუფებებთან მებრძოლი პოლიციელი გახდა. „2000 წელს სამხედროები სერიოზულად ეკიდებოდნენ ახლების შერჩევის საქმეს, 9/11-ის შემდეგ კი ყველაფერი შეიცვალა, ახლა მთავარი წესია იგნორირება, ვიდრე ადამიანი ცუდად არ მოიქცევა.

სამხედრო მოსამსახურეების მიერ ჩადენილი ყველაზე საარაკო მხეცობების უმეტესობა სწორედ იმის დამსახურებაა, რომ არმიამ შეარბილა დამნაშავეების, რასისტებისა და ბანდიტური დაჯგუფებების წევრების საკუთარ რიგებში მიღების პირობები. ეს თავად ჯარზეც ახდენს გავლენას. მაგალითად, **ინტელექტისა და სხეულის მასის მიხედვით მოთხოვნათა შემცირებამ შეამცირა სამხედრო ძალების ოპერატიული მზადყოფნა და უდავოდ დააყენა საფრთხის წინაშე სამხედროთა სიცოცხლე ამერიკისა და მოკავშირეების ჯარებში.** ამ სისულელისათვის, ალბათ, ასობით ჯარისკაცმა საკუთარი სიცოცხლით გადაიხადა.

2007 წლის 1 დეკემბერს კევინ შილდსი კოლორადოს შტატის კოლორადო-სპრინგსში თავის სამ თანამებრძოლთან — ლუის ბრესლერთან, კენეტ ისტრიჯთან და ბრიუს ბასტიენ-უმცროსთან ერთად მოხვედრილ ინციდენტში მოკლეს. ეს ბიჭები ერაყში მსახურობდნენ მეორე ქვეითი დივიზიის მეორე ბრიგადულ ტაქტიკურ ჯგუფში. ბრესლერმა და ბასტიენმა 60-60 წლით თავისუფლების აღკვეთა მიიღეს მკვლელობაში მონაწილეობასა და კოლორადო-სპრინგსში მათ მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულთა გრძელი სიის გამო. ისტრიჯი თანამონაწილეობისთვის 10-წლიან სასჯელს იხდის. დაპატიმრების შემდგომ პერიოდში გაჩნდა ისტრიჯის ფოტოები, რომლებზეც ის ამაყად წარმოგვიდგენდა თავის ესესელების სიმბოლიკიან სვირინგებს. დაკავების შემდეგ ბასტიენმა გამომძიებლებს უამბო, რომ ის და ისტრიჯი ერაყში შემთხვევით გამვლელ სამოქალაქო პირებს ესროდნენ ბაღდადის ქუჩების პატრულირებისას. **როგორც ბასტიენი ირწმუნება, დღისით, მზისით, ისტრიჯი იყენებდა მოპარულ „AK-47“-ს, რათა განურჩევლად ესროლა ერაყის მშვიდობიანი მოსახლეებისათვის. „ჩვენ მოგვწონდა სროლა, — თქვა შენაერთის კიდევ ერთმა წევრმა ხოსე ბარკომ, რომელიც 52-წლიან სასჯელს იხდის სროლისა და ორსული ქალის დაჭრისათვის კოლორადო-სპრინგსში. — შეგვეძლო ცეცხლი გაგვეხსნა, ვისთვისაც გვსურდა. ისინი შეიარაღებულნიც კი არ უნდა ყოფილიყვნენ. ჩვენ ამაში ერთმანეთს ვეჯიბრებოდით“.** ამ დრომდე არავინაა ბრალდებული ერაყში სამოქალაქო პირებისათვის ცეცხლის გახსნის გამო.

შეიარაღებულ ძალთა მეთაურობა არა მხოლოდ იგნორირებით პასუხობდა ისტრიჯის ექსტრემიზმს, არამედ დავალებიდან დაბრუნების შემდეგ ის ორდენითა და მედლით „დამსახურებისთვის“ დააჯილდოვა. ისტრიჯის ადვოკატი შეილა მაკატირი ირწმუნება, რომ **მაშინ შეგნებულად აგზავნიდნენ ერაყსა და ავღანეთში ფსიქიურად გაუწონასწორებელ ჯარისკაცებს: „სამხედროებმა თითქმის დაკარგეს იმედი, რომ ბრძოლაში გასაგზავნად ხალხის შეგროვებას შეძ-**

© „ადამიანის უფლებები“

ლებდნენ. ჯარისკაცები მსახურებისთვის არ გამოდგებოდნენ, ფსიქიურად და ფიზიკურად ავადმყოფები იყვნენ, ისინი კი განაგრძობდნენ ბრძოლებში მათ გაგზავნას. სვირინგების არსებობა უკანასკნელი რიგის სადარდებელი იყო“.

2012 წლის მარტში ამერიკელი ჯარისკაცი უკანასკნელი 10 წლის მანძილზე სამხედრო მოქმედებებში მეოთხე მივლინების პერიოდში ავღანეთის სამხრეთით მდებარე თავისი ბაზიდან გამოვიდა და ატეხა სროლა. შედეგად მან ოცამდე ავღანელი მოკლა, მათ შორის ცხრა ბავშვი. შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ 38 წლის ეჭვმიტანილი, აშშ-ის არმიის სერჟანტი რობერტ ბეილსი გამოგზავნილი იყო ვაშინგტონში მდებარე ლუის-მაკორდის გაერთიანებული ბაზიდან, სადაც ამ მოვლენებამდე სულ რაღაც ოთხი თვით ადრე სამხედრო ჟიურიმ ავღანეთის „სიკვდილის რაზმის“ წევრი წინასწარგანზრახულ მკვლელობაში დამნაშავედ ცნო.

პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა სამხედროთათვის ახალი არაა, მაგრამ ჯერ კიდევ სერიოზული ფსოქოლოგიური აშლილობების მქონე ჯარისკაცების კვლავ საბრძოლო ოპერაციებში გაგზავნა, თანაც ასე დიდი რაოდენობით, ნამდვილად სიახლეა. „შეშფოთებული ვარ იმის გამო, რომ პოსტტრავმატული სტრესული აშლილობის მქონე ადამიანებს კვლავ უკან გზავნიან, — აცხადებს ფსიქიატრი, დოქტორი არტურ ს. ბლანკი, — ადრე ჩვენს ქვეყანაში ასეთი რამ არ ხდებოდა“. უფროსმა სამხედრო ექსპერტმა ფსიქიური ჯანმრთელობის საკითხებში, პოლკოვნიკმა ელსპეტ რიჩმა, არაორაზროვნად აღიარა, რომ **მრავალი ფსიქიურად დაავადებული ჯარისკაცის კვლავ ბრძოლის ველზე გაგზავნის მიზეზი აშშ-ის შეიარაღებული ძალებისთვის პირად შემადგენლობაში სულ უფრო მეტი ხალხის საჭიროებაა. „სირთულე ისაა, რომ არმიის ამოცანა ბრძოლაა, გადაბირება კი უკიდურესად პრობლემური საქმე იყო. ამრიგად, ჩვენ ამოცანები ჯარისკაცების პირადი საჭიროებების შესაბამისად უნდა დავსახოთ“.**

ბრედლი მენინგი, „ვიკილიკსის“ სავარაუდო წყარო აშშ-

ის შეიარაღებულ ძალებში, წვევამდელების ფსიქიური ჯანმრთელობისადმი უყურადღებობის კიდევ ერთი მაგალითია. მენინგი „რთული ბიჭი“ იყო, რომელიც ერაყში არ უნდა გაეგზავნათ, — ამბობს მისურში სამხედრო ბაზის ოფიცერი ფორტ ლეონარდ ვუდი. სწორედ ამ ბაზაზე გადიოდა სწავლებას მენინგი 2007 წელს. მენინგზე ახლახან გამოსული წიგნის ავტორი ჩეიზ მარადი კი ამბობს: „მას არასდროს გააჩერებდნენ ჯარში, რომ არა 2007 წელს გადაბირების რეკორდულად დაბალი მაჩვენებელი. სწორედ ამ დროს მივიდა ჯარში მენინგი“. **ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც მენინგი ერაყში მოხვდა მისი გამოუსადეგრობის შესახებ არაერთჯერადი გაფრთხილების შემდეგ, იყო ის, რომ ამერიკას გამოუვალი მდგომარეობა შეექმნა „ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ანალიტიკური ცოდნის მქონე პირთა გადაბირების ისტორიულად დაბალი მაჩვენებლის გამო“.**

ახლები გამოუსადეგარნი იყვნენ როგორც ფიზიკურად, ასევე გონებრივადაც. 1993 წელს ახალწვეულთა 23%-ზე მეტს ჭარბი წონა ჰქონდა. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. 2006 წლისთვის კი ჭარბწონიანი ჯარისკაცების რაოდენობა 27%-მდე გაიზარდა. ჭარბი წონის მქონე ახალწვეულთათვის, გამონაკლისის დაშვების მიზნით, გამოყენებულ იქნა „გათავისუფლება სამედიცინო მოთხოვნებისგან“.

საერთოდ, პოტენციურ ახალწვეულებისთვის არსებობს სამი ყველაზე გავრცელებული წინააღმდეგობა. ესენია: არასრული საშუალო განათლება, ნასამართლეობა და ჯანმრთელობის პრობლემები, მათ შორის ჭარბწონიანობაც. ნასამართლეობას გაუმკლავდნენ „ზნეობრივი მოთხოვნებისგან გათავისუფლების“ საშუალებით, ჭარბწონიანობას კი „სამედიცინო მოთხოვნებისგან გათავისუფლების“ დახმარებით, მაგრამ საშუალო განათლების მოთხოვნას ასე იოლად ვერ აუარეს გვერდი, რადგან ეს მნიშვნელოვნად მოქმედებდა ოპერატიულ მზაობაზე. მაგრამ ამ გაუნათლებლებისთვისაც არსებობს აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში მოხვედრის მარტივი გზა — საშუალო განათლე-

© „ადამიანის უფლებები“

ბის ატესტატის ექვივალენტური სერთიფიკატი, რომელსაც აძლევდნენ კიდეც წვევამდელებს, რომლებიც საკმაოდ კარგად აბარებდნენ შეიარაღებულ ძალებში მოხვედრის გამოცდას. ახლა აშშ-ის არმია დაახლოებით 15%-ს სწორედ ასეთი სერთიფიკატებით იღებს და უფრო მეტიც, **ახალგაზრდა ამერიკელებისათვის ჯარში მსახურებისთვის საჭირო კვალიფიკაციის მისაღებად არმიამ თავისი პირველი მოსამზადებელი სკოლაც კი გახსნა.**

„ტერორიზმთან ომის“ პერიოდში ახალგაზრდების გადაბირებაში ჩადებული სახსრები მკვეთრად გაიზარდა. მხოლოდ ერთ წელიწადში გაჩნდა ათასობით რეკრუტერი, რომელთაც უფროსკლასელებისთვის სამხედრო აზროვნება უნდა შთაენერგა. რეზერვის უმცროსი ოფიცრების სასწავლო კორპუსმა თავისი ფილიალები მთელ ქვეყანაში გაფანტა — არც ერთი ბავშვი არ დარჩენილა ყურადღების გარეშე, 11 წლისანიც კი მონაწილეობდნენ მის პროგრამებში. **ჩიკაგოში ყოველ მეათე მოსწავლეს სამხედრო ფორმა ეცვა და სროლის გაკვეთილებს იღებდა თანამდებობიდან გადამდგარი სამხედროებისგან.**

ერთ-ერთი მთავარი სტიმული ფული იყო — 16 წლის მოზარდის თვალთახედვით, ძალიან ბევრი ფული. **2005 წელს არმიამ ახალწვეულთათვის საშუალო პრემია 14-დან 17 ათას დოლარამდე გაზარდა. გადაბირებისთვის რთული ვაკანსიების შემთხვევაში, ეს პრემია ხანდახან 30 ათასსაც კი აღწევდა. შეიარაღებული ძალების მეორე ლოზუნგი იყო „ჩაეწერე შეიარაღებულ ძალებში და მიიღე უფასო განათლება“. ღატაკი ოჯახების შვილებს ამ შემოთავაზებაზე უარის თქმა უბრალოდ არ შეეძლოთ.**

ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირის ანგარიშმა „წარუმატებლობის ჯარისკაცები“ აჩვენა, რომ აშშ-ის ხელისუფლება მართლაც მოქმედებდა საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევით, რომლის თანახმადაც აკრძალულია 18 წლამდე ასაკის მოქალაქეთა გადაბირება სამხედრო სამსახურისთვის. თუმცა ამ დასკვნისათვის მნიშვნელობა არავის მიუნიჭებია.

შეიარაღებულ ძალებში ჰომოსექსუალიზმის თემის განხილვით დაინტერესებული ჯგუფებისთვის კალიფორნიის უნივერსიტეტის პალმ-ცენტრის ანგარიშის დახმარებით გაირკვა ზოგიერთი ციფრები, რომელთაც სამხედრო ხელმძღვანელობა საგულდაგულოდ მალავს. 2007 წელს ჯგუფმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონით მოიპოვა და რომლის თანახმადაც, 2004-დან 2006-წლამდე ამერიკის შეიარაღებულ ძალებში თითქმის გაორმაგდა ნასამართლევ პირთა რაოდენობა და 1605-ს მიაღწია. ამ პერიოდში სულ 4230 ადრე ნასამართლევი პირი შევიდა არმიაში, მათ შორის ისინიც, რომლებიც დამნაშავეებად სცნეს გაუპატიურებისა და მკვლელობის საქმეებში. გარდა ამისა, ამერიკის შეიარაღებულ ძალებში ჩაეწერა 43 077 ჯარისკაცი, რომლებიც ადრე ნასამართლევნი იყვნენ სერიოზული კანონდარღვევების, მათ შორის ფიზიკური ძალადობისთვისაც. კიდევ 58 561 ადრე ნასამართლევი იყო ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულისთვის. ყველა ამ ჯარისკაცს ხელში იარაღი მოსცეს და ახლო აღმოსავლეთში გაუშვეს.

ამ პრაქტიკამ პრობლემები გააჩინა თავად აშშ-ის შეიარაღებულ ძალებშიც — **„ტერორიზმთან ომის“ პერიოდში ყოველმა მესამე ჯარისკაცმა ქალმა განაცხადა, რომ ამა თუ იმ სახის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა ჯარში. დღეს ამერიკულ ჯარში ქალებს თანამებრძოლებისგან გაუპატიურების უფრო მეტი საფრთხე ელით, ვიდრე მტრისგან მოკვლის. არავინ იცის, რამდენი ქალი და გოგონა გააუპატიურეს ამერიკელმა ჯარისკაცებმა ანალოგიური სისასტიკით, მაგრამ ერთეული ცნობილი შემთხვევებიდან ნათლად ჩანს, რომ ამგვარი ძმედებებისთვის, როგორც წესი, არავინ ისჯება.**

2004 წლის შემდეგ პირველად საკუთარი რიგების შევსების გეგმა ამერიკის არმიამ 2009 წელს შეასრულა და მაშინ ალაპარაკდნენ ნასამართლევი ჯარისკაცების სამსახურიდან დათხოვნაზეც, მაგრამ, როგორც ამერი-

© „ღამისფრთიანი ანგელოზი“

კის არმიის გადაბირების ქვედანაყოფის მეთაურის მოადგილე გენერალი ჯოზეფ ანდერსონი ამბობს, ამგვარი გათავისუფლებები აღარ იგეგმება. სამაგიეროდ, ამერიკულ ჯარში აღარ მიიღებენ პირებს, რომელთაც არ აქვთ საშუალო განათლების ატესტატი, რაც, თავისთავად, დანაშაულის ერთგარი აღიარებაა, თუმცა ერაყსა და ავღანეთში მრავალთათვის ამ აღიარებამ ძალიან დაიგვიანა...

«დამალობანა»

აშშ-ის სამხედრო დაზვერვა „DIA“ თავისი ჯაშუშების ქსელის 1600 აგენტამდე გაზრდას აპირებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ამერიკელმა ჩინოვნიკებმა განაცხადეს, რომ შტატის ამგვარი გაზრდა დაკავშირებულია იატაკქვეშეთის ოპერატიული თანამშრომლების „ახალი თაობის“ ჩამოყალიბებასთან. ამის გაკეთება დაგეგმილია უახლოეს ხუთ წელიწადში ნელ-ნელა. თუ ახლა ჯაშუშების რაოდენობა შეადგენს 500-ს, 2018 წლისთვის მათი რაოდენობა გახდება 800-ზე მეტი. ეს ნაბიჯი უპრეცენდენტოა სააგენტოსთვის, რომლის წარმომადგენლების რაოდენობაც მანამდე სხვა ქვეყნებში მხოლოდ სამნიშნა ციფრებით განისაზღვრებოდა.

პენტაგონის პროექტი სადაზვერვო ქსელის მასშტაბების მხრივ არ ჩამორჩება ცსს-სას.

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის მიზანია ბოლო დროს ერაყისა და ავღანეთის ომებში მონაწილე „DIA“-ს ტრანს-

© „ღვასაბუნეგნი ათანასაფრე“

ფორმირება საჯაშუშო ორგანიზაციად, რომელიც მომართული იქნება შიდა საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლისთვის და მჭიდროდ ითანამშრომლებს როგორც ცსს-სთან, ისევე ელიტურ სამხედრო ქვედანაყოფებთან. ამის შესახებ წერს გაზეთი „The Washington Post“-ი.

„ეს საგარეო დაზვერვის სააგენტოს წვრილმანი ტრანსფორმაცია არაა, — განაცხადა „DIA“-ს მეთაურმა გენერალ-ლეიტენანტმა მაიკლ ფლინმა. — ეს ნაციონალური უშიშროების სისტემის კარდინალური კორექტირებაა“. **თანამშრომლები მომზადებას გაივლიან ცსს-ში და, როგორც წესი, იმუშავებენ გაერთიანებული ხელმძღვანელობის სპეცოპერაციებში, მაგრამ ამავე დროს ისინი დავალებებს უშუალოდ პენტაგონისგან მიიღებენ.** პენტაგონის მთავარ სადაზვერვო პრიორიტეტებს შორისაა აფრიკაში ისლამისტი ბოევიკების ჯგუფები, იარაღის მიწოდება ირანსა და ჩრდილოეთ კორეაში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცსს-სგან განსხვავებით, პენტაგონის სადაზვერვო სააგენტო ვერ ჩაატარებს ოპერაციებს, რომლებიც სცილდება მონაცემთა მოგროვების საზღვრებს. ამასთან, არსებობს საფრთხე, რომ სააგენტოს როლის გაფართოება განაპირობებს უპილოტო საფრენი აპარატების სასიკვდილო შეტევების გახანგრძლივებას. შეგახსენებთ, რომ უპილოტო საფრენი აპარატების პროგრამის გამო დღეს სადაზვერვო სამსახური პასუხისმგებელია უამრავ ოპერაციაზე, რომელთაც ადამიანთა დიდი რაოდენობა შეეწირა საომარი ზონების საზღვრებს გარეთაც კი. კიდევ ერთი შედეგი იქნება სხვა სპეცოპერაციებიც, რომელთაც კიდევ უფრო საგულდაგულოდ დამალავენ ფართო საზოგადოებისგან. მიუხედავად ამ ყველაფრისა, დაზვერვების რეფორმირების შესახებ

შეთანხმებას მხარი დაუჭირა წარსულში ცსს-ს ხელმძღვანელმა და ამჟამინდელმა თავდაცვის მინისტრმა ლეონ პანეტამ, ასევე გენერალმა პეტრეუსმაც, რომლის კარიერაც ხმამაღალ სასიყვარულო სკანდალს შეეწირა.

სხვათა შორის, გეგმა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აპრილში მიიღეს და ამ დრომდე საიდუმლოდ ინახავდნენ.

მთელი რიგი კონგრესმენებისა მხარს უჭერენ პროექტს, რადგან მიაჩნიათ, რომ სამხედროები ცსს-ს თანამშრომლებზე გაცილებით უკეთ ერკვევიან, ვთქვათ, შეიარაღების ტექნიკურ პარამეტრებში, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეუძლიათ ბევრად უფრო უკეთ შეასრულონ ამ სფეროში სადაზვერვო დავალებები. **ამავე დროს აგენტების უმეტესობა დიპლომატიური მფარველობის გარეშე იმუშავებს, რაც გამოაშკარავების შემთხვევაში რისკთანაა დაკავშირებული.**

საერთო ჯამში კი უკვე აღარავისთვისაა საიდუმლო, რომ პენტაგონი ახალ სამხედრო კონცეფციას ნერგავს. სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, **2012 წელს აშშ-მა უცხოეთის არმიების მხარდაჭერაზე უკვე დახარჯა 6,3 მილიარდი დოლარი.** მათი განცხადებით, ამგვარი მიდგომა ეხმარება ახალი მოკავშირეების შექმნას და უცხოეთში ამერიკის ინტერესების დაცვის საქმეს.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ **მსხვილმასშტაბურ და ხანგრძლივ ინტერვენციებს ჩაანაცვლებს დაქირავებული არმიების სპეცოპერაციები**. კერძოდ, ამერიკელები ახლა უპირატესობას ანიჭებენ „არაბული გაზაფხულის“ ქვეყნებში ომს არა საკუთარი სამხედრო მოსამსახურეების, არამედ აბორიგენების მეშვე-

© „ღამისფრთიანები“

ობით, ამ აბორიგენებს კი თავად ასწავლიან იარაღთან და სამხედრო ტექნიკასთან მოპყრობას. თუ რა მიზნებს ემსახურება სინამდვილეში „უფასო“ სწავლების კურსი, სავარაუდოდ, ახსნას არ საჭიროებს.

ამერიკის ხელისუფლება აღფრთოვანებულია უცხოური არმიების სწავლების პროგრამით, რადგან თვლის, რომ ეს გონივრული საინვესტიციო სვლაა, რადგან ადგილობრივების სწავლება ამა თუ იმ რეგიონში საკუთარი ჯარის განლაგებაზე გაცილებით იაფი ჯდება. მიუხედავად ამისა, სინამდვილეში შედეგის, უფრო სწორად კი უშედეგობის გათვალისწინებით, ავღანეთში, ერაყსა და ლიბიაში უკვე განხორციელებული სამხედრო პროგრამების მხრივ, ამერიკელებმა ასწავლეს, ოღონდ არა მოკავშირეებს...

რაც შეეხება ჯაშუშების არმიის მიერ მოტანილ შედეგს, ამასაც ვნახავთ...

ქრისტიანები დახოცეს, თეატრი აკრძალეს, ნავთობს 16 ათასი დაქირავებული იცავს

აშშ-მა ოფიციალურად დაასრულა ერაყში ცხრა წლის წინ დაწყებული სამხედრო ოპერაცია. ამასთან დაკავშირებით ბარაკ ობამამ, რომელმაც ასეც ვერ გარისკა „მშვიდობიანი“ ქვეყნის მონახულება, ჩრდილოეთ კაროლინაში მდებარე სამხედრო ბაზაზე ამერიკელ ჯარისკაცებს სიტყვით მიმართა.

„კეთილი იყოს თქვენი შინ დაბრუნება,“ — მიესალმა პრეზიდენტი ჯარისკაცებს, მაგრამ ამგვარი შემთხვევებისთვის დამახასიათებელი სიტყვა მოპოვებული გამარჯვების შესახებ ამ მისალმებას არ მოჰყოლია. ობამა იძულებული იყო, ეღიარებინა, რომ ერაყი „იდეალური ადგი-

ლი არაა“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „სამხედროები მას თავაწეულნი ტოვებენ“.

„ჩვენ ვტოვებთ დამოუკიდებელ, სტაბილურ და საკუთარ თავში დარწმუნებულ ქვეყანას ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლით,“ — ასე ჩამოაყალიბა ბარაკ ობამამ თავისი „უდიდესი მიღწევა“.

მაგრამ აშშ-ის „მიღწევებს“ ცოტა სხვაგვარად აფასებენ თავად ერაყელები. ქალაქ ფალუჯას ასობით მცხოვრებმა ჯარების გაყვანა ამერიკული დროშის ტრადიციული დაწვით აღნიშნა.

„ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ გავთავისუფლდით ოკუპანტებისაგან მრავალრიცხოვანი მსხვერპლის ფასად,“ — ამბობდა ერთ-ერთი დემონსტრანტი, ტრანსფარატებზე ეწერა „ახლა თავისუფალნი ვართ“ და „ფალუჯა — სამართლიანობის კერა“.

იმას, რომ ერაყი ვერა და ვერ გახდა „იდეალური ადგილი“, ამას ორიოდე დღის წინ ტელ-აფარში მომხდარი ის აფეთქებებიც მოწმობს, რომლებმაც სამი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და კიდევ 35 მშვიდობიან მოქალაქეს მიაყენა ზიანი. ამ ამბამდე ერთი დღით ადრე ქალაქ ბასრასთან ახლოს ტერორისტებმა გაზსადენი ააფეთქეს. მინიმუმ, კვირაში ორი და მაქსიმუმ, დღეში რამდენიმე ტერაქტი ერაყში ჩვეულებრივი მოვლენაა. ფაქტობრივად, პოლიტიკურად ქვეყანა გაყოფილია შიიტი და სუნიტი არაბებისა და ქურთების მიერ სამ ოლქად და მათ ერთმანეთთან მხოლოდ „საოკუპაციო საწვავის არტერიები“ აკავშირებს. ამ არხებით ყოფილი სახელმწიფოსათვის ომით წართმეული ნავთობი გამარჯვებულთა სასურველი მარშრუტებით მიედინება.

სხვა მხრივ ერაყი ახლა „არაბული შემოდგომის“ ტიპიური მაგალითია. მოსახლეობის განათლების დონე ათწლიანი ოკუპაციის შედეგად „მესამე მსოფლიოს“ საშუალო მაჩვენებელს მიუახლოვდა, არადა, აშშ-თან კონფლიქტის დაწყებამდე ერაყი საფუძვლიანად ითვლებოდა „არაბული სამყაროს მანათობლად“. მუზეუმების უმეტესობა ამერიკელებმა ჯერ კიდევ 2003 წელს გაძარცვეს. ბაღდადის უნივერსიტეტებში აკრძალულია თეატრის,

სახვითი ხელოვნების ფაკულტეტები და სხვა სატანისტური გასართობები. დაახლოებით მილიონი ადამიანისაგან შემდგარი ქრისტიანული უმცირესობის ნახევარი მაინც სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ იძულებული გახდა, მიეტოვებინა ისტორიული სამშობლო და მეზობელ ქვეყნებში დამალულიყო. მათ, ძირითადად, სირიას შეაფარეს თავი, მაგრამ მალე, შესაძლოა, ეს უკანასკნელიც დაეცეს.

ამერიკელები მიდიან ერაყიდან, მაგრამ მათ შემცვლელებად მოდის 16 ათასი დაქირავებული კერძო სამხედრო კომპანია, რომლებიც ამერიკელ დიპლომატებსა და ნავთობკორპორაციებს დაიცავენ.

1 ტრილიონი დოლარის, 4500 ამერიკელისა და გაურკვეველი რაოდენობის დაქირავებული ჯარისკაცის, ასევე 100-270 ათასი ერაყელის სიკვდილის ფასად ამერიკამ რეგიონში ეკონომიკურად დაიმკვიდრა თავი.

ამ სამსახურის სანაცვლოდ, ამერიკას ერაყის ხელისუფლების მხარდაჭერის იმედი აქვს ირანთან დაპირისპირებაში. ამისათვის პენტაგონი ერაყში 18 გამანადგურებლის — „F-16“-ის განთავსებას აპირებს ადრე უკვე განთავსებული კიდევ 18 ასეთივე გამანადგურებლის გვერდით. გარდა ამისა, ერაყში თანამედროვე შეიარაღების სპეცსაშუალებების მნიშვნელოვანი რაოდენობა განთავსდება.

© „ღვინისფერი ოთხკუთხედი“

ანტიტერორისტული გეოსტრატეგიის ორმაგი სტანდარტები

ბრიტანეთის ხელისუფლებამ ქვეყანაში, შესაძლოა, შემოიღოს განსაკუთრებული სასამართლოები ტერორისტულ მოღვაწეობაში ეჭვმიტანილთათვის. ექსპერტები ამგვარ ნაბიჯს იმ ქვეყნის მხრიდან, რომელიც მიჩვეულია, თავისი მართლმსაჯულება სხვა ქვეყნების მიბაძვით ააშენოს, „ორმაგი სტანდარტების“ ნათელ მაგალითს უწოდებენ.

„სასამართლო წარმოებისა და უსაფრთხოების“ შესახებ კანონის სიფრთხილის ზომები ბრიტანეთის ხელისუფლებას საშუალებას მისცემს, მიმართოს ე. წ. დახურული მასალების განხილვის პროცედურას. ამ პროცედურის ფარგლებში მოსარჩელეებს და მათ ადვოკატებს უფლება არ აქვთ, გაეცნონ სასამართლოსთვის წარდგენილ დოკუმენ-

ტებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმეში გამოვლინდება გაერთიანებული სამეფოს თანამდებობის პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მიუხედავად ამ ქმედებების სიმძიმისა. თუ ამგვარი დოკუმენტების გამოაშკარავება ჩაითვლება „სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის“ ზიანის მომტანად, შეუძლიათ, ისინი გასაიდუმლოებული დატოვონ განუსაზღვრელი ვადით იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ მიმართ განსაკუთრებით დიდი საზოგადოებრივი ინტერესია.

ბრიტანეთის მრავალი სამართალდამცავი და ლორდთა პალატის წევრთა უმრავლესობა, რომელმაც კანონპროექტისადმი საკუთარი დამოკიდებულება უნდა გამოხატოს, დოკუმენტის შინაარსს ძალზე საეჭვოდ მიიჩნევს. სახელგანთქმული ორგანიზაცია „Amnesty International“-ი მკვეთრად აკრიტიკებს უკანასკნელ ათწლედში ძალზე გახშირებულ შემთხვევებს, რომელთა დროსაც გაერთიანებულ სამეფოში საიდუმლო სასამართლო წარმოების ზომას მიმართავდნენ. ორგანიზაცია ამ ზომებს აფასებს, როგორც სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას სამართლიანობის ელემენტარული ნორმებიდან „რადიკალურ გადახვევას“. სამართალდამცავთა აზრით, თავად იდეა, რომ ვიღაც სასამართლოს მიმართავს სამართლიანობის აღსადგენად, შემდეგ არ დაიშვება პროცესში მონაწილეობის მისაღებად, მოგვიანებით კი იგებს, რომ საქმე წააგო და ამის მიზეზებსაც კი არავინ უხსნის, ეწინააღმდეგება ყველა გაგებას სამართლიანობის, კანონის უზენაესობის და მართლმსაჯულების ღიაობის შესახებ. ეს საიდუმლო სასამართლო წარმოების სისტემა პირდაპირ კაფკას რომანის ფურცლებიდანაა, თვლიან დამოუკიდებელი ექსპერტები.

პარლამენტის წევრი კონსერვატიული პარტიიდან, ორგანიზაციის „წამების გარეშე“ აღმასრულებელი დირექტორი კიტ ბესტი ამბობს:

„სასამართლო სისტემის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპი მხარეთა თანასწორობაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასამართლო პროცესის ყოველ მხარეს აქვს ინფორმაციასთან თანასწორი

წვდომის უფლება, იმ ინფორმაციასთან, რომელიც მომავალში გამოყენებულ იქნება ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ. მოსამართლეები კი განსაზღვრავენ, ვის მხარესაა სიმართლე. კანონპროექტი არღვევს მხარეთა თანასწორობის შესახებ ფუძემდებლურ პრინციპს. ერთ-ერთ მხარეს არაფერი ეცოდინება იმის შესახებ, თუ რა ფაქტებს წარმოადგენს მის წინააღმდეგ მეორე მხარე. და ამ მხარეს არასდროს ექნება წვდომა ამ ინფორმაციასთან“.

რა თქმა უნდა, ბრიტანელები ამ ფონზე აშშ-თან შედარებით მეორეხარისხოვნად გამოიყურებიან. არსებობს აზრი, რომ 2001 წლის 11 სექტემბერი რესპუბლიკელმა პრეზიდენტმა ბუშმა გამოიყენა საბაბად, რათა უფლებები და თავისუფლებები შეეკვეცა ამერიკელი მოქალაქეებისთვის. ამ თვალსაზრისის მომხრეებს მაგალითად მოაქვთ ეგრედ წოდებული პატრიოტული აქტი, რომელიც ამერიკის სპეცსამსახურებს უფლებას აძლევს, მოისმინონ ნებისმიერი სატელეფონო საუბრები და საიდუმლოდ გაჩხრიკონ კერძო საკუთრებაში მყოფი სახლები ყოველგვარი სასამართლო სანქციის გარეშე. სხვათა შორის, კონსპიროლოგები მიგვითითებენ, ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ „პატრიოტული აქტი“ ქვეყანას ტერაქტების შემდეგ უმალ, წარმოუდგენელი სისწრაფით მოევლინა. იმის გათვალისწინებით, რომ იგი მოიცავს დადგენილებათა მთელ რიგს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მასზე მუშაობა 11 სექტემბრამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო.

ასეა თუ ისე, **აშშ-ის თანამედროვე ანტიტერორისტული კანონმდებლობა თავისი შინაარსით პირდაპირ ეწინააღმდეგება ამერიკის კონსტიტუციის მთელ რიგ დებულებებს.** მაგალითად, ძირითადი კანონის მე-4 შესწორებაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ დაუშვებელია მოქალაქის პიროვნული ხელშეუხებლობის, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის, ქაღალდებისა და ქონების ხელშეუხებლობის უფლების შელახვა, ამისათვის საკმარისი საფუძვლების არსებობის გარეშე. ცალსახად უკანონო ინსტრუმენტების სიაშია

მთელ მსოფლიოში ცსს-ს საიდუმლო ციხეების გახსნა და წამების სანქცირებული გამოყენება როგორც ეს ერაყის „აბუ-გრეიბის“ ციხეში ან გუანტანამოს ამერიკულ ბაზაზე ხდება.

მაგალითები საკმარისზე მეტი შეიძლება დასახელდეს. **იქმნება საერთო შთაბეჭდილება, თითქოს ამერიკის ხელისუფლება აბსოლუტურად შეგნებულად ცდილობდა, სიტუაცია ისე მოეწყო, რომ შესაძლებელი გამხდარიყო, თვით გარემოს დამცველებისა და პაციფისტების ჩათვლითაც კი რეჟიმის ყველა მოწინააღმდეგის ტერორისტებად გამოცხადება.** ამგვარი პოზიცია, ცხადია, განაპირობებს კრიტიკის ქარცეცხლს როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე იმ ქვეყნების მხრიდან, რომლებმაც, ამერიკელთა აზრით, მათგან უნდა აიღონ მაგალითი დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

აშშ-ის პოზიციას აკრიტიკებს რუსეთიც. კერძოდ, ის ყურადღებას ამახვილებს ამერიკის ხელისუფლების უარზე, პასუხისმგებლობაში მიეცნენ ცსს-ს საიდუმლო ციხეების ფუნქციონირებაში მონაწილე პირები. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, სერგეი რიაბკოვის, განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში ამგვარი პრაქტიკა ოფიციალურად შეწყდა, უკვე ჩადენილისთვის არავინ დასჯილა — არც აშშ-ის სპეცსამსახურების თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ადამიანების გატაცებასა და წამების მეთოდებით დაკითხვის წარმოებაში და არც მაღალი რანგის ჩინოვნიკები, რომლებიც ამგვარი ქმედებების შესაბამის განკარგულებებსა და ბრძანებებს იძლეოდნენ. როგორც რუსი დიპლომატი აცხადებს, **ამერიკის ახლანდელი ხელისუფლება ძველის მსგავსად ნაციონალური უსაფრთხოების ინტერესებით იმართლებს თავს.**

„პატრიოტული აქტის“ მოქმედების ვადა 2005 წლის 31 დეკემბერს უნდა ამოწურულიყო, მაგრამ „ტერორიზმთან ბრძოლის ინტერესებიდან გამომდინარე“ ამერიკის ხელი-

© „ღონისძიების ანმსოფლიო“

სუფლებამ აუცილებლად მიიჩნია, გაეხანგრძლივებინათ განსაკუთრებული ზომების მოქმედების პერიოდი. მრავალი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ამ ზომებს აღარასდროს გააუქმებენ. და საქმე სულაც არაა ამერიკელი ხელისუფლების განსაკუთრებული დემონიზმი, უბრალოდ, ტერორისტულამდელ ეპოქაში დაბრუნება უკვე შეუძლებელია.

დღეს ყველა ქვეყანა, რომელიც ტერორთან ომს აწარმოებს, ადრე თუ გვიან ვარდება სიტუაციაში, როდესაც კანონიერი მეთოდები შედეგის მიღწევის გარანტიას აღარ იძლევა. უბრალოდ, ამ ომს არ გააჩნია მკვეთრად განსაზღვრული მიზნები. ამ საქმეში კაცობრიობას ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებია მკვეთრი კრიტერიუმები. მიღებულია ითვლებოდეს, რომ ტერორს საფუძვლად უდევს საკმაოდ დიდი რაოდენობით ადამიანთა შიში. თუ არ არსებობს შიში, არ არსებობს არც ტერორი. და ამ შემთხვევაში შეიძლება საუბარი მხოლოდ რაღაც მძიმე დანაშაულზე, რომელიც, სხვათა შორის, თავისი ჩვეულებრიობის წყალობით, არ განაპირობებს მასობრივი საფრთხის შეგრძნებას.

ტერორიზმი არის საბრძოლო მოქმედებების განსაკუთრებული სახეობა, თანაც ძალზე ვერაგი და ამაზრზენი,

რადგან ამ დროს უდანაშაულო ადამიანები ისჯებიან. მას არ გააჩნია რაიმე მორალური ჩარჩოები და ბუნებრივია, რომ ტერორისტების წინააღმდეგ სარკული ზომები გამოიყენება. ეს იმას ნიშნავს, რომ **ტერორისტულ აქტივობებში ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ მართლმსაჯულების დეკლარირებული ნორმები გვერდზეა გადადებული.** ეს, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება ზოგიერთ განცხადებებს, რომელთაც დასავლელი პოლიტიკოსები აკეთებენ ხოლმე. ეს ეწინააღმდეგება დაწერილ პრინციპებსაც. მაგრამ შეგნების დონეზე ყველასათვის ყველაფერი გასაგებია. ტერორისტების დასჯისაკენ მისწრაფება კანონის ძალაზე მეტია. გამოყენებული ზომები კი, დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად, ძალზე მკაცრი იქნება. სხვას არაფერს უნდა ველოდოთ.

ინტუიტიურ დონეზე ტერმინი „ტერორი“ ხშირად გამოიყენება „სუსტის“ მხრიდან მოტივირებული ძალადობის დასახასიათებლად, ამიტომაც ტერორიზმი ხშირად ეყრდნობოდა გარკვეულ თანაგრძნობას იმ ხალხის მხრიდან, რომელიც ბედის ნებით ჯერ არ გამხდარა მისი მსხვერპლი. ისეც ხდებოდა, რომ „სუსტი“ ტერორისტის ქმედებები განაპირობებდა არა მხოლოდ შერჩევითი გულშემატკივარი ადამიანების მხარდაჭერას, არამედ გამართლებასაც ხელმძღვანელობის უმაღლეს დონეზე. მაგალითად, საბჭოთა სახელმწიფო იდეურად ეყრდნობოდა ვლადიმერ ლენინის შეუბღალავ ავტორიტეტს, ამ უკანასკნელმა კი 1901 წელს დაწერა: „პრინციპულად ჩვენ არასდროს გვითქვამს და არც შეგვიძლია უარი ვთქვათ ტერორზე. ეს არის ერთ-ერთი სამხედრო მოქმედება, რომელიც, შესაძლოა, სავსებით გამოსადეგი იყოს და აუცილებელიც კი ბრძოლის ცნობილ მომენტში, ჯარების ცნობილ მდგომარეობასა და ცნობილ პირობებში“.

როგორც ჩანს, მთავარი პრობლემა ორმაგი შეფასებაა. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა იდეალებს მისდევს ტერორისტი, რა ძალების ინტერესებს ემსახურება, ვის წინააღმდეგ მოქმედებს. ის ან „ჩვენია“ — და ამ შემთხვევაში ტერორისტი კი არა, გმირია, რომელიც უმაღლესი

© „ღონისძიების ინსტიტუტი“

რანგის მოსაზრებებით მოქმედებს, ან „არაა ჩვენი“ — და ამ შემთხვევაში ყველაზე სიცხლიანი დამნაშავეა, რომელიც არანაირ შემწყნარებლობას არ იმსახურებს. ამგვარი ორაზროვნება უფრო ადრეც არსებობდა, ახლაც არსებობს და, სავარაუდოდ, იარსებებს მომავალშიც. მხოლოდ იმის გამო, რომ მსოფლიო განაგრძობს თავის გეოპოლიტიკურ თამაშებს.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან კაცობრიობა ფართოდ იყენებს ტერმინს „საერთაშორისო ტერორიზმი“, მაგრამ გაერო ასეც ვერ ახერხებს შეთანხმებას ამ მოვლენის საერთო ინტერპრეტაციაზე. მაგალითად, სადავო რჩება საკითხი ტერორისტების მოქმედებებსა და საფრთხის თავიდან აცილებისთვის ქვედანაყოფების ქმედებების შესახებ. მაგალითად, დავუშვათ, რომ კონტრტერორისტული ოპერაციის ფარგლებში ზიანი ადგება მშვიდობიან მოსახლეობას. ამგვარ სიტუაციებთან მიმართებაში ერთსულოვნება ჯერ არ არსებობს. პოლემიკა გრძელდება ტერორისტულ საქმიანობასა და ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლას შორის ზღვარის თაობაზეც.

სხვადასხვა ქვეყნები ტერორიზმს სხვადასხვა რამეს უწოდებენ და ეს მუდამ ასე იყო. ცივი ომის ეპოქაში ერთნი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას უწოდებდნენ ტერორიზმს, მეორენი — ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. ახლაც არაფერი შეცვლილა. მაგალითად, არაბული ქვეყნები პალესტინელების მოქმედებებს ტერორიზმად არასდროს ჩათვლიან. ისინი მათ ქმედებებს ტერიტორიის გასათავისუფლებელ სამართლიან ბრძოლად მიიჩნევენ და პირიქით. ამიტომაც **გაერო ვერასდროს მიიღებს ტერორიზმის რაიმე იურიდიულად სავალდებულო განსაზღვრებას.**

რეალურად ტერორიზმი პოლიტიკურად ნეიტრალური მოვლენაა. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ძალადობის მეთოდების ნაკრები, რომელიც მიმართულია გარკვეული მიზნების მისაღწევად. იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება რაღაც უფრო მნიშვნელოვანი, როდესაც კონიუნქტურული მოსაზრებებით იწყებენ მის გამოყენებას. მაგალი-

თად მაშინ, როდესაც სახელმწიფო საშუალებას აძლევს ტერორისტებს, უშფოთველად იგრძნონ თავი მის ტერიტორიაზე მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი მოქმედებენ გეოპოლიტიკური ოპონენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ. სწორედ ამის გამოა, რომ მუდამ იზრდება ტერორისტთა რაოდენობა.

მეორე მხრივ, ტერორი ძალზე მასიური ხდება. იგი ფაქტობრივად ყველაფერს ეხება, ყოველ ჩვენგანს გვიპირისპირდება და ამიტომაც მსოფლიოში ტერორიზმისადმი შეურიგებლობა იზრდება. რა თქმა უნდა, **გეოპოლიტიკური კონკურენცია სახელმწიფოებს ჯერ არ აძლევს უფლებას, ამ ბოროტების წინააღმდეგ მართლაც ერთიანი ფრონტით იბრძოლოს, მაგრამ ამ საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვას საერთაშორისო საზოგადოებამ,** რომლის ავტორიტეტული აზრიც მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანას მკრეხელობაზე ხელს ააღებინებს და ისინიც, სხვების მსგავსად, ტერორისტებს ტერორისტებს უწოდებენ, მიუხედავად ამ უკანასკნელთა პოლიტიკური მსოფლმხედველობისა.

სამხედრო ბაზები — მსოფლიოს კოლონიზაციის ფორმა

მსოფლიოს ყველა სხვა ხალხთაგან განსხვავებით, ამერიკელები არ აღიარებენ ან არ სურთ აღიარონ, რომ აშშ მთელ მსოფლიოზე ახორციელებს ზეწოლას სამხედრო ძალის საშუალებით. გასაიდუმლოების წყალობით, ამერიკის მოქალაქეებს ხშირად წარმოდგენაც კი არ აქვთ იმ ფაქტზე, რომ მათი ქვეყნის სამხედრო გარნიზონები მთელ პლანეტაზეა მიმოფანტული. ამერიკული სამხედრო ბაზების ეს დატოტვილი ქსელი, რომელიც კონტინენტებს მოიცავს, გარდა ერთადერთი კონტინენტის — ანტარქტიდისა, იმპერიის ახალ ფორმას წარმოადგენს. ეს არის სამხედრო ბაზების იმპერია თავისი საკუთარი გეოგრაფიით, რომელიც, საეჭვოა, ოდესმე სკოლებში ასწავლონ.

ამერიკული სამხედრო მანქანა სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფს ნახევარ მილიონზე მეტ სამხედროს, ჯაშუშს, ტექნიკოსს, მასწავლებელს, სამხედროების ოჯახების წევრებს და სამოქალაქო კონტრაქტორებს სხვა ქვეყ-

ნებში. ზღვებსა და ოკეანეებზე დომინირებისთვის ავიამზიდების ირგვლივ შექმილია 13 ფლოტილია. ამერიკელები მრავალრიცხოვანი საიდუმლო ბაზებიდან ოპერირებენ საკუთარი ტერიტორიების მიღმა იმაზე თვალთვალის მიზნით, თუ რაზე საუბრობენ მსოფლიოში ადამიანები, მათ შორის თვით ამერიკის მოქალაქეებიც კი ტელეფონების, ფაქსებისა თუ ელექტრონული ფოსტების საშუალებით.

უცხოეთში მდებარე ამერიკის სამხედრო ბაზებს უდიდესი შემოსავლები მოაქვს წარმოების სამოქალაქო დარგებისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ თავდაცვაზე, რომელიც შეიმუშავებს და უშვებს იარაღს შეიარაღებული ძალებისთვის. იგივე თავდაცვის სფერო მთელ მსოფლიოში მიმოფანტული სამხედრო ბაზების მშენებლობისა და შენახვისთვის სამოქალაქო კონტრაქტებს აფორმებს. სამოქალაქო კონტრაქტორების ერთ-ერთი ამოცანაა იმპერიის მსახურთა ფორმაში გამოწყობილები კომფორტულ სახლებში დააბინაონ და უზრუნველყონ კარგი კვებით, შვებულებების ხელმისაწვდომ ფასად სასიამოვნოდ გატარებითა და გართობით.

ამერიკის ეკონომიკის ყველა საიდუმლო დაკავშირებულია სამხედრო გაყიდვებთან. მაგალითად, როდესაც ერაყის ომის დროს თავდაცვის სამინისტრო უკვეთავდა ფრთოსანი რაკეტებისა და ურანით გამდიდრებული ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარების დამატებით მარაგს, ამასთან ერთად, უკვეთავდა 273 000 ბოთლ გასარუჯ ლოსიონს. ეს 1999 წლის ანალოგიურ შეკვეთაზე სამჯერ მეტია, რამაც, ცხადია, მნიშვნელოვნად გაზარდა გასარუჯი ლოზიონის — „Native Tan“-ის მომწოდებელთა შემოსავლები.

11 სექტემბრის შემდეგ მსოფლიოში ტერიტორიის გეოპოლიტიკური გადაკეთების ახალი ეპოქა დაიწყო. აშშ-მა მთელ მსოფლიოში სამხედრო ბაზების განლაგების არაჩვეულებრივი შანსი მიიღო. სამხედრო ბაზებს კი, როგორც წესი, მუდამ თან მოსდევს პოლიტიკური და ეკონომიკური გავ-

© „ადამიანის უფლებები“

ლენა იმ ქვეყანაზე, რომელშიც ეს ბაზებია განთავსებული.

ადვილი არაა ამერიკის სამხედრო ბაზების იმპერიის საერთო მოცულობისა და ღირებულების განსაზღვრა. ამასთან დაკავშირებით ოფიციალური მონაცემები, როგორც წესი, არასწორია. **აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცემული ყოველწლიური სტრუქტურული ანგარიშის თანახმად, 2003 ფინანსურ წელს პენტაგონი უცხოეთის 130 ქვეყანაში 702 სამხედრო ბაზას ფლობდა ან ქირაობდა და ამავე დროს კიდევ 6000 ბაზას ფლობდა თავად აშშ-ის ტერიტორიაზე. პენტაგონის ბიუროკრატებმა დაითვალეს, რომ მხოლოდ უცხოური ბაზების ასაგებად 114,2 მილიარდი დოლარია საჭირო.** ცხადია, ეს თანხა მნიშვნელოვნადაა შეკუმშული, მაგრამ ამის მიუხედავადაც აღემატება მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების საერთო ეროვნულ შემოსავალს. **უცხოეთში ამერიკის სამხედრო ბაზებზე მუშაობს 253 288 სამხედრო პირი და ამავე რაოდენობის სამოქალაქო პირი. ეს ბაზები სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფს უცხო ქვეყნების უამრავ ადგილობრივ მოსახლეს. პენტაგონის განცხადებით, ეს ბაზები ფლობენ ან ქირაობენ 44 870 ყაზარმას, საავადმყოფოსა და სხვა შენობას, დამატებით კი — კიდევ 4844 შენობას.**

მიუხედავად იმისა, რომ ეს ციფრები მართლაც შთამბეჭდავია, ისინი მხოლოდ რეალობის ნაწილს ასახავენ. მაგალითად, პენტაგონის ანგარიშში არაფერია ნათქვამი ამერიკის ჯარებზე კოსოვოში, ავღანეთში, ერაყში, ქუვეითში, ისრაელში, ყირგიზეთში, ყატარსა და უზბეკეთში. არადა, ამერიკულმა სამხედრო სტრუქტურებმა ამ არასტაბილურობის თაღში გიგანტური ქსელი ააგეს 2001 წლის 11 სექტემბრიდან სულ რაღაც 2,5 წელიწადში.

ანგარიში ასახელებს ერთადერთ სამხედრო-საზღვაო ბაზას კემპ ბატლერს ოკინავაზე, იაპონიის კუნძულზე, რომელიც ფაქტობრივად ამერიკის კოლონიაა უკანასკნელი 58 წლის მანძილზე. არადა, სინამდვილეში მხოლოდ ოკინავაზე 10 სამხედრო-საზღვაო ბაზაა, მათ შორის ფუ-

ტენმაც, რომელიც ამ კუნძულის სიდიდით მეორე ქალაქის ცენტრში 1.186 აკრ მიწას იკავებს. შედარებისთვის, ნიუ იორკის მანჰეტენზე ცენტრალურ პარკს მხოლოდ 843 აკრ მიწა უჭირავს.

პენტაგონი ასევე არ ითვალისწინებს 5 მილიარდი დოლარის ღირებულების საჯაშუშო დანადგარებს ბრიტანეთში, რომლებიც, უკვე დიდი ხანია, ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სახელსაა ამოფარებული. ეს რომ კეთილსინდისიერი დათვლა ყოფილიყო, ამერიკის სამხედრო იმპერიის ნამდვილი ზომები გადააჭარბებდა სხვადასხვა ხალხის კუთვნილი ათასობით სამხედრო ბაზის მოცულობას, მაგრამ, **როგორც ჩანს, თავად პენტაგონმაც კი არ იცის სრულად საკუთარი ბაზების რაოდენობა, რომელიც უკანასკნელ წლებში მკვეთრად და მნიშვნელოვნად გაიზარდა.**

პენტაგონი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ამერიკის სამხედრო ბაზები ატრაქციონების პარკებს ან საკურორტო ზონებს ჰგავდეს. **ზოგიერთი ბაზის ტერიტორია იმხელაა, რომ სამხედროებისა და სამოქალაქო კონტრაქტორებისთვის სამუშაო ადგილამდე მისასვლელად 9 შიდა მარშრუტი მუშაობს. მაგალითად, ასეთია 1500 კვადრატული კილომეტრის ფართობზე განლაგებული ბანაკი ანაკონდა, სადაც 20 000 სამხედრო მსახურობს.**

ამერიკელი სამხედროები ამჯობინებენ, აშენონ ბაზები, რომლებიც პატარა ამერიკულ ქალაქებს ჰგავს. ასეთ ბაზებში, რომლებიც უცხოეთშია, დაახლოებით 100 000 ქალი ცხოვრობს უშუალოდ სამხედროებისა და სამხედროთა ცოლების ჩათვლით. სამხედრო ჰოსპიტლებში აბორტები აკრძალულია. იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკულ არმიაში მისი ჯარისკაცები ყოველწლიურად სულ მცირე 14 000 სექსუალურ თავდასხმას ახორციელებენ, მათი მსხვერპლი ქალები თუ დაორსულდნენ, იძულებულნი არიან, ადგილობრივ კერძო ექიმებს მიმართონ აბორტისთვის, ეს კი საკმაოდ რთული საქმეა ბაღდადში ან ამერიკული სამხედრო იმპერიის სხვა კუთხეებში.

ამერიკელი „მისიონერები“ ცხოვრობენ გარემოდან

მოწყვეტილნი, თვითკმარ სამყაროში, რომელსაც ამერიკული სატრანსპორტო თვითმფრინავები ემსახურებიან, გენერლები და ადმირალები კი სარგებლობენ ლუქსი-თვითმფრინავებით ისეთ ადგილებში, როგორიცაა სამთო-სათხილამურო დასვენება ბავარიის ალპებში, ან პენტაგონის კუთვნილი 234 გოლფის მოედნიდან ერთ-ერთზე. თავდაცვის მინისტრი, ცხადია, საკუთარი ბოინგ 757-ით დაფრინავს.

კოლონიის ამერიკული ვერსია სამხედრო ბაზებია. ახალი სამხედრო ბაზების გეოგრაფიაში ცვლილებების შესწავლისას ბევრი რამის გაგება შეიძლება ახალ იმპერიაზე და მილიტარიზმზე, რომელიც მასთან ერთად იზრდება. მილიტარიზმი და იმპერიალიზმი სიამის ტყუპები არიან, რომლებიც ერთმანეთის ხარჯზე ცხოვრობენ. ამერიკაში უკვე საკმაოდ მაღალი განვითარების მქონენი, ორივე მათგანი ხარისხობრივად ახალი ნახტომის ზღვარზეა, ეს კი აუცილებლად კიდევ უფრო გაწელავს სამხედრო ბაზებს მთელ მსოფლიოში ისე, რომ ისინი ველარ გააკონტროლებენ მას. ეს თავის მხრივ მომაკვდინებელ ფინანსურ დარტყმას მიაყენებს ქვეყანას და მის დემოკრატიულ ინსტიტუტებს.

საზღვაო ქვეითთა ბრიგადის გენერალი მარტინ როგსონი, რომელიც დაახლოებით 1800 ამერიკელ ჯარისკაცს მეთაურობს, აცხადებს, რომ „პრევენციული“ ომისთვის ამერიკას ესაჭიროება „გლობალური დასწრება“, რომელშიც იგი გულისხმობს ჰეგემონიის დამყარებას ყველა იმ ქვეყანაზე, რომელიც ჯერ კიდევ არაა ამერიკის უღელქვეშ. იდეა მდგომარეობს „გლობალური კავალერიის“ შექმნაში, რომელიც უფრო მალე მიაცხრილავს „ცუდ ბიჭებს“, ვიდრე მათი არსებობის შესახებ გაიგებს ვინმე.

ამ ყველაფერთან ერთად ამერიკა აპირებს თავის კონტროლის ქვეშ დატოვოს ქუვეითის მთელი ჩრდილოეთი — 1600 კვადრატული მილი, რომელსაც ახლა იყენებს ერაყში თავისი არმიის მოსამარაგებლად.

სხვა ქვეყნებს შორის, რომლებიც კოლინ პაუელმა დაა-

სახელა მათი განთავსების ადგილად, რასაც „ბაზების ახალ ოჯახს“ უწოდებს, ახალი ევროპის გაღატაკებული რაიონები — რუმინეთი, პოლონეთი და ბულგარეთი, აზიაში — პაკისტანი, ინდოეთი, ავსტრალია, სინგაპური, მალაიზია, ფილიპინები და ვიეტნამი, ჩრდილო აფრიკაში — მაროკო, ტუნისი და ალჟირი (აქ 1992 წლიდან, მას შემდეგ, რაც ამერიკისა და საფრანგეთის მხრიდან მხარდაჭერით ხელისუფლებაში სამხედროები მოვიდნენ, 100 000-ზე მეტი უდანაშაულო სამოქალაქო პირი გამოასალმეს სიცოცხლეს) იგულისხმება. ამ ახალი ბაზების მოდელს წარმოადგენს ის ბაზები, რომლებიც უკანასკნელ ოც წელიწადში უკვე აშენდა სპარსეთის ყურეში ისეთ ანტიდემოკრატიულ ქვეყნებში, როგორიცაა ბაჰრეინი, კუვეიტი, ყატარი, ომანი და არაბეთის გაერთიანებული საემიროები.

დანახარჯების შესავსებად პენტაგონი ავრცელებს ჭორებს, რომ დაიხურება მრავალი გიგანტური ამერიკული სამხედრო რეზერვაცია გერმანიაში, რომლებიც ცივი ომის პერიოდიდან შემორჩა ასევე კორეაში და, შესაძლოა, ოკინავაშიც. ერაყის ომის შემდეგ ამერიკამ პრაქტიკულად სრულად გაიყვანა თავისი სამხედრო ძალები საუდის არაბეთიდან და თურქეთიდან და ამით ნაწილობრივ დასაჯა კიდეც ისინი ომში არასათანადო დახმარების გამო. ამერიკა იმავეს უპირებს სამხრეთ კორეას — ყველაზე ანტიამერიკულ დემოკრატიას პლანეტაზე.

გეგმის მიხედვით, გერმანიაში რამდენიმე ბაზა ლიკვიდაციას დაექვემდებარება ისევ იმის გამო, რომ შრედერმა თავის დროზე ერაყთან დაკავშირებული ბუშის გეგმები უარყო.

მთელ მსოფლიოში ახლა აშშ-ის 730 სამხედრო ბაზაა, მაგრამ ეს ძალზე სადავო ციფრია, რადგან ზოგიერთი მონაცემებით, მხოლოდ ავღანეთში ამერიკას ათასამდე სამხედრო ბაზა აქვს. მხოლოდ 730 ბაზის შემთხვევაშიც ეს მთელ მსოფლიოში არსებული უცხოური სამხედრო ბაზების 75%-ს აღემატება, რაც მსოფლიოს კოლონიზაციის

ერთგვარი სახეობაა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე სამხედრო ძლევამოსილებისა და ძალაუფლების ჩანერგვის გზით. ამრიგად, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ს სამხედრო ბაზების იმპერია აქვს და ეს იმპერია განუწყვეტლივ იზრდება.

აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო აშშ-ის სამხედრო ბაზების გერმანიიდან, ბრიტანეთიდან და იტალიიდან პოლონეთში, უნგრეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში გადატანას აპირებს, ახლო და შუა აღმოსავლეთთან რაც შეიძლება ახლოს.

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში აშშ-ის საზღვრებს გარეთ ამერიკელი სამხედროების რაოდენობა მცირდება. თუ 1980 წელს საზღვრებს გარეთ თითქმის 689 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი მსახურობდა, 1990 წელს მათმა რაოდენობამ 610 ათასამდე იკლო. აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში 2002 წლის დეკემბერში სულ მილიონ 141 ათასი ადამიანი მსახურობდა და მათგან დაახლოებით 600 ათასს სამოქალაქო პერსონალი შეადგენდა.

დაახლოებით 117 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი განთესილია ევროპაში, სადაც ისი-

ნი 1945 წლიდან არიან. დიდ ბრიტანეთში დაახლოებით 11 ათასი ამერიკელი მსახურობს, ძირითადად, სამხედრო-საჰაერო ძალებში. გერმანიაში მსახურობს 71 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, ისინი ძირითადად ქვეით და სატანკო ნაწილებში არიან გადანაწილებულნი. იტალია, სადაც მუდმივადაა დისლოცირებული 23 ათასი სამხედრო მოსამსახურე, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ერთ-ერთი მთავარი ბაზაა. პენტაგონში მიიჩნევენ, რომ ამ ბაზებმა დიდწილად დაკარგეს მნიშვნელობა, რადგან შეიქმნა ცივი ომის ეპოქაში საბჭოთა კავშირის მხრიდან შესაძლო თავდასხმის საწინააღმდეგოდ. ამიტომ დასავლეთ ევროპაში ამერიკის სამხედრო ბაზები შემცირებას დაექვემდებარებიან, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრები აშშ-ში გაიგზავნებიან. შესაძლოა, ანალოგიური ბედი ეწიოს 37 ათას ამერიკელ ჯარისკაცსა და ოფიცერს, რომლებიც სამხრეთ კორეაში არიან ბაზირებულნი. ჩრდილოკორეულმა არტილერიამ ნებისმიერ მომენტში შეიძლება მათ დარტყმა მიაყენოს. ამიტომ უკვე ახლო მომავალში ამერიკის სახმელეთო ჯარებმა, შესაძლოა, დატოვონ სამხრეთ კორეის ტერიტორია, სადაც 1951 წლიდან იმყოფებიან. მათ მცირე ზომის ავიამზიდების შენაერთები ჩაანაცვლებენ.

აშშ-ის შეიარაღებული ძალების დიდი სამხედრო შენაერთები საზღვარგარეთ წარსულს ჩაბარდება. ახლა აშშ ფსონს აკეთებს მომცრო ზომის ბაზებზე, რომლებიც შესაძლო შეიარაღებული კონფლიქტების სიახლოვეს განთავსდებიან და ტერორისტული ორგანიზაციების ბაზირების სიახლოვესაც. **აშშ-ის შეიარაღებული ძალების სამომავლო მიზანია ძლიერი და სწრაფი დარტყმების მიყენება მოწინააღმდეგისთვის**. ამგვარი დარტყმების შედეგად მოწინააღმდეგემ საწინააღმდეგო ქმედებათა ორგანიზება ვერ უნდა შეძლოს. გარდა ამისა, სამხედრო ბაზები აუცილებელია სამშვიდობო და ჰუმანიტარული ოპერაციების ჩასატარებლად.

როგორც იგულისხმება, უკვე 2015 წლისთვის აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალები შეძლებენ მობილური სამ-

© „ეროვნული ბიბლიოთეკა“

ხედრო ბაზების — გიგანტური სატრანსპორტო პლატ-ფორმების, იმავე „მცურავი კუნძულების“ შექმნას, რომ-ლებიც ჩაანაცვლებენ ტრადიციულ სამხედრო ბაზებს, ავიამზიდებსა და სატრანსპორტო გემებს. ეს პლატფორ-მები აიგება საბავშვო კონსტრუქტორების პრინციპის შე-საბამისად — ცალკეული დეტალები მთლიანი კონსტრუქ-ციის აწყობის ადგილამდე გადაიზიდება თვითმფრინავე-ბით და მომცრო ზომის გემებით.

თავდაცვის ანალიზის ინსტიტუტის გათვლებით, ყოვე-ლი მცურავი კუნძულის მშენებლობის ღირებულება და-ახლოებით 1,5 მილიარდ დოლარს შეადგენს. თუმცა, აშშ-ის სამხედრო ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ფულის ამ-გვარი დაბანდება გამართლებულია: **მობილური ბაზე-ბი აშშ-ს საშუალებას მისცემს, ნაკლებად იყოს დამოკიდებული თავის მოკავშირეებზე, რომლე-ბიც მრავალ შემთხვევაში არ თანხმდებიან, სა-კუთარი ბაზები და აეროდრომები აშშ-ის შეიარა-ღებული ძალებისთვის დათმონ.**

ასევე შესაძლებელია დირიჟაბლებისა და სხვა სახის საფრენი აპარატების „მეორედ მოსვლა“. ახლებურ დირი-ჟაბლებს შეეძლებათ, მნიშვნელოვანი ტვირთები ჩაიტა-ნონ ნებისმიერი მანძილით დაშორებულ დანიშნულების ადგილამდე. ანალოგიური საჭიროებებისთვის, შესაძ-ლოა, შემუშავებულ იქნეს გიგანტური სატრანსპორტო თვითმფრინავები და ვერტმფრენებიც. მომავალში დიდი მოთხოვნა იქნება ზეზუსტი დაშვების მოწყობილობებსა და სხვა ტექნოლოგიებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მაქსიმალურად სწრაფ, ზუსტ და უსაფრთხო ტრანსპორ-ტირებას ნებისმიერი დაშორების დანიშნულების წერტი-ლამდე როგორც ადამიანების, ასევე ტვირთებისთვის.

რეორგანიზაცია შეეხება აშშ-ის შეიარაღებული ძალე-ბის ყველა სახეობას. მაგალითად, ამჟამად სამხედრო-სა-ზღვაო ფლოტი შედგება 12 ავიამზიდი ჯგუფისგან. თავ-დაპირველად ისინი შეიქმნა იმისათვის, რომ ავიაციისთ-ვის მიეცა საშუალება, დარტყმები განეხორციელებინათ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. კიდევ ათობით ფლო-ტილია განკუთვნილი იყო საზღვაო ქვეითთა ნაწილების

გადასაყვანად. მაგრამ ტრანსპორტი, რომელსაც საზღვაო ქვეითები გადაჰყავდა, დაცვისათვის ავიამზიდებისა და კრეისერების მხრიდან გაცილებას საჭიროებენ.

ავიამზიდები ასევე გამოყენებულ იქნება აქამდე მათთვის უჩვეულო ამოცანების გადასაჭრელად. ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებისას ავიამზიდი „Kitty Hawk“ იმ ვერტმფრენების ბაზად გამოიყენებოდა, რომლებითაც ამერიკული სპეცქვედანაყოფები სარგებლობდნენ. სამხედრო საზღვაო ძალების შეიარაღებაში გაჩნდა პრინციპულად ახალი ტიპის სამხედრო გემები. მაგალითად, სანაპირო საბრძოლო გემი, რომელიც სადარაჯო, სადესანტო და სატრანსპორტო გემების ფუნქციებს ითავსებდა. მას შეეძლება, ოპერაციები განახორციელოს წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ, ებრძოლოს ნაღმებს და ამავე დროს შეასრულოს საზღვაო ბაზის როლი — მიიღოს ვერტმფრენები, გადაზიდოს მნიშვნელოვანი ტვირთები, 150 ავტომობილი, ტანკი და ბრონიმანქანა ან გადაიყვანოს ათასამდე ჯარისკაცი. ამავე დროს, იგი აღჭურვილი იქნება ჰუმანიტარული ოპერაციების ჩასატარებლად — გათვალისწინებულია მასზე ჰოსპიტლის განლაგებაც. პირველი ასეთი გემი ორ წელიწადში უკვე მწყობრში იდგება.

მსხვილი სამხედრო შენაერთები, რომლებიც თავდაპირველად საბჭოთა კავშირთან საბრძოლველად იყო გამიზნული, დიდი ხანია, უფუნქციოდ დარჩა. ისინი დანაწილდება მომცრო და უფრო მობილურ ნაწილებად, რომელთაც ავტონომიურად მოქმედება შეეძლებათ.

ამერიკულმა არმიამ უკვე დაიწყო სწრაფი რეაგირების ჯგუფების — „Striker“-ების შექმნა. ისინი შედგება 3,5 ათასი ჯარისკაცისა და ბრონიტექნიკისგან, რომელთაც „ცხელ წერტილებში“ სატრანსპორტო თვითმფრინავებით საჭიროებისთანავე გადაისვრიან.

თავისუფლება ისტორიის სანაგვეზე გდია!

ერთ დროს კალამს ხმალზე მეტი ძალა ჰქონდა; ეს მაშინ, როდესაც ადამიანებს სჯეროდათ სიმართლის ძალის და მას რომელიმე ხელისუფლების, კასტის, რასის, იდეოლოგიური, პირადი ან ფინანსური ინტერესების მსახურად არ მიიჩნევდნენ. დღეს ამერიკელებს პროპაგანდა მართავს. ისინი ყურადღებას არ აქცევენ სიმართლეს, რადგან მასზე ხელი პრაქტიკულად არ მიუწვდებათ, ამასთან, ძალიან მცირე შანსი აქვთ იმისა, რომ, თუ სადმე მაინც წააწყდებიან, მისი გამოცნობა შეძლონ.

როცა სიმართლე არასასურველი და არასასიამოვნოა, სჯობს, მას საერთოდ არ გაეკარო. ვინც სიმართლეს ამბობს, „ანტიამერიკელად“, „ანტისემიტად“, „შეთქმულების თეორიის მონაწილედ“ გამოცხადების საფრთხის წინაშე დგას.

სიმართლე ერთგვარ უხერხულობას წარმოადგენს ხელისუფლებისთვის და იმ დაინტერესებული ჯგუფებისათვის, რომელთა ფულიც ხმარდება ხელისუფლების კონტროლს. სიმართლე უხერხულობას წარმოადგენს პროკურორებისთვისაც, რომელთაც დამნაშავისა და უდანაშაულოს გამოვლენა კი არა, დამადანაშაულებელი განაჩენის გამოტანა სურთ. სიმართლე უხერხულობას წარმოადგენს, ასევე, იდეოლოგთათვის.

დღეს მათი უმრავლესობა, ვისი მიზანიც თავის დროზე სიმართლის გამოვლენა იყო, ამ სიმართლის დამალვისთვის დიდ ფულს იღებს.

ეკონომისტები ფულს იღებენ „ახალი ეკონომიკის“ იმ მითიური კონსტრუქციების შექმნისათვის, რომლებიც, ძირითადად, ამერიკელების მიერ საზღვარგარეთ წარმოებული ინოვაციებისა და ფინანსური მოღვაწეობისაგან შედგება. ამ „ახალ ეკონომიკაში“ მონაწილეობისათვის ამერიკელებს ერთადერთი რამ სჭირდებათ — ფინანსური განათლება. შემდეგ წავლენ უოლ-სტრიტზე სამუშაოდ და მილიონობით დოლარს მიიღებენ.

ექიმები პროფესიონალურ გამოცემებში აქვეყნებენ იმ კვლევის შედეგებს, რომლებიც ფარმაცევტულმა კომპანიებმა დაუკვეთეს და რომელთა მიხედვითაც ამავე კომპანიების მიერ წარმოებული ნამლები ერთადერთი გამოსავალია. ევროსაბჭო იძიებს ფარმაცევტული კომპანიების როლს ვაქცინის გაყიდვიდან მილიარდების მიღების მიზნით ღორის გრიპის პანდემიის გაყალბების საქმეში.

მასმედიის დახმარებით, აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა თვალებში ნაცარი შეაყარეს მთელ მსოფლიოს, დაუმტკიცეს, რომ ავღანური მარჟა არის ქალაქი, სადაც 80 ათასი ადამიანი ცხოვრობს და რომელსაც თალიბები აკონტროლებენ. როგორც აღმოჩნდა, მარჟა ქალაქი კი არა, სოფლებისა და ფერმების ერთობლიობაა.

ცალკე თემაა გლობალური დათბობა, რაზეც ათასგვარმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, გაერომ და ატომურმა მრეწველობამ ნამდვილი შეთქმულება მოაწყეს და განკითხვის დღის ახალი სცენარის შეთხზვით, გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებით, დიდი შემოსავალი მიიღეს.

მოკლედ, საითაც გაიხედავ, სიმართლე ყველგან ფულს ეწირება. იქ, სადაც სიმართლის დასამარხად საკმარისი რაოდენობის ფული არ არის, საქმეში უცოდინარობა, პროპაგანდა და ცუდი მეხსიერება ერთვება.

1970-იან წლებში ცსს-ს დირექტორის — უილიამ კოლბის მიერ მიცემული ჩვენების შედეგად, პრეზიდენტებმა ჯერალდ ფორდმა და რონალდ რეიგანმა გასცეს ბრძანებები, რომელთა მიხედვითაც ცსს-სა და საიდუმლო ოპერაციებით დაკავებულ სხვა ჯგუფებს უცხოეთის ქვეყნების ლიდერების დახოცვა აეკრძალათ. 2010 წელს ეროვნული დაზვერვის დირექტორმა დენის ბლერმა აშშ-ის კონგრესს უამბო, რომ ახლა აშშ არა მხოლოდ უცხოელ ლიდერებს, არამედ საკუთარ მოქალაქეებსაც ხოცავს.

ბლერმა კონგრესის დაზვერვის კომიტეტს უთხრა, რომ აღარაა საჭირო ადამიანის დაპატიმრება, ბრალდების წაყენება, გასამართლება და განაჩენის გამოტანა, აშშ-ის მოქალაქეები შეიძლება პირდაპირ დახოცო, თუ ეჭვობ, რომ ისინი „საფრთხეს“ წარმოადგენენ. ამის გამო ბლერისთვის არავის წაუყენებია რაიმე ბრალდება, არავის არაფერი გამოუძიებია. აშშ-ის ხელისუფლებაში არავის შექმნია პრობლემები აშშ-ის მოქალაქეების მკვლელობების გამო.

როგორც ეკონომისტი, გაოგნებული ვარ — ამერიკის ეკონომიკურ ისტებლიშმენტს აზრადაც არ მოსდის, რომ აშშ-ის ეკონომიკა აუტსორსინგმა და ამერიკული საერთო შიდა პროდუქტის სხვა ქვეყნებში გატანამ გაანადგურა. აბსოლუტურ უპირატესობას ან იაფ მუშახელსა და მაქსიმალურ „ბონუსებს“ გამოდევნებულმა ამერიკულმა კორპორაციებმა ტოპ-მენეჯმენტისათვის საქონლის წარმოება და მომსახურება (რომელსაც ამერიკელები ყიდიან) გადაიტანეს ჩინეთში, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში.

როდესაც ვკითხულობ, როგორ აღწერენ ამ პროცესს ეკონომისტები, როგორც შედარებით უპირატესობებზე დაფუძნებულ თავისუფალ ვაჭრობას, ვრწმუნდები, რომ ამერიკელ ეკონომისტებს აღარც ჭკუა შერჩათ და აღარც — პრინციპები.

გონებაცა და პრინციპებიც ფულზე გაიყიდა. ტრანსნაციონალური ან გლობალური ამერიკული კორპორაციები მრავალმილიონიან ჯილდოებს აძლევენ თავიანთ ტოპ-მენეჯერებს, რომლებიც ამ მილიონებს ამერიკული შრომის უცხოურით ჩანაცვლების შედეგად შოულობენ. მაშინ, როდესაც ვაშინგტონი „მუსლიმანურ საფრთხეზე“ დარდობს, უოლ-სტრიტი, ამერიკული კორპორაციები და „თავისუფალი ბაზრის“ ჩასაფრებული საფრთხეები ამერიკულ ეკონომიკასა და ათობით მილიონი ამერიკელის პერსპექტივებს მიწასთან ასწორებენ.

ამერიკელების უმეტესობა პოლიციური სახელმწიფოს ხელში სათამაშოებად იქცნენ.

ამერიკელებმა დაუჯერეს ხელისუფლებას, რომ უსაფრთხოება მოქალაქეობრივ თავისუფლებებზე და ხელისუფლების მხრიდან ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულებაზე დროებით უარის თქმას მოითხოვს. **ზოგი ამერიკელი მიიჩნევს, რომ დაკავებულის სასამართლოში წარდგენის მიწერილობა და სათანადო სამართლებრივი პროცედურები მათ კი არა, „ტერორისტებს“ იცავს.** მრავალ ამერიკელს სწამს, რომ კონსტიტუცია არის ძველისძველი დოკუმენტი, რომელმაც საკუთარი თავი ამოწურა და ხელისუფლებას ხელს უშლის პოლიციური სახელმწიფოს უფლებამოსილების განხორციელებაში, ანუ — ამერიკელებისთვის თავისუფლებისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაში.

ამერიკელთა უმეტესობას არ აინტერესებს საწინააღმდეგო აზრი.

ამერიკული კორპორატიული პრესა სიმართლეს არ ემსახურება, ის ხელისუფლებისა და ხელისუფლების მხარდამჭერი ჯგუფების ინტერესებს გამოხატავს.

© „ღვინისფერი ნაბეღლავი“

ამერიკის ბედი მაშინ გადაწყდა, როდესაც საზოგადოება და ანტისამხედრო მოძრაობა ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ 11 სექტემბრის შეთქმულების თეორიაზე წამოეგო. ხელისუფლების მიერ მოყოლილი ისტორიები უამრავ მტკიცებულებას ეწინააღმდეგება. ომებსა და პოლიციურ სახელმწიფოზე ჩივილს აზრი არ აქვს, თუ მათი საყრდენი საწყისი დებულება მისაღებია.

ტრილიონობით დოლარად ღირებულმა ამ ომებმა ვაშინგტონის საბიუჯეტო დეფიციტების დაფინანსების პრობლემები წარმოშვა და დოლარს, როგორც მსოფლიო სარეზერვო ვალუტას, პრობლემები შეუქმნა. ომებმა და ზეწოლამ, რომელსაც ბიუჯეტის დეფიციტი ახორციელებს დოლარზე, სოციალური დაზღვევისა და მოხუცთა სამედიცინო დახმარების პროგრამები შეკვეცის საფრთხის წინაშე დააყენა. ბანკ „Goldman Sachs“-ის ყოფილ ხელმძღვანელსა და აშშ-ის ყოფილ ფინანსთა მინისტრ ჰენკ პოლსონს სურს, რომ მოხუცებს ეს დახმარება გაუუქმოს, ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელი ბერნანკეც მათკენ იშვერს ხელს. იგივე შეიძლება ითქვას რესპუბლიკელებზეც.

ქვეყანაში უმუშევრობა 21%-ს აღემატება, სამუშაო ადგილები, საერთო შიდა პროდუქტი და ტექნოლოგიები ჩინეთსა და ინდოეთშია გატანილი, ვაშინგტონის მთავარი მოვალეობა ომია, დოლარი სახელმწიფო ვალში ინრჩობა, მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები „ტერორიზმთან ბრძოლას“ შეეწირა, ამერიკელი ხალხის თავისუფლება კი ისტორიის სანაგვეზე გდია.

ამერიკისა და ისრაელის სახელმწიფო მილიტარიზმი, ისევე, როგორც უოლ-სტრიტისა და კორპორაციების სიხარბე, კვლავაც გაგრძელდება. ვინაიდან კალამი ცენზურის მსხვერპლია, მისი ძალა კი — განადგურებული, მე განზე ვდგები.

პოლ კრეიგ რობერტსი

„Wall Street Journal“-ის ყოფილი რედაქტორი, აშშ-ის ფინანსთა მინისტრის ყოფილი თანაშემწე

დემოკრატია ნატოს სოუსით

ჩვენი „ცივილიზებული ღირებულებების“ სახელით ომმა პირველად მიიღო წერილობითი სახე ზოგიერთი იმ ფრანგისა და ბელგიელის ძეგლზე, რომლებიც პირველ მსოფლიო ომს შეეწირნენ. იმ დროიდან ეს „ცივილიზებული ღირებულებები“ ჩვეულებრივი რიტმით ვითარდებოდა და აშშ-ის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ წამოწყებული ომის დროს აპოთეოზს მიაღწია. ამ ყველაფერთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ბრიტანული „The Independent“-ის ჟურნალისტის, რობერტ ფისკის წიგნი სახელწოდებით „დიდი ომი ცივილიზაციისთვის“. სწორედ მისთვის საკადრისის მიზღვის მიზნით, ქვეყნდება ეს მოკლე მიმართვა ყველა გაბედული ადამიანისადმი.

დღეს ჩვენი დემოკრატიები აღარ შემოიფარგლებიან „ველურებს შორის საგანმანათლებლო მისიით“, რაც XIX საუკუნის ყველა კოლონიალური საწარმოს ძირითადი ლოზუნგის ფუნქციას ასრულებდა და დაუსრულებლად ღაღადებდა გაცილებით კეთილშობილურ, მასშტაბურ და დიად ამოცანაზე: მოუტანონ მსოფლიოს „კეთილი ცნობა“ ჩვენი ცივილიზებული ღირებულებების და, პირველ რიგში, „დემოკრატიის“ თავზე მოხვევით (ნელ-ნელა, ხელსაყრელ მომენტებში, მაგრამ, თუ საჭირო გახდა, იარაღის ძალითაც).

ამ გიგანტური ისტორიული ამოცანის განხორციელების საქმეში მთავარი მამოძრავებელი ძალა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, „ბებერი“ ევროპისგან ესტაფეტის მიმღები ამერიკის შეერთებული შტატებია.

ნებისმიერი მსხვერპლი, ნებისმიერი ტკივილი და ტანჯვა არაფერია ბნელსა და უკუნთან — წარსულში ნაციზმისა და კომუნიზმის, დღეს კი რადიკალური ისლამიზმის სამოსში გახვეული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან შედარებით. საბედნიეროდ, ჩვენი „მოციქულებისთვის“ ამგვარ ისლამიზმს ნამდვილ ისლამთან არაფერი ან თითქმის არაფერი აქვს საერთო.



იცით, რომ ამ ყოვლისმომცველი ბოროტების განსხეულებასთან — ტერორიზმთან ბრძოლაში გამარჯვება არასდროს იქნება სრულყოფილი, მიუხედავად საამისოდ დახარჯული ძალისა? საქმე ისაა, რომ **ჩვენს დემოკრატიებს ერთი არაჩვეულებრივი თავისებურება ახასიათებთ** (რაც ერთდროულად მათი ძლიერებაცაა და სისუსტეც): **ბოროტებასთან გულისამრევად ახლოს ცხოვრების პირობებში მათ მის ზოგიერთ წარმომადგენელთან ჩუმჩუმად მოლაპარაკება ისწავლეს, რათა შედეგს მინიმალური დანახარჯებით მიაღწიონ.** თუ ზღვარს გადავ-

ლენ, ამგვარი „მოკავშირეების“ გაკრიტიკებასაც არ მოერიდებიან და ეს ადრეც არაერთხელ გაუკეთებიათ.

თუნდაც ის გავიხსენოთ, რომ სადამ ჰუსეინი სულ ცოტა ხნის წინათ ყველას მშვენივრად აწყობდა და ვაწვდიდით კიდეც ყველაფერს საიმისოდ, რომ ირანის ჰომეინის რეჟიმის მხრიდან აშშ-ის შეურაცხოფისთვის შური ეძია.

არც ამერიკული სპეცსამსახურების (ცსს) მიერ დაქირავებული და მომზადებული ისლამისტები დაგვვიწყებია, დიდ სამსახურს რომ გვიწევდნენ ავღანეთიდან „საბჭოთა დამპყრობლების“ განდევნის საქმეში.

წმიდა წერილში წერია, რომ სიკეთეს ისევე ესაჭიროება ბოროტება, როგორც ღმერთს — ეშმაკი, რათა თავისი ძლევამოსილებისა და მიზიდულობის დემონსტრირება მოახდინოს.

ბედნიერება ტკივილში იბადება, მშვიდობის სიხარულს ომის საშინელებები უსწრებს წინ. იყავით ფხიზლად და მუდამ თან გქონდეთ იარაღი, რომ არაკეთილმოსურნეებს საკადრისი პასუხი გასცეთ და ამავე დროს კანონიერ თავდაცვას ახორციელებდეთ, ეს ნებისმიერი ნამდვილი დემოკრატიის გარანტია. გამოიყენეთ თქვენი მტრების წინააღმდეგ ძალა გონებით ხელმძღვანელობისას და მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეეცდებით, დაარწმუნოთ ისინი, დათმობაზე წამოვიდნენ თქვენი გონივრული მოთხოვნების სასარგებლოდ. თუ ჯიუტობენ, უარს ამბობენ თქვენი ინსტრუქციების გათვალისწინება-დაცვაზე, უყოყმანოდ მოიყვანეთ გონს ბომბებისა და საბრძოლო ჭურვების საშუალებით.

დღეს აშშ-ში გვაქვს იმ იარაღის უზარმაზარი არსენალი, რომელიც უბრალო პაციფისტებს ააკანკალებს. ნუ შეეხებით მათ, დაე მშვიდად მოიქავონ ენები და მოაწყონ მიტინგები, ვიდრე ხელს არ შეგვიშლიან პოლიტიკური დეზინფექციის სამუშაოების ჩატარებაში.

იცოდეთ, რომ ჩვენი დემოკრატიები სამყაროს აღსასრულამდე მყარად იდგებიან, თუნდაც 11 სექტემბრის მსგავსმა ბოროტებამ ჩვენი, როგორც აშშ-ის მოქალაქის სიამაყე შელახოს, ამერიკული დემოკრატია შეძლებს ჩვენი ტკივილის გადალახვას და გარდაუვალ სასჯელს მოუვლენს არა მხოლოდ „დამნაშავეებს“, არამედ მათ მოკავშირეებსაც.

თუნდაც მილიონობით ტონა ჩვენმა ბომბმა დათესოს

სიკვდილი ავღანელ ხალხსა და თალიბების რიგებში, რომლებთანაც ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ მჭიდრო და სერიოზული ურთიერთობა გვქონდა. დაგვეხმარნენ რა ქვეყნიდან „კომუნისტების“ განდევნაში, შემდეგ სერიოზული დახმარება გაგვიწიეს ჩეჩნეთში დესტაბილიზაციის შექმნის საქმეშიც. მიუხედავად ამისა, ბოლო დროს, როდესაც ვთხოვდით, მშვიდად ყოფილიყვნენ, წესიერად მოქცეულიყვნენ და თავი დაენებებინათ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის შოკირებისთვის ისეთი რადიკალური ნაბიჯებით, როგორიც ბუდასა და სხვა არამუსლიმანი ღვთაებების უძველესი ქანდაკებების განადგურება იყო, ბუზღუნი დაიწყეს. უფრო მეტიც, მათ უდიდესი შეურაცხყოფა მოგვაყენეს, როდესაც უარი გვითხრეს ბენ ლადენის გადმოცემაზე.

ჩვენ ათი ათასობით უდანაშაულოს დავტირით. ისინი შემთხვევით მოხვდნენ ჩვენი დარტყმის ქვეშ, მაგრამ, როგორც ანდაზაშია ნათქვამი, „თუ კვერცხებს არ დაამტვრევ, ომლეტს ვერ მოამზადებ“. წარსულში უიმედოდ ჩარჩენილი ზოგიერთი ადამიანი თვლის, რომ ჩვენ მწარედ ვცდებით და თავხედ მატყუარებად მოგვიხსენიებენ.

იცოდეთ, რომ მშვენივრად ვაცნობიერებთ მსოფლიოსა და ადამიანის ბუნების არასრულყოფილებას, ადამიანობა კი განუყოფელ კავშირშია განდიდებისა და კეთილშობილებისკენ სწრაფვასთან, რისი ცოცხალი მაგალითიც ამერიკის შეერთებული შტატებია.

როდესაც მართლმსაჯულება აღსრულდება, ჩვენ „ხანგრძლივი თავისუფლების“ ჭრილობებს მოვიშუშებთ. **ავღანეთის რეკონსტრუქცია ჩვენი საწარმოებისთვის ოქროს ძარღვად იქცევა. შეიარაღების მარაგების განახლება ასევე დიდ მოგებას მოუტანს ჩვენს ქარხნებს.** დემოკრატია და ამერიკის ინტერესები აბსოლუტურ ჰარმონიაში ცხოვრობენ და მოქმედებენ.

ყველა თქვენგანმა, ვისაც ასე სწყურია მართლმსაჯულება, უნდა იცოდეს, რომ **დემოკრატია ამერიკული სოუსით შეტევაზე მოდის და ამ სასტიკ შეტევას,** რომელსაც ჩვენთვის ბედნიერება მოაქვს და რომლის ნამცეცებს „ძლიერნი ამა ქვეყნისა“ კაპიტალიზმის ყველა სიკეთის მოლოდინში გათანგულ ხალხებსაც უწილადებენ, **ვერაფერი შეაჩერებს.**

სარჩევი

წინათქმა	5
ნატო მაკიაჟის გარეშე	7
ვლოთობთ, ვდებოშობთ, ვაუპატიურებთ	39
ავღანეთი – ნატოს ნარკოტიკების ფაბრიკა და 100 ათასი მსხვერპლი წელიწადში	50
ჯვარცმული კოსოვო – სერბული მართლმადიდებლური ტაძრების განადგურება და შეურაცხყოფა კოსოვოსა და მეტოხიაში (1999 წლის ივლისი-აგვისტო)	55
სიმბიოზი: ნატო – ევროკავშირი – ჰაშიმ ტაჩი	81
„შავი ტრანსპანტოლოგების“ საქმეს მცდარ გზაზე უშვებენ	86
ჰაშიმ მფატრავი	93
კოსოვო – ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა ამერიკის მხარდაჭერით	100
„საკაიფო“ დემოკრატია, ანუ „ჰეროინის რესპუბლიკა“ კოსოვო	105
ცსს და მხეცობათა პორნოგრაფია ომის პარტიისგან	113
ომი უკვე შეკვეთილია, კიდევ რამეს ხომ არ ინებებთ?	120
საერთაშორისო ძარცვის ახალი წესრიგი	133
არ არსებობს ომზე უკეთესი ბიზნესი	140
მასობრივი განადგურების დემოკრატია	147
ნატოს კრიზისი: ვინ შეასრულებს შავ საქმეს	153
სანქცირებული ძალადობა და წამების ნებადართული მეთოდები	156

© „ღამისფერი“

ლაბორატორიულ ვირთხებად ქცეული ბავშვები 164

ნატო მშვიდობიან მოქალაქეებს
პაკისტანშიც ხოცავს 169

ნატოს პოლიტიკა ცხელი წერტილების შექმნაა 172

სატირალი სტატისტიკა 176

ახალი ჯვაროსნები 180

ნატო და ჰეროინული კოშმარი 184

ავღანური ყაყაჩოს პლანტაციებისა
და ჰეროინის გავრცელების ცენტრების
ნამდვილი მეპატრონეები 188

თალიბების პერიოდში ავღანეთში ოპიუმის
მწარმოებელი ერთდერთი ქარხანა მუშაობდა.
ახლა ასეთი ქარხნების რაოდენობა
ათასს აჭარბებს 196

ევროატლანტიკურმა კავშირმა
ფაშისტურ კოალიციას აჯობა 202

SIEG HEIL ნატო 208

დიდი ავღანური თამაში 215

როგორ ხვდება პენტაგონის მილიარდები
ახლო აღმოსავლეთის დიქტატორების ხელში 220

ევროპაში დონორთა ორგანოების
შავი ბაზარი ყვავის 229

სამყარო, რომელსაც ვერავინ აკონტროლებს 233

ავღანური რებუსი 238

ავღანური დოზა 243

ნავთობის უკანასკნელ ბარელამდე 240

ნარკოჯიჰადი პენტაგონისთვის 255

საცდელი ბოცვერი ნატოსათვის 257

მივედი, ვნახე... გავაპარტახე	261
„ავღანეთში ქედმაღლობამ და სიხარბემ დაგვაბრმავა“	264
უკანასკნელი ჯვაროსნული ლაშქრობა	271
სისხლიანი ყასბები	275
მშვიდობის ნობელის რიგში ნატო დგას	279
ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკი დასავლური „დემოკრატიის“ ნაცვლად	282
დემოკრატიის სახელით...	285
პენტაგონი წესიერების ნიღაბს იხსნის	290
ვისთვისაა მოგებიანი საერთაშორისო ტერორიზმი	295
ისლამური ფუნდამენტალიზმი – საშველი ნატოსთვის	301
როგორ ქაჩავს აშშ ფულს მსოფლიოდან	311
მსახურებისთვის შვარგისია	314
„დამალობანა“	326
ქრისტიანები დახოცეს, თეატრი აკრძალეს, ნავთობს 16 ათასი დაქირავებული იცავს	330
ანტიტერორისტული გეოსტრატეგიის ორმაგი სტანდარტები	333
საშხედრო ბაზები – მსოფლიოს კოლონიზაციის ფორმა	341
თავისუფლება ისტორიის სანაგვეზე გდია!	351
დემოკრატია ნატოს სოუსით	356